

K 127.909

3



თინათინ აჩიაური

მითოლოგიური გადმოცემები  
აღმოსავლეთ საქართველოს  
მთიანეთში

თბილისი  
1967



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ივ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის  
არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ინსტიტუტი

ИНСТИТУТ ИСТОРИИ,  
АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ  
ИМЕНИ И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



1967




Т. А. ОЧИАУРИ

МИФОЛОГИЧЕСКИЕ ПРЕДАНИЯ  
У ГОРЦЕВ ВОСТОЧНОЙ  
ГРУЗИИ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1967

მითოლოგიური გადამზევას  
კლასიკური საქართველოს  
მთიანეთში

K 127.909 3



## ଶାଶ୍ଵତବ୍ୟାକଣଙ୍କା „ମୋହନୀରୂପିଙ୍କା“ ତଥାଇବିଦି

1967



807 + 9027(-99.962.) 1) საქართველოს უნივერსიტეტი  
8-ტ-ფ 2) სამსახური ვაკების განვითარების  
398. 2 (47. 922)+9(47. 222) სამსახური

M 917

ნაშრომში ეთნოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლითია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაცული მითოლოგიური გადმოცემები. დადგენილია იმ გადმოცემათა შექმნის კონკრეტული ისტორიული პირობები. გამოვლენილი და ნაჩვენებია მთიელთა წინაპრების სამეურნეო, სოციალური და რელიგიური ყოფის ცალკეული პხარები, აგრეთვე ქართველ და მოსაზღვრე კავკასიელ მთიელთა ურთიერთობა.

1—6—2  
120—1967

## შ ე ს ა პ ა ლ ი

აღმოსავლეთ საქართველოს მთამ ჩვენს ეპოქამდე შემოინახა ძველი, მრავალსაუკუნოვანი წარსულის მქონე წეს-ჩვეულებები, ყოფის ცალკეული მხარეები როგორც მატერიალური კულტურის, ისე მეურნეობის, საზოგადოებრივი ყოფისა და სარწმუნოების მხრივ. ის, რაც საქართველოს ბარში ჯარგა ხნის მივიწყებული, ანდა ძნელად-ღა შესამჩნევება, მთამ ცოცხალი სახით ჩვენამდე მოიტანა, რის შესწავლამაც ქართველი ხალხის წარსულის ბევრ მხარეს მოჰყინა შუქი. განსაკუთრებით მრავალფეროვნად და შედარებით სრულად შემორჩა სარწმუნოებრივი ხასიათის გადმონაშთები, წარმართული ბუნების ჯვარ-ხატების კულტი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთელთა რელიგიური შეხედულების თანახმად, მთელი მათი ტერიტორია დასახლებულია დიდი და შედარებით ნაკლები ძალის მქონე ღვთისშვილებით, მათი დამხმარე ზებუნებრივი არსებებით. ამ ღვთისშვილებს ხან მეგობრული დამოკიდებულება აქვთ, ხან შემოსწყრებიან ერთმანეთს, ურთიერთის საქმეში ერევიან, შუამავლობენ, თავიანთი საყმოების კეთილდღეობაზე ზრუნავენ, დამნაშავეს სჭიან, მორიგე ღმერთიან „ხთის კარზე“ საჩივრითა და „ზღვენ-ულუფით“ შედიან, ერთმანეთს იცავენ ან მტრობენ, ყმათა მიერ შეწირული მსხვერპლით მოძმე ღვთისშვილთა წინაშე ხან თავს იწონებენ, ხან დარცვენილი იმალებიან, საომარ და სამშეიდობო საქმეებს წყვეტენ, ხორციელთა ყოველდღიურ საქმეებში ერევიან; უნდათ მშვიდობასა და სიკეთეს ჩამოაგდებენ თავის ყმებს შორის, უნდათ, — უამინდობით, სიმშილით, ხალხისა თუ საქონლის ზარალით გააწამებენ მათ და ა. შ.

ცნობილია, რომ „რწმენა ერთი ღმერთის შესახებ (მონოთეიზმი) პრინციპში გამორიცხავს მითოლოგიას. ხოლო პოლითეიზმის



ღროს (მრავალმერთობა) საქმე გვაქვს ზებუნებრივ არსებულებების მრავალფეროვან სერიასთან, რომელიც აუცილებელი არიან მითოლოგიური მოქმედების განვითარებისათვის<sup>1</sup>. ექედან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სარწმუნოება მითოლოგიური გადმოცემების შექმნისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

მითოლოგიის მქვლევართათვის მრავალი საკითხი შეიძლება იქცეს შესწავლის ობიექტად. ასეთია, მაგალითად, მითოლოგიის თავდაპირველი წარმოშობა, მითოლოგიისა და საგმირო ეპოსის ურთიერთობა, მითი და რელიგია, მითი და ისტორიული სინამდვილე, მითი, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის ნაწილი, როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში და ა. შ.

+ ძველ კულტურულ ხალხთა მსგავსად, ჩვენ წინაპრებს რომ ჰქონდათ ტრადიცია თავიანთი ღვთაებების ნახატით აღმდეჭვისა, ალბათ ბევრ სალოცავს დაამშვენებდა ცხოველური თუ სხვა სახის ატრიბუტები, ნიშანი მათი თავდაპირველი ბუნებისა. შუბნური ჯვარი გველის გამოსახულებით იქნებოდა წარმოდგენილი, ნახარელა ღვთისმშობელი დათვის იერს ვერსად წაუკიდოდა, გუდა-მაყრის საღმრთო მაღალი ყოჩის თავ-რქის დაიმშვენებდა და ა. შ. ეს გადასვლები ბუნების მოვლენათა თუ სუბიექტთა თაყვანისცემიდან ქვეწარმავალთა, ცხოველთა, ფრინველთა თუ შცენარეთა გაღვთაებრივებაზე, ხოლო შემდეგ მათი ანთროპომორფიზმი, კარგად იჩენს თავს ღვთისშვილთა ბუნება-ფუნქციების შესწავლის დროს. | თვთაებებმა, რომელთაც ისეთი შორეული ისტორია აქვთ, რომლებმაც განვითარების მრავალი ეტაპი განვლეს -

V დან ასტრალური ხასიათის ღვთაებებად იქცნენ და ადრეკლასობრივი საზოგადოების შესატყვიისი სახით მოაღწიეს ჩვენამდე<sup>2</sup>, მითოლოგიურ გადმოცემებშიც ჰპოვეს თავიანთი რელიგიური ბუნების ასახვა. მაგრამ ამ გადმოცემებში ისახა საზოგადოებრივი ყოფის სურათიც, მთიელთა ცხოვრების დამახსიათებელი ცალკეული მხარეები და ეპიზოდები. სწორედ ამ თვალსაზრისით გვაინტერესებს ჩვენ მთიელთა მითოლოგიური გადმოცემები, რომელ-

<sup>1</sup> Тренчени-Вальдапфель Имре, Мифология, 1959, гл. 32.

<sup>2</sup> В. В. Бардавелиձე, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1957.



თაც განვიხილავთ, როგორც ისტორიული ფაქტისა და მოვლენას ამსახველს, სადაც, ერთი მხრივ, მოცემულია კავკასიის მთიკშებრივი ხალხთა ეთნიკური ურთიერთობის ამბები, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ცალკეული მხარეების სურათი. თვითონ მითის შექმნა რელიგიის ისტორიის ჩარჩოში, მისი ჩამოყალიბება და აზრობრივი ცვალებადობა სარწმუნოებრივი განვითარების მანძილზე, ჩვენი კვლევის ობიექტი არ ყოფილა. +

როდესაც ამა თუ იმ ხალხის მითოლოგიას სწავლობენ და სურათ გაარვიონ მითის წარმოშობის საფუძველი, მისი ჩამოყალიბების პროცესი, მკვლევარნი ამ გადმოცემებს ძირითადად ხალხის კონკრეტული ყოფისაგან მოწყვეტილად განიხილავენ; უმეტეს შემთხვევაში მითი უკვე იმდენად შორეული წარსულის ამსახველია, რომ ხალხის ყოფას დაკარგული აქვს მასში აღბეჭდილი მოვლენების შესაბამისი ელემენტები. მაგალითად, ბერძნული მითოლოგია თანამედროვე ბერძნთა ეთნოგრაფიული ყოფისაგან ისეა დაშორებული რომ, წყაროთა გულმოდგინე შედარება-შესწავლა და ზოგადი მონაცემების მოშვერიება, თუ არა, აღბათ გაძნელდებოდა ამა თუ იმ მითის ბუნების გარკვევა. აქ იგი უკვე მოწყვეტილია რელიგიური ყოფისაგან და დამოკიდებული, მხატვრულ-ისტორიული ღირებულების მქონე ნაწარმოებია. ჩვენში მითი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი რელიგიისაგან. იგი გარკვეულად რიტუალთანა კავშირში, ცოცხალი ელემენტია, რომელიც ხალხის საზოგადოებრივსა თუ სარწმუნოებრივ ყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამდენად, მისი შექმნის პროცესზე დაკვირვება, ცოცხალ სინამდვილეში მისი ელემენტების დაჭრა, უსათუოდ მნიშვნელოვანია ზოგადად, მითების წარმოშობის პრობლემის თვალსაზრისით.

ვინაიდან მთიელთა მითოლოგია ჩვენ გარკვეული მხრით გვაინტერესებს, განხილულ გადმოცემათა ხასიათიც ამის მიხედვითაა განსაზღვრული; კვლევის ობიექტად გახდა ძირითადად ისეთი თქმულებები, რომლებიც შეეხება ღვთაებებისა და მათი საყმოების დამოკიდებულებას მტრულად განწყობილ, უცხო წარმოშობის ხალხთან და თემის შიგნით მომხდარ უთანხმოებას ძალმორებისა და ქონებრივი უთანასწორობის ნიაღავზე.

მასალა, რომელიც ნაშრომს ერთვის, სრული სახით არ არის წარმოდგენილი, ქვეყნდება მხოლოდ ნაწილი.

## გადამცვემის ორლი მთიალთა ყოფაში

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაცულ გადმოცემებზე დაკვირვება გამოავლენს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც მათ ენიჭებოდათ ხალხის ყოფაში. გადმოცემა იყო ერთ-ერთი მძლავრი საშუალება, რითაც მთის მოსახლეობა თავის ტრადიციასა და ადათ-წესებს ინარჩუნებდა, თავის ყოფას იცავდა. ამ გარე-მოებაზე ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიუთითებდა ნ. ხიზანაშვილი<sup>3</sup>: „სულ სხვა უნდა ითქვას ფშავ-ხევსურეთზედ, — წერდა იგი, — ერთიც და მეორეც ცხოვრობს წარსულით, გარდშოცემით. ქართლელისათვის გარდმოცემამ დიდი ხანია დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, თავისი აღმზრდელი ძალა. ფშავ-ხევსურისათვის კი ეს გარდმოცემა აქამომდე ღვთიური მაღლია, რომელიც ასულ-დგმულებს, აცხოველებს ამ მუჭისოდენ ხალხს“<sup>4</sup>.

გადმოცემის ამ ძალის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ხალხური სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორიც იყო ხევსურული რ ჭ ლ ი, რომლის გადაწყვეტილებათა მიღებისათვის არსებითი მნიშვნელობა პქნნდა მიყუთვნებული გადმოცემათა გარევეულ ჯგუფს, — ე. წ. „ანდრეზებს“<sup>4</sup>. ანდრეზის ეს ფუნქცია შეპირობებული იყო იმით, რომ იგი სინამდვილეში მომხდარი ამბის რეალურ ასახვის წარმოადგენდა.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად რამდენიმე მათგანს შევეხებით; ფშავში, მცედლობით სახელგანთქმული მისრიაშევილების დასახლების შესახებ, სხვადასხვა თქმულებები არსებობს. ერთ-ერთი

<sup>3</sup> ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, მას. საქ. ეთნ., II, 1940, გვ. 1.

<sup>4</sup> რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი, როგორც ხალხური სამართლის წყარო, ანალები, ისტორიის ინსტ. შრომები, თბ., 1947.

მათგანის მიხედვით ისინი პირიქით ხევსურეთის სოფ. შატილჭალამაში გადმოსული ჯალაბაურები არიან; ამავე დროს ჯალაბაურები გუდამაყარშიც ჩასახლებულან.

როგორც ხევსურეთში, ისე ფშავსა და გუდამაყარში ჩაწერილი ვარიანტების მიხედვით, ჯალაბაურთა ხენებულ კუთხეებში დასახლება მომხდარა მათი და შატილის ხეობის სოფ. გიორგწმიდელთა მტრობის ნიადაგზე.

ხევსურული ვარიანტის მიხედვით, ჯალაბაურთაგან შევიწროვებულ საგინა გიორგწმიდელს მათი ღალატით დახოცვა განუზრახავს. უდუღებია „დიდი ლუდი“ და ისინი, როგორც მოყეთები, დაუპატიჟებია. წინასწარ კი შეთანხმებული ყოფილა ფშაველებთან, რომელნიც საგინას განზრახულის შესრულებაში უნდა დახმარებოდნენ. დათქმულ დროს მისულან ჯალაბაურთა ვაჟები და იელნარევი ლუდით კარგად დამთვრალან. ამით უსარგებლიათ შეთქმულებს, დარევიან და ერთი ახალგაზრდის გარდა, რომელიც საგინას დას გადაურჩენია, ყველანი დაუხოციათ. გადარჩენილი ვაჟისაგან გამრავლებულია შემდეგ ჯალაბაურნი, რომელთაგან ზოგი ფშავში, ხოლო ზოგი გუდამაყარში დასახლებულა.

ფშაური გადმოცემა შედარებით სრულად წარმოგვიდგენს გიორგწმიდელი საგინასა და ჯალაბაურთა მტრობის მიზეზებს: „საგინას ჯალაბაურთ ქალი ჰყვანდა, ვარდანა ჯალაბაურის და. საგვარმეტოსა სთხოვდნენ ჯალაბაურები. იმაზე სთხოვდნენ რომ, ჩვენ მეტი გვარი ვართ და ქალი მოგეცითო. ის საგინა მარტოკა იყო, მისცა სამი ფური. ართმევენ ყველაფერს. კიდევა სთხოვენ და ართმევენ. წავალის და ნადირს მოკელავს. სანალიროდან ჩამომავალს შატილში წაართმევენ ნადირს. ერთხელაც უთხრა: წაიყვანეთ ქალი; საგვარმეტო მოცემული მაქო, სად წავიდეო.

ერთხელაც მოკლა ნადირი. ჯალაბაურნი ფეხნობდნენ. გამოიარა ამ საგინამ. ვარდანამ ჩაგზავნა ბიქები, — წაართვეს. — თირკმელები მაინც მამეცით, ბალები შამამბიროიანო. უკაცრაული უთხრეს, — ის წაულეო“. ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ გაწყვიტა საგინამ ფშაველი გოგოლაურების დახმარებით ჯალაბაურნი.

გუდამაყრული ვერსიით, გიორგწმიდელებს მოუტაციათ ჯალაბაურთ ქალი ია. როდესაც შერიგება მომხდარა, საგინას მოუ-



წევევია ჭალაბაურები, რომელთა ღალატი ჰქონია გულში; ღალატი მათ ღალატი გაუგიათ, იარაღი არ აუყრიათ და შემდეგ გიორგწმიდელები დაუხოციათ:

„ღალევა გიორგწმიდელთა  
ჭალმა მენა ვქენ—იამა,  
არც არა კარგი თავს ვუყავ,  
ცოტა გულს მაინც იამა!“

ამბობს ამ ეპიზოდის შესახებ შემორჩენილი ლექსის ფრაგმენტი.

ხევსურული გადმოცემის მიხედვით, როგორც ზემოთ დავინახეთ, საგინას დამ სატრფო ჭალაბაურს აცნობა გიორგწმიდელთა ჩანაფიქრის შესახებ, რის შედევადაც იგი გადარჩა. ვარიანტთა სხვადასხვაობა ხელს არ უშლის იმ ფაქტს, რომ გადმოცემაში რეალური ვითარების გამოძახილი დავინახოთ. როგორც ალ. ოჩიაურს აქვს დამოწმებული, ამ გადმოცემის ძალით, შატილელი, ფშავსა და გუდამაყარში გადასული ჭალაბაურები ბოლო ხანებამდე ნათესავებად თვლიდნენ ერთმანეთს. „ფშავის, შატილის და გუდამაყრის ჭალაბაურები,— წერს ალ. ოჩიაური, — შორიდან ისევ თავისობდნენ ერთმიერებს და საჭირო დროს იცავენ კიდევაც. მაგალითად, შატილის ჭალაბაურებს ამ ორმოციოდე წლის წინ გუროვლებთან ჩამოვარდათ დიდი მოსისხლეობა. უკანასკნელად ორი ძმა-ღა იყო ჭალაბაურთი—ბაჟყია და ლევანი. ისინიც მტრებმა დახოცეს და დარჩა მათი ობლები. ამ ყმაწვილებმაც მოსისხლეები ემუქრებოდნენ: — რომ გაიზრდებიან და იარაღს აიღებენ, ეგენიც უნდა დავხოცოთო. ფშავის ჭალაბაურებმა (იგულისხმებიან მისრიაშვილები) რომ ეს ამბავი გაიგეს, დააპირეს მათი გადმოყვანა თავისთან და აქ დასახლება მათი, მაგრამ გუდამაყრის ჭალაბაურებმა დაასწრეს, წაიყვანეს ბავშვები და რამდენიმე წელიწადი იქ იზრდებოდნენ. გუდამაყრელები ამ ბავშვების მტრებს მუქარას უთვლიდნენ, თუ ამათ რამე დაუშავდებოდა მათვან. ბოლოს მოხდა შერიგება.“<sup>5</sup>

გუდამაყარში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ჭალაბაურთა და გიორგწმიდელთა მტრობა გვიანობამდე გრძელდებოდა და ეს

<sup>5</sup> ალ. ოჩიაური, ფშაური ხალხური დლეობები, რვ. 29, 1947, გვ. 348—349. ხელნაწერი დაცულია მეცნ. აეად. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქ. ეთნოგრაფიის განყ-ბაში



შულლი ძირად ჯალაბაურ გუდამაყრელებზედაც ვრცელდებოდა სოფ. ღუმაცხოს მცხოვრების, — ნინი ალექსის ძე აფციაურის-თქმით, მათი მამა-პაპა გიორგშიმიდელებთან ვერ გადადიოდა თურმე შიშით, ამ ძველად მომხდარი მოსისხლეობის გამო. ხოლო წინამხრელ ნიკო გიორგის ძე აფციაურს, რომელსაც პირიქით ხევ-სურეთის სოფ. კისტანტი სახლი უშენებია, უნახავს ჯალაბაური: „საწყალ ჩვენ ჯალაბაურს მოვკლა სიძე. ამ თაობაზე მომხდარა დიდი სისხლ-მესისხლეობა“. ნიკო აფციაურს დევნილი ჯალაბაური გუდამაყარში თავის სოფელში გამოუგზავნია და იქ დასახლება შეუთავაზებია მისთვის.

მთაში გაღმოცემა ძირითადად რეალურად მომხდარ ამბავს რომ ასახავს, ამაზე ზემოთ განხილულის გარდა სხვა გაღმოცემებიც მიუთითებს, რომელთა ჭეშმარიტების დამადასტურებელ საბუთს ხალხის ყოფაში დაცული მასალა ავლენს.

ხევსურეთში, არხოტის თემში შემონახულია თქმულება თათხელიონთა შესახებ, რომელთაც სოფ. ამღისა და სოფ. ახელის შუაში ჰქონიათ სოფელი (თათხელი სოფლის სახელი ყოფილი). თათხელის მცხოვრებნი ძალზე ამაყად და თავგასულებად ითვლებოდნენ თურმე. „იმათ შიშით, — გვიამბობს მთხრობელი ვახტანგ ქორის ძე ბალიაური, — იქ ვერვის უკლავ. უნდა ეძახ: — თათხელიონნო გამეედითავ! ერთ კაც ყოფილ იმათა, ცისკარა ქვინებულ. ის ძალია ამაყ ყოფილ.

ერთხანს, ერთ ბებერ კაცს, ამღიონს, გაუვლავ ცხენითა და ვერ უძახებავ. ის კაც დაუჭერავ თათხელიონთ, უცავ, მემრ უკენ ცხენის გალო გაუკეთებავ, გაუკრავ ჭელები და უკენავ გაუშვავ. ამ ღას რო მისულ, ხალხ აღელვებულ: როსნამდინ ვიყვანათავ ესრავ. წინ გასძღვლივ უთურგათ კაცი. იმ ცისკარზე მისულ ის წინწინ, — წყალში შაუგდავ, მაუკლავ. მემრ იმისად საკარგუმოდ საუფლო ყანან მიუციან ამღიონთ. ეეხლადაც ხეონ ის ყანანი უთურგათ ჩამაგლობას. ეესრ დაულევიან თათხელიონნი“.

ამ ბრძოლისა და თათხელიონთა გაწყვეტის შესახებ დარჩენილია ლექსის ფრავმენტებიც:

I. „ის არ ეგონა ცისკარას, თუ მტერი მაერეოდა,  
თავის თათხელი, მზისპირი შიგიშიგ აერეოდა,  
წინითი ნადგომ სუფრაი სრუ სისხლში გაერეოდა.

2. „დალივნა თათხელიონნი დედათა ენობამაო,  
წითელ-ყვითელთა ნაჭრითა კალთა-თიკეთ ჭრელებამაო,  
ღენამა აბანოზედა, კელ-პირის თეთრებამაო“.

ამ გადმოცემას, რომელიც მრავალმხრივაა საინტერესო, ჩვენ-  
თვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ გადმოცემის რეალობის დამადას-  
ტურებელი ფაქტი ხალხის ყოფაში მოწმდება საკარგომოდ მიცე-  
მული საუფლო ყანის სახით.

ამავე თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ისეთი გადმო-  
ცემები, რომლებშიაც ასახულია მოსახლეობის აყრა-გადასახლების  
ამბები. შევეხებით რამდენიმე მათგანს.

გუდამაყრის მოსახლეობა, როგორც ცნობილია ძირითადად  
ოთხი გვარისაგან შედგებოდა: წიკლაურ-ბექაურები, აფციაურები  
და ჩოხელები.<sup>6</sup> აქედან წიკლაურებისა და ბექაურების მთავარი  
სალოცავი ფუძის ანგელოზი, ხახმატის ჯვარი და პირიმზე იყო, აფ-  
ციაურებისა—საღმთო მაღალი, ზეგარდის წმინდა გროჩი და წვე-  
რის ანგელოზი, ხოლო ჩოხელებისა — ჩოხის წმ. გორგო.

გადმოცემის მიხედვით წიკლაურები და ბექაურები ძირად  
ხევსურები არიან, დღევანდელი ხევსურეთის ტერიტორიიდან გუ-  
დამაყარს მოსულები. ერთი რიგის თქმულებებით, წიკლაურთა  
წინაპრები არხოტიდან (პირიქით ხევსურეთი) წამოსულან. ერთი  
ძმა არხოტშივე დარჩენილა, მეორე როშკაში ღასახლებულა,  
ხოლო მესამე უკანახოში, (ორივე სოფული პირაქეთ ხევსურეთში  
მდებარეობს). ამის შესახებ ლექსის ფრაგმენტიც შემონახულა:

„ერთი მყეირალი არხოტსა ვარ,  
მეორე როშკას წიკლაურიო,  
მესამე უკანაქოშიაო,  
ჭირჩლაი ძმათა უარესიო“.

უკანახელ ჭირჩლას, რომლის შთამომავლობა გუდამაყარში გად-  
მოსულა, ორი შვილი ჰყოლია, ერთი წიკა, მეორე ბექა. წიკა საწ-  
ყალი, ბექავი ყოფილა, ბექა ძალიან მამაცი და გამჭრიახი. ბექას  
მოუშორებია წიკა. ძალი გაუჭრიათ შუაზე და ძმობაც გაყრილა.  
თავიანთ სალოცავ ხატშიც ფუძის ანგელოზში, მათ ადგილი გაუ-  
ყვიათ. უკეთესი მოედანი ბექას მიუთვისებია, წიკასთვის კი უთქ-

<sup>6</sup> ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, ნაწ. I, 1955, გვ.  
27—29.



ვამს — შენ აქ ჩემ მოედანზე ნუ მოხვალო — ცალკე მიუცილებული გილი.

მთავარი ხატი წიკლაურ-ბექაურებისა, როგორც უკვე ითქვა, ფუძის ანგელოზია. ფუძის ანგელოზის ძირითადი სამლოცველო კი ხევსურეთში, სოფ. უკანახოში მდებარეობს. როგორც მთხოვბლები გადმოგვცემენ, ნათესაობის თვალსაზრისით არაფერი საერთო დღევანდელ უკანახოს მცხოვრებლებთან წიკლაურებსა და ბექაურებს არა აქვთ. როდესაც გუდამაყრელი ფუძის ანგელოზის ყმები, სალოცავად მიღიოდნენ. თავიანთ ხატში, არ შეიძლებოდა ხევსურებიც რომ იმ დროს იქ მისულიყვნენ. ისინი ამავე ხატს სხვა დროს ლოცულობდნენ (გვით ივანეს-ძე წიკლაური).

თუ გუდამაყრელ წიკლაურ-ბექაურების სალოცავი უკანახოს ფუძის ანგელოზია, ხოლო გადმოცემითაც ძირად იქიდან არიან მოსულნი, მაშინ რატომ არის რომ უკანახოელებთან ისინი ახლო ურთიერთობაში არ არიან; არამც თუ ახლო, არამედ ერთმანეთში მათ თავმეტავეობაც კი ჰქონდათ, უკანახოელ ხევსურებს თავიანთ დღეობაში არ უშვებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფუძის ანგელოზსაც ყმობდნენ. თუკი მართლაც მათი წინაპარი უკანახოში ცხოვრობდა და იგი წიკლაურთა გვარს ეკუთვნოდა, რომელიც შემდეგ აიყარა და გუდამაყარს გადმოსახლდა, მაშინ გარემოება ნათელია, დღევანდელ უკანახოში წიკლაურთა გვარისა არავინ ცხოვრობს. იქ გუდანის ჯვარის ყმა—ჭინჭარაულთა მოსახლეობაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ძეველი მოსახლეობის აყრისა და მის ადგილზე ახლის დამკვიდრების ფაქტოან უნდა გვქონდეს საქმე. ასეთი გადასახლების შემთხვევები ნებით თუ ძალით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საქმიოდ დგინდება.

ცნობილია, რომ ძველი მოსახლეობა, თავის ადგილს ან უკეთ, თავის ძველ საცხოვრებში დარჩენილ სალოცავებს არ ივიწყებს და მის „სამსახურს არ იყრის“. ამასთან ერთად, მას, როგორც ადგილის ძველ მფლობელს, ახალ მოსახლეობასთან სხვა ინტერესებიცა აქვს; კერძოდ, ადგილ-მამულის მიტოვების შემთხვევაში გარკვეულ სასყიდელს იღებს მოსულისაგან, რაც ბეგრის გადახდაში გამოიხატება. აქედან გმომდინარე, ჭრშმარიტებას მოკლებული არ არის გუდამაყრელთა წინაპრის უკანახოდან გადასახლების, ხოლო ამ ადგილში მეგანძურთა ჩამოსახლების ფაქტი. მართლაც როდესაც გუდამაყრელი მლოცავები (წიკლაურ-ბექაურები) უკანახოში



თავიანთი ხატის სალოცავად მიღიოდნენ, ერთ ღამეს სოჭლეული ახლოს გაათენებდნენ. ამ ღამეს უკანასხოელები მოვალენი შემდეგ დახვედროდნენ მათ. მიიყვანდნენ 4—5 საკლავს, შიპქონდათ თაფლი, პური, საგებ-სახური და ცდილობდნენ ყველაფრით უზრუნველყოთ მოსულები; მეორე დღეს დეკანოზები და შემდეგ ხალხიც ხატში მივიღოდა, სადაც ხევსურები მათ ახვედრებდნენ საგანგებოდ ამ დღეობისათვის ნადულარ ლუდს. ს. მაქაროთის ცცხოვრები 80 წლის გივი ივანეს ძე წიკლაური გვიამბობს: „უკანასკოლებთან არაფერი გვაქვს საერთო, ოლონდ ადგილი ჩვენია, ჩვენი მამა-პაპისა არის, ჩვენი ნასახლარებია იქა ..... ბეგარა ედვა იმ სოფელს. საკლავები, ლუდი, პური, სახურავ-საგები, თაფლი აუცილებელი. ეს ყველაფერი ერთ ღამეს შახვდებოდა. იმ ჯვარს ვინც მიჰყებოდა, იმათი იყო ეს საკლავები. ხევსურები იქიდან ვერაფერს ვერ წაიღებდნენ“.

დაახლოებით მსგავს გარემოებასთან გვაქვს საქმე ხევსურეთში გველეთ-მოწმაო-დათვისიღან გიგაურების აყრასა და მათ ადგილში გუდანის ყმა არაბულების ჩასახლებასთან დაკავშირებითაც. ხესნებულ სოფლებში ადრე გიგაურებს უცხოვრიათ, რისი საბუთი ტოპონიმიქაში დღვევანდლამდეც კია შემონახული („გიგაუროთის ველი“). ისინი აქედან ჭართალში და სხვა ადგილებში გადასახლებულან. მათ ნამოსახლარჩე შემდეგ დასახლებულან არაბულები, რის გამოც გიგაურებს ყოველწლიურად ხუთ ცხვარს აძლევდნენ თურმე, ადგილის ბეგარას. ამავე დროს იქიდან მომდინარ მლოცავს, რომლებიც გვიანობამდე მოჰყვებოდნენ თავიანთ აქ დარჩენილ ხატებს—ხთიშობელს, მთავარიანგელოზს, ახალი მოსახლეობა გიგაურის ველთან ეგებებოდა. ხედებოდნენ ბეგრით და გარდა საკლავებისა, კომლზე მოჰყვნდათ თაფლით და ხავიწით სავსე თითო ჯამი.

ამ ბეგარაზე გიგაურ-არაბულები ბრძოლის შედეგად შეთანხმებულან. გიგაურები თავიანთ ადგილს მიჰყებოდნენ და არაბულებს ბეგარას თხოვდნენ. ხან თივა დაუწვიათ მათვის, სამჯერ ხარევანიც (ხარების ჭოვი) გაუტაცებიათ და ბოლოს მორიგებულან. დაწესებულ ბეგარას არაბულები მანამ იხდიდნენ, სანამ გიგაურებმა თავიანთ ძველ სალოცავში სიარული არ შეწყვიტეს.

როცა ლიქოკლებმა (ფშავის მოსაზღვრე ხეობა პირაქეთ ხევსურეთში) იკუშოს მხარეს მოსახლე ფშაველები აჲყარეს და



გააძევეს, შემდეგში მათ მაინც ადგილის ბეგარას აძლევდნენ უკანონობას: შესახებ ხატის ხუცესი გიორგი ვეფხვიას ძე ლიქოკელი გვიამბობს: „ეს ადგილი ფშავლების ნამყოფლავია. ფშავის ჭევ საცა უნდა წახვიდე, ყველგან ასეა (საუბარია ხატის ბეოლის გადახურვის ტიპზე). ამაზედაც ეტყობა, რომ აქ ფშავლების ნადგომია... ის ხალხი რო აიძულეს და დაატოვების თავისი კუთვნილი ზატ-ხატისკარი, ამაზე აქ ვინც ვცხოვრობდით საერთოდ ღიქოლები, ათენგვნობა დღეობაში ყველას უნდა მიგვეყვანა თითო ცხვარი ციხეგორს, აკუშოს, ქობულოს, მალრანს, კიმხს ე. ი. ვინც აქ გადმოსულა, თითო მეკომურს. რო ამ ადგილს ვამუშავებდით, რო ვიყენებდით, ჩვენ მამა-პაპაი.... კობალა ადრე არ ყოფილა ჩვენ სალოცავი. მემრე ალბათ ჩვენც ყმად მიგვიღო, როცა აქ დავსახლდით ჩვენი ძირითადი ხატია კარატის ჯვარი.“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუკი წიქლაურ-ბექაურები ძირად მართლაც ხევსურები არიან, რომლებიც შემდეგ აიყარნენ, გუდამაყარში გადასახლდნენ, ხოლო მათი ადგილი მე-განძურებმა დაიმკვიდრეს, გასაგებია, რატომ ლოცულობენ ისინი იქ (უკანახოში) დარჩენილ მამა-პაპის სალოცავს, რატომ ხვდებიან ხევ-სურები გარკვეული გადასახადით და - რატომ არ აქვთ უფლება უკანახოელებს მათთან ერთად იდლეობონ ხესნებულ ხატში. ხოლო თუ ფუძის ანგელოზი მათ (ხევსურების) სალოცავადაც გვევლინება, უსეც ჩვეულებრივი ამბავია მთის პირობებში. ახალმოსული მოსახ-ლეობა დამხვდურ სალოცავს თავის ხატად იხდის და ემსახურება (ანატორელთა სალოცავი შემდეგ ზატილიონ ჯინჭარაულთა ხა-ტად იქცა, გიგაურების ხატები დათვის — გველეთელთად, აკუშოს კოპალა — ამ ხეობის ხევსურთა სალოცავად და ა. შ.). ამასთან დაკავ-შირებით, როდესაც მოსაზღვრე ტომთა ურთიერთობაზე ვლაპარა-კობთ და მათი ნათესაობის საბუთად საერთო ხატის არსებობაც მოგვყავს, ეს საბუთი შეიძლება ყოველთვის გამართლებული არ გა-მოდგეს. ერთია, როდესაც საერთო სალოცავი აქვთ ამ ხატის თავ-დაპირველ მკვიდრ ყმებს, რომლებიც შემდეგ სხვადასხვა ადგილის დაესახლნენ და ისევ მიჰყევებიან თავიანთ სალოცავს, ხოლო მეორე, ძალით თუ ნებით სხვათა ტერიტორიის მითვისების შემთხვევაში ძველი დამხვდური ხატის თავისად მიჩნევის ფაქტი. ამ შემთხვევაში ამ ხატის ძველ და ახალ ყმათა ურთიერთობა ყოველთვის გენეტი-კური ერთიანობის ნიშანი არ არის.



შეგვეძლო გავეენილა სხვა ხასიათის გადმოცემები, რომელიც მოვალეობის უფლის სხვა სფეროში მოქმედებენ (ჯიშიანობა-უჯიშობის „შესახებ არსებული თქმულებები და მასთან დაკავშირებული ქორწინების საკითხი, გადმოცემები „კაი ყმებისა“ თუ „პირ-ოფლიანთა“ შესახებ და სათანადო რიტუალის არსებობა საკულტო დღესასწაულების დროს და სხვა), მაგრამ უფიქრობთ რ. ხარაძის ანდრეზებისადმი მიძღვნილი საგანგებო ნაშრომი და ჩვენ მიერ აქ მოტანილი მცირედი მასალა, აშკარად მეტყველებს გადმოცემის სიცოცხლის უნარიანობაზე, მის დიდ როლზე ყოფის ცალკეული მხარეების წარმართვისა და ადგილობრივი ტრადიციების დაცვა-განმტკიცებაში. ამასთან ერთად, ნათელია, რომ გადმოცემა იქმნება ცხოვრებაში რეალურად მომხდარი ვითარების საფუძველზე.

### მითოლოგიური გადმოცემის ჟაჟანის პირობები

**ვ**ინაიდან მთაში გადმოცემას ძირითადად ჰეშმარიტად მომხდარი ამბავი უდევს საფუძვლად, საფიქრებელია, რომ მითოლოგიური გადმოცემები, რომლებიც უკვე ზღაპრულ ელფერს ატარებენ, თავდაპირველად ანდრეზის ბუნებისა უნდა ყოფილიყო. მომხდარ ფაქტზე შექმნილ ამბავს დროთა განმავლობაში ძველთაგან მომდინარე რწმენა-წარმოდგენები ერთოდა, და ხელსაყრელი პირობების შემწეობით იგი თანდათან მითიურ თქმულებად იქცეოდა. თუ ამ ხასიათის გადმოცემას ყოფაში შესატყვისი, მხარდამჭერი მასალა მოექცენება, მაშინ მეტი გაბედულებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მისი წარმოშობის რეალურ საწყისებზე. ამავე დროს, თუ გადმოცემის ნამდვილი ამბის საფუძველზე შექმნა ტრადიციულად მომდინარე გარემოებაა, ეს ტრადიცია არ შეიძლება არ გავრცელდეს მითოლოგიურ თქმულებაზედაც.

**წ**ევსურეთის ეთნოგრაფიულ სინაძღვილეში შესაძლებელი ხდება-თვალი გავაღევნოთ მსგავსი გადმოცემის შექმნის პროცესს. რომ არაფერი ვთქვათ ისეთ მითოლოგიურ პერსონაჟებზე, როგორიც არიან კობალა, პირქუში და სხვა, რომლებიც გადმოცემათა მიხედვით გაღვთიშვილებული გმირებია, უფრო უახლოეს დროში რეალურად არსებული პირების შესახებ უკვე მისამლობიური ბუნების გადმოცემებს ვადასტურებთ. მაგალითად, ალიათ მგელა — მგელა ჯაბუშანური — ხევსურეთში (არხოტში) ნამდვილად ცხოვრებად მომხდარი ვითარების საფუძველზე.



რომდა. მისი შთამომავლობა მეექვსე თაობას ითვლის. იგი არა მარტინ ჭავარის — მიქიელის მკაფიო იყო და გამოირჩეოდა თავისი ღვთის-მსახურებით, ჭვარისადმი ერთგული სამსახურით, გამჭრიახობით, კი კაცობით, ბედითა და დოვლათით.

ჭაბუშანური ღვთაებასთან დაახლოვებულ პირად—მეენედ, უახლოეს ქელკაცად ითვლებოდა. გარდაცვალების შემდეგ მგელას შთამომავლებმა მის სახელობაზე, როგორც ცნობილია<sup>8</sup>, დღეობა დააწესეს, რომელსაც მისსავე საფლავზე იხდიდნენ. საფლავი კი წმინდადიქნა გამოცხადებული. დროთა განმავლობაში მგელას საქმიანობისა და პიროვნების შესახებ დარჩენილი ცნობები თანდათან კარგვენ რეალობის ხასიათს, იძენენ მითიურ ელემენტებს და მგელა ჭაბუშანურს ნახევრად ზებუნებრივ არსებად წარმოგვიდგენენ<sup>9</sup>. საყურადღებოა, რომ ზებუნებრივობის ელემენტები მის შვილ ახალი ზედაც არის გადატანილი; გაღმოცემების მიხედვით იგი ნაწილიანი ყოფილი და მტერი ვერაფერს აკლებდა. სათანადო ისტორიული გარემო წომ შეცვედროდა, სავსებით მოსაწოდენელი იყო მგელას საგვარო ღვთაებად გადაქცევაც კი.

ამგვარი ნახევრად გაღვთაებრივებული პირების მთელი პლეადაა წარმოდგენილი ოღმოსავლეთ საქართველოს მთაში. ასეთებია მაგალითად: ქაჯავეთის დალაშქვრაში ღვთიშვილებთან ერთად მონაწილე გახუა ჭორმეშიონი ანუ მეგრელაური<sup>10</sup>, გაიდუარი, ფშავე — ხევისბერი ნაკვეთაური და სხვა.

ამ შემთხვევაში ამა თუ იმ პირისათვის ზებუნებრივი თვისებების მიწერის მიზეზი, პირველ რიგში, ამ პირთა ხატის ქელკაცობასა და საერთოდ მათ სასახელო საქმიანობაშია საძებნელი. ხატის ქელკაცობიდან იწყება მათი ცხოვრებისა და საქმიანობის ზებუნებრივი ელფერით შემოსვაც შემდეგ თაობათა მიერ, რაც უკვე მითოლოგიური ხასიათის გაღმოცემაში პოვებს გამოხატულებას.

იმისათვის, რომ მგელა ჭაბუშანური და მისი მსგავსი პირები ნამდვილ ღვთაებებად ქცეულიყვნენ, საჭირო იყო შედარებით ხან-


7. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ქადაგობა ხევსურეთში, თბ., 1954, გვ. 105—106.

8. გ. ჩიტია, წინასიტყვაობა, მას. საქ. ეთნოგრ., ტ. III, 1940, გვ. X.

9. ოჩიაური, დასახ. ნაშრ.

10. ოჩიაური, ივე, 103—104.

2. ოჩიაური





გრძლივი დრო და, რაც მთავარია, მისი საყმოს სიმრავლეც კანკრინია, რომ რაც უფრო ხალხმრავალია ამა თუ იმ ხატის საჭმო; მაგრა უფრო ძლიერია ამ ხატის ძალა და კულტიც.

განსხვავებით ამ რიგის მოვლენებისაგან, ჩვენ გვაქვს სრულიად საწინააღმდეგო მიზეზი, რომელიც ასევე ხელს უწყობს ამა თუ იმ პირის კულტის ობიექტად ქცევას და ამდენად მის შესახებ სათანა-დო გადმოცემის შექმნას. ეს მიზეზი ამ პიროვნების საზიანო მოქმე-დებაში, მის მიერ ხალხისათვის უბედურებისა და ავი საქმის მიყე-ნების უნარში გამოიხატება. შიშის გრძნობა აიძულებს მორწმუნე-ებს გარდაცვალების შემდეგ კეთილად განაწყონ მისი სული, ასია-მოვნონ, გული მოულბონ მას და ამდენად თავედან აიცილონ მოსა-ლოდნელი ხიფათი. თუ პირველ შემთხვევაში კეთილ ღვთაებათა საწყისთან გვაქვს საქმე, მეორეში მომავალი ბოროტი ღვთაების ან ბოროტი სულის წინაპარია ჩვენს წინაშე.

თუ უფრო შორეულ ამბებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენს წინაპარებს შიშის გრძნობის გამო კულტის ობიექტად გა-უხდიათ თვით საძულველი მტერიც კი. მხედველობაში გვაქვს იახსარ-კოპალს მიერ დევთა ამოწყვეტის შემდეგ სიკვდილს გადარჩენილი დევ-რძალ-დედამთილის ხევსურეთში დარჩენისა და მათი სალოცა-ვებად ქცევის ამბავი. როდესაც როშქის ციხე-გორს მოსახლე დევე-ბი იახსარმა ამოწყვიტა, ხსენებულმა დევ-ეალებმა გაქცევა ვერ მო-ასწრეს; ერთი როშქაშივე დარჩა, ხოლო მეორემ სამალავი სოფ. ხორნაულთაში ჰპოვა. მორწმუნეთა შარმოდგენით დევ-რძალ-დედა-მთილს ხალხისათვის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვებისა-თვის ვნების მოტანა შეეძლოთ. ზიანის თავიდან აცილების მიზნით ხალხს ზღვენ-საწირავები მიპქონდა მათთვის და შველს შესთხოვ-და. სოფ. როშქის მცხოვრები გუგუტა წიქს ასული წიკლაური გვიამბობს: „ზალ-დედამთილთ ციხეს ეძახან. ერთ მანდ ას დამრჩა-ლი, მეორე ხორნაულთას. იმებს ეეგრ ილოცევდეს. რახანისა მზენ გადავიდიან, თიკან დაკლიან ჟელ-უკულმ, სამ კალტისკვერაიანი ქნიან (ე. ი. ხაჭოს გულიან ქადისკვერებს აცხობდნენ). მჩვრებ დაგ-ლიჭიან, მჩვრებს აუნთებენ. ერბოთ. გახპოხენ. იმის გამო ილოცვენ, რომ დავიშორათავ“.

მსგავსი რიგის ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე ხახმატის ჯვარის გიორგის მიერ ქაჯავეთიდან მოყვანილ ლობილ ქალებთან



დაუკშირებითაც. ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით, ხახმატული ჯვარის მიერ მოყვანილი ექვსი ქალიდან სამი მოუნათლავი უქვებული სოფელ ჭორმეშავის ახლოს ბინადრობს: „ისინი არიან აღმიანის მტრები და სულ ვნებაზე არიან. დამდგრები. იმათ ხალხი იმიტო ილოცავს, რომ არაფერი ავნონ. რეგბა არც იმათგან არის მოსალოდნელი, აյ ილოცავენ მარტო ჭორმეშიონი ხალხი. ისინი ვნების შიშის გამო კლავენ თიკან და შლიახ სამ-ხუთმეტ აშალს. ესენიც როგორც გამიწრივლებული კურდლელა, კაცთა ვნებაზე არიან დამდგრები. იმათ ახლოს გამვლელს ავად გახდიან, სიზმარშიაც ცუდის სახით ევლინებიან“<sup>11</sup>. წარმოდგენილ მასალაში დასახელებული „გამიწრივლებულ კურდლელა“ რეალურად არსებული პიროვნებაა. ალ. ოჩიაურის მასალებში ვკითხულობთ: „უკანხადუში ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად კურდლელა... ამ კაცს სოფლის განაპირას ციხე ჰქონდა და შიგ ცხოვრობდა. თურმე სიცოცხლითვე ეტყობოდა, რომ რაღაც სხვანაირი კაცი იყო. გრძნეული, შურიანი, ბოროტი. სიკვდილის შემდეგ ის გამიწრივლდა (ე. ი. ავსულად, ეშავად იქცა) და დაღვა კაცთა ვნებაზე. იმის ნაციხვართან გავლილი ბავშვები და დედაკაცები შინდებოდნენ, ძილში ეჩვენებოდათ და ივად ხდებოდნენ. ზოგიერთი ბავშვი კიდეც კვდებოდა. ბოლოს მკითხავებმა გაიგეს, რომ კურდლელა გამიწრივლდა და ვინც არაფერს შესწირავს, ის ავნებს. რეგბა მას არაფერი შეუძლიან, ვნება კი ბევრისა. ბოლოს კურდლელას ნაციხვარი გადაიქცა სალოცავ ადგილად. კლავდნენ ხარის გარდა ყველა საკლავს: ცხვარს, თხას, ძროხას. ყველაფერს დაკლავდნენ და თხოვდნენ კურდლელას, რომ არაფერი ავნო მათვის... ხეესურეთში სხვა ასეთი სალოცავი არც იყო, რომ თხა, თიკანი, ბატკანი, ძროხა, ხბო ეს ყველაფერი იკვლოდეს ძროხა მარტო ხახმატის ჯვარისთვის იკვლოდა და თხა კვირაისთვის. ცხვარი და ხბო ყველა ხთიშვილისათვის. კურდლელასათვის კი... ყველაფერს კლავდნენ. აგრეთვე სამხუთმეტი აშალი და სამხუთმეტი კუშუშულა (ახლად ამოღებული ყველი), ერთი ხავიშიანი „ტაბლათ უფროსა“ (არხოტულად საწინაო) ეს დაიშლებოდა, როგორც აშალი... აშალაზე სამფექ სანთელსაც აანთებდნენ და ხუცობის შემდეგ დაუშლიდნენ ბავშვებს“<sup>12</sup>.

11 ალ. ოჩიაური, ზოგიერთ ხაშვილთა და დევ-ქერპთა ამბები, 1949, (მასალა დაცულია საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში).

12 ალ. ოჩიაური, დასახ. მას., ჩვ. 1, გვ. 12.



როგორც ვხედავთ, აქ თითქმის ჩვენ თვალწინაა პროცესის  
იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა სალოცავად და ამდენად მითოურ  
არსებად ქცეულიყო რეალურად არსებული პიროვნება, რომელიც  
სიცოცხლეში ხალხისათვის საზიანო მოქმედებით გამოიჩინდა  
თანამეთემეთაგან.


რაკი-ღა კონკრეტული მასალა გვაძლევს საშუალებას მითო-  
ლოგიური ხასიათის თქმულებათა შექმნის პროცესზე წარმოდგენა  
ვიქთონით, რაკი აშკარაა, რომ ამ გადმოცემებს რეალური სინამდვი-  
ლე აძლევს დასაბამს, შეგვიძლია ამავე საზომით მივუდგეთ  
და შევისწავლოთ უძველესი თქმულება-გადმოცემანი ჯვარ-ხატე-  
ბის შესახებ, მეტი გამბედაობით ვიმსჯელოთ გადმოცემათა მიღმა  
მიმალულ ისტორიულ ამბებსა თუ ყოფის ცალკეულ მხარეებზე.

როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგის  
შესწავლას მოვკიდეთ ხელი, ჩვენი მიზანი სწორედ ის იყო, რომ  
მიგვეკვლია გადმოცემის წარმოშობის საფუძვლისათვის, გვეჩვენე-  
ბინა გადმოცემის როლი წარსულის აღდგენის საქმეში.

გადმოცემები, რომლებიც განხილული იქნება წინამდებარე  
ნაშრომში, ძირითადად შეკრებილია ფშავ-ხევსურეთსა და გუდამა-  
ყარში. ხევნებულ კუთხეებში ყოველი ღვთაების შესახებ შემონა-  
ხული გადმოცემის ცალკე განხილვა, ჩვენ შესაძლებლობას იღემა-  
ტება. ამიტომ შემოვიფარგლეთ ისეთი თქმულებებით, რომლებსაც  
უკვე მეტნაკლებად ჩამოყალიბებული სახე აქვთ მიღებული.

თქმულება იახსრისა და კოპალას მიერ დევ-კერპთა

განადგურების შესახებ



ფშავ-ხევსურულ ზეპირისტყვაობაში, მითოლოგიური ხასიათის  
თქმულებებიდან, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ციკლად გვე-  
ვლინება ღვთისშვილების — იახსრისა და კოპალას მიერ იდეს-  
ლაც ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის ტერიტორიაზე მოსახლე  
დევ-კერპთა განადგურების ამბები. ამ ბრძოლათა ამსახველი გადმო-  
ცემები შემონახულია, როგორც პრიზაული, ისე გალექსილი გარი-  
ანტების სახით. ცალკეულ ვარიანტებში ასახულია ღევთა და იახსარ-  
კოპალასა, თუ სხვა მოძმე ღვთიშვილთა ბრძოლის ეპიზოდები,  
ღევთა რაობა-ვინაობის საკითხი, მათი საქმიანობისა თუ ზნე-აღათისა  
ამბები.



თქმულების მოკლე, სქემატური შინაარსი ასეთია: ოდესაზე და დევანდელი ხევსურეთის, მოსაზღვრე ბუდამაყრისა, არაგისა და ივრის ფშავის გარკვეული ტერიტორია დევ-კერპებით ყოფილა დასახლებული. დევები მესაქონლეობით, მიწათმოქმედებითა და მჭედლობით ირჩენდნენ თავს. ისინი ფიზიკურად ძალზე ძლიერნი ყოფილან და ამ ძალის შემწეობით ჩაგრავდნენ თურმე მეზობლაო მოსახლე ფშაველ-ხევსურთა წინაპრებს, შეურაცყოფდნენ მათ სალოცავებს, ქალ-რძალს, ხოცავდნენ ხალხს და სხვა.

შეწუხებულმა მთიელებმა შესთხოვეს თავიანთ სალოცავებს დახმარება დევთა განდევნა-განადგურებაში. ლვოშვილებმა ისმინეს თავიანთი ყმების თხოვნა და მორიგე ღმერთის კარზე შეიკრიბნენ სათათბიროდ. მორიგემ ისმინა ხალხის ველრება და დევ-კერპთა განადგურება გადაწყვიტა. წინამძღოლის ასაჩჩევად მან ლვთი-შვილები ძალაში გამოსცადა. შეჯიბრში გამარჯვება იახსარსა და კოპალას ერგოთ და დევთა ამოწყვეტის თაოსნობაც მათ დაეკისრათ.

ამის შემდეგ ძალა ხელთ ფშაველ-ხევსურთა სალოცავებმა ივდეს, შეუტიეს დევებს, გაანადგურეს და მათ ნასადგურალს თვითონ დაეპატრონნენ. აქამდე ხილული დევები უხილავ ასებებად იქცნენ და სამუდამოდ მიატოვეს ოდესალაც მათი კუთვნილი ტერიტორია.

ასეთია ძალიან სქემატურად ამ თქმულების ძირითადი ჩონჩხი.

დასახლებული თქმულება ისეთ ელემენტებს შეიცავს, რომლებიც ჩვეულებრივ ზღაპრულ ჩარჩოებს სცილდება და მას ისტორიული მნიშვნელობის გადმოცემად წარმოგვიღებენ. რომ ნათქვამი უბრალო განცხადებად არ დარჩეს, ჩვენ შევეცდებით თქმულების ცალკეული მხარეების განხილვის საფუძველზე აღვადგინოთ ის სურათი, რომელიც ამ გადმოცემის წარმოშობას უნდა დასდებოდა საფუძვლად.

+

#### დევით დასახლებული ტერიტორია

ხევსურული მასალების მიხედვით დევები ცხოვრობდნენ პირაქეთ ხევსურეთში ს. როშების გორზე და ლიქოკში — ციხეგორს. გარდა ამისა, მათ ნასახლარებზე მიუთითებენ გუდამაყრისა და ხევ-

სურეთის სოფ. უკენახოს საზღვარზე, ე. წ. ნახიშნარებში — დინიფ-  
 ხოს. ამ უკენასკნელი პუნქტის შესახებ თქმულებაში არაფერია დარ-  
 ჩენილი. იგი, მთხოვბელთა გადმოცემის მიხედვით, ითვლება დევი-  
 ბის ნაცხოვრებ ადგილად. ხევსურეთის სხვა სოფლებში დევებს,  
 გადმოცემათა მიხედვით, არ უცხოვრიათ. განსაკუთრებით არ ეხვდე-  
 ბით მათ შესახებ არსებულ თქმულებებში პირიქით ხევსურეთის — არ-  
 ხოტისა და შატილის მხარის ხენებას.

*არაგვის ფშავის ტერიტორიაზე დევების საცხოვრისად მიჩნე-  
 ულია: ს. შუაფხოში — გამხვეურთის გორი, მაღაროს კარს ზემოთ —  
 კართანა, ს. უკანაფშავისა და ს. ახალის მიდამოები.*

ივრის ხეობაზე დევ-კერპთა სოფლები ყოფილა: ბაჩალში, ხა-  
 შარში, ქუმხევში, კორსავში, ბელელთანას, იხინჭაში. ამ პუნქტე-  
 ბიდან ზოგიერთი სოფელი გადმოცემებშია მოხსენიებული, ზოგან  
 კი ძველი ნასახლარებია შემორჩენილი, რომელთაც აღგილობრივი  
 მკვიდრნი დევთა კუთვნილებად მიიჩნევენ.

გუდამაყარში დევების ნამოსახლარებს ასახელებენ ბაქურევ-  
 ში, ს. საკერპოს და როგორც მთხოვბლები მიუთითებენ, ფუძის  
 ანგელოზშიც. რაც შეეხება ს. წინამხარში დევების არსებობის  
 ფაქტს, სადაც ე. წ. დევის პინებია შემონახული, აქ სხვა ვითარე-  
 ბათან უნდა გვქონდეს საქმე. გადმოცემათა მიხედვით ამ აღგილზე  
 შედარებით გვიან გაჩენილან ავსულები — დევები, მას შემდეგ, რაც  
 იქ მცხოვრებლები ამოწყვეტილან; *დევის პინები ერთი მდიდარი  
 მცხოვრებლის — მახარობელის კუთვნილება ყოფილა, რომელ-  
 საც სამთოდან სახლამდე რჩე მილებით მოსტენია და ამ პინებში  
 უგროვებია. ამ დევის პინების შესახებ ს. წინამხრის მცხოვრები,*  
*78 წლის ნიკო გიორგის ძე აფციაური შემდეგს გვიამბობს<sup>13</sup>:* „წი-  
 ნეთ აქ სოფელი ყოფილა, მახარობელი პევინებია ვინც უფროსი  
 ყოფილა. ის კაი მცხოვრები ყოფილა. ცხვარი და ძროხა უწველია  
 იქა (მთაში). მილები პევინია და მილებით მოდენილა რჩე. პინები  
 პევინია ქვისა. ოჯახი პევინია იქა, სადაც ეხლა ქვის პინებია. ეხლა  
 ის კაცი როცა მოკვდა — მახარობელი, აიყარნენ იმისი შვილები და  
 წავიდნენ სადღაც ბარის ქვეყანაში. იქაც დევშალა სახლები ზევით.  
 ის მილებიც სუ მთელი დაჯანგდა, გაფუჭდა. დარჩა ის ქვის პინები,  
 ეგრე ოჯრად. და იქ რაც სახლი იყ, ის სახლიც დაინგრა. მემრე იშ-

<sup>13</sup> მასალა ჩაწერილია 1963 წლის 15 ივნისს.

ნაგრევში გაჩნდნენ ის წყეული დევები. გაჩნდნენ ისინი და დფფიციალური პინები დევერქვა იმაზედა“.

ამ და მსგავსი სხვა მასალის მიხედვით, ს. წინამხარში დევის პინების სახელით ცნობილი ქვები და ნასოფლარი დევთა კუთვნილებად არ მიიჩნევა თვითონ ადგილობრივი ხალხის მცერ

ამგვარად, დევების საცხოვრისად მიჩნეულია ხევსურეთის მოსაზღვრე ფშავისა და გუდმაყრის მოსაზღვრე ზოლი, რომების ხეობა, ფშავის არაგვის სათავეები, შაუფხო-მაღაროსკარი და ივრის ხეობის მთიანი ჩრდილოეთი ნაწილი.

### დევთა ცხოვრითა და სამიანობა

— გადმოცემების მიხედვით, დევები მქვიდრ, ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ. მათ თავიანთი სოფლები ჰქონდათ, რომლებიც მთის პირობებისათვის მრავალრიცხვან მოსახლეობას შეიცავდა. \* მაგ: გადმოცემის ფშაურ ვარიანტში ნათქვამია, რომ ს. შუაფხოში— ავის გორს დევების მოზრდილი სოფელი ყოფილა. გამხვეურა დევებ მრავალსულიანი ოჯახი ჰქონია. აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც გამხვეურა, ე. ი. გამახვივნებული, რაც ნიშნავს, გამრავლებულს, გაგებულს ხალხითაცა და დოვლათითაც. ეს ოჯახები ცხოვრობდნენ უზარმაზარი ქვებისაგან ნაგებ მქვიდრ სახლებში. ამის შესახებ მეტყველებს გადმოცემაში დარჩენილი ეპიზოდი. ერთ-ერთ ვარიანტში მოთხრობილია, რომ დევებმა გადაწყვიტეს ზუაფხოში, ავისგორს სახლის აგება; ეს ამბავი იახსარმა გაიგო და მათენ გაემართა. როდესაც დევებმა მომავალი კაცი დაინახეს, „ამ დევების უფროსმა ძმამ თქვა: — „რა კაი სადილი მოდისო“. უმცროსმა ძმამ უპასუხა: „სადილი კი არა, ეგ იაქსარი არ იყოს, რომ თამამად მოდისო..“ იაქსარი იმ დროს მივიდა, რომ კარისთავს დებდნენ ცხრა დევნი და ვერ ერეოდნენ. იაქსარს დასცინეს: — „მოდი ძმობილო, გვიშველე კარისთავის შედებაო“. — იაქსარმა გადაიყვართა კალთები, მოავლო ხელი ქვას და მარტოკამ შეაგდო. შეშინდნენ დევები და გაიქცნენ. იაქსარმა კარის თავიც იმათ ესროლა და გამხვეურთვარს სახლი დაუნგრიაა...<sup>14</sup>.

» დევთა ნასახლარებად მიჩნეული ნაგებობანი, მნახველს აოცებს თვითი მასიურობით, კედლისათვის გამოყენებული უზარმაზარი

<sup>14</sup> ალ. ოჩიაური, ფშაური ხალხური დღეობები (ხელნაწერი).



ქვების წყობით. მთხოვბელთა გადმოცემით, დევთა შენობების თავის  
კიდობნის ოდენა ქვებია გამოყენებული.

1939 წ. თიანეთში მომუშავე ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ  
აღწერა თიანეთის რაიონში, ივრის სათავეებთან მდებარე ქუშხევის  
ე. წ. დევთა ნასახლარები. ვ. ბარდაველიძე წერს: „დევთა ნასოფლა-  
რი ოდესლაც მჭიდროდ დასახლებულ სოფლის ნაგრევების კომპ-  
ლექსის შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ მოცემულია დანგრეულ შე-  
ნობათა კედლები და საძირკვლები. ექსპედიციამ დათვალა დაახლო-  
ებით 21—23 ასეთი ნაგრევის ერთეული. შენობათა კედლები  
ნაგებია ნატეხი ქვისაგან მშრალად, მაგრამ ისეთი დიდი ოსტატო-  
ბით, რომ უზარმაზარი კედლის ქვების მშვენიერი წყობა და ფო-  
რმა გათლილ ქვისაგან აგებულს მიაგავს. კედლებში ჩატანებული  
ქვის მოცულობის წარმოსადგენად საკმარისია გავითვალისწინოთ  
ერთ-ერთი ასეთი ზომის ქვა: განი 93 სმ, გვ. სიგრძე 69 სმ, სიბრ-  
რტყა—91.

„ქოპალას ხატის“ შენობები იმავე ჯიშის ქვისაგან არის ნაგები,  
რომლითაც „დევთა ნასოფლარისა“, მაგრამ ეს ქვა აქ ზომით გაცილე-  
ბით უფრო პატარაა და უსწორმასწორო. საერთოდ ფშაველების  
საკულტო ძეგლების კომპლექსი თვალსაჩინოდ უფრო მდარე ხე-  
ლობისაა პირველზე“<sup>15</sup>.

1954 წელს ამავე რაიონში მოწყობილი ეთნოგრაფიული ექს-  
პედიციის წევრების მიერ, ქუშხევის ნასახლარების გარდა, რომელ-  
თა რიცხვი 32-მდეა, გაზომილი და ფიქსირებული იყო ნასოფლარ  
ვერხველში შემორჩენილი „დევთა სახლები“, რაც ამჟღავნებს ამ  
ნაგებობათა სრულ მსგავსებას ქუშხეურთან.

1952 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრებმა თ. ოჩია-  
ურმა და ა. ლეკიაშვილმა აღწერეს სოფ. შაუფხოში გამხვეურთის  
გორჩე არსებული დევთა ნასოფლარი. ნასოფლარში მეტიონდ  
ჩანს დაახლოებით 40-მდე ნასახლარი, რომლებიც ერთი ერთმანე-  
თის გვერდით მდებარეობს და მთის ფერდობს მისდევს. ნასოფ-  
ლარს ზემოთ მოთავსებულია მიწის ქვედა ორი აკლდამა. თიანეთის  
რაიონში არსებული დევთა ნასახლარებად მიჩნეული ნაგებობებისა-  
გან განსხვავებით აქ წარმოდგენილი ნაგებობანი მცირე ზომის ჩვე-  
ულებრივი ქვისაგან არის ნაშენი. ამ მხრივ ისინი არავითარ თავისე-  
ბურებას არ ამჟღავნებენ.

<sup>15</sup> ვ. ბ. რ. დ. ვ. ლ. ი. ქ. ივრის ფშაველებში, ენიმქის მოამბე, ტ. XI 1940, გვ. 99.



**დევთა ნასოფლარებად** მიჩნეული ნაგებობის საკითხი სკოლისტთა მიერ საგანვებო შესწავლას მოითხოვს. ჩვენთვის ძნელია იმის თქმა თუ რომელი ეპოქისაა, ან ვის ეკუთვნის თვითოული მათგანი. მაგრამ, ის ფაქტია, რომ უზარმაზარი ქვებისაგან ნაგები და მკვიდრი, ძველებური შენობები დევ-კერპების კუთვნილებად მიიჩნევა, რომ დევთან დაკავშირებული გადმოცემები მათ მშენებლობის კარგ სტატებად წარმოვიდგენენ; გადმოცემებში მრავალგზის ხსენებული დევთათვის სახლის დაჭვევის მოტივი, გვაძლევს უფლებას დევები მშენებლობის მცოდნებად წარმოვიდგინოთ.

• გადმოცემაში დაცულია მითითება იმის შესახებ, რომ დევები მეურნეობისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგებს მისდევდნენ; სახელდობრ, მონადირეობას, მიწათმოქმედებას, მჭედლობას, მეცნიერეობას..

მონადირეობის შესახებ თქმულებაში ერთი ეპიზოდია შემონახული: როდესაც იახსარი, ზოგი ვარიანტით კოპალა, დევების ამოწყვეტას განიზრახეს, დევთა დედაბერს შეხვდება, რომელიც ჯარაზე ძაფს გრეხს. შეკითხვაზე, თუ მისი შვილები სად არიან, დედაბერი ერთ-ერთი მათგანის შესახებ ეტყვის, რომ სანადიროდაა წასული; კოპალა (იახსარი) ჩაუსაფრდება დევს, რომელიც გადმოცემის მიხედვით ავთანდილად იწოდება. ცოტა ანის შემდეგ გამოჩნდება ნადირობიდან დაბრუნებული დევი. მას ცალ მხარზე მოკლული ირემი უდევს, ცალზე კი ძირიანად ამოთხრილი წიფლის ხე. კოპალა ესვრის ისარს და იქვე მოკლავს.

თქმულების ვარიანტებში მეტ-ნაკლებად შეცვლილი სახით მეორდება ეს მომენტი და შეიცავს მითითებას დევების მონადირეობაზე.

უფრო მეტი ცნობები გვხდება მეცხვარეობასთან დაკავშირებით. პირაქეთ ხევსურეთის ს. ბაცალიგოში აღ. ოჩიაურის მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით: „პირქუშს ცხვარი ხყვანივ წინავ ბევრი. წყემსებიც ხყნიან, როსაც აქადს ყოფილ დაარსებული. იმთვენ ცხვარ იყვისავ პირქუშისავ, რო სრუ ეჭირისავ აქადის მთებივ. დევებს პირქუშის ჯავრი შეიჩებივად უდუმლივ თავის ნერბებ გაურევავ პირქუშის ცხვარში. სრუ ოთხრქა ჰედილაბა გამასულ დევების ცხვრის ჯიშზედად დაუწყავ პირქუშის ცხვრისად ბძოლაი. ზოგ ცხვარ იმ ოთხრქებს კლდეთ გადაუყრავ, ზოგი ტბაში ჩაუყრავად

ზოგი ალადებულს წყალში. სრუ გაუწყვეტავ პირქუშის ცეკვაში მასიქითად აღარც ხყავ ცხვარი პირქუშს. ისით-ისით ჩემი ხეონდი-სავ დევის ცხვრის ჯიშის ჭედილეებსავ, როგორც ნაქეჩიოდ, რასაც პირქუშის ცხვარს ჩეს ამახრევდესავ, კლდეთ გადამალიანავ<sup>16</sup>.

ამ გადმოცემაში, როგორც ვხედავთ, საუბარია დევის ცხვრის ჯიშის შესახებ, რომელიც ჯანის პირქუშის ცხვარს.

მეცხვარეობაზე უნდა მიუთითოთ ბდეს ივრის ხეობაში ჩაწერილი მასალებიც. ს. უებოტის მცხოვრები ოთხმოცი შლის დავით ჭრელს ქ დოლიაშვილი გვიამბობს: „იაქსარმა და კოპალამ დევები რო ამოწყვიტეს, ერთი დევი პირქუშს მისცეს ყმათა-ამუშავეო. პირქუში ყოფილა იორზე. ეს პირქუში არის აქადლების ხატი. პირქუში ხატი კი არა, ვითომ გმირი ყოფილა. ჰო და იმას უმუშავებია ეს დევი. მემრე პირქუშს ის დევი გაპქცევია. თურმე ილტოლან მასალა უზიდინებია, ხის სახლი გაუკეთებინებია. აონის გორაზე იყო ეს ბინა. გვიანობამდე იდგა ეს სახლი... მემრე გაპქცევია და იქ აქადის მხარესთან მთის პირში ტბა არის და იმ ტბაში ჩავარდნილა ის დევი. პირქუში მისულა იაქსართან და დაუძახნია: მიშველე, დევი გამექცაო, იაქსარი გამოქცეულა, მისულა ტბასთან და დევისათვის მარჯვენა თვალში მიურტყამ ისარი. თვალიდან სისხლი ჩაქცეულა ტბაში და ტბა სისხლისაგან ჩაიირულა. იაქსარი ვერ ამოსულა ტბიდან, ვიდრე ტბაში ოთხრქიანი და ოთხყურა ცხვარი არ ჩაუკლიათ. მისმა ყმებმა დაკლეს ოთხრქიანი და ოთხყურა ცხვარი და დაიხსნეს იაქსარი. ამოვიდა და ვერც გაიგო, რა იქნა დევი. მემრე იმ დევმა ის ცხვარი გააცოცხლა.

ხატის ცხვარი, როცა გვალვა იყო, გადადიოდა და იმ ტბის წყალსა სვამდა. იყო ის დევის ცხვარიც ხატის ცხვართან რამდენიმე წელიწადი, დევი კი ტბაში ცხოვრობდა.

როცა თქვა, რომ ახლა მომრავლდებოდა ჩემი ყოჩის ნაშენიო, — მობძანდითო, — დაიძახა, — ჩემი ცხვაროთ და ერთი ფარა ცხვარი ჩაცვივდა ტბაშია და დაიკარგნენ.

ორი მცურავი მოგზავნეს, ჩაგზავნეს შიგა. ეძებეს იმათ და ვერავინ იპოვნეს. მარტო ერთ გამოქვაბულში დევი იყო და ის ცხვარი იქა ჰყვანდაო<sup>17</sup>.

16 ალ. ჩჩიაუ რი, ბუდე-ხევსურეთის დღობები, რვ. 19, გვ. 378.

17 შასალი ჩაწერილია 1954 წ. თანამდებობის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს.

ამავე ხასიათისაა სხვა თქმულებებიც, რომლებიც ივრის ფუნდუმენტის  
მოპოვებული. მსგავსივე მასალა ჩავწერეთ 1963 წ. გუდამაყარ-  
შიც<sup>18</sup>.

ზაფილებით სრულყოფილია ცნობები მიწათმოქმედების შესა-  
ხებ, რომელიც ნაწილობრივ მჭედლობასთან არის გადაჯაჭვული.  
ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით დევის ქალი ხევსურს ჰყოლია ცო-  
ლად. მის სიმამრ დევს ყანის სამკელად ნადი ე. წ. „მუშანი“ შეუყრია.  
სიძესაც განუზრახავს დევთა მუშაში წასვლა. ამის წინააღმდეგ წასუ-  
ლა ცოლი, სიმამრსაც მხოლოდ ქალიშვილისათვის შემოუთვლია:  
„ქალ წამავიდასავ, მუშაი გვყავისავ“. სიძეს არ დაუშლია და მაინც  
წასულა. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, სიმამრს უთქვამს: — „ნეტა-  
ვინავ სიძეო, არ მასულიყავივ, უამკარს-რას ამირევავ“. სიძეს არაფ-  
რად ჩაუგდია სიმამრის შეშფოთება და უთქვამს: — „რას ამბობ, რა  
უამ-კარს აგირევთავ, ცალკე მავმევივ“...

როდესაც მკა დაუწყიათ, ხევსური გაოცებულა მათი სწრაფი და  
ხელხვავიანი მუშაობით: მეც ისე გმუშაობ, როგორც ისინი და ამდენს  
როგორ მკიანო...

შემდეგ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ დასხდნენ  
პურის საჭმელად, როგორ დაუბლვირა ყველამ დევის სიძეს, როგორ  
გადაიწერა ამ უკანასკნელმა პირვევარი სიტყვებით: — „დამწერევ  
კოპალაო შენ ჯვარივ, სრუყველაიც მე მიბლვერსავ“ — და ამ სიტყვის  
თქმაზე, როგორ გაუჩნდათ ცეცხლი და ყველა დევი ამოიბუგა.

იქ სადაც დევთა მჭედლობის შესახებ არის საუბარი, ნათქვამია,  
რომ დევთა მიერ გაჭედილი სახნის-საკვეთით მოხნულზე, ისეთი  
ყანა მოდიოდა; რომ თითო ღერი ორ-ორ თავთაც იბამდათ. ეს საყუ-  
რადლებო ცნობა პირდაპირ მეტყველებს მიწათმოქმედების მაღალ  
დონეზე. ამაზევე მიუთითებს სახვნელი იარაღების ჭედვაც<sup>18a</sup>.

• დევთა საქმიანობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს  
მჭედლობის საკითხი. როგორც გაღმოცემები იუწყება, დევები სწო-

18 ტბაში ცხვრის ჩაცვენის მოტივი გვხვდება სხვა კავკასიელ ხალხთა ლე-  
გენდებშიც. იხ. Е. Степанеева, П. Акратов, Чудесный дар, золотой  
баран, стр. 22—23. 1963.

18a. საყურადღებოა, რომ 1966 წლის გაზაფხულზე, უკანა ფშავის სოფ. შუა-  
ფხოს იახსრის ხატის სამკვიდროში, ე. წ. დევთა ნასახლარში, ადგილობრივიმა  
მცხოვრებმა იოსებ ელიზბარიაშვილმა შემთხვევით იპოვა რეინის საქ. ჭედლო  
იარაღები და დამწვარი ხორბლის გროვა.



რედ შეედლობით იყვნენ ცნობილი. მათ სამჭედლოებზე მიჟურულებული ბენ ხევსურეთში — რომელის გორჩე, ციხეგორს, ხოლო ფშავში — ს. შუაფხნაში ე. წ. გაღმითა ხატში ნაყორთან. გუდამაყარში ჩაწერილი მასალის მიხედვით ბაკურხევის სოფ. საკერპოსა თუ უკანახოში, დღევანდელი ფუძის ანგელოზის საბრძანისში მცხოვრები დევების ხელობა, მჭედლობა ყოფილა: „იმათგან არ მოგონილი მჭედლობა, — გვიამბობს ს. თვარელაახთა მცხოვრები ნ. ბექაური, — სადაც კი დადგებოდნენ ყველგან თურმე სამჭედლოებს მართავდნენ. მანდ რო კვერი დაპყრიანო, ძგარი-ძგური გუდამაყარს მოდიოდისო“.)

დევები ძირითადად სახნავ-სათეს იარაღებს ჭედდნენ თურმე. გადმოცემების მიხედვით, იმ დროს ფშავ-ხევსურეთში მჭედელი არ ყოფილა. ამიტომ მათ ნახელავს დიდი მოთხოვნილება ჰქონია. დევნი ხესნებულ საქმიანობას მისდევდნენ ისეთი წარმატებით, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათი სახვნელით დამუშავებული ყანა, ერთ ლერჩე ორ თავთავს იბამდა. ხევსურ თუ ფშაველ შემკვეთლებს, ისინი თუმცა თავიანთი ნაწარმით ამარავებდნენ, მაგრამ გარკვეული პირობის დაცვის შემთხვევაში. ეს პირობა შემდეგში გამოიხატებოდა: მამაკაცი მათ სამჭედლოს ვერ გაეკარებოდა, შეკვეთა ქალს უნდა მიეტანა. ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, ისინი ამით ერთგვარად იცავდნენ თავს კონკურენციისაგან; მამაკაცებს შეეძლოთ მათი ხელობის შესწავლა, რაც საქმიანობაში ზარალს მოუტანდა. ქალებთან ურთიერთობის დროს კი ეს საფრთხე მოხსნილი იყო.

საყურადღებოა, რომ თავისი ხელობის დაცვის მიზნით, ხელოსნობით განთქმული სოფელი ერიდება თავისი ქალის სხვა სოფელში გათხოვებას. მხედველობაში გვაქვს ქართლში მეჭურჭლეობით ცნობილი სოფელი ცხავატი, სადაც იმის გამო, რომ მათი ხელობა სხვებს არ შესწავლა თავიანთ ქალებს სხვაგან გათხოვებას უკრძალავდნენ. მსგავს გარემოებასთან უნდა გვქონდეს ამ შემთხვევაშიც საქმე.

შესაკვეთად მისულ ქალებს დევები უმიჯნურდებოდნენ და მათთან „სწორფრობდნენ“. თუ ქალი პირობას მიიღებდა, დევები თავის ხელობას არ ზოგავდნენ და დაკვეთილ იარაღს პატრონს აბარებდნენ. ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ ერთ-ერთ ვარიანტში მოთხოვნილია შედეგი: „რომელის გორჩე იყვნენ დაბანაკებული დევები, (სადაც ეხლა დევო დედას კიდევ ილოცავენ როშვივნები) იმათ ჰქონდათ სამჭედლო და მათ გარდა ხევსურეთში სხვა მჭედელი არ იყო.



ვინც იმათთან მიიტანდა რამე საჭელს, ხარის იარაღსა და განკუთხების ისინი ქალს სთხოვდნენ, ლამაზი ვინც იქნებოდა ოჯახში, რძალი იქნებოდა თუ ქალიშვილი. რამდენი ღირებულებისაც იყო სამუშაო, შეაფასებდნენ და შეუთვლიდნენ — ამდენ ლამეს გამომიგზავნე ესა და ეს ქალი, თუ არა არ გაგიკეთებთ საქმესო. მეტი გზა არ ჰქონდათ, უსრულებდნენ დევებს სურვილს, ვინაიდან გუთნის იარაღების გაკეთება „აუცილებელი საჭირო იყო, რაღვან უიმისოდ სიმშილით ამოწყდებოდნენ“<sup>19</sup>.

[ წარმოდგენილ მასალაში, ფშავლები და ხევსურები დამოკიდებული ჩანან დევებზე; თუ დევები რკინის იარაღებს არ გაუჭედავნენ, ისინი შიმშილით ამოწყდებიან. ამავე დროს დევთა მჭედლობა საქმაოდ მაღალ დონეზე დგას და ეს ხელობა მათი არსებობის ერთ ერთი წყაროთაგანია. ]

განვითარებულ რკინის მჭედლობაზე მეტყველებს შემდეგი მომენტიც: როდესაც კოპალა დევებს ძალაში გამოსაცდელად ეახლა, მათ რკინის კუნძი დაუდვეს წინ, ნაჯახი მისცეს და უთხრეს: — თუ ბიჭი ხარ, ეს დახქეო.

ამავე გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს გადმოცემის გალექსილი ვარიანტიდან შემდეგი აღგილიც:

„ცხრა თავი დედა ხყვანიყვა,  
ცხრათა გამზღველი ქალიო,  
თავს ეცვა სალუდე ქვაბი,  
აიმან შამდვა ზარიო“.

მართალია, აქ სალუდე ქვაბი, როგორც პიპერბოლა, ისეა ნახმარი; იგი მოლექსეს იმ მიზნით გამოუყენებია, რომ დევის გოლიათური აღნაგობისათვის გაესვა ხაზი, მაგრამ მისი დევებთან დაკავშირებით ხსენება და ისიც გალექსილ ვარიანტში, რომელშიც შედარებით უცვლელად არის ხოლმე შემონახული ძველი ელემენტები, ხსენებულ მომენტს საინტერესოდ ხდის. როგორც ცნობილია, სალუდე ქვაბებს ფშაველ-ხევსურთა მოსაზღვრედ მყოფი ჩრდილო კავკასიის მკვიდრნი ჭედავდნენ, რაც აგრეთვე ინტერესს მატებს ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს.

საკითხთან დაკავშირებით მთელი რიგი გარემოებები იქცევს

<sup>19</sup> ალ. ოჩიაური, ფშავრი ხალხური დღეობები (ხელნაწერი).



ყურადღებას. გაღმოცემებთან დევთა მჭედლობის შესახებ, ულად დაქავშირებული ჩანს ხევსურეთში — ს. ბაკალიგველთა, ხოლო ფშავში — ახალელთა ხატი პირქუში.

სხვადასხვა გაღმოცემები, რომლებიც მის შესახებ არის დარჩენილი, პირქუშს შესანიშნავ ოსტატად სახავს. იგი ძირითადად საბრძოლო იარაღისა და სხვადასხვა ნივთების მჭედლად გვევლინება. მის თავდაპირველ სამყოფოდ მიიჩნევენ ივრის ხეობას, სადაც სხვადასხვა სოფლებს ასახელებენ, როგორც პირქუშის ნასაღვომარს. როდესაც დევებთან ბრძოლის დროს კოპალას ისრის ზრო უფუჭდება, იგი პირქუშთან მიდის „ბარში სადამ“ (სადღაც ბარში), სადაც პირქუშს სამჭედლო აქვს და სთხოვს იარაღის შეკეთებას. პირქუში უარს ეტყვის, რის გამოც კოპალა შემოსწყრება. ამით ისარგებლებენ დევები და, მოძმისაგან შერისხულ პირქუშს, ატყვევებენ. შეკითხვაზე, თუ რას უშავებდა პირქუში დევებს, მოხრობელი გვეუბნება: „კიდეც იმით ეშურებოდნენ (ემტერებოდნენ) დევები პირქუშსა, რო ეგ რაღა მჭედლობსო, ჩვენ ვიმჭედლებთო. მღვდელი ნდვდელსა შურობს, ეგ ეგრე არი“. (გოორგი ზურაბისძე ქეშიკაშვილი, 60 წლ., თიანეთი, ს. ღორღა, 1954 წ. 22/VIII).

მეორე ვარიანტით: „დევებმა დაიჭირეს პირქუში — ოქრო-მჭედელი და ტყვედ ჰყავდათ. აკეთებინებდნენ იარაღს, — მშვილდისარს და ოქრო-ვერცხლს. იგი ბევრს ცდილობდა, მაგრამ დევების ტყვეობას თავი ვერ დაალწია. იაქსარმა ეს რომ გაიგო, მივიდა ჩუმად და პირქუშს უთხრა: დაგიხსნი, თუ ერთ კარგ ზარს გამიკეთებო“.

ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ აუსრულა პირქუშმა თხოვნა, რის შედეგადაც იგი იახსარმა დაიხსნა. ამავე ვარიანტში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ წაართვა იახსარმა პირქუშს სამი შესანიშნავი თასი, რის გამოც „ხთის კარზე“ რჯული მოიწვიეს, საქმე გაარჩიეს, იახსარი დამნაშავედ სცნეს და დაზარალებულ პირქუშს თავისი თასები დაუბრუნეს.

ამ გაღმოცემიდან ყურადღებას იქცევს ორი გარემოება: 1) იახსარს იმდენად ძვირად უღირს ლითონისაგან ჩამოსხმული ზარი, რომ იგი მზადაა დევებს შეებრძოლოს მისოთვის. 2) რატომ უნდა წაერთმია მას პირქუშისათვის თასები, თუკი სამისო ნაკლებობა არ ექნებოდა?

ტყვე პირქუშის შესახებ გაღმოცემაში ნათქვამია, რომ იგი იმდენ ცრემლს აფრქვევდა დევებთან ყოფნის დროს, რომ გასაჭედად



გახურებული რეინა ცრემლისაგან სველდებოდა და ცივდებოდა პირქში, როგორც მჭედელი, დევთა ომწყვეტის შესახებ დარჩენილ თქმულებებში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს. სხვათა შორის მის მჭედლობის ფუნქციაზე უნდა მიუთითებდეს სახელწოდებაც — პირქში ცეცხლის ალიანი და პირქში ყაწიმ მშვენიერი. ცეცხლის ალიანობა გასაჭედად საჭირო ცეცხლის გაღვივებაზე უნდა მიუთითებდეს, ხოლო ყაწიმმშვენიერობა<sup>20</sup>—მის ოქრომჭედლობის მაღალ ოსტატობაზე.

წარმოდგენილი მასალა გვაძლევს შემდეგი ვარაუდის საფუძველს: დევთით დასახლებული ადგილების მოსაზღვრე ქართველ მთიელთა სოფლებში მჭედლობას ან არ მისდევდნენ, ან იმდენად ნაკლებად, რომ იგი მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აქმაყოფილებდა. ხალხი დანაკლისს ივსებდა ან დევთა სათანადო ნაწარმით, ან მოსაზღვრე ბარის საქართველოში მიეშურებოდა, სადაც მჭედლობის შესანიშნავი ხელობა იმდენად განვითარებული იყო, რომ დევნი ცდილობდნენ ქართველ მჭედლთა ხელში ჩაგდებას და თავის სასარგებლოდ მათ გამოყენებას.

რომ ფშავ-ხევსურეთის მკვიდრთათვის და კერძოდ ხევსურთათვის რეინა, სპილენძი და მისგან დამზადებული ჭურჭელ-იარაღი ძეირად ფასობდა და იგი ძირითადად შემოტანის ობიექტს წარმოადგენდა, ამაზე უნდა მიუთითებდეს ხამატის ჯვარისა და გახუა მეგრელაურის შესახებ ხევსურეთში შემონახული თქმულებები, რომელთა მიხედვითაც, ლაშქრობები სწორედ ამ მიზნით ეწყობოდა ქაჭავეთში. ამ თქმულებას ჩვენ საგანგებოდ ცალკე შევეხებით და ვეცდებით ვაჩვენოთ ამგერად ჩვენთვის საინტერესო საკითხი კონკრეტული მონაცემების საფუძველზე.

#### დევთა სოციალური ყოფის ამსახველი მასალა

დევების სოციალური ყოფის შესახებ თქმულება-გაღმოცემე-ვში რამდენიმე მომენტი იქცის ყურადღებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ცალკეულ სახლებში დამოუკიდებელ ოჯახებად ცხოვრობდნენ.

სხვადასხვა თქმულებაში ხშირად არის საუბარი დევის ცოლის,

<sup>20</sup> ყაწიმი მცირე ზომის ვერცხლის სამყაულს ეწოდება, რომლითაც ამკობდნენ სამოსელსა, თუ იარაღის ჩამოსაყიდ ღვედებს.



დევის ქალისა თუ დევის დედის შესახებ. გხვდება მასალა ადგინება  
ქორწინების შესახებაც. ერთ-ერთ გალექსილ ვარიანტში ნათქვამია:

„ქორწილ ხქონიყვა დევებსა, სიმურ ეჩქვიფა წყალიო,  
ცხრა თავ ხყონიყვა, დედაი, ცხრათ ვაჟო გამზდელი ქალიო“.

პროზაული ვარიანტების მიხედვით, როდესაც კოპალამ დევების  
ამოწყვეტა განისრახა, დევებთან წავიდა. ერთი ვარიანტით ს. მიგრი-  
აულთ გორის ბოლოში, საღაც დევთა მრავალსულიანი ოჯახი ცხოვ-  
რობდა, დევებს ქორწილი ჰქონდათ. კოპალა სტუმრად ეწვია; სინამ-  
დვილეში კი მათი დაზვერება და ამის შედეგად ბრძოლის სათანადო  
ტაქტიკის შემუშავება ჰქონდა მიზნად. როდესაც დევებმა მათკენ  
მიმავალი კოპალა დაინახეს, თქვეს: „კარგია, რომ მეფე-დედოფალთ  
სუფრაზე მისატანი საკლავი თავის ფეხით მოვივიდაო“<sup>21</sup>.

აქ, როგორც ვხედავთ, დევების ქორწილისა და სუფრის შესახე-  
ბაა საუბარი.

როდესაც იახსარმა როშქის გორზე მოსახლე დევები ამოწყვეტა,  
რძალ-დედამთილნი დაემალნენ: ერთი როშქის გორზე ციხეში, ხო-  
ლო მეორე ს. ხორნაულთაში დამკვიდრებულა. ამ ადგილებში სა-  
დაც მათ არსებობას მიიჩნევენ, ლოცულობენ კიდევაც (ამის შესახებ  
ზემოთ უკვე იყო საუბარი). ამ მასალიდან ჩვენ ყურადღებას იმსახუ-  
რებს რძალ-დედამთილის ხსენება, რაც დევთა ცხოვრების გარკვეულ  
მხარეზე — მონოგამური ოჯახის არსებობაზე მეტყველებს.

სხვათაშორის დევთა ყოფის ეს მხარე ჩანს ფშავ-ხევსურულ  
ამირანიანშიც. ჩვენ ამირანიანის დევებსა და ფშავ-ხევსურეთის ტე-  
რიტორიაზე მოსახლე დევებს შორის ერთიანობის ნიშანს არ ვსვამთ;  
მასალა ამჯერად იმ ხრივ გვაინტერესებს, რომ მასში მოჩანს ქართ-  
ველ მთიელთა წარმოდგენები დევთა ყოფის შესახებ.

ამირანიანის ერთ-ერთ ხევსურულ ფრაგმენტში ვკითხულობთ:

„არც კივილი, არცა ზარი, დევებს მაუყვანავ ზალი.  
იარე და შავეტანოთ, ძმანო მამიჭირეთ მქარი.

— სუ ამირან, ძმათა მზესა, გვინახავის დევის ზალი.

ამ კლდეზე გადმოგვყრიან, ჭალას არ სავ ჩვენი ძვალი“<sup>22</sup>.

21 ალ. ოჩიაური, რელიგია ფშავში, რვ. 13, გვ. 151, 1947, (ხელნაწერი).

22 მ. ჩიკოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 343.

„აიქ ჩავიდეთ ამირან, გუშინ რომ ქარი ხეიოდა,  
დევებსა პქონდათ ქორწილი, სიმღერა გამოდიოდა.  
შაგვიძარიუქს, შავედით, ამირანს პურა შიოდა,  
დედობილების ნაცხობი ქადა კეცებში შხიოდა,  
შამაძჭრეს, შამაზყენეს, კაცის თავ-ფეხი დოოდა,  
.საღვინით ლვინო მოგვართევეს, შიგ გველ-ბაყაყი წიოდა,  
უსმელ უქმელად გავდებით, ყელ-წიაკ ამოგვდიოდა.  
ამირანს შამოვხედნოდა, ცრემლები ჩამოსდიოდა.  
პატარა შეილ მამასა ლოგინით წამოპკიოდა:  
— აკი მას მაგადებდია, ამირანს მოგაფვლევინებ,  
ბადრისა წითელ გალოთა სადილად დაგახვრევინებ,  
უსიპის ქამარ-ხანგალსა წელზედა შაგარტყმევინებ!  
მამას შეილი ჰერა პირშია, სისხლ წავ დასაუბარად,  
წარბისთავ დაპკრა ხანგარი სისხლისა გასადინარად,  
დევებმ დაიწყეს სიცილი ამირნის დასამშეიდარად;  
— ყმაწვილის საუბარზედა, ამირან, ომი გინდა რად?“<sup>23</sup>... და სხვ.

ამ ტექსტში, გარდა დევთა ქორწინების საკითხისა, მეტად ცოცხლად არის დახატული დევთა ყოფის სურათი. რაც ემთხვევა კოპალა-იახსარის მიერ ამოწყვეტილ დევთა შესახებ წარმოდგენებს. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ხსენებული ვარიანტები ფშავ-ხევსურულია და მასში სწორედ აქ არსებული წარმოდგენებია ასახული<sup>24</sup>.

23 მ. ჩიქოვანი, ლასახ. ნაშრომი, გვ. 318.

24 აქევე გვინდა შევეხოთ საკითხს, რომელიც პროფ. მ. ჩიქოვანმა აღძრა ნაშრომში „მიგადეული ამირანი“. ავტორი გამოიქვამს მოსაზრებას იახსარისა და იამანის იგივეობის შესახებ. „ფუნქციათა შედარება გვიჩვენებს, — წერს იგი, — რომ სვანური „იამანი“ ფშავ-ხევსურული „იაჯარი“ არის. უფრო ძველი სახელი იაქსარია, რომლის ადგილას იამანი განხდა ალბათ მშიგნობრობის გავლენით“ (მ. ჩიქოვანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 118). ავტორს ამ მოსაზრების დასმტკიცებული ის საბუთი მოჰყაეს, რომ იახსარი დევებთან და იესუსლებთან მებრძოლი დეთაებაა, იახსარის ფუნქციათა და მის შესახებ არსებულ გადმოცემათა განხილვა იახსარის იამანთან კაეშირის მტკიცე საბუთს არ იძლევა. დევებთან ბრძოლის ფუნქცია იახსარის გარდა დაკარიებული პქონდათ დეთისშვილებს — კოპალასაც და ფუძის ანგელოზსაც; რომ სხვებშე აღარალერი ვთქვათ (ჯაჭველი ხმელის გორისა, პირქუში და სხვა); რა ნიშნის მიხედვით უნდა მივანიჭოთ უპირატესობა იახსარს ამ ფუნქციის შესრულებაში?

ამასთან ერთად, იგი გარკვეული ლოკალური ჭგუფის დეთაებაა, აქეს თავისი

გარდა დევთა ქორწინების ამსახველი ცნობებისა, გაღმოყენებული შეიცავენ მითითებას დევთა და ფშავ-ხევსურთა მოყვრული უსრულებელი თობის შესახებ.

ერთ-ერთი სათანადო მასალა ზემოთ იყო მოტანილი, რომელიც ხევსურების მიერ დევის ქალის ცოლად შერთვასა და შემდეგ სიმამრი დევის მუშაში წასვლის შეეხებოდა. ივრის ხეობაში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ერთ დევს ფშავლის ქალი მოსწონებია და მოუტაცია. ეს ქალი მას ცოლად შეურთავს. ქალის ძმა ძალიან განაწყენებულა ამ ამბის გამო. ბევრი უწვალია და ბოლოს ეს ქორწინება ჩაუშლია.

არის ცნობები დევთა მიერ ხევსური ქალების ცოლად წყვანის შესახებაც, მაგრამ ამ ცნობებს უკვე ახალი ელფერი აქვს მიღებული და ზღაპრულ დევთა მიერ ქალებთან ურთიერთობის რკალში ექცევა.

შედარებით უკეთ არის ასახული სოციალური ყოფის ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა თავ-მეთავეობა, თავ-სისხლი დევებსა და ქართველ მთიელთა წინაპრების შორის. „თუ მახჭლევდეს დევს, — გვიაბბობს ს. შატილის მცხოვრები გიგია ჭინჭარაული, — დევებ თავს არ შაარჩენდეს, თავ თუ ეკიდ დევებისამ, მაინც აუცილებლად უნდა მეექლა. თუ შემთხვევით კაც შამააჯდებოდ დევს, ისიც თურმე ემალებოდ, როგორც კაცი. ეეხლადაც იციან ჩვენ ხევსურებმ — დევსავ ჩვენ თავი ხყიდავავ, არ შამამეყრებისავ.“

ერთი გაღმოცემის თანახმად, ხევსურის ქალს დევისაგან შვილუბი გასჩენია. ისინი განსხვავდებოდნენ თურმე ჩვეულებრივი ადამიანებისაგან თავისი აღნაგობითა და ბალნიანობით. ხევსურებს ისინი დაუხოციათ. იმ ღამეს უკანახოს ხევზე ჩამოუვლია დევს ტირილით და შემოუთვლია: შვიდ თაობას მოგვყებით, შვილები რომ დამიხოცეთო. მთხოვბელი მიხეილ გიორგის ძე ჭინჭარაული ამბობს, რომ ჩვენი სოფლის ხალხს (უკანახოელებს) სულ ეშინოდათ, ღამე ვერსად დააგვიანებდნენ — დევი შეგვხვდება სადმე და შურს იძიებსო.

იმ მამიშვილობებს, რომლებსაც დევის თავ-სისხლი ციკიდათ, მუდამ სიფრთხილე უნდა დაეცვათ. მას შემდეგ, რაც დევები უხილავ არსებებად გადაიქცნენ, ღამე მოქმედების უფლება დარჩათ მხი-

აულტი, მკეთრად ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობანი, ხატო მსახურების დადგენილი რიტუალი, რასაც არ იცნობს ამირანიანის პერსონაჟი იამანი. სხვა ძამ ხელშესახები კაეშირი მათ შორის არ ჩანს. კვირჩობთ მეტი საბუთიანობა იქნება საცირო იამანისა და იაქსრის იგივეობის დასადგენად.

ლოდო,—გადმოგვცემს მთხობელი. ისინი მოსისხლეებს, თუკი სადმე შეხვდებოდნენ, სახლამდე მისდევდნენ თურმე. აუცილებელი და ნენ ბანზე და მტრის გარეთ გამოსვლას ელოდებოდნენ.

ერთ ხევსურს დევი შემოკვდომია. გამოპკიდებიან დევები, მავრამ დევნილს სახლში შევარდნა მოუსწრია. იგი შემდეგში ჰყვებოდა თურმე: სახლში რომ შევასწარი, ბანზე ისეთი დგრიალი დადგა. მეგონა „ჭერნი მიწაზე დაისხენო“—ე. ი. ჭერი იატაქზე დაწვა, იატაკამდე დაიდრიყაო.

ვინმე ლიქოკელ ომას დევი შემოკვდომია. გამოდევნებული დევებისათვის მას სახლში შეუსწრია. მოსულა მდევარიც. „აი ბანზე გამაიარავ ერთმავ, ძმა თუ იყვავ დევისაივ, — აი ბანმავ ჭახჭახ დაიწყავ დაიკეცავ აი ბანივ. აი სანაპიროზეით ჩამამდახნავ: „განაევ, ომაო, შამამისწვერივ სახლშიავ. განა მანდ ვერ შამავიდოდიო, კარ-კედის დამტერევა არ მაქვავ გამწერსულივ, არ შაგარჩეხავ“. ამის შემდეგ მოთხობილია, თუ როგორ ეშინოდა მას დევებისა, როგორ მფარველობდნენ კოპალა და სხვა ღვთიშვილები, როგორც ხატის ხელკაცს, როგორ ესროდნენ დევები შორიდან ცალთბე (ცალფრთა) ისარს და ბოლოს როგორ მოუსწრო მას დევმა ძილში, ველზე სამუშაოდ მყოფს. დევს სილა გაურტყამს მისოვის, „არ იცოდიაევ ომაო, რო ჩემ ვალივ დიდხან არ შაგრჩებოდავ, ხანადაც გამივიდავ“. უთქვამს მას.

ხევსურეთში ასახელებენ მამიშვილობებს, რომელთაც დევის სისხლი მართებთ. აგრეთვე იმათაც, რომელთაც არაფერს დაუშავებდნენ, ვინაიდან ამ მამის კაცი დევებს ჰყავდათ მოკლული.

(მსგავსი მასალა ფშავშიც იქნა დადასტურებული.) დევის თავი ბულალურთაში ბალიაურებს ემართათ თურმე. მდინარე იორზე ბალიაურს ფაცერზე მოუკლდეს დევი. დევის თავი მართებიათ შუშანაშვილებსაც. როდესაც აბუდელაურის ტბაზე შუშანათ კაცს მიუტანია დროშა და დაუკრია ტბისათვის სიტკვებით: „მე დავჭირ დიდო იაქსარო და შენც დაკვარიო. — მე რაღა დაკვრა მინდოდა, მეორედ მაგან რო დამკრაო, — უთქვამს დევს და ამის შემდეგ „დევის თავი დასდებიათ შუშანათ“ (ბიჭურ ბაღრიშვილი, ს. შუაფხო).

მსგავს ცნობებს ვადასტურებთ გუდამაყარშიც.

(საინტერესოდ გვეჩვენება ამირანიანის ფშავ-ხევსურულ გარიანტში დაცული ცნობა დევთა, ამირანისა და მისი ძმების მტერ-მოყვრული დამოკიდებულების შესახებ.) უპირველეს ყოვლისა, აქ დევიი



აშეკრიდ ხალხად ორიან წარმოდგენილი, რომლებთანაც მტკრისტენი  
შეიძლება და მოყვრობაც:

„სამინი ჩვენ, სამას დევები ჩაბალხეთს შეიყიარენით,  
თავს მოვჭედით ბალხის კარავსა, ბოლოში გავიყარენით,  
ომისა ვერა გავიგეთ, ფარის ქვეშ მოვიმალენით,  
დავსხედით ღვინის სმაზედა, ზოგნ დევნიც დავიტანენით,  
ვინცა სვა ღვინო ჩვენთანა, მებურად გავიყარენით,  
ვინაც არა სვა ღვინო, დავკრით არ ერწყალენით,  
დევებ ხო არა ყოფილან, სულ ხმალქვეშ მოვატარენით“<sup>25</sup>.

*ამ შემთხვევაში „ამირანიანიდან“ გარკვეული მონაცემების მოტანა იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ აქ ფშავ-ხევსურთა წარმოდგენებია ასახული. იგი შეეხება არა ზღაპრულ დევებს, არამედ რეალურად არსებულ ხალხს, რომელიც დევთა სახელით მოიხსენიება.*

მცირეოდენი ცნობებია დარჩენილი დევთა და ადამიანთა დაძმობილების შესახებაც. მაგ. პირაქეთ ხევსურეთის ს. ბაცალიგოს მცხოვრები ბათურა არაბული გვიამბობს: „დევთ, კაცო რო, — ეგრ უდენავ, განა მალულად ყოფილან. თავთავის სახლებ ხეონივ. გუდან ეეხლადაც ხყვანივ გაიდაურს გაძმობილებულ დევი. ძმობილ ყოფილ შაბამჯდარ ჯვარში ნაბადწამახურულ კაცი, — გაიდუარ სად ასავ? — არ ასავ აქავ.

გადაიარავ საჯარეშიავ, მემრ გადმაჩინდავ.

— ჩემ ძმობილს უთხრიდითავ, გაიდურსავ, ერთა მასრუა კი გადავსვიო, ჸიჩლაის წყალთამც შევქდავ, არ მგონავავ რო არ დამათვრასავ“. აქ საუბარია ერთი კოდი ლუდის შესახებ, რომელიც დევს მოუყუდებია და გამოუცლა ჯვარში.

წარმოდგენილ მასალებში ასახულია დევების სოციალური ყოფის საინტერესო მხარეები. მაგრამ მასალა ახალია და დევთა დაორგუნების შემდგომ პერიოდს შეეხება. მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები მაინც ფასეულია, ვინაიდან მასში ტრადიციით ძველიდან მომდინარე ცოდნისა და წესის ასახვასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ის გარემოება, რომ ადამიანებსა და დევებს ისეთი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, როგორიც შეიძლება ადამიანებს

25 პ. ჩიქოვანი, დასახ. ნიშრ., გვ. 313.

ჰქონდეთ, ე. ი. მათ შორის შეიძლება მტრობაც იყოს და მოყვა-  
 რობაც, უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მთიელთა წარმოდგენით, ამ  
 შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ზღაპრულ პერსონაჟებთან, არამედ  
 ხალხთან, რომლებთანაც გარკვეული კონტაქტი უნდა ჰქონოდათ  
 მთიელთა წინაპრებს. მართალია ადამიანებსა და დევებს შორის  
 არსებული სისხლ-მესისხლეობა, რომელიც თქმულების სახით  
 შემოუნახავს ხალხის მეხსიერებას, ბოლო ხანებში მხოლოდ ძველი  
 გადმოცემისა და რელიგიური რწმენის თანხვედრის შედეგითაა,  
 მაგრამ, გამორჩეული არ არის ამაშიც ძალზე ძველი ვითარების  
 გამოძახილი დავინახოთ. გადმოცემის მიხედვით გადამწყვეტი  
შეტაკებების შემდეგ, როდესაც დევები განდევნილ იქნენ, გადარჩე-  
ნილი დევები გამიწრივლდნენ, ე. ი. უხილავ არსებებად იქნენ,  
რომელთაც იღუმლადღა შეეძლოთ ვნების მოტანა.)

თავდაპირველად, როდესაც მოსახლეობა, რომელიც გადმო-  
 ცემებმა დევების სახელით მონათლეს, ძლეული და განდევნილი  
 იქნა, უცებ, სრული მორჩილებით არ მიატოვებდა თავის სახლ-  
 კარსა თუ ადგილ-მაშულს. ბუნებრივია, რომ ძლეულ მტერს უხი-  
 ლავად, ფარვით ეწარმოებინა თავდასხმები მოძალადეზე, ვნება  
 მოეტანა მისთვის, ვინც გზად შეეყრებოდა, ან ვისი ჯავრიც განსა-  
 კუთრებულად სჭირდა. იქნებ დევების გამიწრივლება, მათი ფა-  
 რული თავდასხმები, ამ თავდაპირველი მდგომარეობის გამოძახი-  
 ლი იყოს, ხოლო ცალკეულ დევთა და მთიელთა ძმობილობისა თუ  
 მოყვრობის ამბები — დევთაგან დარჩენილი მოსახლეობის ასიმილა-  
 ციის შედეგად მიმდინარე ვითარების ასახვა.

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოდ მიგვაჩინია ის, გარე-  
 მოება, რომ დევს გარკვეული მოქმედების უფლებები აქვს  
 მხოლოდ შენარჩუნებული; მაგალითად, მას არ ძალუდს სახლში  
 შეჰვევს ადამიანს, რომელიც მისი მოსისხლეა. იგი ისე იქცევა,  
 როგორც დამორჩილებულს, დამარცხებულ მტერს შეჰვერის, რო-  
 მელსაც ძალა კი ერჩის, მაგრამ უფლება არა აქვს ისე მოიქცეს,  
 როგორც სურს. მისი მოქმედების არე მეტად განსაზღვრულია, არა  
 მხოლოდ რჯულის კოდექსით, არამედ დამმორჩილებელი მხარის  
 მიერაც. თავდაპირველ მდგომარეობას დროთა განმავლობაში ბუ-  
 ნებრივია, ზღაპრულ-ზებუნებრივი ელფერი მისცემოდა; ამას ხელს  
 უწყობდა ხალხში არსებული რწმენა-წარმოდგენები ბოროტი,

ავსული ძალების შესახებ, რაც უსათუოდ გადაეჭაჭვა და შეუერთდა ძველიდან მიმდინარე რეალურ ამბებს.

### დიზ-პრიკატა განდევნეა იახსრისა და პოპალან მიირ

როგორც მივუთითებდით, დევები თავიანთ სოფლებში ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ. ისინი საქმაოდ ძლიერ ფიზიკურ ძალას ფლობდნენ. მეზობლად მობინადრე ქართველ მთიელებს ავიწროვებდნენ, თავისუფალ, მათგან დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ მათ; უკრძალავდნენ კუთვნილ ტერიტორიაზე გავლას, არ ანებებდნენ გზას, ართმევდნენ ყველაფერს თუ საღმე მოასწრებდნენ, ხოცავდნენ ხალხს, შეურაცხყოფას აყენებდნენ ქალ-ჩალს, აბუჩად იგდებდნენ მათ სარწმუნოებას, აოხრებდნენ ჯვარ-ჯვარისკარს, სვამდნენ ჯვარში დღეობისათვის დაყენებულ ლუდს და სხვა.

ხევსურული გადმოცემების მიხედვით, ხევსურნი თავისი ნებით გზავნიდნენ ქალებს დევებთან, ოლონდ მათ სახვნიელისთვის საჭირო რკინის ნაწილები გაეჭედათ.

ავის გორზე მოსახლე დევები გამვლელ-გამოვლელ მგზავრს ფაცერში ახვევდნენ, იჭერდნენ და შემდეგ ჰამდნენ. უზარალებდნენ ნახნავ-ნათესსა და საქონელს.

გამხვეურა დევი ს. შუაფხოში, ცხრა დევნი როშკის გორზე, მუზა და ბელელა, — ბელელთანას იორზე და სხვა დევები, ძლიერნი, მდიდარნი, ხალხმრავალნი და უძლეველნი იყვნენ. მათ არათრად უღირდათ მეზობლად მოსახლე მთიელთა წინაპრების დაჩავრა, რომელნიც, როგორც ჩანს, ვერ იყვნენ საქმაოდ მომძლავრებულნი, ვერ უმკლავდებოდნენ მოძალადე მეზობლებს. ისინი ამ პერიოდში ამჯობინებდნენ დევებთან შვიდი მეზობლური ურთიერთობის დამყარებას, და ზოგჯერ უმოყვრდებოდნენ კიდევაც მათ.

დროთა განმავლობაში ქართველი მთიელი მოსახლეობა იზრდება, ძლიერდება და დამორჩილებულ მდგომარეობაში ყოთნა უკვე აღარ უნდა, იგი თავს კი აღარ იცავს, არამედ თვითონ გადადის შეტევაზე. ცდილობს განდევნოს დევ-კერპები და მათი ტერიტორია თვითონ შემოიქვიდროს. ეს მომენტი ასახული უნდა იყოს თქმულების იმ ნაწილში, სადაც ფშავ-ხევსურნი მორიგე

ლმერთს შეელასა და დახმარებას შესთხოვენ. სხვადასხვა ვართ ტში დასახელებულია სხვადასხვა მიზეზი იმისა, თუ რამ აიძულა ხალხი მორიგე ლმერთისათვის მიემართათ. ოქმულებათა ნაწილის მიხედვით ამის საბაბი დევთა მიერ ქალ-რძალის შეურაცყოფა გამხდარა, მეორესი ჯვარ-ჯვარისკარის არად ჩაგდება, მისი აბუჩად აგდება, მესამესი — ნამუშევრისა და ჭირნახულის წახდენა დევთა მიერ და სხვა.

ერთი ხეესურული ვარიანტის მიხედვით, დევები სარგებლობ-დნენ რა თავისი მჟედლობის ხელოვნებით, „ქალებს დაუწყეს წა-მებაი. ისე მახიბლეს, რო ქალებ თაო მირბოდეს იქისკე. ეს ხთის ნაბადებთაც იწყინეს. შასთბოვეს მორიგეს ღმერთს, რო კარატი-ონსავ ძალა მიეცივ, გაგვიუწმიდურესავ ყველაივ. ხატებში შამ-დინარან, ლუდ არ გაუწირავ, ის უსომ, ხატებში რო აღარფერ მაქელულას... მაშინ შამქდარან ხთის კარზე. კვირაჟ შასძლოლიგას წინ, კვირაჟს შაუქდენიან. უთხოვავ მერიგისად, რო ხატებში ჭიქა-დიდებან აღარ გვქონავ. რასაც მახარშევდეს, თითო კოდ თითო თასად უსომ იმეებს... მაშინ მიუცავ კარატიონისად საგმირო ლახტი“.

„ხთის კარზე“ ღვთიშვილთა შეკრების ამბავი კარგად არის მოთხოვნილი ოქმულების გალექსილ ვარიანტში. ამ თავშეყრის მიზანი იყო ისეთი ღვთიშვილების შერჩევა, რომელიც ბრძოლას ჩაუდგებოდნენ სათავეში. „ხთის კარზე“ სამოცდა სამი ხატი შეყ-რილი. ამ ხატებიდან დევ-კერპთა გაწყვეტის ფუნქცია ისეთს უნდა დაკისრებოდა, რომელიც სათანადო შეჯიბრებაში გამარჯვე-ბული გამოვიდოდა. შეჯიბრი ძალ-ღონის გამოცდაში გამოიხატე-ბოდა. სიმძიმის აწევით გაარქვევდნენ ვინ უფრო მქლავმაგარი იყო და ვის შეეძლო თავისი ძალის წყალობით მტრის დათრგუნვა.

სიმძიმის ასაწევად საწონ-ჩარექს დგამენ შეჯიბრების მეთ-ვალყურე კვირიაა. კველა დარწმუნებულია, რომ იაქსარი გაი-მარჯვებს:

„ხთის კარზე შევიყარენთ ანგელოზები თავნია,  
გაღმოლეს სასწორ-ჩარექი, კვირავ დაუდგი თვალია,  
ეზიდებიან იმასა, ვინაც რომ ძალიანია,  
შევ-ქვე ბოლოსკე მე გზივარ, ყველას ჩემზე აქვ თვალია,  
ერთმანეთს ეუბნებიან — „აიღებს იაქსარია“,  
ავსწიე საწონ-ჩარექსა, — ღმერთო შენგან ა ძალია,

ხუთი მაგისტროვე კვირასა, გარმამიმეტა სამია,  
 სამოცს ლიტრასა რეინასა ძირს გაუყარენ ქართია<sup>26</sup>.

გამარჯვებულს მიულოცა მორიგემ „საგმირო ასლიტრიანი“ და ბრძოლების ხელმძღვანელობა დააკისრა ზოგი ვარიანტის მიხედვით კოპალაც იმარჯვებს. ხთის კარზე გმართულ შეჯიბრთან დაკავშირებით სხვა საინტერესო მომენტიც იჩენს თავს. როგორც ირკვევა, გამარჯვების მსურველები სხვებიც ყოფილან, მაგრამ თავისი მკლავის იმედი არა ჰქონიათ. ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

„მარიგემ მე მამილოცა საგმირო ას ლიტრიანი.  
 — დალიენ დევ-დედაბერნი, დადიან პირმზორიანნი,  
 სახმთოს უნდოდა ეღა, ვერ იყვა იმედიანი,  
 ამაეხეარ მარჯვენა ქელი, მქარზე გადიღა პრიალი“.

მას შემდეგ, რაც შეჯიბრში ვამარჯვებულებს დაეკისრათ დევ-ერპთა ამოწყვეტის თაოსნობა, ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას იწყებენ. ღვთიშვილთა საქმიანობა როგორც ჩანს, დევებს შეუნიშნავი არ დარჩენიათ და თვითონაც სათანადო ზომებისათვის მიუმართავთ. ტექსტში ვკითხულობთ: „კოპალა პირველად უძილაურობის თავს დაარსდა, სახელდობრ ირემთ-კალოს. მის პირდაპირ ციხეთგორს მოსახლეობდნენ დევები. დევებმა კოპალას მოსვლა რომ გაიგეს, აქაც ციხე ააშენეს და გამარტინენ შიგ. კოპალამ შემოუთვალა: „თქვენ ჩემს პირდაპირ ნუ მოსახლობთ, თორემ ან თქვენ უნდა იყვნეთ და ან მეო“. დევებმა შემოუთვალეს: „აი შენ და აი ჩვენ, როგორც გინდა ისე მოიქეციო“. გაჯავრებულმა კოპალამ ირემთ-კალოდან ციხეთგორს იმათ ციხეს ლაბტი ესროლა, მოახვედრა და დაანგრია. მანამდინ კოპალა იმათ დასახოცავად აქ გამოვიდოდა, დევება მიუსწრო კოპალასთან და უთხრა: „რას გვერჩი ჩვენს ადგილში, ან ციხე რად დაგვიქციო“ — და სხვა.

დევებისა და კოპალას შებრძოლება ძალ-ლონეში გამოცდით დაწყებულა. როდესაც კოპალამ დევებს შეუთვალა, ციხე-გორი დამიცალეთო, „დევებს გაუკვირდათ მისგან ეს ნათქვამი,—ეს ვინ

26 ა. შანიძე, დასახ. კრებული, გვ. 223—224.

არის, რომ ასე გულდიდად გვეუბნებაო, ეს ბუკუკა ჩვეულებული დაგვაკლებსო". (ბუკუკა — პატარა ბუზი)... დევებმა იმას ძალის გამოსაცდელად რკინის კუნძი დაუდგეს წინ, ცულის ნაჯახი მისცეს და უთხრეს: — თუ ეგეთი ძალის პატრონი ხარ, რომ ჩვენ აყრას აპირებ, აბა ეს კუნძი დაჭერიო. კოპალამ დაპკრა ცული და კუნძი ორად გახეთქა"<sup>27</sup>.

ამის შემდეგ ისინი ქვის სროლაში გაჯიბრებიან ერთმანეთს. გადმოცემაში მოთხრობილია, თუ როგორ შეიყარნენ დევთა ფალავნები და კოპალა ირემთ-კალოს, საიდანაც ციხე-გორისაკენ უნდა ესროლათ ქვები. ამ შეჯიბრზე იახსარსაც ელოდებოდნენ, მაგრამ მას და კოპალას გადაწყვეტილი ჰქონდათ, ბრძოლა ამ მომენტიდან დაწყოთ. იახსარს გზა უნდა შეექრა ივრის ხეობიდან ბომავალ დევთა ფალავან მუზასათვის, რის გამოც იგი შეჯიბრს ვერ დასწრებია.

როდესაც დევთა ფალავნები მოსულან, შეჯიბრი დაწყებულა. ერთ-ერთ ხევსურულ ვარიანტში მოთხრობილია: „ჯერ დევებს დაუბარებავ ყველა, ვინც შამძლე ყოფილისად ქმალა მასულას. მაში შატარდავ კარატიონივ, რო ქმალა მავიდავ, მახვევალუდავ აი მიწასავ, რო მავიდოდავ. იმას ელოდდავ აი დევებივ“ (ბათურა არაბული, ს. ბატალიონ, 1951 წ.).

როგორც ჩანს, კარატიონის შეფიქრიანება მთლიან უსაფუძვლო არ ყოფილა. შემდეგში დავინახავთ, რომ კვირია თუ არა, იქნებ მას გამარჯვება არცი დარჩენდა.)

თავდაპირველად „დევებმა და კოპალამ სიბით, დიღი, კალოსოდენი აღგილი დაზღლავეს, ...ირემთ-კალოს, ეხლა სადაც კოპალას საზარეა, იმ აღგილზე. იმიტომ რომ ქვის სროლას რომ დაიწყებდნენ, სიმძიმისაგან მიწა არ ჩაბრუნვილიყო.

ჯერ კი ელოდნენ მუზა და იაქსარის მისვლის და მერე კვირიას შეთვალყურეობით დაიწყეს ქვის სროლი... დევების ფალავანმა გაისროლა ქვა და ციხეთვორის იქით (ეხლა ხატის მამულებია) დასცა, ახლა კოპალამ გაისროლა ქვა. კარგა დიდი ძალით გაისროლა, მაგრამ კვირიამ იმ ქვის მათრახის წვერი წამოპქრა, კიდევ გაამალა და იგი დევების გასროლილ ქვის შორს გადასცილდა“<sup>28</sup>.

27 ალ. ოჩიაური, ფშაური ხალხური დღეობები, რვ. 13, გვ. 151.

28 ალ. ოჩიაური, იქვე, რვ. 6.

სხვა ვარიანტში ნათქვამია: „ჯერ კარატიონს გაუსრუევიანდა დაბლა თუ რჩებოდეს ის ქვანი და კვირაეს მათრაქის ტაზ წამა-ცკრავად დევის გასრულ ქვათად გადაუცილებლავ“ (ბათურა არა-ბული, ს. ბაცალიგო) (ამგვარად, გამარჯვება კოპალის დარჩენია და-თავის ძალაში დარწმუნებული, დევებს დარევია. ციხეგორს მცხოვრები დევები ერთიანად აუყობრებია.)

ვიდრე ბრძოლის ცალკეულ ეპიზოდებს შევეხებოდეთ, ყურად-ღებას გავამახევილებთ სიმძიმეთა აწევასა და ქვის სროლაში შე-ჯიბრის მომენტზე, რაც დღევანდლამდეა შემონახული ქართველ მთიელთა ყოფაში. სხვა სპორტულ შეჯიბრებათა შორის (ფარიკა-ობა, მხედრობა), ქვის შორს მანძილზე გადაგდებაში ჩვეულებრივ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მამაკაცები. საამისოდ, თავისუფალ დროს შეიკრიბებოდნენ, ან დღესასწაულის დროს მოიყრიდნენ თავს და ერთმანეთს ძალაში ცდიდნენ. თვითეული შეჯიბრის მო-ნაწილე დანიშნული ადგილიდან ქვას გადააგდებდა, გამარჯვებული ზოგჯერ (თუ წინასწარ დათქვამდნენ) ჯილდოსაც იღებდა. ქვის სროლის მომენტი უნდა იყოს ასახული როსტომიანის ცნობილ ლექსში:

„როსტომ თქვა ვმირი მეც ვიყვა,  
ჭირითი შამოვისრიე...“

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ამ სახის შეჯიბრს ჯირითის სროლა ეწოდებოდა. არსებობდა საგანგებო ქვები სიმძიმეთა ასა-წევად; ერთი ასეთი ქვა ე. წ. „სავაჟყაცო ქვა“ თიანეთის მხარეთ მცოდნეობის მუზეუმშია დაცული, რომელიც ადგილობრივ პედა-გოებს მაშო ფიცხელაურს ჩამოუტანინებია ს. ჯიჯეთიდან. ამავე დანიშნულების ქვები აწყვია ზემო სვანეთის კალის ეკლესიის ეზოში, რომელთა აწევაში მამაკაცები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს დღესასწაულის დროს.

დევებისა და კოპალის ქვის სროლაში შეჯიბრი და ხთის კარ-ზე ღვთისშვილთა მიერ სიმძიმის აწევის მომენტი, ეთნოგრაფიული სიიამდვილიდან აღებული ფაქტია.

! შეჯიბრის მსვლელობის დროს, როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანდა, გამორიცხული არ არის ფარულად ერთმანეთის წამველება; კოპალის მიერ გასროლილ ქვას დევთა ჩუმად კვირაე მათრახს წამოჰქრავს, რითაც უზრუნველყოფს კოპალის მანამდე საეჭვო გამარჯვებას.

ეს გარემოება იმაზედაც უნდა მიუთითებდეს, რომ დევნი გრე კიდევ საგრძნობლად სერიოზული ძალის პატრონნი არიან. კოპალას და იახსარის საყმოს სამხედრო ხერხისა და ეშმაკობის გარეშე გაუჭირდება მათთან შებმა. ამავე დროს იახსარისა და კოპალას მოძმე ხთიშვილთა — შებნურის, ხმალას, პირქუშისა და სხვათა დახმარება ესაჭიროებათ, რომ აღარაფერი ვთქვათ კვირიაზე, რომელიც დიდი მორიგის მექანიზმი.

როდესაც კოპალას იარაღი უფუჭდება, იგი პირქუშთან მიღის დახმარების სათხოვნელად. პირქუში ეხმარება მას იორზე დევთა განადგურებაში. ასევე ეხმარება პირქუში წყაროსთაულსაც, უკანაფშავში დევთა ამოწყვეტასა და მათ ნასადგურალზე დამკვიდრებაში. იგი იარაღსაც უკეთებს მას და ბრძოლაშიც თან ახლავს. იორზე, ვერხველის დევთა განადგურებისას კოპალას ხმალა გასძმობილებია, საღაც ეს უკანასკნელი ერთ მეტად ლამაზ დევთის ქალს მოუხიბლავს და კოპალასათვის მისი ცოცხლად გაშვებაც კი უთხოვნია. კოპალას მისი მუდარა არ შეუწყნარებია და დევთა მზეთუნახავიც სხვა დევებისათვის მიუყოლებია.

საყურადღებოა, რომ იგივე მოტივი მეორდება იახსართან დაკავშირებითაც, რომელიც მსგავსად ხმალასი, დევის ქალის სილამაზეს დაუტყვევებია: „მათურხევ სცოდნია კრება ხთიშვილთა, — გვიამბობს მთხრობელი იმედა ხოშურაული (ს. ხოშარა, 1964 წ.)— ხატია მანდა ღამასტე მარიამი. ეგ დარ-ავდართ უფროსია. მანდა სცოდნია კრება ფშავის ხევის ხთიშვილთა. წასულან სალაშქროდ... იახსარის მირგებია ცოდვიან ტბაზე წასვლა. დევები ყოფილან იქა. ყველა დაბრუნებულა და იაქსარი არ მოსულა ლაშქრობიდანა. მემრე მისულა დავვიანებითა. უკითხავ: სად იყავით, იმას უთქვამ — ქალ ამოიდა ტბაშითაო, ისეთ მშვენიერ იყოო, სამჯერ გადაუდევ ისარიო და ვერ ვესროლეო, ვერ გავიქჩერეო. მემრე საყვედლურ მიუცავ ხთიშვილთა, რატო არაო, ის ხო ეშმაკისა იყოო“ და სხვა.

ბრძოლებში, რომელთაც კოპალა და იახსარი ხელმძღვანელობდნენ, როგორც ითქვა, სხვა ღვთიშვილებიც იღებდნენ მონაწილეობას და მტერი საერთო ძალებით განუდევნიათ. ბრძოლების ძირითადი წამყვანი კი იახსარ-კოპალას ყმები ყოფილან.

იმ პერიოდში, როდესაც დევთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დაწყებულა, დევები რომ საკმაოდ ძლიერ ძალას წარმო-

აღგენდნენ, ჩანს შემდეგიდანაც: როდესაც იახსარი პირველად გაემართა დევთა შესამუსრავად, იმ დროს მისულა, როდესაც დევბას ქორწილი ჰქონიათ. იახსარს საკვამიდან ჩაუხედია. და თავზარი დასცემია. შემკრთალს ვერ გაუბედავს ლახტის სროლა და უკანვე გამობრუნებულა. როდესაც ხთის კარს მიახლოვებია, — გაუგონია, რომ ღვთიშვილები მის შესახებ ბაასობდნენ — ნეტავ რას იზამს იახსარი, გაიმარჯვებს თუ შერცხვენილი დაბრუნდებაო. იახსარს შერცხვენია გაწმილებული მისვლა, დაბრუნებულა უკან და პირდაპირ კი არ ჰქვეთებია, არამედ საკვამიდან უსროლია ლახტი დევებისათვის.

სხვადასხვა ვარიანტის მიხედვით, ბრძოლის ერთმანეთისაგან განსხვავებული ეპიზოდები იჩენს თავს, რაც იმაზე უნდა მიუთოთებდეს, რომ დევების განდევნა ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა.

ციხე-გორს დარბეული დევები გარბიან და მაღაროსკარის ზემოთ, კართანაში მაგრდებიან, არაგვს აგუბებენ და მტრის მოხრიბას ლამობენ. როშკის გორზე ამოწყვეტილი დევების რაღალდედამთილი გაქცევას ვერ ასწრებს და იქვე იმაღება. ერთი დევი კი აბუდელაურის, ზოგი ვარიანტით წაწადის ტბაში ვარდება, სადაც იახსარიც მიჰყვება მას. ქუშევში კოპალა დევთა მიერ მოკვეთილ დევს დაუმეგობრდება, „სანგალს“ ააგებინებს (ჩასასაფრებელი აღგილი). მისგან შეიტყობს როდის უფრო ხელსაყრელია დევებზე თავდასხმა და შემდეგ ულეტს მათ. იახსარი საპარავის ყელში უკრავს გზას ივრელ დევთა ფალავან მუზას და იქვე კლავს. იგივე იახსარი ავისგორზე დევებს ჯერ სახლს დაუქცევს და შემდეგ დახოცავს და სხვა.

გუდამაყარში ს. საკერპოში მოსახლე დევები ფუძის ანგელოზს იმავე იახსრისა და კოპალს დახმარებით გაუქვებია: „ესენი (დევები) ხალხივით იყვნენ; ხალხივით მცხოვრებნი. იცოდა ხალხმა, რო ისენ დევები იყვნენ და ყველას ეშინოდა. მემრე რო არ უშეია ხალხი, კოპალე ფუძის ანგელოზს მიუწვევია. ეგენ ძმანია კოპალე, ფუძის ანგელოზი და იაქსარი კიდევ. ფხიტურზე შაყრილან ის ხატები, ფუძის ანგელოზს უთქომ: მე ჩაგალ ეხლა საკერპოსას იმ დევებთანაო, თქვენ აქ მამიცადეთო და თუ გამიჭირდა, მამეშველენითო. რამდენიმაცა დრო დაუნიშნია. არ გადასულა იმ დრომდინა და დაუქოცია ფუძის ანგელოზს ლახტით. მემრე როცა შაჰვიანე-



ბია, წისულან და შაპურიან გზაში ფუძის ანგელოზს იაქსარეკა მომავალი კოპალი. ეხლა იმ ადგილას ხატიონს დაასვენებენ, დროშებს დჟუტებით ნებენ, ქადებსა სერვენ, ხატს ადიდებენ.

სასადილოს ეძახიან იმ ადგილს“ (პავლე აბრამის ძე წიკლაური, 71 წლ., ს. მაქართა. 14. VII—1963 წ.).

ს. თვარელაანთის მცხოვრების 68 წლის ნიკო ივანეს ძე ბექა-ურის მასალის მიხედვით (ჩაწერილია 1963 წ.), დევების ამოსა-წყვეტად, რომლებიც აზიანებდნენ მოსახლეობას, „შაიყარა მემრე ხთიშვილები, ფუძის ანგელოზმა მაიწვია. დევენეს და გაწყვიტეს ისენი. გზა მიეცა ხალხსა. თვითონაც საცა ბძანდება იქ დევების ნასახლარია. იაქსარმა უთხრა: ეხლა ამაში შენ დადეგ, თორე ისევ გათესლდებიან (დევებით), დაბინავდა ესეც (ფუძის ანგელოზი)“.

გარდა იმისა, რომ დევთა განდევნასთან დაკავშირებული ბრძოლების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გარკვეული ნაწილის ტერიტორიიდან მტრულად განწყობილი მოსახლეობის განდევნის პროცესს, იგი აგრეთვე ამ ბრძოლათა მარშრუტებისა და პუნქტების დაგენის შესაძლებლობასაც იძლევა. ასეთად ისახება: პირაქეთ ხევასურეთში რომელის გორიდან აბულელაურის ტბამდე მთელი ხეობა. უკანასოს ხეობა გუდამყრის ს. საკერპომდე, ციხე-გორიდან კოპალას ქვამდე და მიგრიაულთ გორი — ფშავის არაგვის ხეობა; აგრეთვე უკანაფშავი, შუაფხო, საპარავის ყელი არაგვის ფშავიდან ივრისაკენ გადასავალ მთაზე, ივრის ხეობის ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები: ბეღელთანა, ქუშხევი, ვერხველი, იხინჭა. ამ პუნქტების დასახლება თქმულებებში, გვეხმარება დევთა საცხოვრისი ტერიტორიის განსაზღვრაშიც.

ამასთან ერთად, ამ ბრძოლის ცალკეულ მომენტებზე დაკვირვებასამეღავნებს იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგომ სამხედრო ხელოვნებას, საბრძოლო ტაქტიკას. როდესაც მორიგეომერთმა იახსარსა და კოპალას დევ-კერპთა ამოწყვეტის თაოსნობა დააკისრა, მათ თავიანთი მოქმედება საკმაოდ მოხერხებულად დაიწყეს. ბრძოლის წინ იახსარი და კოპალა თათბირობენ; კვინადან დევები საქმაოდ ძლიერნი და ამდენად ძნელად დასამარცხებელნა არიან, საჭირო აღმოჩნდა მათი ძალების შესუსტება. შეჯიბრზე არ უნდა იქნას დაშვებული დევთა ფალავანი მუზა. ეს საქმე იახსარმა ითავა და საშიშარ მოწინააღმდეგეს საპარავის ყელში გზა შეუკრა.



საყუჩი გაიკეთა, საიდანაც ლახტით მოქლა შეჯიბრზე მომავალი და ლავანი. ასეთივე საყუჩი აქვს მას ნინახში, საიდანაც გამტკურობა დევს ამარცხებს.

როდესაც კოპალა დევთა ძებნაში აწინდელი ქუშევის ტერიტორიაზე დევთა სოფელს წასწყდომია და მის რეალობაში ნამდვილად დარწმუნებულა, „მოუკლია მთა-მთა დასავლეთისაკენ და გადასულა კოპალას ხატის პირდაპირ, დასავლეთის მხარეს აღმართულ მთაზე, რომელსაც „საყუჩია“ ეწოდება. აქ კოპალას სანგალი აუგია და იქიდან დევებისათვის ლახტი უსროლია“<sup>29</sup>.

სანგლებისა და საყუჩების გამოყენება ხშირად გვხვდება იახსარ-კოპალას მიერ დევების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლების დროს. ისინი გონივრულად იყენებენ შემთხვევას, დევებისაგან შეურაცხყოფილი დევის დამეგობრებისაგან უკან არ იხევენ და ამ მეგობრობის წყალობით სათანადო ცნობებს იღებენ. ისინი ეშმაკობასაც მიმართავენ მოწინააღმდეგის დამარცხების მიზნით. მოვიგონოთ ზემოთ მოყვანილი მასალა — შეჯიბრის დროს კოპალისათვის კვირისა მიერ ჩუმად დახმარების შესახებ.

როგორც ვხედავთ, მტრის დასამარტინებლად ფიზიკურ ძალასთან ერთად სხვადასხვა ხერხია გამოყენებული.

საბრძოლო იარაღებიდან თქმულებებში დასახელებულია ლახტი, მშვილდ-ისარი, ქვა (როდესაც იახსარმა დევებს კარისთავის შედებაზე უშველა, შემდეგ ის ქვა მათვე ესროლა და რამდენიმე გაულიტა); ✓

რომ მართლაც გარკვეულ ეპოქაში, დევ-ქერპების სახელს ამოფარებულ ხალხს, ფშაველ-ხევსურთა წინაპრები ნამდვილად ებრძოდნენ და ბოლოს სძლიერ კიდევაც, ამას უნდა დასტურებდეს ერთი მისტერია, რომელიც, როგორც უკვე ცნობილია<sup>30</sup>, იახსრის ყმათა მიერ სრულდებოდა. ექვს-შვიდ წელში ერთხელ შუაფხოს ხატის იახსარის თავ-მორიგენი შემოუთვლიდნენ ხევსურეთში მოსახლე იახსარის ყმებს: — „შუაფხოს ხატ იწევსავ, წამავასავ ნამდივლ აუცილებლადავ. ჩვენ ლუდს გვინდოდ მახარშვა... ამაღლებაში დაგვიბარებდეს, მაში მაგვინვიდითავ“. შემდეგ წთისო ადიას ქე

29 ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველები (დლიური), 1940, ვვ. 97.

30 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ქადაგობა ხევსურეთში), თბ., 1954.

ქისტაური მოგვითხრობს, თუ როგორ „დაძებნიღნენ განსაზღვრული დროისათვის იახსრის ყმანი ოთხრქა, ოთხ-ურა ცხვარს: „ გვინდოდ თოხრქას, სადაც იქნებოდ. ვიშვიღით საცინდ ყოფილიყვ. ვიყიდდით“. იახსარის ხევისბერი ხატით ხელში პროცესიას გაუძღვებოდა და ხევსურეთისაკენ გაემართებოდნენ. ეს ხატი ხთისო ქისტაურის აღწერილობით შემდეგნაირი იყო: „ხატს საბძანისა გაკეთებული ხეონდა და (შიგ) ბრუნევდ, იმას ლახტ ხეონდ, ოქროს შიბით შამბული ხეონდ, გაღმართის სწორად ლახტი (სატყავე ნემსა რო ას, იმოდენ იყვ), მეგრ შამაბრუნდისა, რაჭკნ გაიღნის ამ მჯარზე“.

სადაც კი იახსარის ნიშნები იყო ხევსურეთის სოფლებში (ლულს, ქმოსტში, ლელისვაკეში), ყველგან ხვდებოდნენ და თან შისდევდნენ თოფ-იარალით აღჭურვილი ახალგაზრდები. მივიღოდნენ თუ არა ტბასთან, ხევისბერი ტბაში ჩასვარდნად გაიწევდა ქალაგობით და თანაც ისე ძლიერად, რომ შვიდი-რვა კაცი ძლივს ამაგრებდა. დანარჩენები კი ტბას თოფებს დაუშენდნენ. ამის შემდეგ საკლავს დაკლავდნენ, რომელიც ს. შუაფხოს იახსრის ხევისბერ ბიჭურ ბაღრიშვილის თქმით, ლელისვაკელებს ბეგრად ედვათ და უკან წამოვიდოდნენ. ყველგან უთევდნენ იახსარს ღამეს, სადაც მისი ნიში იყო და კვლავ შუაფხოში ჩამოვიდოდნენ. ეს პროცესია იმ გზით მიემართებოდა, რომელიც გაღმოცემის თანახმად იახსარს გაუვლია დევებთან ბრძოლის დროს. ამ მისტერიაში ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს შორეულ წარსულში მომხდარი ბრძოლის ინსცენირებასთან. ხოლო ყოფაში წესად დამკვიდრებული ხსენებული ტრადიცია ამ მისტერიის თავდაპირველ, რეალურ საფუძველზე აღმოცენებაზე უნდა მიუთითებდეს, რომელიც რელიგიურმა რიტუალმა შემოვვინახა. როგორც ჩანს, იგი იმ მბების ანარეკლია, რომელსაც სინამდვილეში ჰქონდა აღგილი.

კოპალამ და იახსარმა დევთა სოფლები ააოხრეს, დევები ამოწყვიტეს და განდევნებს, მათ ნასაღვომარს კი თვითონ დაეპატრონენ. „რაღან კოპალის დევები ამოუწყვეტია, ხალხს მის პატივსაცემად დევების ნამოსახლარზე „კოპალას ხატი“ დაუფუძნებიაო“. უამბობენ ვ. ბარდაველიძეს ქუშხეველი მთხობლები<sup>31</sup>.

ეს საყურადღებო გარემოებაა; იქ, სადაც ე. წ. დევთა ნასოფლარებში კოპალასა თუ იახსრის სამლოცველოებია მოთავსებული,

31 ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

  
როგორც ზემოთ უკვე მივუთითებდით, მართლაც მოზრდილ, კეტშუა  
ანად ნაშენ ნასოფლარებთან გვაქვს საქმე. ხატი შიგ ნასოფლარების  
მოთავსებული. ნიშნადობლივია ის გარემოებაც, რომ ხატის ნაგე-  
ბობათა შენების ტექნიკა განსხვავებულია ნასოფლარის ნაგე-  
ბობებისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სარწმუნოების თანა-  
ხმად, ხატი მისი ყმების საცხოვრებელი ადგილიდან საგრძნობლად  
გამოცალევებული უნდა ყოფილიყო. მის მიღამოში მირეული, —  
„დედათწესიანი“ ქალი ვერ გაივლიდა. ხატის მსახურნი სოფლის  
შარას ერიდებოდნენ, საქონლისა და ქალების ნავალ გზაზე სიარუ-  
ლი ეკრძალებოდათ. თუ არ „მოწმიდარი“ პირის სახლისა, ისინი  
ვერავისთან შევიდოდნენ, ხატის სიწმინდეს ვერ შებლალავდნენ,  
ხატის მხარეს სარქმლის ამოღებასაც კი გაურბოდნენ, არც სინათ-  
ლეს მიაშუქებდნენ ხატისაკენ. აქ კი თვითონ ხატია ნამდვილ სო-  
ფლში ჩამჭდარი. ეს გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ  
ნასოფლარი აწინდელ მის მკვიდრთა თუ მათ წინაპართ არ ეკუთ-  
ვნოდათ იგი უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე მასში ჩასახლე-  
ბული იახსარ-კოპალას ჯვარ-ხატები. თუ ესი იყო თავდა-  
პირველად ეს ნასოფლარები, ეს საკვლევი საკითხია, რომელსაც  
შეოლოდ ეთნოგრაფი ვერ გადაწყვეტს, მაგრამ ერთი კი ჟდავოა,  
რომ ეს ნამოსახლარები ეთნიკურად განსხვავებული ხალხის კუთვ-  
ნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც რწმენის ობიექტებითაც გან-  
სხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელებისა-  
გან. აქ სხვისი სამკვიდრო ჩანს, რომელზედაც უნდა გაბატონებუ-  
ლიყო მისგან განსხვავებული ეთნიკური ფენა. თუ რატომაა, რომ  
ხატები პირდაპირ ნასოფლარშია დაარსებული, შეიძლება ამაზე  
პასუხი გასცეს შემდეგმა გარემოებამ; დღევანდლამდე შემორჩენი-  
ლი რელიგიური შეხედულების თანახმად, ავსულებთან მებრძოლ  
ღვთაებებად იახსარი და კოპალი ითელებინ. თვლიდნენ რა ფსიქი-  
ური ხასიათის დაავადებებს ავსულების, ეშმაქებისა და სხვა მსგავს  
ზებუნებრივ არსებათა საქმედ, სულით ავადმყოფის მკურნალობას  
ხსენებული ღვთაებების ძალით აწარმოებდნენ; ამ ხატების დროშით  
ავადმყოფს „კოჭავდნენ“, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: სათანა-  
დო მსხვერპლის შეწირვისა და რიტუალური მხარის შესრულების  
შემდეგ, ხევისბერი (ხუცესი) ავადმყოფს ხატის დროშას თავზე  
დაბჯენდა-დაკოჭავდა. ე. ი. ღვთაება ავადმყოფზე კოჭს მოიკიდებ-



და, რაც ავადმყოფში მისი ძალის დასადგურებისა და ამის შედეგზე მავნის გამოდევნის საწინდარი იყო<sup>32</sup>.

როდესაც გამარჯვებული მხარის ღვთაება დამარცხებულთა სოფელში ჭდება, იგი აქაც ასევე „იყიდებს კოჭს“; დევნის მას თავისი ძალით და მის ნასადგურალს ეპატრონება. მის სამყოფს შლის და თვითონ არსდება, როგორც გამარჯვების სიმბოლო.

ჯვარ-ხატების სახელით დალაშქრისა თუ სასურველი ტერიტორიის ხელში ჩაგდების მიზნით ამ ტერიტორიის მკვიდრთა აყრა-ამოწყვეტის უამრავი ფაქტია დადგენილი ფშავ-ხევსურეთის ყოფაში, რასაც განსაკუთრებით ფართო ადგილი ეჭირა ეთნიკურად განსხვავებულ ხალხთა მიმართ ჩვენ მოგვეპოვება მასალა უშუალოდ კარატის ჯვარზე, რომელმაც დაარსებისთანავე თავისი ტერიტორიიდან ამოწყვეტია იქ მანამდე მოსახლე სოფლები, როგორც ამას გადმოცემა ადასტურებს. როდესაც ციდან შიბისა და ხატის (ჯვრის) საწინ ჩამოსული კარატის ჯვარი ბულალურმა ბიჭმა და ლიქოკელმა მწყემსმა გოგონამ გაინაწილეს, რაზედაც ეს ღვთაება დაარსდა, შემდეგში ეს ქალი ამ ხატის თანამგზავრი, მისი „მექადრე“ გამხდარია: „ხალხს არ უყენებავ ი ქალი, — გვიამბობს მოხრობელი წიქა ლიქოკელი, — ეს ვინ ასავ, ეგ რას ავლევსავ, რაი-ავ!.. ის ხალხ სრუ დაულევავ (ხატს). ხატთ ერთკე ჰეტკოელნ ყოფილან, — გაუთავებიან, მეორენ კვათიაონნი, ბაციონნი, მარნეულნი. იმათ ხატში სიარულის ნება არ უძლევავ ქალისადად ხატისად, ეეხლად იმათ მამულებ კოპალას უჭერავ, ხატს“<sup>33</sup>.

ამ ცნობის თანახმად, ლიქოკის ხეობაში კარატის ჯვარის გვიანდელ სამფლობელოში ადრე ისეთი ხალხი ბინადრობდა, რომელიც ამ ღვთაებასა და მის მკაფიოების არაფრად აგდებდა და ავიწროვებდა. ე. ი. სარწმუნოებრივად თუ ეთნიკურად განსხვავებული იყვნენ. დასახელებული გვარებისა თუ სოფლებისათვის (ბაცე ნასოფლარია ლიქოკის ხეობაში) რომ კოპალა სასურველი, მისაღები ღვთაება ყოფილიყო. იგი მათ არც ამოწყვეტდა და არც იმათ მამულებს დაეპატრონებოდა ხევსურული რელიგიური რწმენის თანახმად.

32 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 23. 111.

33 თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრ., გვ. 60.



მსგავსი შემთხვევები, როგორც უკვე მივუთითებდით, მაგრამ დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. დევ-კერძების წოდებული ხალხის ამოწყვეტა და მათი კუთვნილი ტერიტორიის დაპატრონება, ამ მხრივ სავსებით კანონზომიერი მოვლენა ჩანს და იგი ქართველ მთიელთა ყოფის დამახასიათებელ მხარედ უნდა მივიჩნიოთ.

დევ-კერძთა და ღვთიშვილების ბრძოლასთან დაკავშირებით ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამ ბრძოლებში მონაწილეობას იღებენ მოძმე ღვთაებები, ამავე დროს ღვთაებები, რომლებიც ერთი და იგივე სახელწოდებით ფშაველთა სალოცავებსაც წარმოადგენენ). მაგ. პირქვში ხევ-სურეთშიც არსებობს და მას ფშავშიც ლოცულობენ, ასევე, იახ-სარ-კოპალის სალოცავები ერთსა და იმავე დროს ფშავშიც გვეცდება და ხევსურეთშიც. სხვა მიზეზთა შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ერთი და იმავე ხატის არსებობა სხვადასხვა კუთხე-ში (გადასახლებულთა მიერ თავისი ხატის „თან წაყვინა“, დაპყრობილ ტერიტორიაზე გამარჯვებულთა სალოცავის დაარსება, სხვა-გნიდან ხატის მოყვანა გარკვეული მიზეზის გამო და ა. შ.), ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს იმ დროის ამბავ-თან, როდესაც შემდეგში ცალ-ცალკე უშავისა და ხევსურეთის სახელწოდებით ცნობილი კუთხეები, ყერ კიდევ ერთიან, გაუყო-ფელ ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენდა, და ფხოვის სახელით იყო ცნობილი. ამ დროისათვის უნდა ვივარაუდოთ საერთო ფხო-ური ხატების არსებობა, რომელთაც ფხოელნი თანაბრად ემსახუ-რებოდნენ. ხოლო ის ფაქტი, რომ გადმოცემაში შემონახულია სწორედ ამ ხატების სახელები, ძველი ერთიანობისა და საერთო მტერთან ერთსულოვანი ბრძოლის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ დევებთან ბრძოლის პუნქტები ფშა-ვისა და ხევსურეთის ტერიტორიაზე თანაბრადაა გადმოცემაში მოხსენიებული. მთიანეთის ამ ორი კუთხის კუთვნილ აღგალებში მიმდინარეობს ბრძოლა, რომლის მეთაურებადაც საერთო ხატები გველინებიან.

\*

\* \*

ვიდრე შევეხებოდეთ საკითხს, თუ რომელი ეთნიკური ფე-ნი უნდა ივარაუდებოდეს დევ-კერძების სახელქვეშ, დაგვჭირდე-



ბა ზოგიერთი სხვა გადმოცემის გათვალისწინებაც, რომლებზეც აფასდეთ ეს მოვალეობა მსჯელობა. ამჯერად კი გვინდა ყურადღება გავა-  
მახვილოთ ჩვენამდე მოღწეული გადმოცემის ფორმის საკითხებზე.

გადმოცემა შემონახულია როგორც პოეტური, ისე პროზაული  
სახით, როდესაც მთხოვობელი ამ თქმულებას გვიამბობს, იგი პრო-ზაულ მონათხოვბს ლექსით ამაგრებს, რაც მისი რწმენით, გადმო-ცემის ჭეშმარიტების საბუთია. განსაკუთრებულ ინტერესს ამ შემ-თხვევაში ჩვენთვის პოეტური ვარიანტები იმსახურებს, ვინაიდან  
იქ ნაკლები შესაძლებლობაა მთქმელის მიერ ტექსტის შეცვლისა  
ვიდრე უშუალოდ ამ პოეტურ ვარიანტებს განვიხილავდეთ, გვინდა  
ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ლექსი ფშავსა  
და ხევსურეთში მხოლოდ პოეტური აღმაფრენის დაკმაყოფილების  
გამო ნაკლებად იქმნება. მაგი ხალხის ყოფის ორგანული ნაწილია,  
რომელიც მისი ცალკეული შარებიდან იღებს დასაბამსაც ცოცხალ,  
რეალურ ვითარებაზე დაყრდნობით შოლექსე ქმნის თავის შე-  
მოქმედების ნიმუშებს. ამ ლექსებში ან რეალურად მომხდარი  
ბრძოლის ამბავია ასახული, ან „მათვამი“ თავისი ცხოვრების სა-  
ჭირბოროტო საკითხებს ეხება, ან საჩქმეუნოებრივ მომენტს უდებს  
მას საფუძვლად და ა. შ. ეს გარემოება მეტ ღირებულებას ანიჭებს  
გალექსილ გადმოცემებსაც, როგორც რეალური ვითარების მეტ-  
ნაკლებად ამსახველს. გადმოცემის პროზაული ვარიანტი შეიძლება  
თვითონ გახდეს გალექსვის ობიექტი, რისი მაგალითები ხალხურ  
ზეპირსიტყვიერებაში საკმაოდ მოწმდება.

ჩვენ არ მოვიტანთ ყველა სათანადო გალექსილ მასალას. შე-  
ვეხებით მხოლოდ ძირითად ვარიანტებს, რომლებიც არსებითად  
ორი წყებისაა: 1. იახსრის ლევებთან შებრძოლება და მათი ამოწ-  
ყვეტის ამბები; 2. კოპალას მიერ ჩადენილი საგმირო საქმეები  
ლევ-კერპებთან ბრძოლის დროს.

პირველი მათგანის ერთ-ერთი სრულყოფილი ვარიანტი შემდეგია:

„ხთისეარზე შავიყარენით ანგელოზები თაეშია,  
გადმოდგეს სასწორ-ჩარექი, კვირავ დაუგი თვალია.  
ეზიდებიან იმასა, ვინც რო ძალიანია.

ჩვე-ჩვე ბოლოსკე მე ვზიგარ, ყველას ჩემზე აქვ თვალია,  
ერთმანეთს ეუბნებიან: „აიღებს იაქსრია“.

ავსწიე საწონ-ჩარექისა, — ღმერთო, შენგანა ძალია.  
ხუთი მავსთხოვე კვირასა, გარმამიმეტა სამია.

სამოც ლიტრასა რეინასა ძირს გაუყარენ ქარნია.  
 დევებს ხეონია ქორწილი, უჩევეფავ სიმურ-წყალია,  
 ცხრა-თავ ხევანია ღედია, ცხრა შეილთ გამზდელი ქალია,  
 სალუდე ქვაბი თავს ეცვა, ამიან შამდევა ზარია.  
 დაებრუნდი უკან, ამბობდეს: „შაშინდა იაქსარია“.  
 მაშინ კი გადაუფრინდი, გამაუცვალე ქამია.  
 ლახტი ვესრიე საქმიდან, ზე გამავხურე ბანია.  
 ერთ კიდევ გამამიერდა, არ მიუბრუნე თავია,  
 საგმირო წამავიმალლე, კლდეს მააფარა ტანია,  
 კლდე ოთხად დაგანაფორე, დევს წამავსოთხარე თვალია,  
 ქარგა სცოდნიან მაგასა აბულელაურ ტბანია.  
 წავიდად იქ ჩიმეხევეწა, თან ჩავხყევ იაქსარია.  
 იქიდან ვეღარ ამავე, სისხლმა გამიბნა შეარნია...  
 ჩავხენე, ჩემ ნაჯდომშია ჭრელად მამრჩალიან ქვანია.  
 ამანდით კარატემდინა შიბ თოვზე გასვალია.  
 ეგ აგრე გამავიარე, არეინ მამკიდას თვალია.  
 ავის გორს ციხეს აგებენ ჩვენს ძირა ცხრანი ძმანია,  
 ცხრანივ ქვს ეზიდებიან, კარავს ვერ შასლდეს თავია.  
 მე კი მარტუმმ ავილი, შაულდე კარის თავია.  
 ერთმანეთს ეუბნებიან: „ეს ჩვენზე ძალიანია“.  
 შაიყრებიან დევებბ, საცა დიდ მიედანია,  
 გაარიგებენ იმასა: „ერთუცს უჭირათ მქარია,  
 ხოზშეილთ კოპლა მაუკლათ, თავში დაუცნათ ქვანია.  
 შვადის წლის ბალლი მავიდა, ეგ შავგვრემალა არია!  
 ჟელჩი უჭერავ მთრაქი, შეიდეცად შვიდი მქარია,  
 შემრე შეიდისწლის გოგო, ეგ თამარ დედუფალია.  
 ქიჩილა გადაისურა, გადააყენა ზღვანია.  
 შეა ზღვას ჩაღვა სამანი, არ გარმავარდეს ცვარია.  
 ლაშარის გორზე დაბდანდ ლალი ლაშარის ჭვარია.  
 პირდაპირ ჩამაუჯდების ქალ თამარ დედუფალია“<sup>34</sup>.

ლექსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მის ძირითად ტექსტში  
 დამატებულია როგორც ახალი, ასევე სახეცვლილია თავდაპირველი  
 ფორმაც. ლექსის პირველ ნაწილში, სადაც თხრობა ეხება ხთი-  
 შეილთა კრუბას, ამბავი გაბმით მიმდინარეობს: ლვთიშვილთა შე-  
 ჯიბრში იახსარი იმარჯვებს — საგმიროს მას მიულოცავს მორი-  
 გე ღმერთი. ამის შემდეგ იგი ღევთა ამოსაწყვეტად მიემგზავრება.  
 შეესწრება დევების ქორწილს და შემკრთალი უკან ბრუნდება.  
 შერცვება, რომ ლვთისშვილებმა არ შეიტყონ მისი შიშის ამბავი,

<sup>34</sup> ა. შანიძე, დასახ. კრებული, გვ. 223—244.



უკანეე შიდის და დევებს ამოწყვეტს. ერთი დევი გაიქცევა ამ აბულელაურის ტბაში ჩაძრება და ა. შ. ეს არის ლექსის ერთი ნაწილი. მეორეში საუბარია ავის-გორს დევთა მიერ ციხის აგებაზე. პროზაული გადმოცემიდან ვიცით, რომ იახარმა ჯერ კარის თავის შედებაში უშველა დევებს, ხოლო შემდეგ თავის ძლიერებაში დარწმუნებული, დაერია მათ და ამოწყვიტა. ლექსში თხრობა მეტად მჭიდროა, ნათქვამია, რომ ცხრა დევი ცდილობდა ქვის აღებას და ვერ ძრავდნენ. იახარმა კი მარტოკამ აწია ეს ქვა და კარის თავად დადო, რაზედაც დევები „ერთმანეთს ეუბნებიან: „ეს ჩვენზე ძალიანია“. ამით თავდება საუბარი ამ ეპიზოდის შესახებ. ზოგიერთ ვარიანტში ამ თემაზე მხოლოდ ერთი სტრიქონი გვხვდება: „ავისგორ ციხეს აგებენ, გავხენე, ცხრანი ძმანია“. ამბის დაუსრულებლობა, რაც არაა დამახასიათებელი მთაში ეპიკური ლექსი-სათვის და სხვადასხვა ვარიანტებში დადასტურებულ სტრიქონთა რაოდენობრივი არათანატოლობა, გვავარაუდებინებს ამ ამბის გალექსილი ნაწილის დაკარგვას.

ლექსის მესამე ნაწილში საუბარია დევთა ყრილობის შესახებ. სადაც დაადგენენ, რომ „ხთიშვილთა კოპალა მაუკლავთ, თავში დაუცნათ ქვანია!“ ეს ამბავიც მეტად შექვეცილადაა წარმოდგენილი. შესაძლებელია აქ გალექსილი ყოფილიყო დევებისა და კოპალას ქვის სროლაში შეჯიბრის მომენტი, მაგრამ იგი არცერთ ვარიანტში არ ჩანს. ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ერთერთ ტექსტში, ჩვენ მიერ განხილული ლექსის სამ სტრიქონს, სადაც საუბარი იმით თავდება, რომ დევებმა კოპალას მოკვლა გადაწყვიტეს, სამი სტრიქონი კიდევ ემატება:

„ჩამერია კოპალა, ბატქნებურ გასჭრა თავია,  
საყაპეს წმიდა გიორგი ყველაზე მეომარია,  
ოუ დევებს ჩამერია, ვით მიგათი ბრალია“<sup>35</sup>.

როგორც აღვნიშნავდით, მთის პოეზიისათვის დამახასიათებელია ლექსში ამბის დასრულებული სახით წარმოდგენა. აქ კი მითითებაა მხოლოდ ამბის დასაწყისზე. მისი დასსარული ან საერთოდ არ ჩანს, ან მოკვეცილად, მოკრილად არის წარმოდგენილი, რაც

<sup>35</sup> ა. შანიძე, დასახ. კრებული, გვ. 581—582.

მიუთითებს, რომ ამ ეპიზოდის გარკვეული გალექსილი ნაწილი ნაწილი-  
თა განმავლობაში დაკარგულა.

~~შემდეგ~~ საუბარია ლაშარის ჭვარსა და თამარ დედოფალზე,  
რაც ჩვენ ამ ლექსის ორგანულ ნაწილად არ მიგვაჩნია. იგი მას  
დღოთა განმავლობაში უნდა ჰქონდეს დამატებული გარკვეული  
მიზეზის წყალობით. ვ. ბარდაველიძის „ივრის ფშაველებში“ გა-  
მოქვეყნებულია „ფერჯისულის“ ტექსტი:

„სახელით გამარჯვებული  
თამარი დედოფალია!  
ზღვასა გადაქრა ქიჩილა  
გადაქანნა ზღვანია,  
შუა ზღვას ჩადგა სამანი,  
სამანი რეინის სარია.  
ქმედეთი ჩვენენ დაიგდო,  
— ლმერთო მიმრაცლე ყმანია!  
ქრისტიანთ სალოცავდა  
თვითო(6) ქმელ გორზე შძანია.  
პირდაპირ უდგა გორზედა  
ლალი ლაშარის ჭვარია“ და სხვ. 36.

თუ ამ ფერჯისულს შევუდარებთ განსახილველი ლექსის სტრი-  
ქონებს, მათ შორის დიდ მსგავსებას ვნახავთ:

„ლაშარის გორზე დაბძანდა ლალი ლაშარის ჭვარიო,  
პირდაპირ ჩამოუყენეს ე თამარ დედოფალიო,  
ქიჩილა გადაიხურა, გადააყენნა ზღვანიო,  
შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გადმავარდას ნამიო.“

სხვა ვარიანტების მიხედვით მას შემდეგი სტრიქონებიც ერ-  
თვის:

„კლდეზე გამართა ქალაქი, შააბა რეინის კარიო,  
შიგ ააშენა სიონი, დაადგა ოქროს ჭვარიო,  
სახელი თამარ-მეფისა, ზედ დააშერა გვარია,  
ურჯულოთი და თათართი ყველას საჩრდენომც არია.“

როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად შეცვ-  
ლილი სახით ფერჯისულის სტრიქონები.

36 ვ. ბარდაველი, ივრის ფშაველებში, გვ. 132.

თამარის მიერ ზღვაში სამნის ჩადგმის მომენტი გვხვდება  
საქმიოდ პოპულარულ ხალხურ ლექსშიც:

„შუა ზღვას ჩავდგი სამანი,  
ხმელეთი ჩემსკენ მოვიღე“...

რაც მათ ურთიერთ კავშირსა და გავლენაზე მეტყველებს.

ამგვარად, ზემოთ განხილული ადგილი თამარ მეფესთან და-კავშირებით, იაქსრის შესახებ არსებულ ლექსში შემდეგ შეტანილი ჩანს. ამის მიხეზად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ სხვა საფერხისო სიმღერებთან ერთად ჩვენი განხილვის ობიექტიც დღესასწაულების, კერძოდ სერობა-ათენგენობის დროს, როგორც საფერხისო სიმღერა ისე სრულდებოდა. ასეთ სიმღერებში კი ჩვეულებრივი იყო სხვადასხვა ღვთიშვილთა შესახებ არსებული ლექსების მიყოლება. ყოველივე ამის შედეგად სიუჟეტურად სხვადასხვა სიმღერები ერთმანეთს უკავშირდებოდა და ერთ მთლიან ტექსტად იქცეოდა. ასეთი გვიანი ხანის შენატანად გამოიყურება სხვა ვარიანტებში არსებული ლექსის ბოლო სტრიქონებიც:

„აგის გოჩ შამიკიდოდით ჩემი პატარა ზარია,  
დაკრა, ქმა აქადს გავიდეს, გამოისახონ ჭვარია,  
რომ დადგენ ლოცვა-წირვაზე ჩემის პირქუშის ყმანაა,  
მიღულეთ სალუდე ქობი, ყმანო გეწეროსთ ჭვარია“.

ეს სტრიქონები მიუთითებს იახსრისა და პირქუშის ურ-თიერთ კავშირზედაც. იგი, როგორც აღნიშნეთ, ცალკე, მოკვეცილად, საერთო ტექსტთან კავშირის გარეშეა მიბმული ლექსის ძირითად ნაწილთან, რაც მეტყველებს ან მის ცალკე წარმოშობაზე, ანდა ფრაგმენტია შედარებით უფრო სრულად გალექსილი ვარიანტისა.

როგორც მოტანილი მასალა მიუთითებს, იახსრისა და დევთა ბრძოლის ამსახველი ლექსის ნაწილები დროთა განმავლობაში დაკარგულა. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად იგი ვრცელი სახისა იყო.

ჩვენამდე მოღწეული ვარიანტები კი ცალკეული ფრაგმენტების ნაერთს წარმოადგენს. მას არც დასაწყისი გააჩნია და არც ამბის დაბოლოვება. ეს გარემოება ამავე დროს უნდა მიუთითებდეს ფრაგმენტთა სიცველეზედაც.

ლექსითა მეორე წყება, როგორც ითქვა კოპალას უკავშირის  
განვიხილავთ ერთ ვარიანტთაგანს:

„ფანდურს დამიკარ ბერქუნდო, მაგწონდა სამხალიანი,  
კამალა კეშმარიტისა ხთის ვან ას გუნებიანი,  
ჭერთ მიმიცავ ყმათადა, მამწონდეს ულვაშიანნი,  
მორიგემ მე მამილოცა საგმირო ას ლიტრიანი:  
— დალიენ დევ-დედაბერნი, დადიან პირმზორიანი.  
სახმოს უნდოდა აელა, უერ იყვა იმედიანი,  
ამავსკარ მარჯვენა ჟელი, მჟარზე გადიღა პრიალი.  
მაღალს კარატეს ჩამავედ, ქალ იქ დამიხვდა თმიანი.  
ჟელი მე მკადრა მინანმა ზალტინ-სათითიანი.  
სადიდოეთოდ წამავედ, გორ ავიარე კლდიანი.  
თავ მავიბრუნე, მამყვების მინანი საფარვლიანი.  
ჟიდოტან გადავიარე ჟინვრიან მარახვლიანი.  
ეეშაგურთის გორ ეესტუმრე, წყემსი ვეგონე ცხვრიანი.  
სახლს აგებიებდ მიქაო, ზედ ხურო ედგა ხთიანი.  
— წილი ჩამიდევ მიქაო, წყემის ორ თექაიანი.  
ერთან ქვან მიაც დაგასსხენ, შელავთით ორ იმედიანი.  
წყალზე წამლალა მიქამა, კელო მამცა ვეშრაპიანი,  
ჩიღის გორ ჩამამავალი ირემ ვეგონე რქიანი,  
წამამაყარეს ისარი, ფოცხ-მაკრატელი თბიანი.  
სიმურჩი ამავჩერიცე, რქისწვერთ გაიღეს ძგრიალი.  
ტუტარიკ ამავიარე, დამიხვდა ნარ-ეკლიანი.  
ომალოს კიდურ შამავედ, მაშინ გავიღო ბრიალი.  
დიკლო-შენაქოს ჩავხენე ვაც-ეკრძი ძოვდა რქიანი.  
ჟელი გააბა მინანმა, დაუხედა რქა-ჭანგიანი.  
ჭანგიანთას ამავიარე, გველ-მყვართ დაუდგა ლრიალი.  
გორჩგი გადმამინიდა, სამძმიან ყელ-ლოლიანი,  
— საით მისდიხარ კოპალავ, მასულხარ პიროფლიანი.  
მიაცალ გადამიყოლე, ენა მაქვ ლაქარდიანი.  
გვერდს მიდგას ჩემი მოძმეო შუბნური ნავთის წყლიანი,  
შამცოდვერთ საცოდვებლადა მათრაქი ცხრა ფესვიანი“.

ქ მოყვანილ შედარებით სრულყოფილ ვარიანტს თუ განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ იგი რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მომენტს შეიცავს. პირველ-ყოვლისა, მასში დევ-ჭერპთა ამოსაწყვეტად გამართული ღვთიშვილთა შეჭიბრების ოღწერაა მოცემული, სადაც კოპალა გამარჯვებული გამოდის. ლექსის ეს აღგილი ძალზე ფრაგმენტულ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი სულ ორი სტრიქონით განისაზღვრება და მხოლოდ იმას ეხება.

რომ მორიგემ კოპალას მიანდო პირ-მზორიან დევ-დელტეჭალა  
ამოწყვეტია. სხვა ვარიანტებში ეს ადგილიც დაქარგულია და თხრო-  
ბა პირდაპირ კოპალას თუშეთში მოგზაურობის აღწერით იწყება.  
ეს გარემოებაც კვლავ გვაფიქრებინებს, რომ ლექსი ნაკლულოვა-  
ნია, დროთა განმავლობაში შეკვეცილი; შესაძლებელია ცალკე  
არსებული ლექსის ფრაგმენტიც კი, რომელიც შემდეგ შეერწყო  
კოპალას გმირობის ამსახველ სხვა ლექსს.

მეორე ნაწილი ეხება კოპალას კარატებში დაარსებას. ამის  
შესახებაც მხოლოდ ორი სტრიქონია:

„მაღალს კარატეს ჩამავედ, ქალ იქ დამიხვდა თმიანი,  
ქელი მე შეაღრა მინანმა ზალტიან-სათითიანი“.

პროზაული გადმოცემებით ჩვენ მთელი ამბავი ვიცით კარატის  
ჯვარის დაარსებასთან დაკავშირებით, რაც ლექსში ასახული არ  
არის. ცხავე თქმულებიდან ვიცით, რომ კარატის ჯვარი ლაშქრავდა  
და ბეგარს ადებდა დიდობსა თუ თუშებს. სწორედ ეს ამბავია  
ძირითადად სრული სახით შემორჩენილი. ლექსში მოთხრობილია,  
თუ როგორ გაემგზავრა კოპალა დიდოეთისკენ, როგორ მიჰყებოდა  
მას მინანი, როგორ გადაარეს გაყინული ხილოტანი, ჩავიდნენ ვე-  
შაგურთის გორზე, აქ როგორ გაუამხანავდა სახლის შენებაში კო-  
პალა ვინმე თუშ მიქას, როგორ გაგზავნეს იგი წყალზე. ჩილოს  
გორზე ირემი ეგონათ და ისრები დაუშინეს. აქედან ტუტარიკი  
გაიარა, ომალოს კიდურზე ავიდა, იქიდან დიკლო-შენაქოს გადახე-  
და, სადაც ვაც-ვერძი ძოვდა და მინანმა რქა ჯანგიანს (ვერძს) „ხე-  
ლი გააბა“. შემდეგ როგორ ამოიარა ჭანჭახთას, შეხვდა ხახმატის  
ჯვარი გიორგი და ა. შ.

გადმოცემის მიხედვით ცნობილია, რომ კარატის ჯვარი ბეგრის  
ასაღებად თუშეთს დალიოდა. თუშები ერთხანობას გაუჯიუტდნენ  
მას და ხსენებული ბეგარი აღარ მისცეს. რის გამოც კარატის ჯვა-  
რის რისხვის ნიშნად გველ-მყვართ მოუხიბლეს (მოუწამლეს) საძო-  
ვრები. შეშინებულმა თუშებმა შესთხოვეს კარატიონს დახმარება,  
რომელმაც შეიწყნარა მუდარა და ბალახს შხამ-საწამლავი გადააცი-  
ლა. აი, ეს მომენტია გალექსილი, როდესაც ლექსში ვკითხულობთ.

„ჭანჭახთას ამავიარე, გველ-მყვართ დაუდგა ლრიალი“.

ლექსის ეს მესამე ნაწილი, როგორც ვხედავთ, შედარებით სრული

სახისაა და კოპალის თუშეთში მოგზაურობის შესახებ არსებული გადმოცემების გალექსილი ვარიანტია.

ხსენებული ლექსის ამ ნაწილს სხვა მნიშვნელობაც აქვს, ჩვენთვის. ცნობილი ამბავია, რომ ხევსური კარატისა და ხახმატის ჯვარის ჯვარიონნი თავისი დროშებით თუშეთში მოგზაურობდნენ საათენეგენოდ, სადაც თითქმის ყოველ სოფელში კარატისა და ხახმატის სალოცავები იყო წარმოდგენილი<sup>36</sup> კარატიონთა და ხახმატის ჯვარიონთა მისვლას თუშები დიდად მომზადებულნი ხედებოდნენ. ხარშავდნენ იმ დროისათვის ლუდს, ხოცავდნენ სამსხვერპლო საქალავებს და სოფელზე რიგ-რიგობით თითო მანეთსაც იხდიდნენ. ამ შეკრებილი ფულით, როგორც თუში მთხრობლები გადმოგვცემენ. ისინი თავიანთ ჯვარ-ხატებისათვის საჭირო ინვენტარს იძენდნენ. ამკობდნენ დროშებს და სხვ. სამაგიეროდ ხევსურნი თუშების მეხვეწურს ამწყალობებდნენ.

ხევსური ჯვარიონნი ლიქოის მთიდან გადმოვიდოდნენ და შემდეგ სოფლებს გაივლიდნენ: ჭონთიო, გირევი, ფარსმა, კეშო, დანო, კვავლო, დართლო, ჩილო, დიკლო, შენაქო, ხისო, შტროლთა, უველურთა, ჩიგლაურთა, ხახაბო, ომალო, ბოქორმა, ღოჭუ, გოგრულთა, საჩილოლო, ვესტო, ვესტომთა, ბუხურთა, ილურთა, ბელელა, გუდანი, ჯვარბოსელი, ვეძის წევი, ვერხოვეანი, კოკლათა ალის გორი, დადიკურთა, წოვათა და ამით დაამთავრებდნენ თავიანთ მოგზაურობას.

თუ ზემოთ განხილულ ლექსში წარმოდგენილ კოპალის მოგზაურობის მარშრუტს შევუდარებთ კარატიონთა და ხახმატის ჯვარიონთა მიერ გასავლელ გზას, დავინახავთ, რომ იგი ერთმანეთს ემთხვევა: ვეშაგურთის გორი, ჩილოს გორი, ტუტარიეკი, ომალოს კიდური, დიკლო-შენაქო და ჭანჭახოვანი სწორედ ის ხეობებია, რომლებშიაც ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები მდებარეობს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ლექსში გიორგი ხახმატის ჯვარის ხსენებაც. ხახმატის ჯვარის ჯვარიონიც კარატიონებთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუშეთში მოგზაურობდა.

კოპალის თითქოს ზღაპრული მოგზაურობა თუშეთში, როგორც ვხედავთ რეალური ვითარების ანარეკლია; ასახვაა იმ მდგომარეო-

<sup>36</sup> ვ. ბარდაველიძე, სვანური საგალობელი „ბარბალ-ღოლაში“, „ენიმ-კი“-ს მოამბე, V—VI, 1940, გვ. 560.

ბისა, რომელსაც გვიანობამდე ჰქონდა ადგილი. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია. იგი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დაცული მითოლოგიური ხასიათის ლექსი თუ თქმულება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ისტორიული წყარო, რომელშიაც ზებუნებრივი ელფერით ჩატარებული, ცხოვრებაში ნამდვილად მომხდარი თუ მიმდინარე პროცესებია ასახული. აქედან გამომდინარე, კიდევ მეტი უფლებით შეიძლება დაგვსათ საკითხი იმის შესახებ, რომ დევ-კერპთა და იახსარ-ჯოპალას ურთიერთ ბრძოლის ამბები ასახვაა ოდესოც ჩატარებული მომხდარი ვითარებისა.

კოპალას თუშეთში მოგზაურობასთან დაკავშირებით თავისთავად დგება ერთი საყურადღებო საკითხი; როგორც უკვე მიყუთოთ ბდით, ხახმატისა და კარატის ჭვარიონი ბეგრის აღების მიზნით დადიოდა თუშეთში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ხევსურულ მითოლოგიურ გადმოცემებში შემონახული მოტივი კოპალასა, ხახმატისა და შუბნურის. მიერ თუშეთის დაცყრობისა და მათზე ბეგრის დადების შესახებ, უნდა გულისხმობდეს ლიქოისა და ბისო-ხახმატის ტერიტორიული თემური ორგანიზაციების დამცყრობლურ მებს თუშეთის მიმართ. ამ გარემოების ამსახველად არის მიჩნეული დღეობა-ათენგენობის დროს ხევსურ ჭვარიონთა მოგზაურობა თუშეთში სათემო ჭვარის დროშებით, სადაც ხდებოდა ძღვენის აკრეფა და მსხვერპლის შეწირვის რიტუალის შესრულება<sup>37</sup>. ამ მოსაზრებასთან ერთად, მასალაზე დაკვირვებამ საკითხის სხვა მხარეც გამოავლინა.

1962 წ. ლიქოის ხეობის სოფ. ჭალაისოფელში განმეორებით ჩავწერეთ გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ იპოვნეს ლიქოკელმა გოგონამ და ბულალურმა ვაჟმა ციდან ჩამოსული შიბი და ხატი, როგორ დაჩა ხატი წილის ყრის შედეგად ქალს, რომელიც შემდეგ კარატეს დაარსდა, როგორ გახდა იგი ამ ხატის მკადრე, როგორ დაჰყვებოდა მას თუშეთში ბეგრის ასაღებად და სხვ. ე. ი. ის რაც მანამდე უკვე ცნობილი იყო. ამბის დასასრულს მოხრობელი გვიამბობს: „საკვებულად, გასატეხლად დადიოდეს. — დიდ დიდოეთ გავ-

<sup>37</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшее религиозное верование и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1958, стр. 9.



ტეხეთავ, — ეეხლადაც ქადაგს აძახინებს. ღიღ ღიღოეთს ფრეჭილება  
ვეძახო” (ნანია იმედას ას. ბასხაჯაური, ლიქოკელი, 80 წლ).

როგორც ვხედავთ, მთხრობელი თუშეთში ღიღ ღიღოეთს გულისხმობს და ლაშქრობებიც, რომებიც თუშთა წინააღმდეგ იყო მოწყობილი, ხალხის მიერ მიჩნეულია, როგორც ღიღოთა დასაპყრობად გამიზნული.

თუ საქმის ვითარებას ჩავუკვირდებით, ხევსურებისა და თუშების ურთიერთობის თვალსაზრისით, საკითხი მართლაც ცოტა სხვა ჭრილში დგება. ინტერესი ხსენებული საკითხისაღმი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც თუშეთში ყოფნის დროს ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით ქალების მეტაველება გავიგონეთ და ხშირად გვეგონა, რომ ხევსური დიაცების საუბარს ვისმენდით. გასაოცარი დიალექტური მსგავსება, ლექსიკისა თუ ინტონაციის მხრივ თავისთავად აღძრავდა საკითხს: რა აკავშირებს ასე ძლიერად აღმოსავლეთ მთანეთის ამ ორ კუთხეს. რატომ არ იგრძნობა ასეთი სიახლოევ თუნდაც ფშაველ-ხევსურთა შორის, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო მეზობლურ კავშირში არიან? ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც თუშებისა და ხევსურების ურთიერთობას გამოავლენს, მიუთითებს სწორედ ღიღ მეგობრულ ურთიერთობაზე, ურთიერთ პატივისცემაზე, და შეიძლება ითქვას, ნათესაურ კავშირზედაც. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ თუში და ხევსური ურთიერთს ბიძაშვილობით მოიხსენებენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეული კონფლიქტის შემთხვევებს (ქალუნდაურის მოკვლის ამბავი ძმების შალვა და ივანე მექობაურებისაგან და სხვა), ამ ორი კუთხის მცხოვრებთა დამოკიდებულებაში მტრული განწყობილება თითქოს არ ჩანს. არამც თუ არ ჩანს, არამედ მთხრობელ ვიო წვერაიძის თქმით, „ერთმანეთში ფშავლებს და ხევსურებს კინკლაობა ჰქონიათ, თუშებთან კი დიდი კავშირი. დალისტნის პოსტზე საყარაულოდ ხევსურები ჩამოდენილან. დიკლოს იქით ბიჭებს ეძახიან, იქ არის საყარაულო კოშკი“ (ს. შტროლთა, 1954 წ.).

„თუშებს უფრო ზრდილობიანად ეკიდებიან ხევსურები, წერდა ვაეა-ფშაველა იმიტომ, რომ მათგან სიკეთე მოაგონდებათ: ერთი თვის წინათ მანამ ხახმატობა მოვა, თავი ხევისბერი დასტურებით



წაიღებს ხახმატის ჯვარის დროშას და მთელს თუშეთს შემოწინებული  
რებს, ჰქონდებს შესაწირავს ფულით თუ საქონლით<sup>37</sup>.

არა მარტო ხახმატის ხევისძერი, არამედ ამ მოგზაურობაში, როგორც ითქვა, ლიქოის ჯვარიონიც ერთი მთავართაგანი იყო. ხევსურთა სალოცავების ნიშნები კი მთელ თუშეთშია გაბნეული. 1954 წ. თუშეთში ეს ხატები ყველა იმ სოფელში აღვნუსხეთ, სადაც კი მუშაობა მოგვიხდა<sup>38</sup>. ეს ნიშნები შემდეგია: ომალო — კარატის ჯვარი; ს. ხისო — კარატისა და ხახმატის ჯვარი; ს. შტროლთა — ხახმატისა, კარატისა და ლაშარის ჯვრები; ს. ხახაბოში — სანების ჯვარი; ს. დართლო — იახსარი, ხახმატი, კარატე, მარიემჭიდა, ვეშაგურთა; ს. კვავლო — ხახმატისა და კარატის ჯვრები; ს. ფარსმაში კარატის ჯვარი; ს. საჩილოლოში — ხახმატი და კარატიონი; ს. ვესტრომთაში — მთავარანგელოზი, სადაც ხევსურებიც დადიოდნენ; ს. ვერხოვანში — ხახმატის ჯვარი; ს. დოჭუში — კარატის ჯვარი; ს. დადიკურთაში — მთხრობლის გაღმოცემით ორი ხევსურთა სალოცავია; ს. ალისგორში — კარატის ჯვარი; ს. ილურთაში — სანება, კარატე, ხახმატი და სხვ.

ამ სოფლებში არსებულ ხატებს ერთ გზობაზე ჩამოივლიდა ხევსურეთიდან მოსული ჯვარიონი და სათანადო რიტუალის შესრულების შემდეგ უკან ბრუნდებოდა. თვით ის მარშრუტი, რომლის მიხედვითაც მოგზაურობდნენ ისინი, იმაზე მიუთითებს, რომ ყველა პუნქტში ხევსურთა გარკვეული ხატი უნდა ყოფილიყო.

ხევსურთა სალოცავები ზოგი ნაგებობის სახით იყო წარმოდგენილი, ზოგს კი ადგილი-ღა ჰქონია შემორჩენილი. თვითეულ ამ ხატს სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა ხასიათის საკუთრება გააჩნია. ასე მაგალითად, ს. ილურთაში კარატისა და ხახმატის ჯვრებს ყანები ჰქონდა, საიდანაც აღებული მარცვლეულით იხარშებოდა სახატო ლუდი. ასე იყო ზოგ სხვა სოფელშიც. ს. დართლოში კი, სადაც ხევსურთა ოთხი სალოცავი იყო, არც ერთ მათგანს არ ჰქონდა მამული; იქ სოფელი კომლეურად მოჰქონდა მარცვლეულს, ან უკეთ, ყველანი წილს დაყრიდნენ. საკლავს ან სოფელი ყიდულობ-

37 ვაკა-ფშაველა, თბ. გ. VII, 1956, გვ. 150.

38 1962-65 წწ. საქართველოს ეთნოგრაფიისა და საქ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციებმა ვ. ბარდაველიძის ხელმძღვანელობით, აღწერეს თუშეთის ჯვარ-ხატები. ეს მასალები წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული არ არის და, ამდენად, ჩვენი მასალა ძალზე ნაკლოვანია.



და საერთოდ, ან რიგით ჰკლავდინენ და დღეობას უძლევებულნენ  
მეზღვნეთა მიერ შეწირული ქადა-პურების ნაწილის გარდა, უძლევებულნენ  
რეთიდან მოსულ ჯვარიონს რჩებოდა თვითეული საკლავის ტყავი  
და ბეჭი — ზედაშესთან ერთად. სხვა რამ შემოსავალი გადასახადის  
სახით, მათ არ ჰქონდათ. ამის გარდა გ. წვერაიძის ცნობით, ჯვარიონია  
სოფელზე თითო მანეთს იღებდა რიგის მიხედვით. ისე რომ,  
მთხრობელის გადმოცემით, 4—5 მანეთამდე გროვდებოდა ოქროთი,  
რაც შემდეგში ხმარდებოდა ჯვარის ნაგებობათა, ხატის დროშების,  
სახატო ინვენტარის შეძენასა და სხვა სახატო საქმეს.

საყურადღებოა, რომ ხევსური ჯვარიონი თუშეთში ისევე  
იქცეოდა, როგორც ხევსურეთში და ხატის ყმებისაგან იმავეს იღებ-  
და, რასაც თავის კუთხეში; მისი კუთვნილება აქაც ტყავი და საკლა-  
ვის მხარი იყო „ნახორთან“ ერთად. შეკრებილი თანხა აქაც ჯვარის  
საჭიროებისათვის იყო განკუთვნილი. ჯვარის ყმებში გარკვეული  
გადასახადის გაწერის მოწმენი ხევსურეთში ჩვენ 1962 წელსაც  
გავხდით; გუდანის ჯვარის გამდომ ხატის ყმებისაგან კომლზე თი-  
თო კილო ერბო აქრიფა, რომლის საფასური ჯვარის შენობის მო-  
წესრიგებასა და ინვენტარის შეკეთება-შევსებას მოახმარა. ზემო-  
თქმული იმისავენ მიუთითებს, რომ ხევსურთა ჯვარ-ხატების მოგ-  
ზაურობის მიზეზი მხოლოდ ბეგრის ასალებად სიარული კი არ  
უნდა ყოფილიყო, რომლის შესახებაც გარკვეულ მასალას გადმო-  
ცემები გვაწვდის, არამედ ის, რომ თუშეთის ტერიტორიაზე ხევსუ-  
რები უნდა იყვნენ ჩასახლებული<sup>38a</sup>. გადასახლების დროს, კი, რო-  
გორც ცნობილია, მთიელს თან მიჰქონდა თავისი ხატის რაიმე ნა-  
წილი, ნიშს აარსებდა და ძირითად სალოცავთან მისვლის გაძნელე-  
ბის შემთხვევაში, იქ ლოცულობდა. რომ თუშეთში აარსებული  
ხევსურული სახელწოდების ხატები სწორედ ხევსურეთიდანაა  
წასული, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ძირითად ჯვრებად თუშეთში „ხევ-  
სურული“, ე. ი. ხევსურეთში აარსებული შესატყვისი სახელწოდების  
ხატები მიაჩნიათ, ჯვარიონიც ამ ხატებისაა მთავარი, ამავე ხატებში  
ხდებოდა ბავშვის „მიბარებაც“ (ეს უკანასკნელი ცნობა 1965 წლის  
თუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრის ე. ერიაშვილის  
მიერაა ფიქსირებული).

<sup>38a</sup> ხევსურული წარმოშობის ჯვარ-ხატების თუშეთში აარსებობის ორი მა-  
ზეზიდან პირველ მიზეზად ვ. ბარდაველიძე ხევსურთა აქ გადმოსახლებას მიიჩ-  
ნევს (დასახ. ნაშრ., გვ. 8).



გარდა ამისა, ხევნებულ ღვთისშვილებზე ხევსურეთში აფხაზუა  
ბული მითოლოგიური გადმოცემები, თუშეთში ყურმოკვრით თუ  
გაუგონიათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გადმოცემები აქ  
ადგილობრივი წარმოშობისა არ არის (იახსარ-კოპალისა და დევთა  
ურთიერთობის, ხახმატის ჯვარისა და სხვათა შესახებ).

რაკი-ღა ხევსურთა თუშეთში ჩასახლებას ვვარაუდობთ, თა-  
ვისთავად ისმის საკითხი: რამ გამოიწვია ამ ჯვარ-ხატების ასეთი  
სიმრავლე და თითქმის მოელ თუშეთში გაფანტულობა? არის თუ  
არა ეს იმის ნიშანი, რომ თუშეთი დაიბეგრა ხევსურთა მიერ?  
საქმე იმაშია, რომ ლაშქრობები ამ მიზნით ნამდვილად ეწყობოდა მე-  
ზობელ კუთხებში, მაგრამ ბეგარა შეიძლება დაედოთ გარკვეული  
ტერიტორიული თემის, ან სოფლისათვის და არა მოელი კუთხის-  
თვის. თუშეთი სამი დიდი ხეობისაგან შედგება. ვთქვათ პირიქითი  
დაებეგრათ, ჩაღმა და გომეწარი — განზე რჩებოდა. მთლიანად  
მათი დამორჩილება კი კარატისა და ხახმატის ჯვარის ყმათა მიერ,  
ალბათ საქმიანდ საძნელო საქმე იქნებოდა, მაგრამ ეს კიდევ დასაშ-  
ვებია. საქმე ისაა, რომ როგორც ზემოთ დავინახეთ, თუშებსა და  
ხევსურებს შორის თითქმის ნათესაური დამოკიდებულება სუფევს  
და ხევსურთა ჯვარ-ხატებიც თუშეთში დიდი პატივისცემით სარგებ-  
ლობს. შეუძლებელია დამორჩილებულ მხარეს მოწინააღმდეგის  
ხატები ისეთ პატივში ბოლომდე ჰყოლოდა. დროთა განმავლობაში  
ისინი კიდევაც უნდა აღმოთხვრილიყვნენ და მათდამი ხალხს მოკრ-  
ძალება და რიდი უნდა დაპკარგოდა. ჯერ თვით ხევსურეთშივე,  
როდესაც ადგილობრივ სხვა ხეობებზე ლაშქრობდნენ, ერთმანე-  
თის ხატებს ძალზე აგდებით ეკიდებოდნენ. გავიხსენოთ პირაქათელ  
ხევსურთა, ან უკეთ, მეგანძურთა არხოტზე გალაშქრების ანდრეზი,  
სადაც ხევსურთა მთავარი სალოცავი — გუდანის ჯვარია მოხსენიე-  
ბული:

„გაიგა არხოტის ჯვარმა, წელზე შაირტყა ქმალიო,  
სხვაკნით ამიღავ ბეგარი, დამპალო, სად მიხვალიო!“

დამპალი — ეს სამარცხვინო ეპითეტი ამ შემთხვევაში გუდანის ჯვა-  
რის დიდი, ბერი ბააღურის შესამკობადაა ნახმარი. თუშთა და ხევსურ-  
თა ურთიერთობა კი, როგორც არაერთგზის ვთქვით, მსგავსს არა-  
ფერს იცნობს.

ჩვენი ვარაუდით, ხევსურული წარმოშობის ხატთა სიმრავლე,



თუშეთში, ხევსურთა მასიური და ერთდროული ჩასახლების შემცირებული უნდა იყოს რომ ძირად ხევსური მოსახლეობა თუშეთში ძალიან ბევრია, ეს თვითეული გვარის სადაურობის შესწავლის შედეგად გამოჩნდება. ამ მხრივ ჩვენ ძიერ მოპოვებული ცნობები დამადასტურებელ პასუხს გვაძლევს. თუშეთში ყოფნის დროს, ყველა სოფელში, სადაც კი მუშაობა მოგვიხდა, ჩავწერეთ მასალა ამ სოფელში მცხოვრებ გვართა და მათი სადაურობის შესახებ. ეს მასალა სწორედ იმას მიუთითებს, რომ თუშეთის მცხოვრებთა საკმაოდ დიდი ნაშილი ძირად ხევსურები არიან. თუ როდის უნდა მომხდარიყო ეს გადასახლება, ამაზე პასუხის გაცემა გადაწყვეტით ძნელია. საერთოდ ცნობილია, რომ მთის კუთხეებში გადასახლება-გადმოსახლება სხვადასხვა შემთხვევებთან დაკავშირებით ხშირი იყო. ბევრია ფშავში ძირად ხევსური, ასევე მთიულეთ-გუდამაყარაში და ა. შ., მაგრამ თუშეთი მაინც სპეციფიკურობას ინარჩუნებს და ეს სპეციფიკურობა ხევსურულ ჯვართა სიმრავლესა და ხევსურეთიდან თუშეთში ჯვარიონთა მსვლელობაში გამოიხატება.

იქნებ ამასთან იყოს დაკავშირებული ის ფაქტი, რომ ჯვარიონი ხევსურეთიდან მოღიოდა თუშეთში, ნაცვლად იმისა, რომ ძირად ხევსურ თუშ მლოცველს მოეკითხა თავისი ძირითადი ხატისათვის. თუ კი ხალხი ერთდროულად იყარა და თუშეთს ჩამოსახლა, ადგილზე დარჩენილი თეოკრატიული ხელისუფლება თვით იქნებოდა დაინტერესებული წასულებთან კონტაქტი არ გაეწყვიტა, მათზე თავიანთი ჯვარ-ხატების გავლენა არ დაეკარგა, ხატის საყმო არ შეესუსტებინა. ვარაუდს იმის შესახებ, რომ თუშეთში ხევსური მოსახლეობის ერთდროული და მასიური გადასახლება უნდა მომხდარიყო, იქნებ ისტორიულმა ცნობამაც დაუჭიროს მხარი: „და წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა წარატანა მეფებან ერისთავი ერთი. მოვიდეს და დადგეს წობებს, და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყარელთა და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლის ღება. მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვლი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი. გადამოვიდეს მუნით და დადგეს ყალეთს და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ იღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და

სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუშემომავა  
მათ მეფემან ხარკი ოდეს არა ინგბეს ნათლის ღება“<sup>39</sup>.

ეს ისტორიული ცნობა სწორედ ასეთ მასიურ გადასახლებას უნდა გულისხმობდეს. რა თქმა უნდა, ამჯერად გადაწყვეტით რაიმეს თქმა ძნელია. ვარაუდის დაშვების შესაძლებლობა კი ნამდვილად არსებობს. ურთიერთობის საბოლოო დადგენა მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვს, რაც ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება. ამ საკითხს იმდენად შევეხეთ, რამდენადც განხილულ თქმულებაში საუბარი იყო თუშთა დალაშქვრის შესახებ ხევსურთა მიერ. იქ, როგორც თავში აღვნიშნეთ, კარატის ჯვარისა და მისი თანმხლები ქალის მინანის მოგზაურობასთან დაკავშირებით — ქადაგები ქადაგობდნენ, რომ დიდი დიდოეთი დავლაშქრეთო, ხოლო მთხრობლის განძარტებით დიდ დიდოეთად თუშები მოიხსენება. შესაძლებელია გვეფიქრა, რომ მხოლოდ თუშეთი კი არ ყოფილა უშუალოდ ხევსურთა დალაშქვრის ობიექტი, არამედ ლაშქრობა მოწყობილი იყო სწორედ დიდოთა წინააღმდეგ. დიდოები თუშეთის მეზობლად ცხოვრობენ. დავა აღილებზე თუშთა და დიდოთა შორის გვიან ხანამდე გრძელდებოდა. თუშთა ზოგი სოფელი დიდოებით იყო დასახლებული და გვიანობამდე სადავო. ხევსური ჯვარითის მოგზაურობა, როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანდა, ბეგრის აკრეფის ხასიათს თუშეთში თითქოს არ ატარებდა. ამასთან ერთად, ეს უკანასკნელი გარემოება საეჭვო სხვა მონაცემებითაც ჩანს; იახ-სარ-ქოპალის და მინანის თუშეთში მოგზაურობის შესახებ შემონახულ ერთ-ერთ გალექსილ ვარიანტში —

„ფანდურს დამიერ ბერ-ჯუნდო, მიყვარდა სამ ძალიანი“, —

ყურადღებას იმსახურებს ორი გარემოება:

1) ლექსში ნათქვამია:

„სადიდოეთოდ წამავედ, გორ ევიარე კლდიანი,  
თავ მავიბრუნე, მამყვების მინანი საფარვლიახი“.

<sup>39</sup> ლ ე თ ნ ტ ი მ რ თ ვ ე ლ ი ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 125 — 126.

<sup>39</sup> ა დიდოთა წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ. ს ვა-ნური საგალობელი „ბარბალ დოლაში“, 1940, გვ. 250.



აქ საუბარი სწორედ დიდოეთზეა და არა თუშეთზე. საფრანგულის მარტინ კარლ გვიანდება თუშეთის ტერიტორიაზე, გადიოდა და

2) ამ მოგზაურობის დროს კოპალა ზოგან თავისუფლად და თამამად დადის, ზოგან კი მას სახის შეცვლა სჭირდება:

„ვეშაგუროს გორ ვესტუმრე, წყემსა ვეგონე ცხერიანი,  
სახლს ავებიებდ მიქაი, ზედ ხურო ედგა ხთიანი,  
წილი ჩამიდევ მიქაო, წყემს ორ თექაიანი...“

ჩილის გორ ჩამომავალი იჩემ ვეგონე რქიას.

წამაყარეს ისარი, ფოცხ-მაკრატელი თბიანი,

სიმური ამავიჩევიფე, რქის წვერთ გაიღეს ძგრიალი“. და სხვ.

ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოპალა, რომელიც საღილოეთოდ წამოსულა ხევსურეთიდან, თუშეთის ტერიტორიაზე ცაველგან თამამად ვერ დადის. ზოგ აღგილას იგი მწყემსად ასაღებს თავს, ზოგან ირმად იქცევა და სხვა. ე. ი. იგი მისადმი მტრულად განწყობილ მოსახლეობასაც ხვდება. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მას საქმე სწორედ ამ არა თუშებით დასახლებულ მტრულ გარემოსთან აქვს და არა უშუალოდ თუშებთან?

თუ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ და თუშეთში მოგზაურობა ხევსური ჯვარიონისა დამპყრობლების მიერ ბეგრის ასაღებად სიარულს კი არ ნიშნავს, არამედ თავის განაყარ მოძმე მოსახლეობასთან კონტაქტს და ამდენად მონათესავე ხატებში მოგზაურობას უდრის, მაშინ საინტერესო საკითხები აღიძრის მტრულად განწყობილ დიდოთა და კარატის ჯვარის ურთიერთობის შესახებ.

თუ კი ხევსური მართლაც დიდოთა დასალაშქრავად მოგზაურობდნენ კარატისა და ხამატის ჯვარის დროშებით, გამორიცხული არ არის თუში მოსახლეობის მათთან ერთად ლაშქრობის ფაქტიც. (გავითხსენოთ გ. წვეროიდის ზემოთ მოტანილი მასალა თუშთა და ხევსურთა მტრის საზღვართან ერთად გუშავობის შესახებ).

თუ კოპალას შესახებ არსებულ ლექსში სწორედ დიდოებზეა საუბარი, რომელთაც ეს ლვთაება თავის მკაფრე ქალ მინანთან ერთად ლაშქრავს, და ამავე დროს ეს მომენტი დევ-დედაბერთა გაწყვეტის შესახებ არსებულ ლექსშია მოქცეული, მაშინ მას მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის გადასაწყვეტად, თუ რა ეთნიკურ ფენასთან უნდა გვქონდეს საქმე დევ-კერპებთან დაკავშირებით, რომელთაც იახსარი, კოპალა და მათი მოძმე ლვთიშვილები ებრძვიან.



ივიდრე სხვა მასალების განხილვაზე გადავიდოდეთ, რომელიც განხილული იყო მათ შეუწყობენ საკითხის კვლევას, უნდა ხაზი გავუსჭირო გარემოებას, რომ ჩვენ მიერ განხილულ ეთონიზმიური ხასიათის გაღმოცემაში წარმოდგენილ დევ-კერპებთან არ უნდა გავაიგივოთ ჯაღლისნური ზღაპრების პერსონაჟი დევები. ერთ შემთხვევაში ზღაპრულ-ფანტასტიკურ სამყაროსთან გვაქეს საქმე, მეორეში კი გარკვეული ეთნიკური ფენის წარმომადგენლებთან, რომელთა შესახებ არსებულ ანდრეზს დროთა განმავლობაში ზღაპრული თვისებები უნდა მიეღო.

გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც ზემოთ დავასახელეთ, ამაზე მიუთითებს ისიც, რომ გაღმოცემაში განსაზღვრულია ტერიტორია, სადაც დევები ცხოვრობდნენ, დაცულია გეოგრაფიული პუნქტები მათ საქმიანობასა თუ ბრძოლებთან დაკავშირებით ტოპონიმიკამ და სარწმუნოებრივმა რიტუალმა შემოგვინახა სათანადო ცნობები, მაშინ როცა ზღაპრების პერსონაჟი დევები მსგავს ჩარჩოში ვერ თავსდებიან, ისინი დროისა და სივრცის გარეთ დგანან.

ზემოთ განხილული მასალა, რათქმა უნდა, არ არის არც ერთფასოვანი და არც მათი დაყენება შეიძლება ქრონოლოგიური თვალსაზრისით ერთ სიბრტყეზე. ბუნებრივია, რომ უძველეს გაღმოცემას დროთა განმავლობაში ახალი ელფერი მიეღო შემდგომ თაობათა წყალობით.

ამ გაღმოცემებში ასახული უნდა იყოს ძველი, არაქართული ეთნიკური ფენისა და ფხოური მოსახლეობის ურთიერთობის ამბები. თუ რა ფენა უნდა ივარაუდებოდეს დევ-კერპთა სახელქვეშ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის სხვა გადმოცემებსაც უნდა გადავალოთ თვალი, რაც ხელს შევიწყობს საკითხის შესწავლაში.

### გადმოცემა ანატორელთა შესახებ

შატილიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, იქ, სადაც მიღმახვისა და შატილის წყალი ხვდება ერთმანეთს, კლდის კონცხზე სიპიონ ნაგები აკლდამები ჩახერგილა. ისინი სავსეა ადამიანის ძველებით. წყლის ავი შხუილი და მკვდართა საცავების მტკნარი სიჩუმე ურთიერთს ერთვის და მნახველს კარგახანს მიჰყება ანატორის აკლდამებისგან მიღებული მძიმე განცდა. ოდესალაც თურმე ამ მიღამოშიც დუღდა სიცოცხლე. ანატორელნი შატილის თავდა-



პირველი მკვიდრნი ყოფილან. ისინი შატილსაც ფლობდნენ და მათ შემდეგ მოსახლეობა ანატორის ჯვარიც ჯვარობდა და თავის საყმოს სამსახურს იღებდა. ანატორელთა შესახებ გადმოცემები იუწყებიან, რომ ისინი შვიდ მათამდე ყოფილან. სქერიათ ადგილ-მამული, ციხეები. მისდევდნენ, როგორც მთის ხალხს შეეფერება, მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას. მაგრამ ანატორელთა მშვიდ ცხოვრებასაც მოღებია ბოლო. პირაქეთ ხევსურეთის მოსახლეობას სამოგანძუროში შემავალი ჭინჭარაულების სახით, მათი შევიწროვება დაუწყია, ადგილ-მამულის წართმევა და მათი აყრა-გადაშენება მოუწადინებია. შეტაკებების დროს ანატორლებს ერთხანობას უძლევიათ ჭინჭარაულნი, რომლებიც შატილის პირდაპირ ქარაფზე მდგარ ქაჩუს ციხეს შეხიზნებიან. ისინი წყლის მოსატანადაც ვეღარ გამოდიოდნენ თურმე. ქარაფის ძირას მიმდინარე არგუნამდე ნართის გორგლები ჩაუშვიათ და მისი გამონაწური უსვამთ. ანატორელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი შემდეგ ღვთაებას გადაუჭრია. ხთისო აბულეთის ძე ჭინჭარაულის გადმოცემით: „ერთ გიუ ყოფილა და ანგელოზ, ხატებ ჭელა ხყვანივ. ერთ მწერელ-ტყვეს რეინის მშვილდ-ისაჩ ხქონივ. ქართულ თოდე, რო დახვრავს. ისე გაღვარდისავ (ისარივ). იმ გიუს ქელზე რომ მასდენივ ხატები, იმ ხატისად დაუკრავ და მასტეხივ მჟარი. ის ანატორის ჯვარ ყოფილ, გამწყრალ ჯვარი და იმ ანატორლებისად ეამ გაუჩენავ“, — რის შედეგადაც ანატორელნი გაწყვეტილან. უამთაგან ისარ-ნაქრავი ივალ-მყოფი შედიოდა თურმე და აკლამაში წვებოდა სიკვდილის ლოდინში. ანატორელთა მოდგმისაგან მხოლოდ ერთი ვაჟი გადარჩენილა, რომელიც თუშებს გაუზრდიათ. შემდეგ მოთხოვილია, თუ როგორ მოიყვანეს თუშეთიდან ეს კაცი შატილიონმა მანგიურათა და ბაგრატაულთა კაცებმა და თანასოფლელთა გარკვეული წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, როგორ დასახლეს იგი შატილში. მისი შთამომავლობა კი ჭინჭარაულთა გვარზე დაწერა.

ვიდრე უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხს შევეხებოდეთ, შევჩერდებით თვით ანატორის ღვთაებაზე.

როგორც ცნობილია, ამ სახელწოდებას თავდაპირველად ყურადღება მიაქცია აკად. ი. ჯვარიშვილმა. სათანადო პარალელური მასალის გათვალისწინების საფუძველზე, იგი წერდა: „ჩვენთვის ცხადია, რომ მეგრული ანთარი და ხევსურული „ანატორი“ ერთი და იგივე ღვთაება უნდა იყოს. ამ ღვთაების სახელი შენახულია

აფხაზეთშიც, რომელშიაც ეს სიტყვა გვხვდება „აითარ“ სახელმწიფო „ანთარი“ შინაური საქონლისა და მოსახლეობის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა, ხოლო მეგრელი საქონლის გამრავლებას სთხოვს.<sup>40</sup>

შემდეგში მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა მასალამ ეს ვარაუდი დაადასტურა. ხევსურული ანატორის ჯვარი წერილფეხა საქონლის წინაპარ ნადირთა (ჭიხვი, გარეული თხა და სხვა.) მფარველ ღვთაებად გამოვლინდა. მთხოობლები გვიდასტურებენ, რომ ანატორის ჯვარის მიდამოებში გარეული ნადირი (ჭიხვი, შველი) თავისუფლად დასეირნობდა და მათი ხელის ხლება არავის შეეძლო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონადირე ხატის მიერ სასტიკად ისჯებოდა. მასალების მიხედვით, ასეთი ურჩი მონადირები, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგში ყველანაირად ცდილობდნენ დანაშაულის გამოსყიდვას; იღუპებოდნენ, ან მძიმედ ავადლებოდნენ, განურჩევლად იმისა, ქისტი იქნებოდა ის, თუ ხევსური.

ანატორის ჯვარის ამ ფუნქციაზე უნდა მიუთითებდეს ჩვენ მიერ 1945 წ. შატილში ჩაწერილი მასალა ხსენებული ჯვარის შესახებ: „ნიკოლოზის დროს, (გვამბობს ხთისო ჭინჭარაული ს. შატილში), ერთ ქისტ იყვ. მავიდესა, გარმავიდ ქუჩას ნადირი, ვაცები და თხები. რაწამ თოფ გავარდ, ერთ ვაც მაკლ. ქისტმ მითხრ: „არა ასაევ ამოსავალივ. ერთ ჩვენებურ ეტან ნადირი, — „ნუ წაიღებსავ, არა ასავ კარგივ“. იმას, — ნადირას ფაშ გარმაუგდეს. ერთ კვირაეც არ გამივიდ, რო იმის მამა მავიდ. — „ჩემ შვილსავ წვერ-ულვაშ გასცვიდავ, სრუ გაიტვლიავ“. ქვედაგებ იყვ. იმედებმ უთხრეს, რომ იმ ხატჩიგავ ნადირ მაუკლავავ. ქარ მაიყვანევ, შასწირევ. წავიდ, მაიყვან. ნისლა ქარ იყვ. დაკლეს, ტყავი, ქორც სოფელში გაშირეს. ქვაბიც შასწირეს, მაგრამ მაკვდ მაინც. იმაზე მაკვდ, რო ნადირ მაკლ. მანდ ვერც ქისტებ კვლენ, ვერგინ ვერ კლევდ იმ ნადირს“.

ანატორის ჯვარი არა მარტო ნადირთა ღვთაებად გვევლინება, არამედ რიგი მასალების მიხედვით იგი თვითონაც მასთან ე. ი. ნადირთან არის გაიგივებული. ალ. ჭინჭარაულს ნაშრომში: „ხევსურულის თვისებურებანი“ მოჟყავს ჩვენთვის საინტერესო ტექსტი: „მემრ იმედასთან ყოფილ უვირგაი-და შატილით გამავალს თხა-წალ რამდ მაუკლავ ანატორის ჯვარჩი. მანდ ნადირის ქოცას

<sup>40</sup> ივ. ქავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 82-83.

ჯვარნ არ იქდენდესა და არცრავინ ჟოცდ. უვარებას არ უგდავ ყური. ჯარეგიონნიც ილოცავდეს წინავ ანატორის ჯვარს. ჯარეგას რომ მისულ, იქ უთქმავ მასპინძლისად: „თქვენს ანატორის ჯვარსავ შიგ შუბლჩი დავხეკარივ თოფივ“. თავისთავისად დაგირავ — იმას უთქმავ“<sup>41</sup>. შემდეგ აქვე მოთხოვობილია, თუ როგორ დაისახა უვარება, რომელსაც საკუთარმა შვილმა შიგ შუბლში მიარტყა ტყვია.

ანალოგიური მასალა ჩვენც ჩავწერეთ 1962 წ. ს. შატილში, 84 წ. აბა აპარეკას ძე ჭინჭარაულისაგან: „ერთს ქისტს ვაც მაუკლავ ანატორის ჯვარშიად უთქმო: „თქვენ ანატორის ჯვარსავ თოფ დავხეკარივ შუბლშიავ“, იქ ერთ ჯევსურ ყოფილ, ბეჭიყური, ჩემ ბიძაშვილად იმას უთქმავ, რო დალოცვილო, გააგებიევ, აცნობიევ და ისი (ქისტი მონადირე) დამბრმალ იმ წუთზე და დაუწყავ იმას ქუდის კდა: ჩემგან რა უნდავ ანატორის ჯვარსავ (ის არ იყვ იმის ყმა), რა მამივიდავ მიავ“<sup>42</sup>. შემდეგ მთხოვობელი გვიამბობს, თუ როგორ დაუკლა ქისტმა ჯვარს ხარი და ვიღრე ტყავიცა და ხორციც იქვე არ დატოვა, მხედველობა არ დაუბრუნდა. ამ მასალის მიხედვითაც, თავხედი მონადირე პირდაპირ ამბობს, რომ ანატორის ჯვარს (ჯიხეს) შიგ შუბლში დაპქრა ტყვია.)

ნადირთ ღვთაება ნადირთ პატრონის სახით, ცნობილია, რომ თავდაპირველად სწორედ ცხოველური სახით წარმოიღვინებოდა, რისი გამოძახილიც იჩენს თავს ზემოთ მოტანილ მასალაში.)

როგორც მასალები იუწყება, ეს სალოცავი, მხოლოდ ხევსურთა ე. ი. შატილონ ხევსურთა ჯვარი კი არ არის, არამედ მას თურმე ქისტებიც ეყმობოდნენ.

მთავარანგელოზის ჯვარის ხელოსანი აბა აპარეკას ძე ჭინჭარაული გვიამბობს: „მე რო პირველში შამიუვანეს ჯვარში, მაშინ იქ იყვ ქისტი, დაბერებულ ჯელოსანი. ერთ მედროშავე იყვ ქისტი. (ანატორის ჯვარს მთავარანგელოზს ეძახიან)“. ჯვარის ხუცესი ხთისო აბულეთის ძე ჭინჭარაული, რომელიც ანატორელთა ჩამომავლობას ეკუთვნის, გვიამბობს: „ანატორელთ ჯვარი ჩვენია და ქისტებისაი. ქისტებ დადიოდ (ხატში). კორც მახარშიან, კამდიან. იმათ ბაჩაყურა მაიღიან. ხავიშიან ყოფილ სამ ტოტა. ვერძებ მაასხიან, მაზვრებ მაასხიან. ჩვენ ჯარსავ, მაგათ ბაჩაყურა ურჩევავ (ჯვარსავ), თქვიან“.

<sup>41</sup> ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 355.



სხვა ხატის მსახურთა გადმოცემითაც, ანატორის ჯვარს, კულტურული სურთა მიერ შეწირულ ხარს უჩევენია სამტოტა ფორმის ხავიჭიანი ნამცხვარი ბაჩაყურა: „ქისტებ რო სეფეს იქმოდეს... ბაჩაყურა,— სამ ტოტა ხავიჭიან ას, ჩვენ დაკლულ ქარიოდ ისივ სწორად ხყავავ. კიდევაც მეტად სჩანავ ბაჩაყურაივ“ (აბა ჭინჭარაული).

ანატორის ჯვარის ნიში მითხოსაც (ქისტეთში) ჰქონდათ, სადაც ანატორის ჯვარის ჯვარიონი მიღიოდა. გადმოგვცემენ, რომ იმ ნიშთან ერთხელ ერთი ქისტი მეზღვნე (მლოცავი) მისულა სალოცავად რიტუალური ნამცხვრებითა და რძით. როგორც ჩანს, ეს ნიში მაღლობზე მდებარეობს, ვინაიდან ამ მლოცავს წარამარა ფეხი უსხლტებოდა და უკანვე ცურდებოდა თურმე. ბოლოს გამწარებული დამჯდარა და უთქვამს: „დალოცვილო ანატორის ჯვარი! თუკი ეგეთა ჭივიანი ხარ, რაღა გვერდალში დასჯედი, მიედანში ვერ დასჯედიო?“ (ალ. ჭინჭარაული).

ანატორის ჯვარი უნდა იგულისხმებოდეს ნ. ხიზანაშვილის შემდეგ მითითებაში: „საკვირველია, რომ თვითონ ხევსურეთს სარწმუნეობრივი გავლენა მოუპოვებია მაჰმადიანობაზედ. ქისტები ახლაც ლოცულობენ ხევსურების ხატებსა. ზოგ ადგილას, მაგალითად სოფ. შატილში, ხატის მოსამსახურედაც, „ხელოსნად ითვლებიან“<sup>42</sup>. შატილში, როგორც ვიცით, მხოლოდ ანატორის ჯვარში დგებოდნენ ხატის მსახურად ქისტები.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ისიც, რომ ანატორის ჯვარი ხატის ხელქაცებს ახალგაზრდა ქისტის იერით ეჩვენება (აბა ჭინჭარაული). ქისტებთან ურთიერთობაზედვე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ შატილის ხთიშობელი შატილის ხევზე წასული მონადირის მფარველად ითვლებოდა, ხოლო ანატორის ჯვარი ღილლოს მხარეს, ქისტეთისაკენ წასულ მონადირეს შველოდა მორწმუნეთა შეხედულებით. ქისტეთის მხრიდან დაბრუნებული გამარჯვებული მონადირე ნანადირევს ანატორის ჯვარში მიიტანდა და მას რქებს შესწირავდა.

მოტანილი მასალები ანატორის ჯვარის ბუნებას გარკვეულად ჰყენს შუქს. პირველ ყოვლისა, მეტ საბუთიანობას მატებს ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ანატორის წვრილფეხა

<sup>42</sup> ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, მას. საქ. ეთნოგრაფისათვის, II, თბ., 1946, გვ. 67.



შესაქონლეობის მფარველ უინიანთართან დაკავშირების შესახები მიმდინარეობა თუ დასავლეთ საქართველოში ეს ღვთაება უკვე შინაური წვრილ-ფეხა საქონლის მფარველად გვევლინება, ხევსურეთში ის ჯერ კიდევ წვრილფეხა საქონლის წინაპრის — გარეული თხებისა და ჯიხვ-შუნების მფარველის როლში გამოდის; აქ მას უფრო არქაყლი სახე და ფუნქციები აქვს შენარჩუნებული, იმდენად, რამდენადაც ცხოველურ სახესთანაც აიგივებენ (გავიხსენოთ ქისტი მონადირის ნათქვამი: თქვენ ანატორის ჯვარს შიგ შუბლში დავჭიარი) და გარეულ ნადირით მფარველობას მიაწერენ. საყურადღებოა ამ შხრივ ბაჩაურის საკითხიც. იგი სამკუთხა, — სამტოტა ფორმისაა. ასეთი მოყვანილობის რიტუალური ნამცხვარი პირაქეთ ხევსურეთისა და არხოტში ვაცის სახელწოდებითაა ცნობილი.

მიმდინარე წელს სოფ. გამარჯვებაში შემთხვევა მოგვეცა ჩაგვეწერა მასალა ანატორის ჯვარის სახელწოდების შესახებაც — პირიქით ხევსურეთის ს. ხახაბორი ჩამოსახლებულ 80 წლის ხთისია მინდიკაურისაგან. „წინავ, — გვიამბობს იგი, — დათვის ჯვარის იქითობა ქისტ ყოფილის. ჩვენ ქისტებ გვედავებოდეს ჭანჭახზე, მთაი ას ჩვენი, წუბროვანის აქათი. ეგეებ გვედავებოდეს: — ჩვენ ნაპერიავ ეგ ადგილებივ, ხახაბორიც ჩვენიავ... ქისტებ იქ მავი-დეს ჩვენ სოფელში და გვედავებოდეს ადგილზე, საბალახოზე. „უნდა ავიდათავ“. „რატო უნდა აიღათავ, — ჩვენ ვეუბნებოთათ, ჩვენივ, — არავ, ეგ ჩვენ მამა-პაპისაიავ, ანდრეზებ გვაქვავ“. „მაშ დაგვიფიცეთავ“. ავდეგით და კვამლის კაცმ დაუფიცეთ ჯვარში, ანატორი დავითიცეთ. იქ გვაფიცებდეს. ეგ ვითომ ძრიელ ხატიავ. ქისტებიც მანდ იფიცებოდეს, თუ რაზე დავაფიცებდით. ოჩი-და-ალს ეძახდეს მაგას ქისტები. ოჩიდაალში დავითიცეთავ, ის იცოდიან მაგათ. ჩვენ მთავარანგელოზობით ვეძახთ მაგას... ეგრაც ქსენდების: „თავადო მთავარანგელოზო, ანატორ სიმურთ ყა-რაულო“.

43 შემდეგში ნ. თოფურიამ ა. ოჩიაურისა და ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე ანატორი ეთნოგრაფიული მთაცემებითაც დაუკავშირა შეგრულ და აფხაზურ შესატყვის ღვთაებებს: უინი ანთარსა და თითარს. იგი წერს: „თუ ჩვენ მეგრულ ანთარს წვრილფეხა საქონლის ღვთაებად მივიჩნევთ, ხოლო ანატორის საქონლი გარეული თხებია და მას მფარველობას უწევს, მაშინ მათი საერთო ღვთაებად ცნობა შესაძლებელია (სამეგრელოში მივლინების ანგარიში, 1955 წ.).

ამ მასალაში, გარდა იმისა, რომ დღევანდელი პირიქით ჰქონდა რეთის ტერიტორია ქისტების ნადგომად ისახება, განსაკუთრებით საინტერესოა სახელწოდება ოჩი დაალი. ოჩ — როგორც გარკვეულია<sup>44</sup>, ვაცს ნიშნავს, ხოლო დაალი ღვთაების აღმნიშვნელი სიტყვაა—ნახურში. ამდენად ოჩი დაალი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ვაც-ღმერთს, რაც პირდაპირ მიუთითებს მის ბუნებაზე.

ქისტებთან ანატორის ჯვარის ურთიერთობა ჩვენთვის სხვა მხრივაა განსაკუთრებით საინტერესო. როგორც ზემოთ მოყვანილი გაღმოცემები იუწყებიან, ანატორლები დღევანდელი შატილის ძველი მკვიდრი არიან, რომლებიც შემდეგ ქაჩუს ციხეში გამაგრებულმა ჭინჭარაულებმა ამოწყვიტეს. ის გარემოება რომ ანატორის ღვთაება მოსაზღვრე ქისტთა სალოცავიცაა, ანატორლებს სწორედ ჩრდილო კავკასიის ამ ტომთა მოდგმის ხალხად წარმოგვიდგენს, რომლებიც ქართველ მოსახლეობასთან ადგილის გამო მტრულ ურთიერთობაში იყენენ<sup>45</sup>.

ანატორელთა ქისტური წარმოშობის ხალხად მიჩნევისათვის ჩვენ სხვა საბუთიც მოგვეძებნება, შატილის მკვიდრი ძირად ანატორელი ხთისო აბულეთის ძე ჭინჭარაული გვიამბობს: „მე ვარ ანატორელი. მე ხუცეს ვარ აქ... მთავარანგელოზი, ჩვენი და ლიქოელთ სალოცავი. კარატის წვერაც დავდით. ისიც ჩვენ ჯვარი. სამნ ძმან ყოფილან. წინიდგესავ საითლაც მასულან. ერთ აქ დამჯდარ, მეორე წასულ, ლიქო დამჯდარ, მესამე სისვაურ თვალივისთავ დამჯდარ, უშარაულთ ეძახან, ძირად სისვაურნ, ჩვენ სისვაურებს გვეძახან. ჩვენ ამათ გვარისებ არ ვართ, ამათ ჭინჭარაულებს ეძახან. სანაც ყოფილ ჩვენ პაპის ძმაით.“

ჩვენებ ბევრა ყოფილ. შიგი-შიგ გახქდივ შუღლი. ანატორელთ გაღმ გაუყრიან ჭინჭარაულნი. ეს მამულები პირდაპირ, ზენ, სრუ ანატორელთა ყოფილ. ანდრეზი, რო წინ ანატორელთა ყოფილ ეს ადგილი“.

ანალოგიური მასალა ჩავწერეთ სოფ. გამარჯვებაში მცხოვრებ

<sup>44</sup> ივ. ჯავახი შვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 86—88.

<sup>45</sup> საყურადღებოა გ. ჩიტაან მოსაზრება ქაჩუს ციხესთან დაქავშირებით, რომელიც მიჩნეულია საქართველოს ხელისუფალთა მიერ აგებულ ციხე-სიმაგრედ მოსაზღვრე ტომთა მინახე. ქაჩუს ციხეში შეხიზნულ, პირაქეთ ხევსურეთიდან ჩისახლებულ ჭინჭარაულებს სწორედ ანატორლებთან, ე. ი. მოსაზღვრე ქისტრი მოდგმის ხალხთან ჰქონდათ ბრძოლა.

შატილელ ნანაისძე ჭინჭარაულისაგან: „ძველად ყოფილან ანატოლიელი რელნი. შატილიონნი ქაჩუს ყოფილან, ისევ არ ნასახლარები. ეგენი (ანატორელნი) ყოფილან სისვაურები. შვიდ მამად ყოფილან ეგ ანატორელნი.... მაგათ ეკალდამეებსთანაც ხქონივ ბინაი. ბოლოს მთავარ ანგელოზისად (ანატორის ჯვარი) ლუსმარ დაუქრავ ნეფშივ (ხელის გულზე). გაშჩენია უამი. ეკალდამეებს წინდაწინ ამზადებდეს. სამოც გამაქდავ კმლის შამმბელივ... თავადო მთავარ ანგელოზო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო — ეგრ ქსენდების. ანატორის ჯვარს მთავარანგელოზს ვეძახით ჩვენ.

ქისტებს ქელოსან ხყვანდ ჯარეგიდან კოცეშა. მე ვერ მავეს-წვერ. კოცეშა ქაიაური იყო ქელოსანი და ღროშაიც ხყვანდა. ქადა-გობაში გამიგონავ: მაში მქონდავ შაძლებაივ, იერდაჩი რო ვიარებოდივ, — მთავარ ანგელოზზე ანატორის ჯვარზე. ღროშა ქისტებს არ ხყვანდ. ყოველ დღეობის თაოდ მასვლა უნდოდ. მედროშაეს თან ხყვებოდა. საკლავებს კლევდეს ამაღლება რო მავიდოდ. აბულეთთ ხთისო უკლევდ. მაგათ საკლავ თუ არ დადგებოდ წინ, ისე არ შაიძლებოდ, იმიტო რო ანატორის ჯვარს აყვანილებ ხყვანდეს ეგ ჯარეგიონნი (სოფელია ქისტეთში, შატილის წყალზე. თ. მ.) სისვაურებ დადიოდეს კარატის ჯვარში. ჯიგეთ არიან მაგათ განაყრები.

ანატორის ჯვარს მამულ ხქონდ ჯარეგას ერთ ყანა იყვ ჯარეგას ანატორის ჯვარისაი. სამის დღის ყანა იყვ“.

ამ ძასალიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ქადაგობის ტექსტიდან მოტანილი ფრაზა: „ამაში მქონდავ შაძლებიივ, იერდაჩი რო ვიარებოდივ“. იერდა, როგორც ცნობილია, ქისტების სალოცავია, იქ სიარული კი იმავე ეთნიკური ჯგუფის ღვთაებას შეეძლო. საყურადღებოა ისიც, რომ შატილელ მლოცავზე ადრე ქისტების საკლავი უნდა დაკლულიყო ანატორის ჯვარში. ამასთან ერთად, მისი ხსენება, როგორც რჯულიან-ურჯულოთ სალოცავისა, უდავოდ მეტ საბუთიანობას მატებს ანატორელთა ჩეჩენ-ინგუშური მოდგმის ხალხად მიჩნევის.

რომ დღევანდელი პირიქით ხევსურეთის ტერიტორია გარკვეული დროის მონაკვეთში ჩეჩენ-ინგუშური წარმოშობის ხალხის მფლობელობაშიც ყოფილა, დასტურდება ტოპონიმიკური მონაცემებითაც. თ. უთურგაიძემ ნაშრომში: „ქართული ენის მთის კილოთა

ზოგი თავისებურება<sup>46</sup>. ამ საკითხს საგანგებო თავი მიუშენებული „მთის კილოთა გავრცელების ტერიტორიაზე ძირითადად ქართული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები გვხვდება, — წერს იგი, — მაგრამ საქმაო რაოდენობით ვხვდებით ისეთ ტოპონიმებსაც. რომელთა წარმომავლობისა და ეტიმოლოგის გარკვევა ხერხდება მხოლოდ ნახური ენების მონაცემთა გათვალისწინებით“. ავტორს განხილული აქვს. ლო, გო, ჩო, მათე, ტე, ეხ — დაბოლოებიანი ტოპონიმები, რომლებიც განხეულია თუშ-ფშავ-ხევ-სურეთის ტერიტორიაზე და რომლებიც ახსნას პოულობენ ნახური ენების საფუძველზე. ავტორის მიერ მოპოვებული მასალა და ამ მასალის მეცნიერული ანალიზი აშეარად მიუთითებს იმაზე, რომ დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორია თუ მისი ნაწილი, დროის გარკვეულ მონაცემთში ნახურ ტომებს უნდა სჭეროდათ, და მათ დაეტოვებინათ თავიანთი ტოპონიმები. ასეთი ტოპონიმები საქმაოდ გვხვდება თვითონ შატილშიც, რაც მის თავდაპირველ მოსახლე ანატორელთა ქისტურ ჩამომავლობაზე მიუთითებს.

ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე შატილს შემორჩენილ ანატორელთა წინაპარი სასეაურია და მაშასადამე ძირიად ქისტი. თუ შატილელი ანატორელნი, პირაქეთ ხევსურეთის ლიქოის ხეობის მკვიდრი სისეაურნი და ფშავ-ხევსურეთში დღევანდლამდე არსებული საქისტაუროს მოდგმა, ძირიად ერთი ჩამომავლობისანი არიან, როგორც ამაზე გადმოცემა მიუთითებს, რაზედაც აშეარად მეტყველებს საერთო ხატისყმობის ინსტიტუტი (მათი საერთო სალოცავია მთავარანგელოზის სახელით დღეს ცნობილი რომელიდაც ძველი ღვთაება; კარატის წვერზე ანატორლები ლიქოკლებთან ერთად ლოცულობდნენ იახსარსაც)<sup>47</sup>, მაშინ ამ ხალხთა საერთო

<sup>46</sup> თ. უ თურგაი ქ. ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966, გვ. 88—103.

<sup>47</sup> საყრადლებოა, რომ ანატორის ჯვარის მოძმედ ითვლებოდა პირიქით ხევსურეთის არხოტის ოემის მთავარი სალოცავი მთავარანგელოზიც. გადმოცემის მიხედვით, ადრე არხოტში თაორები მდგარან, რომლებიც შემდევ აყრილან, მათ ადგილში ხევსურები ჩამოსახლებულან — რამდენიმე კომლ ადგილზე დარჩენილ თათართან ერთად. მთავარანგელოზი არხოტის ოემის თავდაპირველ, ძირიად არაქართველი მოსახლეობის ძირითადი ხატი იყო. ანატორის ჯვარის მოძმედ თვლიდნენ აგრეთვე ხონეს მთავარანგელოზისაც (პირიქით ხევსურეთი, მიღმახვი), რომელიც აგრეთვე ქისტების სალოცავიც იყო (რ. ხარა-ა-დ ქ. პირიქით ხევსურეთში მიღლინების წინასწარი ანგარიში, ენიმეს მოამბე, XI, 1941, გვ. 29-30).



ლვთაებებიც და მათ შესახებ შემონახული გადმოცემებიც აუცხალებენ  
ერთ კავშირში უნდა იქნეს განხილული.

როგორც ანატორელნი, ისე ლიქოების ხეობის სისვაურნი ძირად  
ქისტები არიან. თუ ეთნონიმ კავკასიანში იგულისხმებიან ჩეჩენ-ინგუ-  
შები და სხვა მათი მონათესავე ტომები<sup>48</sup>, მაშინ თქმულებაში ასა-  
ხულ მტრულად განწყობილ უცხო მოსახლეობაში, სწორედ კავ-  
კასიანთა გარკვეული ფენა უნდა იქარაუდებოდეს.

საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი ცნობები  
შემოუნახავს გადმოცემას ღვთაება შუბნურის შესახებ. მისი სამ-  
ლოცველო პირაქეთ ხევსურეთში, ლიქოების ხეობის სოფელ ჭალა-  
სოფელში მდებარეობს. შუბნური ადგილობრივი წარმოშობის  
ღვთაებად არ მიიჩნევა. მის შესახებ დარჩენილი თქმულების ერთ-  
ერთი ვარიანტით, ვინმე თათარი მოსულა თუ შეთიდან და  
ლიქოების ხეობის სოფ. შუბანში დასახლებულა (ამჟამად აქ შუბნუ-  
რის სამლოცველოა). შემდეგში მას თავისი მტრების დასასჯელად  
თუ შეთიდან ვე მოყვანია შუბნური ჯვარიც, რომლის სახე-  
ლიც დალი ხაჭი ყოფილა (ასახელებენ მის თავდაპირველ  
სამკვიდროსაც — აზამგანს). სხვა გადმოცემის მიხედვით იგი თათ-  
რების მოყვანილია, რომელიც ხან ცხრა ადლ მიწაში ჩაუმარხავთ,  
ხან ცხენის „მჩორეში“. შუბნური მგელივით შემოჰყობულდა თურმე  
ხევსურეთს, როცა თათრებს მოჰყავდათ და სხვ.

საყურადღებოა, რომ მთიელთა სასულეორო ტექსტებში იგი  
რჯულიანურ რჯულოთ სალოცავად მოიხსენიება; იგი ხთის  
კარზე სირცხვილით იწვის, ვინაიდან სხვა ღვთისშვილებისაგან  
განსხვავებით, მას „ცხენის ზღვენ-ულუფანი შემოსდიოდენ“. ე. ი.  
ყმები მას მსხვერპლად ცხენს სწირავდნენ თურმე. ცხენი, როგორც  
სამსხვერპლო პირუტყვი, სწორედ მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიის  
მთიელებში იყო ცნობილი. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ იგი კოპა-  
ლის დამხმარე ღვთისშვილად, მის ხელვევითად ითვლებოდა.

თქმულებაში დაცული მომენტი შუბნურის თუშეთიდან მოყვა-  
ნის შესახებ, გვერდით უდგას კოპალის თუშეთში, ბეგრის დასადე-  
ბად მოგზაურობის თქმულებას, სადაც თუშეთში დიდოეთი ივარაუ-  
დება ქადაგობის ძველი ტექსტებისა და მთხრობელთა გადმოცემის  
მიხედვით. როგორც ჩანს, ეს ღვთაება თავდაპირველად სხვა ეთნი-

<sup>48</sup> В. Гамрекели, Двали и Двалетия в I—XV вв. н. э., Тб., 1961,



ქური ფენის სალოცავად ითვლებოდა, რომელიც დროის გარეშემოარებული მონაკვეთში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ბინადრობდა. თავისი ჯვარ-ხატების თან მოყვანისა და მისი ახალ ადგილზე დაარსების წესი, კავკასიის მთიანეთში დადასტურებული ფაქტია, რაც სხვასთან ერთად ამ ადგილის დაჭერა-დამორჩილებასა და თავის კუთვნილებად ქცევასაც ნიშნავდა. დროთა განმავლობაში ეს ღვთაება, მის თავდაპირველ ყმათა განდევნისა თუ ქართულ მოსახლეობასთან შერწყმა-შერევის შედეგად, ადგილზე უნდა დარჩენილიყო და ადგილობრივ ღვთაებად ქცეულიყო.

შუბნური სწორედ იმ ხეობის მცხოვრებთა სალოცავია, რომელიც ძირითადად ნახური წარმოშობის ხალხითაა დასახლებული.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამავე ხეობაში, როგორც აღრე მოტანილი მასალა მიუთითებს, კოპალამ ამოწყვიტა მისთვის უცხო მოსახლეობა: ბაციონნი, კვათიონნი, ჰეტკოელნი და სხვ. აქედან ბაცე სოფლის სახელია; ბაცალიგო ეწოდება ოგრეთვე არავის ხეობის მეორე ხევსურეთის სოფელს, რაც ბაცეთსოფელს ნიშნავს. ამავე სახელწოდების დასახლებული პუნქტი, მდებარეობს ქისტეთშიც, არგუნის ხეობაში. ეს მონაცემი კი იმაზე მიუთითებს, რომ ხევსურეთში და კერძოდ ლიქიძის ხეობაში აღრე უნდა არსებულიყო ქართველთავის უცხო, ბაცბურ-ქისტური მოსახლეობა, რომელთა ამოწყვეტა კოპალას მიეწერება (გავიხსენოთ, რომ კოპალა დევებსაც ებრძების და წყვეტს). ღვთაებათა ბრძოლის ქვეშ კი ივარაუდება მათი საყმოების შებრძოლება მოწინააღმდეგესთან.

მინშვნელოვანია ის გარემოება, რომ იახსარ-კოპალას ყმებად, ძირითადად სწორედ ეს წარმოშობით არაქართველი მოსახლეობა ითვლებოდა. საფიქრებელია, რომ მათი დამარცხება-განდევნის შემდეგ, ადგილზე დარჩენილი უცხო მოსახლეობის ნაწილი ეყმო ხსენებულ სალოცავებს და თავის მთავარ ხატებად გაიხადა ისინი.

ისტორიულად დადასტურებულია მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიელი ტომების აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ბინადრობის ფაქტი; ისტორიული წყაროების შესწავლის შედეგად, გ. მელი-ქიშვილი წერს: „აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში ჩრდილო კავკასიური ტომების არსებობაზე მიუთითებს, როგორც ცნობილია, ამ რაიონების ძეელი ტოპონიმიების ანალიზი. აქედან, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს, რომ მთიანეთში ქართული მოსახლეობა არ არსებობდა. ისტორიულად, უძველესი დროიდან



მოყოლებული, დადასტურებულია ჩრდილო ტომების სამხრეთი კუნძული, გადმონაცვლების მუდმივად მიმდინარე პროცესი. მთიანი შემცირებული რიაში მცხოვრები ჩრდილო კავკასიური გვაროვნულ-ტომობრივი კოლექტივები, შესაძლებელია ჩრდილოეთიდან ამგვარად იყვნენ შემოჭრილნი<sup>49</sup>. დასახელებული ავტორის იმავე ნაშრომში ვკითხულობთ: „სიმპტომატურია, რომ არა მარტო სტრაბონი და სხვა უცხოური წყაროები თვლიან მთიანი იბერიის მოსახლეობას ბარის მცხოვრებლებისაგან ძალზე განსხვავებულად (სტრაბონის მიხედვით პირველნი სარმატებსაც კი ენათესავებიან), არამედ ქართული წყაროებიც ანალოგიურ სურათს ხატავენ. უეჭველია, ძველი ქართული ტრადიცია ომოსავლეთ საქართველოს მთის რაიონებს (კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი განტოტებანი), ნაწილობრივ კავკასიანთა მონათესავე ტომებით დასახლებულად მიიჩნევს, ე. ი. ძირითადად ქედის ჩრდილო კალთებზე მცხოვრები ბაცბურ-ქისტური და დაღესტნური ჯგუფის ტომებით“<sup>50</sup>.

როდესაც ვ. გამრეკელი ეხება „ქართლის ცხოვრების“ ცნობას — მეცე საურმაგის მიერ საქართველოში დურძუების ჩამოსახლების შესახებ დიდოეთიდან ვიდრე სვანეთამდე, წერს, რომ ეს არის ცენტრალური კავკასიონის ტერიტორია, რომელიც მოიცავს დვალეთს, მაგრან დვალეთს და თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ანუ ძველი ქართული ნომენკლატურით, ფხვის ტერიტორიასონ<sup>51</sup>.

ასეთი ისტორიული ცნობების გვერდით, როდესაც დღევანდელ ფშავ-ხევსურეთისა თუ მთიულეთ-გუდამაყრის ტერიტორიაზე ჩრდილო-კავკასიისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ძეგლები გვხვდება, როცა ტოპონიმიერა მთი ბინადრობის ფაქტებს ამეღავნებს, როდესაც ამ ხალხის ყოფის ცალკეული მხარეები და მეურნეობის ფორმები ესიტყვება ქართველ მთიელთა ცხოვრების სათანადო მონაცემებს, როცა ქისტურ-დაღესტნური ჩამომავლობის ხალხი დღესაც ცხოვრობს აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და ამ ხალხის მთავარ მბრძანებლად ის ღვთაებები გვევლინებიან, რომელთაც მიეწერება დევ-კერპთა დამარცხება-განდევნა, როცა გაღმოცემები ამ უცხო ხალხის ყოფისა და მათთან ქართველ მთიელთა ურთიერთობისა თუ ბრძოლის სურათებს გვი-

<sup>49</sup> Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., გვ. 295.

<sup>50</sup> Г. А. Меликишвили, იქვე, გვ. 295.

<sup>51</sup> В. Гамрекели, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

ხატავს, არ შეიძლება არ გაცუშიოთ ანგარიში ისტორიული ფლექტონია  
ბისა და ადგილზე შემონახული თქმულებების მონაცემსა თან-  
ხვედრას, არ შეიძლება არ დავინახოთ მატიანეს ცნობების გამოძა-  
ხილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოლოგიურ გადმო-  
ცემებში, საღაც დევ-კერპების სახელს ამოფარებული უნდა იყვნენ  
სწორედ ის ჩრდილო კავკასიელი ტომები, რომელიც დროის გარკვე-  
ულ მონაკვეთში ცხოვრობდნენ ჩვენს მთაში ქართველ მთიელებთან  
ერთად. რაც შეეხება სახელწოდება დევს, ვფიქრობთ იგი ამ  
შემთხვევაში პირობითია, აღებული ჯადოსნური ზღაპრების სამყა-  
როდან. დევ-კერპების სახელით მოხსენიება ხალხისა, რომელიც  
ჩვენი წინაპრებისაგან განსხვავდებოდა ზნითა და ადათით, რომე-  
ლიც მასთან მტრულ ურთიერთობაში იყო, რომლებთანაც სასტიკი  
ბრძოლები მოუხდათ, დროთა განმავლობაში უნდა მომხდარიყო,  
თქმულების გაზღაპრულებასთან შეფარდებით. ამგვარ ვითარებას-  
თან გვაქვს საქმე სხვა უთნონიმიური ბუნების მითოლოგიურ  
გადმოცემებშიც, რომელთაგანაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს  
ფშავ-ხევსურეთის ჯავარ-ხატების ქაფავეთში ლაშქრობის თქმულება.

დევების ვინაობის საკითხს საგანგებოდ შეეხო შ. ჩიგავაძე<sup>52</sup>.  
მისი შეხედულებით „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული დევები  
რეალურად არსებული ადამიანები არიან. ამოსავალი მისი მტკიცე-  
ბისათვის არის ამიანე მარცელინეს ცნობა (IV ს. ახალი წ. ა.) დევ-  
თა (დივთა) ტომის არსებობის შესახებ ინდოეთში<sup>53</sup>. შ. ჩიგავაძის  
მტკიცებით ინდური მითოლოგიური ქალმერთის დევის სახე-  
ლიდან ისტორიულად დევთა ტომის სახელწოდება შექმნილა. მათ  
ჰქონიათ სოფელი დევაგრი ანუ დევანგირი. ამ მსჯელობაში სა-  
ეჭვო თითქოს არაფერია. არც ისაა გამორიცხული, რომ რუსთავე-  
ლის ეპოქაში სცოდნოდათ ამ ინდური ტომის არსებობის შესახებ  
და დიდ პოეტს სწორედ მათი სახელწოდება გამოეყენებინა თავისი  
პოემის პერსონაჟებისათვის. ეჭვს სხვა გარემოება იწვევს; ამტკი-  
ცებს რა დევთა ტომის ინდოეთში არსებობას, შ. ჩიგავაძე ამასთან  
ერთად ქართულ მასალებსაც იშველიებს (იოანე ოქროპირის ცნობა,

52 შ. ჩიგავაძე, სინამდვილის ასახვის საეპთისათვის ვეფხისტყაოსანში,  
გამ. „თბილისი“, 1963, 7 იანვარი; ერთი რუსთველოლოგიური წერილის გამო,  
ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. V,  
1964.

53 გეორგია, I, 1961, გვ. 75.



მოსე ხონელისა და „რუსუდანიანის“ რამდენიმე ეპიზოდი) მელთა მიხედვით დევები ადამიანებად არიან მიჩნეული. ამ შასალას ამაგრებს ქართული ტოპონიმიკის მონაცემებით (დევის ტანი, დევთ ნასოფლარი) და ონომასტიკონით (დევაძე, დევიძე). ამ გვარების წარმოშობას იგი შემდეგნაირად ხსნის: „დევი ერთ ღროს მითოლოგიური ღმერთის სახელი, იქცა ადამიანთა სახელად და, როგორც ზემოთ ითქვა, აქედან წარმოიშვა ადამიანის გვარის, გვაროვნული ჯგუფის და ტომის სახელი<sup>54</sup>. ეს მსჯელობა გამომდინარეობს ზემოთ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებიდან ინდურ ქალღმერთ დევისაგან დევთა ტომის სახელშოდების მიღების შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თავისითავად სადაცო ღვთაებისაგან ადამიანთა კოლექტივისათვის სახელის დარქმევა, ინდური მასალა ვერ ახსნის ჩვენში არსებული გვარების წარმოშობას.“

შ. ჩიჯავაძის მტკიცებას ერთი საერთო ხაზი აკლია; თუ დევები რეალურად არსებული ხალხია და ეს ხალხი დევთა ტომის სახელით ინდოეთში ცხოვრობდა, ამ საფუძველზე ვერ გვარკვევთ ქართულ გაღმოცემებში, ტოპონიმიკაში, ონომასტიკონში, წყაროებში დაცულ მონაცემებში დევთა შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ან ჩვენი და ინდური ცნობების საერთო წარმომავლობის საკითხი უნდა დაისვას, ან ურთიერთ გავლენისა. თუ დევთა ტომი ჩვენში ინდურისაგან დამოუკიდებლად არსებობდა, მაშინ მიახლოვებით მაინც უნდა განისაზღვროს ამ ტომის არსებობის როგორც ქრონოლოგიური მხარე, ისე გეოგრაფიული იდგილმდებარეობა. შ. ჩიჯავაძის მტკიცების ღროს დევები ამ ჩარჩოების გარეთ დგანან.

შ. რუსთაველს რომ თავის პოემაში დევთა ინდური ტომი იყახა, ეს შუქს ვერ მოთვენდა ჩვენში არსებულ ცნობებს დევების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ქართულ-ინდური ურთიერთობის თვალსაზრისით დაჭირდებოდა ამ საკითხს შესწავლა.

ჩვენ მიერ განხილული მასალა დევ-კერპთა შესახებ, დევებს რეალურ ადამიანებად წარმოვეიდგენს, რომელთაც, როგორც დავინახეთ, არაფერი აქვთ საერთო ინდურ დევთა ტომთან. მათში ჩრდილო კავკასიის მოსაზღვრე მოსახლეობა ივარაუდება, რომელთაც დროთა განხილულია უნდა დაშკვიდრებოდთ ზღაპრული პერსონაჟებს — დევის სახელის სახელი ზღაპრული სამყა-

<sup>54</sup> შ. ჩიჯავაძე, ერთი რუსთაველოლოგიური წერილის გამო, გვ. 136.



როდანაა აღებული აქაც და მტრულად განწყობილი შეზობლები  
მიერ შერქმეული.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა თურქოლოგ ო. გიგა-  
ნეიშვილის მიერ თურქეთიდან ჩამოტანილი ცნობა იმის შესახებ,  
რომ იქ მომწყვდეული ქართველები თურქებს „კულიანად“ თუ არა,  
ისე არ იხსენიებენ თურქე.

მსგავს შემთხვევაში შეიძლება იმავე მდგომარეობასთან გვქონდეს  
საქმე, როგორსაც ვამოწმებთ ცალკეული, რამე განსაკუთრებული  
თვისების მქონე აღამიანისათვის ქაჯისა და კულიანის შერქმევისას.

### თქმულება ქაჯავეთის დალაშვილაზე

თქმულება ქაჯავეთში ფშავ-ხევსურეთის ღვთაებების ლაშქრო-  
ბის შესახებ, როგორც ცნობილია<sup>55</sup>, ჩვენამდე მოღწეულია პროზა-  
ული და პოეტური ვარიანტების სახით. მასში მოთხოვილია იმის  
შესახებ, თუ რა მიზნით მოეწყო ქს ლაშქრობა და რა გადახდათ  
თვეს მის მონაწილეებს, ჯვარ-ხატებთან ერთად ქაჯავეთში ხორცი-  
ელი, ხახმატის ჯვარის მკადრე გახუა მეგრელაურიც მოგზაურობს.  
ლაშქრობის თაოსანი — ხახმატის ჯვარი გიორგი ნაღვარმშვენიერია,  
მონაწილეები კი ფშავ-ხევსურეთის თითქმის ყველა ღვთიშვილები.

მოლაშქრეები გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, გახუა  
მეგრელაურს სულ იმოკლიან, ხოლო გვამს ადგილზე ტოვებენ.  
როდესაც ქაჯთა აღვილ-სამყოფელს მიაღწევენ, გიორგი ნაღვარ-  
მშვენიერი „საფარველს იდებს“, ბუზად ან მტრედად იქცევა და ისე  
შედის ქაჯთა სოფელში. არის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც  
ღვთიშვილები აშკარად შედიან სოფელში, ოღონდ-თავის ვინაობას  
ჰალავენ. ისინი ათვალიერებენ გარემოს, თვალს ავლებენ ჩამწერი-  
ვებულ სამჭედლოთა რიგს და როდესაც შესაფერისი მომენტი  
რჩებათ, მტერს ეკვეთებიან, ნაღავლს იტაცებენ.

საინტერესო ვარიანტი აქვს გამოქვეყნებული აკაკი შანიძეს  
ამ ლაშქრობის შესახებ: ქაჯავეთში მისულა გიორგი „ი ქაჯებს სა-

55 ვაკე-ფშაველა, რამე-რუმე მთისა, ტ. V, 1961, გვ. 131—132; ა. შა-  
ნიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, I, 1931, გვ. 228, 594; გ. ბარ-  
დაველიძე, ბავშვის დაბადების და აღზრდის რიტუალი მთიან ქართლში,  
1928, გვ. 274—275; თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი საჩრმინოების ის-  
ტორიიდან, ქადაგობა ხევსურეთში, გვ. 52—53; ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა  
„ხოგაის მინდაზე“ და პოემა „გველის მჭამელი“, გვ. 27—28.

ფეხვნივ ხქონივ გაკეთებული. სინის მჭედელ ყოფილ, ჰქონდეთუ  
სინასა, შავიდ თუ წმიდა გიორგი ი სამჭედლოჩი და ი კაცის სულ  
თან შახყვა. მჭედლის საჭედი სინა მაუხიბლავ. გამაიღ თუ ი სინა  
და გრძემზე შააგდა და კვერ დახვრა. ი სინა უნდა გატყვრას და  
ხალც (იგ. ქაჯები. ა. შ.) სრუ გაღუპას, გიორგის ისე მაუხიბლავ ი  
სინა, გადადვ თუ ი სინა მჭედელმ. გამოვიდ კარზე, სოფელი წავიდ.  
იქ ერთ ქაჯ (პირველად თქვა: კაც) ეგულების ახესნას ეს რა ამბავია. მეუფროსე იქნებოდ ის, რაღა, მათი. მაიყვან თუ სამჭედლოჩი ი ქა-  
ჯი, ე სინა ამნაირად შვრებისო, რა ამბავიათ თუ უთხრ.

იმ ქაჯმ უთხრ: ეს მე ვიცი, ეს გიორგი არის, ე სკაი დეო.  
მემრ გიორგიმ ჯანდებ თუ გააჩინ ი სამჭედლოჩი. მემრ თავის ძალა  
მაიქმარა და ე სამჭედლომ იქუხა სრუ ერთიანა და ნაგაბარ ცისკე  
გეედინ. იმ გრძემს მათრაჯი თუ შამოხვრა და ცხენზე აიღა ი გრძე-  
მი. კვერიც თან ამაყოლ იმას“<sup>56</sup>... და სხვ.

ამის შემდეგ ღვთიშვილები შეესივნენ ქაჯთის სოფელს და  
დაიწყეს ნალავლის მოტაცება, რომელთაგანაც ცნობილია სასროლი  
სამართებელი, გრძემლ-კვერი, ოქროს ძალიანი ფანდური, და სხვ.

ამ გადმოცემის გალექსილი, შედარებით სრული ვარიანტი გად-  
მოვცემს გიორგისა და ქაჯავეთილი მჭედლის შერკინებას.

„ქაჯავეთს რას იარები, გიორგიე, სეილის ფერაო?  
—ვალი მიიღიავ, ვალს მივსდევ, რას მკითხავ ქრისტის დედაო.  
სინას შემდს ქაჯთა მჭედელი, მივასწერ წლობაზედაო.  
სამჭედლოს გადაუხენე, ნისლები დაბადულაო,  
მჭედლები, მემჭედურები ცისკე გამართულაო.  
ქურთემულ მაუგლეჭირ, ცხენი შავაგლი ზედდაო.  
ქაჯთა მჭედელმა ქელ-კვერი ცხენს მიცა ბეჭედზედაო.  
გრძემლსა, ქელკვერსა, მარწუხსა გვერდი ცალ-ცალკე სქდებაო.  
ქელ მავხეარ, წამავიტანე, ჭაჭმატის ჯვარჩი ძესაო.“

ლექსში, როგორც ჩანს, სტრიქონთა თანმიმდევრობა არეულია.  
შინაარსობლივად ბწყარი: „სინას შემდს ქაჯთა მჭედელი, მივარწევერ  
წლობაზედაო“, — თავის ადგილას არ ზის. იგი ორი სტრიქონით  
დაბლა უნდა იყოს და წინ უძლოდეს სტრიქონს — „ქურთემულ მა-  
უგლეჭირ, ცხენი შავაგლი ზედაო“. ერთი ვარიანტის მიხედვით, იმ

56 ა. შანიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 584.

დროს, როდესაც გიორგი ქაჯთა სოფელში დადიოდა, სხვა ჭყაფიში მართვის შემთხვევაში გამოიყოფოდა. როდესაც გიორგიმ ქაჯთა სამჭედლოს ცეცხლი გაუჩინა, მაშინ მათ დრო იხელოეს, გამოცვიდნენ თავიანთი საფარიდან და ნადავლის დატაცებას მოჰყვნენ. ქაჯებმა ჯერ გავარვარებული რკინის სროლა დაუწყეს მათ, რასაც კარატის ჯვარი ხელით იქერდა და მათვე ესროდა, ხოლო შემდეგ კატის თავ-ფეხი მოაყოლეს. ამან კი ძალზე შეაკრთო ხევ-სურთა სალოცავები. ისინი გუდანის ჯვარის „უზარმაშარ „დელამ-ფარს“ ამოეფარნენ. ქაჯების რისხვას მხოლოდ როშეის მთავარანგელოზი ვერ გადაუტჩა. მას კატის ფეხი მოხვდა, რის გამოც სიარული ბოლომდე ვერ შეძლო, ქაჯეთიდან მომავალი როშეაში დარჩა და იქვე დაარსდა.

ღვთიშვილებმა ბოლოს და ბოლოს სძლიერ ქაჯეთი, სასურველი ლითონის ნადავლი, ქაჯეთური საქონელი, ტყვე ქალები გამოიტაცეს და გამარჯვებული დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. გახუას სული კვლავ მატლაჩენილ მის გვამში მოათავსეს, გააცოცხლეს და უვნებელი დააბრუნდეს.

ამ ოქმულებაში მრავალი გარემოება იქცევს ყურადღებას, საიდანაც მთავარია თვითონ ქაჯთა რაობა-ვინაობის დადგენა, გადმოცემის მიხედვით ქაჯები მჭედლობით ცნობილი ხალხი ჩანს. მათი სოფელი სამჭედლოებითაა სავსე. ქაჯთა მჭედელი, რომელსაც გიორგი ნაღვარმშვენიერი ეწვია, სინას „აწლობის“, მჭედლებისა და მემჭედურების სიმრავლეა („მჭედლები, მემჭედურები“, მრავლობით რიცხვშია ნახმარი). მჭედელს გრდემლი უდგას, ხელკვერითა და მარწუხის დახმარებით ჰქედს „გამოწლობილ“ სინას. მათ იმდენი რკინა აქვთ, რომ გავარვარებული სახით ღოვიშვილებს ესკრიან. აღგილზეა დამზადებული სასროლი სამართებელი, ოქროს-ძალიანი ფანდური, ცხრაენიანი ზარი, მკლავის სიმსხო ჯაჭვის რგოლებიანი საკიდელი, სანაყავი. ხევსურეთის ჯვარ-ხატები იტაცებენ, როგორც ლითონისაგან დამზადებულ ნივთებს, ისე ჰქედვისათვის საჭირო ხელსაწყოებს (გრდემლი, ხელკვერი, მარწუხი).

(საყურადღებოა, რომ ხევსურნი ლითონის ჰქედვის ხელოვნებას ქაჯებს უკავშირებენ:

„ჯაჭვმა თქვა სამანქანურმა  
ქაჯებმ ამასხეს თითია...“

ქაჯები მესაქონლეობითაც ცნობილნი ჩანან; ლაშქრობის შე-



დეგად ქაჯეთიდან მორეკილი საქონელი მეტად მრავალრიცხული ყოფილა, ხოლო იქაურ ძროხის ჩას ისეთი ზომა ჰქონია, რომ შემდეგში ხახმატის ჯვარში გვიანობამდე პურის საწყავად ჰქონიათ შემონახული, როდესაც ქაჯეთიდან მორეკილი საქონელი სოფ. ხახმატის ძირს მისულა, ორი მექოხე დედაკაცი (ახლად მომშობიარებული, ჯერ კიდევ სამშობიარო ქოხში მყოფი) ქოხის კარზე მსხდარან. ერთ-ერთ მათვანს, რომელსაც ვაჟიშვილი ჰყავდა, გადმოუხედია და ქაჯთა საქონლის რაოდენობასა და სიზორბავეს გაუოცებია; მეორე, ქალის დედა, მორიდებია მოლაშქრეებს და არაფერი უთქვამს. ღვთისშვილებს სწყენიათ პირველი დედაკაცის თავშეუკავებლობა და მისი ვაჟი ქალად უქცევიათ, ხოლო მეორის ქალიშვილი ვაჟად. გადმოცემის ეს დეტალიც ქაჯეთის მესაქონელობაზე მიუთითებს. მთავარი მაინც ლითონის ჭედვა ჩანს და ლაშქრობის ძირითადი მიზანიც ეს უნდა ყოფილიყო (გვიხსნოთ, როგორ მოიტაცეს ღვთისშვილებმა სამჭედლო, იარაღებიც სხვა ნივთებთან ერთად). ნადავლისათვის სიარულს, სადაც მოტაცების ძირითად ობიექტს რკინა-სპილენძისა და ვერცხლის საგნები წარმოადგენდა საქონელთან ერთად, გვიანხანობამდე ჰქონდა მთაში ადგილი. ეს იმ გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ყოველივე ეს ერთი მხრივ, ძნელი საშოვნელი იყო (ლითონის ნაწარმი), ხოლო მეორე მხრივ, არსებობისათვის აუცილებელი (საქონელი).

ალ. ოჩიაური, იქ სადაც თუშებისა და ფშაველების ბრძოლის ამბებს მოვვითხრობს, წერს: „იმ დროს სპილენძი ისეთი ძვირი ყოფილა, რომ როცა ლაშქარი დავლის იღებდა, პირველ რიგში სპილენძს მოაგროვებდნენ წასაღებად. ჭრიდნენ სალუდე და სხვა დიდ ქვაბებს, რაც მთლიანად წასაღები არ იყო სიმძიმის გამო და ნაჭრებად მიქვნდათ“<sup>57</sup>.

ხევსურული რჩულისა და თავ-მეთავეობის ინსტიტუტში საგადასახადო ერთეულად, როგორც ცნობილია, ძროხა ითვლებოდა. შეაფასებდნენ რა გარევეულ ზარალს ძროხათა სათანადო რაოდენობად, შემდეგ დამნაშავე დაზარალებულს უხდიდა როგორც ფექითად, ე. ი. საქონლის მიცემით, ისე კელითად, რომელშიაც სხვა საზღაოსთან ერთად სპილენძს და რკინას ძირითადი ადგილი ეჭირა:

<sup>57</sup> ალ. ოჩიაური, ფშაური ხალხური დღესასწაულები (ხელნაწერი), 83. 366—367.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს სპილენძი ადგილობრივი დამზადების მუნიციპალიტეტი იყო. იგი შემოჰქონდათ და ადგილზე საკმაოდ ძვირად ფასობდა.

ფშავში შემონახულია თქმულება ფშაველ მისრიაშვილებზე, რომლებიც თავისი მჭედლობით იყვნენ ცნობილნი. მათა ფშავი ჩამოსახლების შესახებ ორგვარი გადმოცემა არსებობს. პირველი გადმოცემა მისრიაშვილების შატილიდან მოსულობის შესახებ, ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ. რაც შეეხება მეორე ვერსიას, ალ. ოჩიაური წერს: „ამათი პაპა ჯალაბაური განთქმული მჭედელი ყოფილათ. თურმე მისრეთში ყოფილა მჭედლად (მისრეთი სად არის ეს ვერ მითხრეს. ა. მ.), მერე ის თამარ ნეფეს გზაში შეხვედრიაო. თამარ ნეფეს უკითხავს: ვინ ხარ და სად მიღიხარო. მან უთხრა: მე მჭედელი ვარო. ამოიღო მჭედლელმა ჯიბიდან თავისი გაეთებული ხმალი (დაგირგვლული ყოფილიყო და ჯიბეში სდებიყო), გახსნა და გაიშალა, გასწორდა. დაგირგვლა ისევ და ჯიბეში ჩაიდო. თამარ ნეფემ ჯერ ნებით უთხრა: ჩემთან წამოდიო და იქ იმუშავეო. რომ არ დათანხმდა, დაიჭირა და წაიყვანა. მისულმა ცოტახანს კი იმუშავა და გაიპარა ისევ. წავიდა თამარ ნეფე და შივიდა იმასთან და ერთი დიდი ბორკილი გამიკეთეო—უთხრა. გაუაეთა იმანაც ბორკილი. თამარ ნეფემ ეს ბორკილი ყელზე ჩაუდვა. წამოიყვანა და ლაშარის ჯვარში დააბა. მანამდინ ყავდა დაბმული, მანამ ფიცი არ მისცა — აღარ წავალო. შეფიცვის შემდეგ წამოიყვანა და თავის ადგილში დაასახლა. რაღან ის მისრეთით მოყვანილი იყო, ამიტომ მათი გვარი მისრიაშვილია და სოფელი მისრიაანთ კარი. ამის შემდეგ დაიწყო აქ მჭედლობა და მათ გვარში მას აქეთ არ შეიძლება რომ ერთი მაინც კარგი მჭედელი არ იყოს და ერთი კევისბერი. ეს ორივე მოდენისტობით აქვს მილოცვილი თამარ ნეფესა და ლაშარის ჯვრისაგან. ზემოხსენებული ბორკილი ლაშარის ჯვარში ინახება და ახლანდელი კაცის თავი კარგად აძრება იმის ყელზე ნადებ ბორკილში... მისრიანი მას აქეთ გახდნენ თამარ ნეფის მკვიდრი ყმანი, ე. ი. უნგნი ყმანი. მათ საკუთარი თემი ას ჰქონდათ და შედიოდნენ კოშარის თემში“<sup>58</sup>.

ეს მასალა მეტად საყურადღებოა. იგი, ერთი მხრივ, მიუთითებს მჭედლობის შესანიშნავ ხელოვნებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ხელოვნებას ქართველ მთიელთა წინაპრების კუთვნილებად კი

58 ალ. ოჩიაური, იქვე, რვ. 29, გვ. 348—349.



არ სახავს, არამედ გარედან შემოტანილად მიიჩნევს. ლექციების მიზანი თანახმად თამარ მეფეს მისრეთს შეპყრობილი მჭედლის ჯავებით დაბმა ჭირდება, რათა იგი თავის საყმოში დატოვოს. მჭედელი მას თითქმის ორც კი ემორჩილება და, ბოლოს, ძალისა და მისთვის შეთავაზებული ხელსაყრელი პირობების გამო ფშავში რჩება. მისი შთამომავლები ხსენებული საქმიანობის დარგს შემდევშიაც წარმატებით განავრცელდნენ.

მჭედლობის არსებობა ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე შემდეგ ხანებში, ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ თავდაპირველად, იმ დროს, როდესაც მათი ახლანდელი ტერიტორიის ნაწილი გადმოცემათა მიხედვით ეთნიკურად განსხვავებულ ხაოხს ე.წ. დევ-კერპებს ეჭირათ, ამ მხარეში ფშავ-ხევსურთა წინაპრების საქმიანობის დარღთაგანი მჭედლობა არ ყოფილა. ისინი კმაყოფილდებოდნენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დევთა მიერ დამზადებული ნაწარმით და მოსახლეობრე ბარის საქართველოში ჭედვის მაღალი ოსტატობით შესრულებული იარაღით, საგნებითა თუ სხვა ინვენტარით.

ამასთან ერთად, ვინაიდან ადგილობრივი მჭედლობა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, გაცვლა-გამოცვლის წესით შეძენილი სათანადო რკინა-სპილენძის იარაღებს გარდა, ეს უკანასკნელი ლაშქრობის დროს მოტაცების ძირითადი ობიექტი იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთა, მის ბართან შედარებით ხელოსნობის ამ დარგში, როგორც ჩანს, მუდამ ჩამორჩებოდა. იგი დამკიდებული იყო, როგორც ბარზე, ისე მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიის მეტალურგიული ხელოსნობით ცნობილ ტომებზე. ამ ტომებთან ურთიერთობა ზემოხსენებული მიზნით გვიანობამდე გრძელდებოდა. იქიდან გადმოჰქონდათ როგორც საბრძოლო იარაღი, ისე საოჯახო მოხმარების საგნები და სამკაულები. იქიდანვე ხშირად მოჰყავდათ მჭედლებიც სალუდე ქვაბების „შესავერავად“ და სხვ.

ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს მჭედლების შესახებ შექრებილი მასალების მიხედვითაც ფშაველ-ხევსურნი არ ჩანა ხმალ-ხანგლისა თუ ჯაჭვის სამოსის მკეთებლებად. ამ იარაღ-საჭურველსაც ისინი ძირითადად მეზობელი ჩრდილო კავკასიელებისაგან იძენდნენ.

თუ ამ ვითარებიდან ამოვალთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წინაპრების ჯვარ-ხატთა ქაფავეთში მოგზაურობა, ვეშარიტ საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული.



1954 წ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ექსპოზიციაში ჩაფიქრის განყოფილების სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში („შემდეგ რომ გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“), პირველად შევეხეთ ქაჯავეთში ლაშქრობის შესახებ არსებულ თქმულებაში შემონახულ ქაჯთა ვინაობის საკითხს. სათანადო მასალის მიმოხილვის შემდეგ გამოვთვამდით მოსაზრებას, რომ ქაჯავეთელებში ნაგულისხმი უნდა ყოფილიყო მოსაზღვრე ჩრდ. კავკასიის ბინადარი ხალხი, რომლებიც მეტალურგიასაც მისდევდნენ და მესაქონლეობითაც ცნობილნი იყვნენ. შემდეგი წლების მანძილზე დაგროვილმა მასალამ და მასზე დაკვირვებამ, ეს ვარაუდი უფრო გააღმავა და, თუ დებულება ძველივე დარჩა, იგი უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა. შემდეგში ქაჯების საკითხმა სხვა მკვლევარებიც დააინტერესა და მათ გარევეული მოსაზრებები წამოაყენეს, რომელთაც შემდეგ შევეხებით მანამდე კი შევეცდებით იმ მონაცემების ჩვენებას, რომელთა მიხედვითაც ზემოხსენებული ვარაუდი გამოვთვით:

1. ზემოგანხილული გადმოცემა მოგვითხრობს უშუალოდ ქაჯავეთის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაზე და ქაჯთა დარბევის ცალკეულ ეპიზოდებზე. როგორც ჩანს, ქაჯები უცხონი არ არიან მოლაშქრეთათვის, განსაკუთრებით ლაშქრობის მეთაურის გორგი ნაღვარმშვენიერისათვის. გადმოცემის გალეჭისილ ვარიანტში ვკითხულობთ:

„ქაჯავეთ რას იარები, გიორგივ, შეელთა ფერაო?

—ვალი მიყიდავ, ვალს მივსდევ, რას მკითხავ ქრისტის დედაო“.

ეს სტრიქონები ქაჯებთან ადრინდელ ურთიერთობაზე მითითებას შეიცავს: გიორგი ერთხელ კი არ ყოფილა ხსენებულ მხარეში, არამედ იგი იქ დადის თურმე. მასთან ერთად, ქაჯავეთელებს მისი ვალი მართებთ, რაც აგრეთვე ადრინდელი ურთიერთობის მაუწყებელია.

გადმოცემაში ნათქვამია, რომ ქაჯავეთში ყოფნის დროს გიორგის ქაჯის ქალი გაძმობილებია, რომელსაც მისთვის საფარველი მოუქმოვია, ე. ი. ისეთი საბურავი, რომლის გადახურვის შედეგად იგი უჩინარი ხდებოდა. ამ საფარველს შემდეგში გიორგი ნაღვარმშვენიერი მოხერხებულად იყენებდა: გადაიხურავდა, უჩინარი ხდებოდა და ხთის ქარზე სხვა ღვთიშვილთა საჩივარს ფარულად

ისმენდა: „გადავიხურევ საფარველიო, ქაჯის ქალის ნაჩუქრით მორიგეს ღმერთსავ კამალაის ძირში შაუქვერივ. იქით უფრო უფრო ხთიშვილთ საჩივარსავ, რასაც ვის აბიზლებდესაოდ ჩადმადიოდესავ“ (ნანია ლიქოკელი, 80. წლ. ს. ქალაის სოფელი, 1962 წ.).

გადმოცემის ამ ვარიანტში რამდენიმე მომენტი იქცევს ყურადღებას. პირველ რიგში საინტერესოა ის გარემოება, რომ გორგის ძმობილი ე. ი. სწორფერი (სატრფო) ჰყავს ქაჯავეთში; მაშასადამე, გიორგის ადრეც ჰქონია ურთიერთობა ქაჯავეთელ ხალხთან, იქაურ ქალსაც გაძმობილებია და მისგან საჩუქარიც მიუღია. მხოლოდ სალაშქროდ მისული პირი სატრფიალო ურთიერთობისათვის ნაჯებ მოცლილი იქნებოდა.

გარდა ამისა, როგორც თავის დროზე გარკვეული იყო<sup>59</sup>, ხახმატის ჯვარში ნაყოფიერების ღვთაებად. სამძიმარ ხელი ყელლილიანი ივარაუდებოდა, რომლის ფუნქციებიც შემდეგ გაიზიარა გიორგი ნაღვარმშვენიერმა. ამ შემთხვევაშიც მითითებაა გიორგის სამიჯნურო შემთხვევაზე, რაც ამ ღვთაების ბუნებიდან გამომდინარეობდა.

ყურადღებას იმსახურებს საფარველის მოქსოვის ფაქტიც. ქაჯავეთელნი, როგორც ნათევამი იყო, გვევლინებიან კედვის შესანიშნავ ოსტატებად. საფარველის მოქსოვის მომენტიც მათი განვითარებული ხელოსნობის დამაღასტურებელ ელემენტად მიგვაჩნია.

ძირითადი კი, რაც ამჟამად გვაინტერესებს, ისაა, რომ გიორგი და ქაჯავეთის მცვიდრნი უცხონი არ ჩანან ერთიმეორისთვის. ამავე გარემოებაზე მიუთითებს ისიც, რომ გიორგი სახეშეცვლით შედის ქაჯთა სოფელში იგი არც ცხენის ღრუში შეძერომას უკრთის, რაც სხვა ღვთიშვილთათვის შეუძლებელი ამბავია, და ბუზად, ან მტრედად ქცეული ევლინება ქაჯებს. (გავიხსენოთ ღვთაებისათვის ცხენის შეწირვის წესი ქისტეთში). საყურადღებოა, რომ ლაშქრობის თაოსანი იგია, ვინაიდან კარგად იცის ქაჯავეთის გზები და მათ სოფელსაც იცნობს. სახის შეცვლაც სწორედ იმიტომ ჭირდება, რომ იგი არ იცნონ.

საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ ბრძენ ქაჯთაგანს ალლომ არ უმტყუნა და უცხო სახით მოვლენილი სტუმარი იცნო. — „ეგ გიორგია, კაისძეო“, — ეუბნება იგი თანამოძმებებს.

<sup>59</sup> თ. ოჩიაური, ქართველთა უცელესი სარწმუნოების ისტორიიდან (ქადაგბა ხევსურეთში), თბ., 1954.



ამგვარად, განხილული მასალა გვაძლევს საფუძველს უკუნის ურთიერთობაზე გიორგი ხახმატის ჯვარსა და ქავავეთელთ შორის აღრეული ნაცნობობა, ურთიერთ მიმოსვლა და გარკვეული სახის ურთიერთობა დავინახოთ.

საყურადღებოა, რომ ხახმატის ჯვარის კულტი გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ისე მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიის ხალხებშიც. კერძოდ ჩეჩენ-ინგუშეთში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ვიცით, რომ ამ ხატს ისინიც ლოცულობდნენ. ამის შესახებ წერდა ნ. ხიზანაშვილი: „ხალხს სწამს, რომ თუ ხახმატის ხატს სურს, მტერი ვერას იზამს, დაბრმავდება; კიდეც ამიტომ შორს მოგზაური აქ ლოცულობს, ქურდიც ვერას მოიპარავს და იქნება ქისტები, ქურდობაში განთქმულნი, ამიტომაც დაიარებიან ხახმატის ხატის სალოცავად“<sup>60</sup>.

ქისტების ხახმატში ლოცვის საფუძველი, რომელსაც ნ. ხიზანაშვილი ასახელებს, ალბათ ძალზე პირობითია, ვინაიდან მისივე შტკიცებით ხახმატის ჯვარი ქურდებს ებრძვის, ქისტები კი მას ქურდობაში ხელის მომართვას უნდა შევეღრებოდნენ, რაც ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაქტს წარმოადგენს. ქისტებიცა და თუშ-ფშავ-ხევსურნიც ხახმატის ჯვარს ძირითადად ნაყოფიერებას, სიუხვეს და ბარაქიანობას შესთხოვდნენ, როგორც საქონლის, ისე აღამიანთათვის. ქისტებისა და ხახმატელთა ურთიერთობაზე მიუთითებს შემდეგი ცნობაც: „ხახმატში სეტყვის მოსაშორებლად ქისტების ხატს ლოცულობენ, მაისტის ხატს. ეს ხატი ქვისა ყოფილა და კაცი იყო გამოხატულიო. ვერცხლპირიანი. ღურუბელი და ბურუსი მაისტის მხრით მოდის და სეტყვა ხორხოშელის იქაური მოგვივლენს ხოლმეო. საკლავსაც უკლავენ ხოლმე“<sup>61</sup>.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ გიორგი ხახმატის ჯვარი ხევსურულ სასულიერო ტექსტებში მოხსენებულია „რჯულიან-ურჯულოთ სალოცავად“.

ხახმატელთა და ჩეჩენ-ინგუშთა ურთიერთობის მაჩვენებელი ეს მასალა, ჩვენი საკვლევი საკითხისათვის საინტერესო ჩანს. თუ კი მათ შორის ასეთი კუშირი სუფევდა, ბუნებრივია მათი ხატების და ხატის ყმების ურთიერთ მიმოსვლა, რაც ესიტყვება ხახმატის ჯვარის ქავავეთელებთან დამოკიდებულების ამბებს.

60 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 69—70.

61 ნ. ხიზანაშვილი, იქვე, გვ. 71.



2. ქაჯავეთიდან მომდინარე ღვთიშვილები ხევსურეთში ერთ-ერთ უმაღლეს შეთის მხრიდან ბრუნდებიან და ხახმატის ხეობაში ჩამოდიან. „როგორმა უტანავ ქაჯავეთით ქურთემული, — გვიამბობს მთხოვნებელი, — ცხრა ძალიან ფანდური, საქონელი, მასულან, ეეხლა წყაროს ეძახან თუშეთის მთაზე. იქ მაშინ წყალ არ ყოფილ. შაუწუხებავ ქაჯების ნახირ უწყლოობას. ზე მთაზე ეეხლა წყალი ას. კოპალას ლახტ დაუკრავ, წყალ ამაუყვანავ. გამაულალვა და მაუსხამ აქ. ის ცხრა ძალიან ფანდური, ფურის რქაი და სანაყავიც მაულავ“ და სხვ. ე. ი. მოლაშქრებს გზა თუშეთზე უდევთ, მაშასადამე თუშთა მოსაზღვრე ტერიტორიიდან მოდიან ისინი.

3. ხალხური ზეპირსიტყვიერების კრებულში, რომელშიც თელო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ფშავ-ხევსურული ლექსებია დაბეჭდილი, ქაჯავეთის შესახებ ნათევამია, რომ ქაჯუეთს ოშავლები ქისტეთს ეძახიან, უფრო კი მკითხავ-ხევისბრებიო<sup>62</sup>.

ეს გარემოება უსათუოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან, როგორც ცნობილია<sup>63</sup>, მკითხავ-ხევისბრებს საგანგებო ე. წ. „გვართ ენა“ ჰქონდათ, რომლის ტერმინებს ხმარობდნენ ამა თუ იმ სახელწოდებისა, მოვლენისა, საგნისა თუ სხვათა გამოსახატავად. „გვართ ენაში“ ქისტეთის გამოსახატავად ქაჯეთის არსებობა მეტ საბუთი-ანობას მატებს ქაჯავეთად ხსნებული მხარის მიჩნევას.

4. კოპალას, რომელიც თუშეთში მოგზაურობს თავის მკაფიო მინანთან ერთად, გზად გიორგი და სამძიმარ ხახმატის ხატები შეხვდებიან:

„ვანჭახთას ამავიარე, ვეელ-მყვართ დაოდგა ლრიალი,  
გიორგი გარმამიჩნდა, სამძიმარ ყელ-ლილიანი  
— საიო მისდიხარ კოპალავ, მოსულხარ პიროფლიანი;  
მიაცალ გადამიყოლე, ენა მაქვ ლაქარდიანი.“

ე. ი. ამ მასალის მიხედვითაც, გიორგი იქიდანვე მოემართება, სადაც ხალაშქროდ იყო (ქაჯავეთელთა დალაშქვრის დროს); ოლონდ ეხლა, იგი თავის სამსახურს, როგორც მახვილით მებრძოლი ისე კი არ სთავაზობს კოპალას, არამედ თავისი ენაწყლიანობის იმედი აქვს. ზემოთ ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ კოპალას ლაშქრობა თუშეთში უნდა მივიჩნიოთ, თუშთა მოსაზღვრე არაქართველი

62 ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები თელო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, თბ., 1953, გვ. 19.

63 თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრ., გვ. 128—135.

მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულად, რომლებთანაც გვერდისა მასალის მიხედვით ისეთი ურთიერთობა აქვს, რომ შეიძლება ენის ლაქარდიანობით კოპალას სასაჩევებლოდ გადაჭრას საჭმე.

5. ოქმულებაში წარმოდგენილია გამოკვეთილი ეთნიკური სახის მქონე ქართველ მთიელთა გარკვეული ტომი — ფშავ-ხევსურები. ლაშქრობაში მონაწილეობენ ამ კუთხეებისათვის დღემდე ცნობილი ღვთიშვილები, რომელნიც თავისი მკაფიოს — გახუა მეგრელაურის თანხლებით მიღიან სალაშქროდ. მკაფიო ქადაგთა ინსტიტუტი კი ფშავ-ხევსურთა ხატი მსახურებაში ერთ-ერთი არსებითთავანი იყო გვიანობამდე.

საყურადღებოა, რომ გახუას ნასახლარში სოფ. ჭორმეშავში, დღემდე დაცულია ხახმატის ჯვარის სამძიმარ ხელი — ყელ-ღილიანის სალოცავი, რომელიც გადმოცემების მიხედვით გახუას ხორციელ ქალად ეჩვენებოდა და მასთან სამიჯნურო ურთიერთობაც ჰქონდა.

ყველა ეს მონაცემი, იმასთან ერთად, რომ თითქოს ღვთიშვილთა თაოსნობით მოწყობილი ლაშქრობები გვიანობამდე ცნობილი იყო მთიელთა ყოფაში, იმაზე მიუთითებს, რომ ქახვეთელთა დალაშქვრა არც ისეთი არქაული წარსულის მქონეა თავისი ბუნებით და მასში წარმოდგენილია ერთ-ერთი (ან რამდენიმე) ლაშქრობის სურათი. მით უმეტეს, თუ დღევანდლამდე ქადაგ-ხევისბერთა მეტყველებაში ქახვეთად — მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიელები ივარაუდება, მათთან ლაშქრობა, შესაძლებელია, სწორედ ქახვეთის დალაშქვრის სახელით დარჩენილიყო, რომელმაც შემდეგ ზღაპრულ-მითური სახე მიიღო.

ნაშრომის დასაწყისში ვსვამდით საკითხს იმის შესახებ, რომ გადმოცემას თუ ხალხის ყოფაში მხარდამჭერი მასალა მოეძებნება, მაშინ ეს გადმოცემა რეალურ საფუძველზე წარმოშობის პრეტენზის ამჟღავნებს. აქედან გამომდინარე, თუ ქახვეთში გიორგი ნალვარმშვერიის თაოსნობით მოწყობილ ლაშქრობას ყოფაშიც აღმოაჩნდება გამოძახილი, მაშინ უფრო თამამად შეიძლება ვიმს-ჭილოთ ქახვეთის დალაშქვრის რეალურობის შესახებ. ვაჟა-ფშაველას, წერილში: „რამე-რუმე მთისა“ (1895 წ.), გამოქვეყნებული აქვს სსენებული თქმულების საინტერესო ვარიანტი, სადაც, პეტება რა ქახვეთის დარბევის ამბავს, წერს: „იმათ (ჯვარებს) უფრო



ერთურთის ხათრი აქვთ. „მოკვეთილი“ მხოლოდ „პალური“ გვარისა (უნდა იყოს კადუური. თ. ი.) ჰყავსთ გვართა. იმას არ იკაორებენ ახლო. თვითონაც ერიდებიან... იცით რა უქნია იმ დალოცვილს? ამას კერ ჩვენ არ „ვჩადით“ ჩვენს ქვეყანაში, რომ კვარს ეკადრებოდეს?... ხახმატის გვარი როცა ქაჯეთით მომავალა თავის მოლაშეწრებით, იმათ ლაშეარს წყალი მოპწყურებია... (კოპალის) ერთ უწყლო ადგილს მდელოსად ლახტი დაუტყულებნია, წყალი ამოზუგანია და მთელი მხედრობა დაუძლებია. პალური გვარი კი „უდიმლივ“ მისულა და ის კი კაცობა გაუწევავ, რაც წელან გიამბეთ: სამართებელი და სალესველი მოუპარნია მოზავე ხატებისათვის, რომლებიც იმათ ქაჯეთიდამ წამოღებული ჰქონიათ“.

ეს ვარიანტი შემდეგი დროის ჩამწერთა მიერ, რამდენადაც ვიცით, ფიქსირებული არ ყოფილა. 1962 წელს ჩვენ ჩავწერეთ მსგავსი მასალა პირაქეთ ხევსურეთის სოფ. დავისიში გიორგი უთურგის ძე არაბულისაგან. ხსენებული მასალის მიხედვით ჭადუს ჭვარს სანებას მოუტაცია ხატებისათვის ოქროს ჩონგური. „ყველან ყოფილან ფშავ-ქევსურეთის სალოცავები, მარტო სანებან და წყაროსთაული (სადღაც ფშავში ას) არ სტანებივან. სანება სტანებივ, მაგრამ სრუყველაფერს შაუზიზლავ, უკენ გამაქცეულ. მავ სანებისად ნაწილ არ მიუცავ, — შენ იქ არ გვეტანეო და იმას ძალით ოქროს ჩონგურ გაუტაცებავ და გახქცევივ...“, (ჩვენ შეკითხვაზე, თუ რითი დასაჯეს დამნაშავე ჭვარი ხახმატლებმა, მთხრობელი პასუხობს: „კაჯმატლებს სხვით არაით დაუსჭავ, მარტო ჭადუელი რო საკლავს დახკლევდეს (ხახმატში), სრუ მთელს დაიგდებდეს, არ გაატანდეს არაფერს, იმით დაუსჭავ“. ჩვეულებრივ კი საკლავის დაკვლის დროს, ჭვარში უნდა დარჩენილიყო საკლავის მცირე ნაწილი (ბეჭი, თავი, ან ტყავი).

ეთნოგრაფიულ ყოფაში ლეგენდაში ასახული ამბის მხარდამჭერი ფაქტი, — სასჯელის მიზნით საკლავის მთლიანად ხახმატის ხატში დატოვება, მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა და ოქმულების საფუძველის რეალობაზე მეტყველებს.

რაც შეეხება სახელწოდება ქაჯავეთს, იგი ი. შანიძეს ქაშუეთთან მიჰყავს<sup>64</sup>, ხოლო ვ. ბარდაველიძე მასში ქაშაგეთის გამოძა-

<sup>64</sup> ა. შანიძე მის შესახებ წერს: „უმეველია, ქაშუეთს მავალი გიორგი ხახმატისა ხევსურელი ვარიანტია ქაშოეთის გიორგისა, რომლის სახელწედაც სა-92

ხილს ხედავს. შესაძლებელია აქაც, ისევე როგორც დეპუტატების  
 და აკადემიკოსით, საქმე გვქონდეს ეთნიკურად განსხვავებული მოწი-  
 ნააღმდეგისათვის მსგავსი ზღაპრული სახელის. შერქმევასთან.  
 მთთუმეტეს, რომ ეს ფენა მისგან განირჩევა ზნე-ჩვეულებითაც და  
 რწმენის ელემენტებითაც. ის რაც მათი წესისაგან, მათი რწმენისა-  
 გან განსხვავებულია, სწორედ ქაჯურია, ხოლო მისი მფლობელი  
 ხალხი — ქაჯი... ზუსტად ასეთ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე  
 „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯებთან დაკავშირებითაც. როდესაც ნესტა-  
 ნის ქაჯთა მიერ დატყვევების ამბის მოსმენით შეწუხებული ავთან-  
 დილი ფატმანს ეტყვის:

„მის ქალისა სიბრალული ამანთებს და მიდებს ალსა.

მაგრამ ქაჯი უხორცუნი, რას აქნევენ მიკვირს ქალსა?“

ფატმან უთხრა: „მომისმინე, მართლად ვხედავ მანდა მკრთალსა,  
 არ ქაჯია, კაცნია, მინდობიან კლდესა სალსა.“

„ქაჯი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,  
 კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზედა გახელოვნებულნი“...

შემდეგ ჩამოთვლილია ის გრძნეულება, რომლის უნარიც ქაჯებს  
 შესწევთ და ბოლოს ფატმანი ამთავრებს თხრობას:

„ამისთვის ქაჯი დ უხმობენ გარეშემონი ყველანი,  
 თვარა იგიცა კაცნია, ჩვენებრივ ხორციელანი“<sup>65</sup>.

ამ ამონაწერის მიხედვით აშკარაა, რომ ხალხის ეთნიკური სახელი  
 კი არ არის ქაჯი, არამედ „გარეშემონი ყველანი“ მათ ასე ეძახიან,  
 მათგან განსხვავებული ყოფისა და ზნის წყალობით.

ამდენად, „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებული ქაჯთი, რომე-  
 ლიღაცა ტომის სახელწოდება კი არ უნდა იყოს, არამედ, გარშე-  
 მო მცხოვრებ მეზობელ ხალხთაგან შერქმეული სახელი მათგან  
 განსხვავებული ყოფის მქონე ეთნიკური გვუფისათვის.

კვლევის დროს „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯები ერთ სიბრტყეზე  
 არ დაგვიყენებია ხევსურულ. ოქმულებაში მოხსენებულ ქაჯა-  
 ვეთან. ჩვენთვის ამოსავალი ის იყო, რომ ამა თუ იმ ხალხისათ-

---

ქართველოში ეპლესიებია რამდენიმე აღვილის და, სხვათა შორის, ტფილისშიც.  
 (ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 595 შენიშვნ. და  
 ვარიანტები).

<sup>65</sup> „ვეფხის ტყაოსანი“, აკადემიური გამოცემა, 1937, გვ. 255, სტრ., 1246,  
 1247, 1249.

ვის რაიმე განსაკუთრებული ნიშნის გამო ქაჯად მონათვლის განვითარება  
დიცია საერთო ჩანდა ორივე შემთხვევაში.

როგორც ზემოთ ითქვა, „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯების საკითხს  
რამდენიმე წერილი უძღვნა შ. ჩიგავაძე<sup>66</sup>. მან მხარი დაუჭირა კ.  
კეკელიძის მიერ მოცემულ ქაჯთა განმარტებას, რომლის მიხედვი-  
თაც ქაჯები არა მარტო ზღაპრული პერსონაჟები არიან, არამედ  
რეალურად არსებული აღამიანები<sup>67</sup>, შ. ჩიგავაძის მტკიცებით  
„ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის ცნობილი არიან, როგორც  
ზღაპრულ-ფანტასტიკური ქაჯები, ასევე რეალურად არსებული  
აღამიანთა ტომიც<sup>68</sup> მ შეხედულების დასამტკიცებლად იგი იმიწ-  
მებს რ. ისმაილოვის ნაშრომში — „ნიგერის ხალხები“ არსებულ  
ცნობას აფრიკაში ქაჯუს ტომის სინამდვილეში არსებობის შესახებ.  
ამავე დროს იყვნებს ინდოეთში ისტორიულად „კაჩის“ ტომის არსე-  
ბობის ფაქტს<sup>69</sup> და ასკვნის: „ქაჯის ტომის შავკანიანი აღამიანები ახ-  
ლაც ცხოვრობენ. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“  
ქაჯი პერსონაჟები, რეალურად არსებული ტომის, თუ ეთნოგრაფი-  
ული ჯგუფის წარმომადგენლები უნდა იყვნენ და მათ შინაარსობ-  
ლივი თვალსაზრისით არაფერი არ უნდა ჰქონდეთ საერთო ზღაპ-  
რულ-ფანტასტიკურ ქაჯებთან“<sup>70</sup>.

„ის გარემოება, რომ ქაჯთა ტომის აღამიანები ახლაც ცხოვრო-  
ბენ ნიგერიაში, სე კი არ უნდა გავიგოთ, — განავრძობს შ. ჩიგა-  
ვაძე, — თითქოს შოთა რუსთაველი იცნობდა აფრიკელ ქაჯებს.  
არა, ქაჯთა ტომის ახლანდელი არსებობა იმჲს მოწმობს, რომ პოე-  
მის ავტორისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ინდოეთის ან სხვა  
ქვეყნებში მცხოვრები შავკანიანთა მოდგმის ზემო დასახელებული  
ტომი თუ ეთნოგრაფიული ჯგუფი, გინაიდან ნიგერიის რამდენიმე  
ათეული ტომი ამჲამად ბევრ ქვეყანაში ცხოვრობს. ანალოგიური

<sup>66</sup> შ. ჩიგავაძე, „ვეფხის ტყაოსნის“ ერთი ტაეპის გაგებისათვის, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“, 1964, (ობებრეალი); „ვეფხის ტყაოსნის“ სამი ტაეპის გა-  
გებისათვის, „სკოლა და ცხოვრება“, 1964, № 2; „ქაჯ პერსონაჟთა საკითხისათ-  
ვის „ვეფხისტყაოსნიში“, „ლიტერატურული აქარა“, 1964, № 5; „ვეფხის ტყაოს-  
ნის“ ერთი აღვილის დაზუსტებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, 1964,  
(იცნისი).

<sup>67</sup> კ. კეკელიძე, ავტორი „ვეფხის ტყაოსნისა“ და დრო მისი დაწერისა,  
„მნათობი“, 1931, № 7—9.

<sup>68</sup> Р. И с м а и л о в, Народы Нигерии, 1963, гл. 207.

<sup>69</sup> ცნობა ამოღებული აქვს ვ. ნოზაძის „ლოთისმეტყველებიდან“.



მდგომარეობა უნდა გვქონოდა შოთა რუსთველის ეპოქაშიც „<sup>აზერბაიჯანის</sup>  
დან გამომდინარე“, შ. ჩიგავაძე იზიარებს ზოგიერთი სხვა მკვლევა-  
რის გამოთქმულ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ რუსთველის პოემის  
ქაჯები ამ სახელწოდებით ცნობილი აფრიკელი ან ინდოელი ანა-  
ლოგიური სახელწოდების შემნე ტომია.

საკითხის გადაწყვეტისთვის, ვფიქრობთ, მხოლოდ სახელწო-  
დების მსგავსება მცირე საბუთია.) როდესაც შ. ჩიგავაძე ცდილობს  
დაამტკიცოს, რომ რუსთაველის მიერ ოღნიშნულ ქაჯთა ხელოვნე-  
ბაში ფანტასტიკური არაფერია და, რომ დღის ღამით შეცვლა,  
წყალზე გარბოლა, წყლის დაშრობა და სხვა, სინამდვილეში ცნო-  
ბილი ფაქტებიაო. აი ამ ფაქტების მიყენებით უნდა იქნეს განხილუ-  
ლი ის ტომი, რომელსაც მკვლევარი გულისხმობს პოემის ქაჯ-  
ებში. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა წარსულიდან მოტანილი  
მაგალითები დღის დაბნელებისა და სხვა სასწაულთა რეალუ-  
რად არსებობის შესახებ, ძალზე ზოგადია. თუ ეს ზოგადი კონ-  
კრეტული ტომის წარსულ ცოდნას დაემთხვევა და ამას სახელ-  
წოდების იგივეობაც მხარს დაუჭირს, მაშინ შეიძლება მსჯელობა  
პოემის ქაჯთა და ნიგერიელ ან ინდოელ „ქაჯუსა“ თუ „კაჩის“  
იგივეობის შესახებ. ამასთან, ნიგერიელი „ქაჯუს“ ტომი უნდა  
ვიგულისხმოთ ქაჯებად, თუ ინდოელი შესაბამისი სახელწოდების  
ხალხი? აქვს თუ არა რომელიმე მათგანს ისეთი ნიშანთვისებები,  
როგორიც „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯება და მათ ქვეყანა ქაჯეთს ახა-  
სიათებს, საზოგადოებრივი ყოფისა, ცხოვრების წესისა, სამხედრო  
ხელოვნებისა, ნაგებობებისა, ხასიათისა, გეოგრაფიული აღგილ-  
მდებარეობისა და სხვა ხაზით? ამგვარი მიღვომის გარეშე საკით-  
ხის გადაწყვეტა ძალზე ზედპირულია და ნაცლებ დამაჯერებელი.  
ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითებდით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არ-  
სად წერია, რომ ქაჯები ამ ხალხის ნამდვილი სახელწოდება იყო და  
რომ ისინი ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს. პოემაში მხოლოდ  
ისაა ნათქვამი, რომ „გარეშემონი“, ე. ი. გარშემო მოსახლე ხალხე-  
ბი მათ ასე ეძახიან იმ გრძნეულობის ხელოვნების წყალობით,  
რომელსაც ისინი ფლობენ. გარეშეთა მიერ შერქმეული სახელი  
კი არ ნიშნავს ნამდვილ სახელწოდებას.

რუსთველისათვის რომ ცნობილი ყოფილიყო ქაჯი ტომის  
არსებობა აფრიკასა და ინდოეთში, ეს ხელს ვერ შეუშლის ქაჯე-

70 შ. ჩიგავაძე, „ლიტერატურული აქარა“, 1964, გვ. 86.



ში რომელიმე სხვა ტომი დავინახოთ, რომელსაც ქაჯი კი არსდეჭიოს მაგა  
სინამდვილეში, არამედ სხვებისათვისაა იგი ქაჯი. ამასთან ერთად,  
უცხოეთში მსგავსი სახელწოდების ტომის არსებობა სრულიად  
ვერ ახსნის იმ ცნობებს, რომელიც ქაჯთა შესახებ ჩვენშია და-  
ცული.

ვფიქრობთ, სინამდვილესთან უფრო ახლო იქნებოდა შ. ჩიგა-  
ვაძე, რომ კვლევისათვის ამოსავალიად გაეხადა შემდეგი თავისი ნათ-  
ქვამი: „საგულისხმოა, რომ ერთი ტომისათვის სხვა ტომთა მიერ  
საგინებლად მიჩნეული სახელის შერქმევა, ისტორიულად ხშირად  
არის დადასტურებული“<sup>71</sup>. თუ რატომ პქონდა ზღაპრულ-ფანტა-  
ტიკური სახელი შერქმეული შ. რუსთაველის ქაჯებს, ეს თვითონ  
გარკვევით აქვს ახსნილი პოემის ავტორს, საიდანაც სულ არ გა-  
მომდინარეობს ის, რომ ისინი ზღაპრული პერსონაჟები იყვნენ და  
არა რეალურად არსებული ადამიანთა ტომის წარმომადგენლები.

ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდისაგან განსხვავებით რომ ხევ-  
სურული ოქმულება ჯვარ-ხატების მიერ ქაჯავეთის დალაშქვრაზე  
გულისხმობს ხსენებული მხარის მცხოვრებთა მიერ თავისი სალო-  
ცავების „ნებით“ მოწყობილ დიდ ლაშქრობას ჩრდილო კავკასიის  
ტომთა, კერძოდ ნახური მოდგომის ხალხთა მიმართ (კ. ბარდაველი-  
ძემ, რომელმაც შემდეგში საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ქაჯების  
საკითხს, ხევსურული ოქმულებისა და „ვეფხის ტყაოსნის“ ქაჯები  
ძველი აღმოსავლეთის პროტოხეთურ ტომს — კაშკებს დაუკავშირა,  
რომელნიც სპეციალისტთა აზრით ქაშაგები უნდა იყვნენ<sup>72</sup>). ქაჯავე-  
თის დალაშქვრის შესახებ არსებულ ხევსურულ თქმულებაში აღწე-  
რილი ამბავი მან მიიჩნია აღმოსავლეთ საქართველოს ტომების მიერ  
წარმოებული ბრძოლების ანარეკლად კაშკებისა და წობენების წინა-  
აღმდეგ<sup>73</sup>.

ქაჯების რაობის საკითხს ეხება არქეოლოგი ნ. ხოშტარია 1962  
წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში: „ციხის ძირი“, სადაც მას გამოთ-  
ქმული აქვს შემდეგი მოსაზრება: „საინტერესოა აღინიშნოს, რომ  
ქაჯების ციხეები, ქაჯების ქალაქები, ქაჯების სახლები ვახუშტისა და

<sup>71</sup> შ. ჩიგავაძე, „ვეფხის ტყაოსნის“ ერთი ტაქტის გაგებისათვის, საქ-  
სო მეცნ. აკად. „მოამბე“, (თებერვალი), გვ. 469.

<sup>72</sup> Г. Меликишвили, Древневосточные материалы по истории на-  
родов Закавказья, I, Наири Урарту, стр. 73—77.

<sup>73</sup> В. Бардавелиძე, О каджах, გვ. 26—29. (ნაშრომი გამოუქვეყნებუ-  
ლია).



ლეონტი მროველის ქართლის ცხოვრების მიხედვით იმყოფებოდა ზღვისპირას — ციხის ძირი (ვახუშტი), ან მდინარე მტკვარის სათავეში — არტაანი, წუნდა. ესე იგი „ქაჯებთან“ დაკავშირებულია საერთოდ იგივე ტერიტორია, სადაც ანტიკური წყაროების მიხედვით ჰენიოხები ცხოვრობდნენ“<sup>74</sup>.

ავტორი იშველიებს ქართული ფოლკლორის მონაცემებს ქაჯების შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯთა დახასიათებას, უდარებს ანტიკურ ავტორთა მიერ მოცემულ ჰენიოხებისა და ნაწილობრივ კოლხების აღწერილობას და მათ მსგავსებას უსვამს ხაზს.

(როგორც ვხედავთ, ქაჯთა საკითხი სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ყურადღებას იქცევს და მსჯელობის გაშლის დიდ ასპარეზს იძლევას!)

ჩვენი შენედულება ზემოთ უკვე ჩამოვაყალიბეთ და თუ ლეგენდა უფრო ღრმა წარსულის გამოძახილსაც შეიცავს, მეზობელ ტომთა დალაშქვრის ძველიდან მომდინარე ტრადიციული ამბავი მასში უდავოდაა ასახული.

რაკი-ღა შევეხეთ ოქმულებას გახუა მეგრელაურის ხატებთან ერთად ქაჯავეთში მოგზაურობის შესახებ, შევჩერდებით ამ ოქმულების შესახებ გამოთქმულ ერთ მოსაზრებაზე, რომელიც ა. გაჩეჩილაძეს ეკუთვნის. თუმცა მისი კვლევის საგანი ერთგვარად სცილდება ჩვენი ძიების ფარგლებს, მაგრამ ტექსტის დადგენისა-თვის მას უთუოდ მნიშვნელობა აქვს.

1958 წ. გამოცემულ ნაშრომში „ხევსურული ოქმულება „ხოგაის მინდია“ და პოემა „გველის მჭამელი“, ხსენებულმა ავტორმა გამოაქვეყნა გველის მჭამელის ერთი ვარიანტი, რომელიც კახეთში გადასახლებული ხევსურის — ნართვაულისაგან ჩაუწერია დ. გოგოჭურს. „ჩვენ დავინტერესდით, — წერს იგი, — მოგვენახა წმინდა ხალხური გადმოცემა „გველის მჭამელზე“, ან როგორც მას ხალხი უწოდებს „ხოგაის მინდიაზე“. ამის შესრულება შევძელით სტუდენტთა, განსაკუთრებით ხევსური სტუდენტის დ. გოგოჭურის დახმარებით. შევკრიბეთ რამდენიმე ვარიანტი. აქედან შედარებით უფრო სრულყოფილია ხევსურების თ. ნაზორაულისა და ლ. გოგოჭურის ნაამბობი.

74 ნ. ხოშტარია, ციხის ძირი, თბ., 1962, გვ. 43—44.

ამის შემდეგ ა. გაჩეჩილაძეს მოჰყავს თ. ნაზორაულის ატენაზე შემდეგი ტექსტი: ხოგაის მინდი არხოტელი იყო. მინდი რომ დაბადებულა, ცაჲე ორი მზე მდგარა. მინდი სახელიანი ყმა გამხდარა ხევსურეთში. მას მეგობარი ჰყოლია შატილში, კარგი ყმა გახუა. მინდი და გახუა ხატებთან დადენილან. ერთხელ არხოტს მოსულან მავნე სულნი, უამნი. ესენი ციდამტკაველნი ყოფილან. ყველა კაც ვერ დაუნახავ. უნახიან მინდის და გახუას. ხევსურეთს რომ უამნ გაჩნდებოდეს, არხოტს, ამღას სიმაგრეში ხატები სტვირს ააძრახებდნენ. უამთ მოდენას რომ გაიგებდნენ, ხალხი გაიხიზნებოდა არხოტიდან, უამნი მოსულან სამნი, იმათ სამი ვირი ჰყავდათ. შავი, წითელი და თეთრი. შავს ეკიდა შავთბია, წითელს წითელთბია და თეთრს თერთბია ისარი. იმათ რიგას უსრევავ ისრები, შავს ვისაც დაპკრავდეს მაშინვე კვდებოდა, წითელს ვისაც დაპკრავდეს ნახევრად კვდებოდა, თეთრი სულ არ კლავდა. მავნენი წასულან პირაქათ ხევსურეთს. არხოტში უხოცავთ ხალხი; ზოგი კი გიადაურჩენავ ხატს. მინდი შებრძოლებია მავნეთ. მინდი დაუტყვევებიათ და თან წაუყვანიათ. მთაზე რომ გადამდგარან, სამიეს დაუნახავთ გუდანის ჯვარი, — ერთურთს უთხრეს, — ბებერი ძალი, თეთრწვერა, ზის თეთრს ცხენზე, ხელში ლახტი უჭირავს, არ ჩაგვიშობს, თავის ყმათ სიმირვვლივ უვლისო.

უამნ რო პირაქათ გადმოსულან, ვირებისად ბუერაებ დაუფარებავ, რო გუდანის ჯვარმა არ გვნახოსო. მინდი დაუყენებიათ ვირების მწყემსათ (ესენი მართლა ვირები კი არ ყოფილან, არა-მედ პარაზა ბეწეწიკულები).

პირაქეთ ხევსურეთს ერთი მწყემსი მოუკლავთ, გუდნის ჯვარს ხალხში არ მიუშვია, მავნენი დაულახვრავს. მინდი ხევსურეთით კამებმა გაიტყუეს ქაჭეთში: უცხო ქვეყანაში რომ მიიყვანეს, მავნენ გაქტჩენ. ქაჭებმა დაატყვევეს მინდი. და დაუწყეს გასუქება. მეტი სისხლი რომ მიეღოთ, კარგ საჭმელს აჭმევდნენ“ და ა. შ. ამის შემდეგ მოხხრობილია, თუ როგორ მოხვდა იგი გუგულების ქვეყანაში, რა გადახდა აქ თავს და როგორ მიაღწია თავის სამშობლო სოფლამდე არხოტში, როგორ სმენია მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა საუბარი. შემდეგ როგორ ულაშქრიათ ხატებთან ერთად მას და გახუას ქაჭავეთში: „ერთ დღეს ხატები მიდენილან ქაჭავეთის დასალაშქრავად. მინდი და გახუა ხატებთან დადენილან ხატებს მინდისა და გახუასათვის უთქვამთ: „ხორციელ ჩვენთან

ვერ ივლით, გვამიდან ამოღით და ჩვენთან წამოღითო. მინდგადა გახუა გვამიდან ამოვიღნენ და ხატებმა გვაძი იქვე ტყეში შეინახეს. ქაჯავეთი გაუტეხავთ, ქაჯები დაულაშქრავთ. საქონელი და დავლა წამოულალავთ. გზაზე საქონელს წყალი მოსწყურებია. მაშინ კოპალას ლახტ დაუკრავს, წყალი ამოვარდნილა და საქონელს უსვამს. დაბრუნებული ხატები გახუას და მინდიას გვამთან მისულან, უნახავთ რომ გვამებს ჭია-მატლი დახვევია. ხატებს უჟქვამთ. „მეპურყველე მინდი ეგი ხარ, ჩადი შენ გვამში“—ო. მინდის და გახუას არ დომნია მატლიან გვამში ჩასვლა, მაგრამ ხატებმა უთხრეს: „შენ ხორციელი ხარ, ჩვენთან ვერ იცხოვრებო“. ხატებმა ძალით ჩაიყანეს მინდიას და გახუას სულები გვამში“. შემდეგ კი საუბარია მინდიას ქისტეთში სისხლის საძებრად წასვლისა და იქ დალუპვის შესახებ<sup>76</sup>.

**✓** ეს ვარიანტი, რომელიც სრულყოფილად და „წმინდად“ მიაჩნია ა. გაჩეჩილაძეს, თუნდაც იმიტომ არ შეიძლება ვაჟას „გველის მჭამელის“, „სუფთა“ ხალხურ ვარიანტად ჩაითვალოს, რომ მასში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი გველის ხორცის შეჭმასა და ამის შედეგად მინდიას გამეცნიერებაზე. გარდა ამისა, იგი შედგენილია სამი დამოუკიდებელი ხალხური ოქმულებისაგან. პირველი მათგანი შეეხება ხევსურეთში „ეამთა გაჩენას“, მეორე ხახმატის ჯვარის მკადრე გახუა მეგრელაურის ანუ გახუა ჭორმეშიონის ხატებთან ერთად ქაჯავეთში მოგზაურობას, ხოლო მესამე ნაწილი უშუალოდ ხოვაის მინდის ამბავს წარმოადგენს.

ასეთი კატეგორიული მსჯელობის საფუძველს გვაძლევს როგორც სხვა შემკრეფთა, ისე ჩვენ მიერ წლების მანძილზე (1944 წ. არხოტის ხეობა, 1945 — 1962 წწ. შატილის ხეობა, 1946, 1962, 1963 წწ. პირაქეთი ხევსურეთი). მოპოვებული მასალა გახუა მეგრელაურისა და მსგავს ხატის „ხელყაცთა“ შესახებ.

არ დარჩენილა ხევსურეთის არცერთი სოფელი, სადაც მუშაობა არ ჩაგეტარებინოს; დაგროვდა ოქმულების მრავალი ვარიანტი, რომლებშიც ასეთ შერწყმას აღვილი არა აქვს, გახუა და მინდია ყველგან სხვადასხვა თქმულების მოქმედ პირებად გვევლინებიან.

ასევე საგანგებოდ შეკრებილია მასალა ეამთა შესახებაც, სადაც მსგავს შერწყმას აღვილი არა აქვს.

76 ა. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 27—28.



რომ ხოგაის მინდი და გახუა სხვადასხვა თქმულება ბის პერსონაჟებია, ეს სხვა მონაცემებითაც შეიძლება ნათელი გახდეს.

შესაძლებელია თუ არა ხევსურთა რელიგიური რწმენის თანახმად გახუა მეგრელაური და ხოგაის მინდი ერთად წარმოვიდგინოთ?

გახუა მეგრელაური ღვთაების მეადრეა?<sup>77</sup> ე. ი. მისი ქურუმი, რომელსაც ღვთის შვილი პირადად ეცხადება და ესაუბრება, იგი თან ახლავს მას ლაშქრობებსა თუ ბეგრის დადება-აკრეფის დროს. მისი პირით უცხადებს თავის „საყმოს“ მოსალოდნელ ბედსა თუ უბედობას. მეადრე აერთიანებს ქადაგისა, ხევისბერისა და მედროშის ფუნქციებს. არის თუ არა ხოგაის მინდი ასეთი პირი? იგი რიგით ყმაა არხოტის ჯვარისა, რომელიც ტყვეობაში ჩავარდება, იქ გველის ხორცის შეჭმის შემდეგ მეცნიერდება და ბუნების მესაიდუმლე ხდება. ხატის მეადრედ. მის „ხელკაცად“ იგი არსად არ გვევლინება. ამდენად, მას არ შეეძლო მოგზაურა ღვთისშვილებთან, მათი საქმიანობის მხილველი ყოფილიყო, რაც ბუნებრივია ვერც თქმულებაში პოვებდა ასახვას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამბერკი გაჩეჩილა-ძის მიერ ვაჟას პოემა „გველის მჭამელის“ წმინდა ხალხურ ვარიანტად მიჩნეული თქმულება სხვადასხვა სიუკეტისაგანაა შედგენილი, რომელიც ყველაზე ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილიად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კახეთში გადმოსახლებული ხევსური, რომელიც მოწყვეტალა თავის კუთხეს, ძნელად-ლა ინარჩუნებს წინაპართა მიერ გადმოცემულ ცოდნას. ახალ გარემოში მოხვედრილს, ამისათვის ხელსაყრელი პირობები არა აქვს, ხოლო ის რაც კიდევ ახსოვს, შეიძლება უნებურად არიოს და სხვაგვარად მოუთხროს დაინტერესებულ პირს. მისი შემოწმება-გაკონტროლების საშუალება მას არა აქვს.

ამბერკი გაჩეჩილაძეს ხატებთან ერთად მინდიას მოგზაურობა მიაჩნია ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად იმისა, რომ იგი მიწის ნაყოფიერების ღვთაებად გამოაცხადოს.

გარდა ქავეთში მოგზაურობის ფაქტისა, რომელიც მექანიკურადაა დაკავშირებული ხოგაის მინდიას ამბებთან, ავტორს სხვა მსგავსი გადმოცემაც მოჰყავს. „როცა ხატებს“ სალაშქროდ გამოუ-

<sup>77</sup> მეადრეთა შესახებ იხ. თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ქადაგება ხევსურეთში, თბ., 1954, გვ. 103.

ვლია, მინდია მაშინ დღეობაში ყოფილა, მაგრამ მათი მისვლამ მიკანკურვადა შეუტყვია. მინდიას დღეობაში ხევსურთათვის უთქვამს: „ანგელოზი უნდა მოვიდეს, პირჯვარი გამოისახეთო და ხალხსაც დაუწყვია პირჯვრის გამოსახვა. მოფრენილა მტრედი, რომელიც დაჯდომია მინდიას მხარზე და დაუწყია მისთვის ალერსი. მტრედი თურმე ეალერსებოდა მინდიას, უსვამდა ფრთებს სახეზე და ისევ მალე გაფრენილა. მინდიას უთქვამს ხალხისათვის, რომ ხატები მეპატიუებიან და უნდა წავიდეო. მინდია წასულა, ხატები მოგროვილი ყოფილან ხატში“<sup>78</sup>. ეს ეპიზოდი წარმოადგენს არხოტის ჯვარის მეაღრე მეელა ჯაბუშანურის<sup>79</sup> შესახებ დარჩენილი გადმოცემების ფრაგმენტს, რომელიც მთხოვნელს ქაჯავეთის დალაშქვრის. ამბისათვის დაურთავს, ხოლო მეელა ჯაბუშანურისათვის ხოვაის მინდი დაურქმევია. ამ შემთხვევაშიც ხოვაის მინდის შესახებ არსებულ თქმულებასთან ამ ეპიზოდს საერთო არაფერი აქვს. მაგრამ დავუშვათ, რომ ის მონაცემები მართლაც თქმულების ნაწილია, რომლითაც ამბ. გაჩერილაძე მინდიას ღვთაებრიობის დამტკიცებას ცდილობს. მინდიას დაბადების დროს ცაზე ორი მზის დგომა, ცისარტყელას გამოჩენა, სიზმარში ოჩოპიტრეს ნახვა და ხატებთან ერთად მოგზაურობა, არცერთი მათგანი მის ღვთაებრიობაზე მაინც არ მეტყველებს. ავილოთ თუნდაც იგივე ხატებთან მოგზაურობის ამბავი. ასეთი მეაღრეები ხევსურეთის ღვთაებრილთა შესახებ არსებულ გადმოცემებში საკმაო რაოდენობით გვხვდება (მეელა ჯაბუშანური, გახუა მეგრელაური, სანდრაქაული, საღირა ჭინჭარაული, ბასხაჯაური და ა. შ.). მაგრამ მათ ღვთაებებად არავინ მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი იჩენს სათანადო ტენდენციას<sup>80</sup>. გარდა ამისა, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში უამრავ მაგალითს ნახავს დაინტერესებული პირი, სადაც ზემოთ ჩამოთვლილთან შედარებით მეტი ზებუნებრივი ამბებია დაკავშირებული ამა თუ იმ პერსონაჟის დაბადებასა თუ გარდაცვალებასთან. არიან გმირები, რომელთაც მცენარეებისა თუ ცხოველთა ენა ესმით და სხვ. მაგრამ მათ ღვთაებრივობაზე არავინ ლაპარაკობს.

იმისათვის რომ ესა თუ ის პერსონაჟი ღვთაებად მივიჩნიოთ,

78 ა. გაჩერილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

79 მეელა ჯაბუშანურის შესახებ იხ. თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრ.; გვ. 105—106 და ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრ. განყოფ. დაული მასალები.

80 თ. ოჩიაური, ზოგიერთი ხალხური გადმოცემის შესახებ.



საამისოდ გარკვეული მონაცემები უნდა არსებობდეს: რაიმე ქახობია  
შემონახული უნდა იყოს მისი კულტი, წარმოდგენები, როგორც  
ღვთაებაზე, გააჩნდეს სამლოცველო, მის ფუნქციებში უნდა ჩა-  
დეს ისეთი რამ, რომ მას შეეძლოს მფარველობა ან ვნების მოტანა  
და ა. შ.

ხევსურეთში, სადაც დაცულია ხოგაის მინდიას თქმულება,  
მინდიასთან დაკავშირებით მსგავსს ვერაფერს ნახავთ. მინდიას  
ზებუნებრიობის ნიშანი ეს არის მისი გამეცნიერება გველის  
ხორციან ზიარების შედეგად. მას ცხოველთა და მცენარეთა ენა  
ესმის და აქედან გამომდინარე, ცდილობს ზიანი არ მიაყენოს მათ.

ხალხის მიერ მინდიას, როგორც ღვთაების წინაშე არავითარ  
გამოვლენას არა აქვს ადგილი. მას ამგვარად არავინ მიიჩნევს, არა-  
ვინ შესთხოვს დახმარებას ამა თუ იმ საქმიანობისას, როგორც ნა-  
ყოფიერების მიმნიჭებელს, არავინ წირავს მსხვერპლს, არა აქვს  
სამლოცველო და საერთოდ, არავითარი ღვთაებრიობის ნიშანი.  
იგი მხოლოდ მეცნიერია, ბრძენებაცი, ბუნების ენის მესაიდუმლე-  
ამდენად, მისი ნაყოფიერების ღვთაებად გამოცხადება რეალურ  
საფუძველსაა მოკლებული.

### თბაშულება გუდანის ჯვარის დაბარსებაზე

 ლიტერატურაში როგორც არაერთხელ ყოფილა აღნიშნული,  
გუდანის ჯვარი წარმოადგენდა პირაქეთ ხევსურეთის საერთო სალო-  
ცავს, ყველაზე დიდ ღვთაების შეინიშვილს, რომლის უფლებები სოციალური  
თუ რელიგიური ყოფის თითქმის ყველა სფეროზე ვრცელდებოდა.  
ბუნებრივია, რომ ამ ღვთაების შესახებ დაცული იყოს სათანადო  
მითოლოგიური ხასიათის გადმოცემები, რომელთა შესწავლას  
გვერდს ვერ ავუხვევთ. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ამ ღვთაების,  
ისე მასთან დაკავშირებული გადმოცემების შესახებ სამეცნიერო  
ლიტერატურაში უკვე გარკვეული აზრი არსებობს. ჩვენი მიზანია  
არსებული გადმოცემის მთლიანობაში ჩვენება და ამით უკვე ცნო-  
ბილის, როგორც დამატებითი მასალით შევსება, ამასთან ერთად  
ცალკეული საკითხების წინ წამოწევა.

ხელთ არსებული თქმულებები ერთი მხრივ შეეხება გუდანის  
ჯვარის დაარსებას, ხოლო მეორე მხრივ მის მოგზაურობას ლაშქრო-  
ბების მიზნით. ამავე დროს არსებობს თქმულებები გუდანის ჯვა-  
რისა და უამთა ურთიერთობის შესახებ, გუდანის ჯვარისა და ქარ-

თველი მეფების (ერეკლე მეორე) მოძმეობის შესახებ.

ვიღრე უშუალოდ გუდანის ჯვართან დაკავშირებულ გადმო-  
 ცემებს შევეხებოდეთ, რამდენიმე სიტყვა მისი სახელწოდების  
შესახებ. იგი მოიხსენიება, როგორც გუდანის საომთო, ბერი ბადუ-  
 რი, გუდანის ჯვარი. ამ სახელებიდან, როგორც უკვე გარკვეულია,  
 საომთო საკუთარ სახელად არ ჩაითვლება. იგი ზოგადი სახელწო-  
 დებაა და მომდინარეობს ღმერთიდან: «Первоначально Гмерти с префиксальным образованием **са** к собственному имени в форме **сагмрто** (sagmṛto) был покровителем отдельных общин и общинных союзов. Таковы например, пережиточно свидетельствуемые нами общинные божества: Бегот Сагмрто, Бедот Сагмрто.... Гуданис сагмрто».<sup>81</sup>

რაც შევეხება გუდანის ჯვარს, ამ შემთხვევაშიც განმსაზღვრელად  
 ადგილის სახელწოდება უნდა მიყიჩიოთ, ე. ი. გუდანი გეოგრა-  
 ფიული ადგილის სახელია, ხოლო მისი ოვთაება ბაადური—გუდა-  
 ნის ჯვარად მოიხსენიება, ისევე როგორც ახხოტის ჯვარი—მიქე-  
 ლია, ლიქოვის ჯვარში კოპალა თუ შუბნური იგულისხმება და ა. შ.  
 მართალია, თუშეთში გვხვდება ფურნის ჯვარი, მაგრამ იქ ეს ლვთაება  
შეტანილი უნდა იყოს ხევსურეთიდან, ისევე როგორც ხახმატისა  
 თუ კარატის ჯვარი). იქ როგორც ცნობილია, ეს ხატები სწორედ ამ  
 სახელებით მოიხსენიებიან და ალბათ ადგილზე გაჭირდებოდა იმის  
 დადგენა, რომ მაგ. ხახმატის ჯვარში იგულისხმება გოორგი ნაღვარ-  
 მშვენიერი, ან სამძიმარ ხელი ყელ-ღილიანი. სახელწოდება გუდანს,  
 როგორც გ. ჩიტაია მიუთითებს, „ეხვედებით ფართოდ გავრცელე-  
 ბულ გეოგრაფიულსა თუ ეთნიკურ სახელებში.. ღუდა (მთიულეთის  
 არაგვის სათავეებში), გუდაური (მთიულეთის არაგვი), გუდარეხი  
 (ქვემო ქართლი), გუდრუხი (ფშავის არაგვი), გუდამაყარი (გუდამა-  
 ყრის არაგვი)<sup>82</sup>.

გუდანის ჯვარის გუდანში დაარსების თქმულების ერთი ვარი-  
 ანტი საგანგებოდ შესწავლილი და გამოქვეყნებულია გ. ჩიტაიას  
 ნაშრომში: „ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემანი“. თქმულება  
 შემდეგი ხასიათისაა... „წინწინ დიდ ხატ რო ას (იგულისხმება გუ-  
 დანის ხატი), იქ კავკაზაურ (ვარ. კივკაზაური) ყოფილს დასახლებუ-

<sup>81</sup> В. Бардавелидзе, Главное божество др. груз. пантеона Гмерти, Вопр. этнографии Кавказа, 1952, стр. 304.

<sup>82</sup> გ. ჩიტაია, ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, ისტორიის ინ-  
 სტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 392.



ლი. იქ დიდ სოფელ ყოფილას. მაში ჯვარ არ ყოფილ. ერთხელ კავკაზიურის თის კავკაზიურის სახლის ყვერფში იფნ ამოსულ. კავკაზიურს იფნ მაუჭრავ. მეორეს დღეს ის იფნ იქავ ამასულა, ისიც მაუჭრავ. მესამე დღეს ამასულ იფნიდ თან გველ ამახყოლივ. კავკაზიურს იფნიც მაუჭრავა-დ გველიც აუკაფავა. ამის შემჩ სანეს აქათი კავკაზიურს უქნავის წართ უღელზე გველ დახვევივა. კავკაზიურს ი გველ დაუჭრავ. არეულან გველ-ქარ-გუთანი, ქარ-გუთან კლდეჩი გარდაყრილ. მემჩ შეუყენებავ ავადობაი იმ სოფელზედა, ჭირეულობა აუტეხავ. ნახევარს წელჩი სრუ გთელი გაუწყვეტავ ი ხალხი, არავინ არ დარჩალ. მემჩ იმათ ნაფუძვარჩი თაოდ (დეულისხმება გულანის ჯვარი) დააჩისებულას. ყვარელშით ერთ მონადირე წამასულ, მაუღწევავ გუდანამდინად. იქ მზვარეში ფსიტ მაუკლავ, რომენიც ყვარელში წაუღავ. იქით ჯერ მაუტანავ, დაუთესავ, ძალიან კა მასავალ მასულ. ამდგარ ისი, ყვარელშით გუდან გადმასახლებულ ქოდ—აქ კა აღვილ ყოფილავ. იმას სამ შვილ გასჩენივ.

ერთ ქმას ქვინებულ ჯინჭარა, მეორეს არაბაი, მესამეს გოგოჭაი, ის ჯინჭარა კოჭლუა ყოფილას. ის აქ დამრჩალ. არაბაი თავემელ ყოფილას, ყმედ კაცი. ის გასულას გარეთ — შენ ბეჩავ კაცი ხარიც, მე დავხპატრონდებივ ამ აღვილსავ, მტერს არ შამაუშობავ, მაშინისა და ეს ჯვარი საერთიანო ყოფილა არაბაისაიც, ჯინჭარაისაიც, გოგოჭაისაიც. ის არაბაი ბაცალიგოშიად ზეისტეჩოში მდგარ, ორგან. გოგოჭა — ჭორმეშაგში<sup>83</sup>.

გ. ჩიტაის მიერ გამოქვეყნებული თქმულების ანალოგიური გადმოცემა გუდანში 1962 წ. ჩვენც ჩავიწერთ, აი ისაც: „გუდანის ჯვარი პირეველად აყნელში ყოფილ. ეგი ას პირეველ-საარსო, მუხათ კარ, მორივე ღმერთის მალთცვილი. მემჩ გელდიაურ გათაულ უამისგან მაში არ ყოფილ გუდანის ჯვარ ამასული. მემჩ აქ (გუდანში. თ. მ.), თუ დაარტყ თვალი. აქ მდგარ ქიჩბარაული და კიმკაზიური. 32 კვემლ ყოფილ ქიჩბარაული კიმკაზიური. სოფელი მაღლა, ნასახლარი, დიდი. მემჩ ხატ გამახედებივ... ჯერ ციხე დაუჭერავ სანეს. რო დაიჭირ სანე და მასწონს, სანეს უქნავის იმათ (კიმკაზიურთ. თ. მ.), ნასათარი, თივა აქ ჩამაუდიოდავ. იმათ ჯვარისა არა სცოდნივ. მასწონებივ ეს აღვილი (ჯვარს. თ. მ.) იჭერს. მაამიზეზ, არ გატყდეს. ასულას ერთი ვინმე მაჯნავი, სამ მესამრელოე დიაც

<sup>83</sup> გ. ჩიტაი, ეთნონიმიური ხალხური გადმოცემები, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 391 — 392.



აუცვანავ, მაუკოშავის ციხე, რო ამით მაშორდებისავ მერიოშეოჭოვთავა  
ეს ადამიანივ, რას მამიზეზებსავ, აღვილშიით აიყარევ-მეუბნებისავ  
მკითხავივ. არ მიდის, კნავს თუა და გველ დახვევივ საულლეს, ჯამ-  
ბარას. ალრევივ ჯარები, გაგიუებულან, თაოდაც არეულან. აი მამუ-  
ლებში რო ჩამასულ, სისხლ ამაუთხევავ იმ კაცსა და დამრჩალ იქ.  
დილით ყუდროში იმის შინ რფნ ამასულ კერაში. მაუჭრავ იმის  
ზედამრჩო ვინაც იყვ. მეორე დღეს კიდე მაუჭელავ, კიდე მაუჭრავ.  
მესამე დილას ვეღარ მისდგომიან,—გველ იყვავ ზე ამახვეულვ. გაშ-  
ჩენივ მემრ აოდობა. შავედიო და მორიგე ღმერტსთან ვიჩივლევ—  
არ მანებებსავ აღვილსაო, მინდავ რო წავართვავ და დამიძრნავ იმნავ  
ოქროს ბაგენივ და მამცავ ჩემივ ნისლისფერივ, ოქროს ჩალებ დამი-  
ურავ, ოქროს საქორქე (ლაგამი) ჩამიდვაო და დავბრუნდივ იქავ  
ჭმელთექსავ. ჩამეცედიო და ოცდათორმეტ კვამლივ წლის ნახევრად  
ვეღარ გამივიდავ. ჩავადებიევ ღუსულბანსავ ლიბუივ; ჩემ ჭერო-  
ბელელივ მაში ავაშენებიევ. ღავიჭირივ ყმადავ ოთხის კუთხის ხალ-  
ხივ. გავენდენივ სალოცავადავ!“ (ს. გუდანი, 13. VII. 62 წ. გადუა  
ჭინჭარაული).

თქმულების შედარებით განსხვავებული ვარიანტი მოეპოვება  
ალექსი ოჩიაურს: „გუდანში მდგარა ურჯულო კინკოზაური...  
სამაგანძური ცოტა ყოფილა და ურჯულოს უჩაგრია. ოქერქევს  
მდგარა ურჯულო ბადრიაული და გუდან კინკოზაური. კს ორივე  
გვარი ძლიერი ყოფილა და მაგანძურები მათ საწადინოდ უქოცია.  
თურმე მათ წესად ჰქონდათ: რამდენსაც ვინ მაგანძურს მოკლავდა,  
იმდენ წითელ წელისაქოცს ამაიტანებდა ქამარში, წელში. ერთხელ  
ქისტებს ქორწილი ჰქონია ოქერქევს. მაგანძურებს უბნისთავით გა-  
უხედნავ იმათ ქორწილისად (უბნისთავი ოქერქევის მოპირდაპირე  
გორია.). ქორწილში ქისტებმა თურმე ფერქისა დაბეს და ერთ  
ქისტს თორმეტი წელისაქოცი ეტანა წელში, თორმეტი მაგანძური  
მოეკლაო. შეწუხებულ მაგანძურებს სხვა საშველი არ ჰქონდათ  
და ქადაგი დასვეს, რომ გაეგოთ, თუ რას ურჩევდა ქადაგის პირით,  
კვარი და როგორ დახეწიათ თავი ქისტებისათვის (მაშინ გუდანის  
ჯვარი დაარსებული იყო გუდანის მაღლა მთაზე... სანეს). ქადაგს  
მოატანებივა გუდანის ჯვარმა: ბევრი ვეცადე ხთის კარზე და გადა-  
ვლაპე, გავტეხე ბადრიაულის და კინკოზაურის დავლათიო. ხალხმა,  
მაგანძურებმა ეს არ დაიჯერეს: კინკოზაურის და ბადრიაულის დავ-  
ლათს რა მოერევა, როცა მათი დავლათი ცასავითა ჭუხსო. მაგრამ



მოვიდა ზამთარი და დიდი თოვლი დაღო ოქტომბერში ისეთი გუდანის მისამართით მოსულა და დასცემივა ბადრიაულებს, რომ სამოცი ქმლიანი მოუკლავს. ვინც გადარჩნენ, ისინი მივიღნენ მქვდრების აძლისათხრელად. იმათაც ზვავი დაეცა და სულ გაწყვიტა. ამით გახალიშებული მაგანდურები დაეცნენ ბადრიაულების ღიაც-ყმაწვილს და გაწყვიტეს, არცერთი ცოცხალი არ გაუშევს. ამით გამართოლდა ქადაგის ნაჯადაგრი და გატყდა ბადრიაულის დავლათი. ამათ ნადგომ ადგილში დასახლდნენ ეხლანდელი ოქტომბერი მაგანძურთ გვარიდან, არაბულნი...

გუდანის ჭვარი სანეს რომ დაარსებულა, სანეს დაბლა ბაცალი-გოს თემში არის ერთი არაბულების სოფელი აყნელი და აყნელშიც ყოფილა მაშინ დაარსებული გუდანის ჭვარი... მუხათვარში,... გუდანში კი იდგა კინკოზაური. დავლათით კინკოზაური გუდანის ჭვარს ეჭიბრებოდა. ჩვენ იმდენი დავლათი გვაქვს ხელიდან, იტყოდნენ კინკოზაურები, რომ გუდანის ჭვარი ვერაცერს დაგვაკლებსო. სანეს დიდი ვაკე არის გუდანის ჭვარის კუთვნილი; მისულა კინკოზაური და ჭვნა დაუჭყია სანე-ვაკეს, თავისითვის. გუდანის ჭვარი მივიდა, პირად გამოეცხადა კინკოზაურს და უთხრა: დაანებე თავი, ჩემი ბორტვის ნაკვეთია ეს სანე-ვაკე და ნუ ხნავო. კინკოზაურმა სიცილად არ იქმარა გუდანის ჭვარის ჩაუქვამი და არც ჭარები გაუშვა. გუდანის ჭვარს არ უნდოდა, ამ ბორტვის ნაკვეთში რომ კაცი მომკვდარიყო და მეტი აღარაფერი უთხრა. საღამო ხანზე რომ ჭარი გაუშვეს, წავიდა კინკოზაური შინისაკენ და წარებიც წამოასხა. ჩამოეწივა ხეთანას გუდანის ჭვარი და იქ მოკლა. ჩამავალს კინკოზაურს გუდანის ჭვარი ისე ჩამოეწივა, რომ იმან ვეღარ ნახა, დახერა მჯარში, სისხლი წამოსთხია და მაშინვე მოკედა. ამაზე იყო ნათქვა-მი შემდეგი ლექსი, რომელსაც წევსურები ჭშირად მღეროდნენ:

„შაუდგა გუდანის ჭვარისა კინკოზაური ძალზედა,

უბარებს ბადრიაული მუქარას, მუქარაზედა.

ხეთანას ჩამერწივა, სისხლ ათხევივა ქვაზედა“.

ლანარჩენ კინკოზაურებს გაუჩინა შავი ჭირი და სულ ერთიანად გაწყვიტა ყველანი. მერე დარჩა თავისუფლება ჭინჭარაულთ... მამული კი რაც რამე იყო გუდანში, ეს სულ კინკოზაურებს ეკუთვნილდა და გუდანის ჭვარმა დაიჭირა. . . . კინკოზაურნი რომ გაწყდნენ, ერთი იმათი ქალი თამარი ჭაღუელ კაცს ღარაქიშს

ყავდა ცოლად. ამ ოჯახს შეუ კერაში ამოუვიდა იფნი, რომელიც მოსჭრეს. მეორედ კიდევ ამოვიდა იფნი და მოსჭრეს. მესამედ კიდევ ამოვიდა იფნი, მას გველი ამოჰყვა და იფნს მოეხვია. ეცალენ და ვეღარ მოაშორეს აქედან გველი. დაუძახეს კინკოზაურის ქალს თამარს — გვიშველეო! ქალი მოეშველა, ბევრი ეწვალნენ, მაგრამ გველი ვერ მოაშორეს. ამ ბრძოლაში თამარს იფლი მოუვიდა და წაიწმიდა. იფლის წაწმედაზე წარბები გაელვერა, ე. ი. ჯვარისაგან დაიწვა, რასაც დალპობასაც უწოდებენ. ეს დაემართა კინკოზაურის შანაცოდვარზე. ქალს შერცხვა, წამოვიდა და ისევ ქსელს დაუწყო ქსოვა. გაიგო ღარაქშიმა, მოვიდა თავის ცოლთან და უთხრა:

„დაუთქვეს ბაჩით თამარსა,  
ტყუილია თუ მართალი“?  
„არა გინდ ღარაქშის ძევ,  
არ დაგაკლდების სხვა ქალი!“

ამის შემდეგ ამ ქალში თანრათან ლპობა დაიწყო და ბოლოს მოკვდა. ამით დაბოლოვდა კინკოზაურის საგვარეულოს ქალ-ქალიშვილიც. გუდანის ჯვარს ამის შემდეგ ტახტის ყმად აუყვანიან ჭინჭარაულნი<sup>84</sup>.

1962 წ. ს. დათვისში გიორგი არაბულისაგან ჩვენ მიერ ჩაწერილი გუდანის ხარის დაარსების თქმულების ვარიანტი გუდანის ჯვარისა და კინკოზაურთა ბრძოლის უფრო მძაფრ სურათს ხატავს. ოლონდ მთხრობელი ითნის ათოვლის მომენტს თქმულებიდან გამორიცხავს. მთხრობელი ვრიამბობს: „გუდანის ჯვარ ჯერ ყოფილ მუხათვარ (აყნელ ას). სამოცამდე კვამლ ყოფილ მუხათვარ. პირველ რიგში იქ დაარსებულ ისენ ძალზე შასდგომიან, არ უშვებავ, იმათ ადგილ როსაც იყვ. ესენ დაუწყვეტიან. მუცლის ჭირ გაუჩენავ, სისხა. მაგის მიზეზით ქშირად მასდის სისხაი და ქარის ყოილი. ეგ აჩენს. ის ხალხს სისხაით დაულევავ (მუხათ-კარ მცხოვრებლები. თ. ო.), იქით სანეს ამასულ. ციხე რო მდგარ, იქ ამასულ. სანეს არავინ მდგარ. გუდან, ქვენ 32 კვამლ ყოფილ. იქ ყოფილ კივკოზაურის გვარი. სანეს საჯნავ ყოფილ. იქ უჯნავ ი კივკოზაურს. გუდანის ჯვარს არ უნებებავ, არც კივკოზაურთ უნებებავ. ის კაცივით შჩვენებივ (გუდანის ჯვარი). უჯნავ. მასულ სანეთ გუდანის ჯვარიდ შაბძოლილან

<sup>84</sup> ალ. ოჩიაური, ხევსურეთის ჯვარებთან დაკუშირებული ამბები, რე. I, 1949.



კივეოზაური და ისი. იმ კაცს გარეთ მყოფ ქალებ ხყონივ (მცხველობა ლოები. თ. ა.). წინ ისენ აუძღვლებიან—მაღრიდებსავ, შახკრთები-სავ მაგათავ. იმ ქალებს თრთავ გონ ახვდივად დაგროვილიან. მემრ იმას, რომენიც უფრო ძალზე სდგომივ, ქალებ რო დაუმძღვანე-ბავ, ხეთანს, ზენუბნის ზევით სისხლ დაუთხევავა და დამრჩალ. მეორის წლისად ი 32 კვამლისა ერთ კაც არ დამრჩალ, სრუ ამაწყვეტილ“.

პირველი ვარიანტისაგან განსხვავებით ორ დანარჩენში გამო-რიცხულია კივეოზაურთა ყვერფში ხის ამოსვლისა და გველის ამოყო-ლის მომენტი, ასევე, თხრობა უღელზე გვალის დახვევის შესახებ. ალ. ოჩიაურის ვარიანტში კივეოზაურთა გვერდით ბადრიაულნიც შოთხენებიან, როგორც გუდანის ჯვარის მოწინააღმდეგენი, ხოლო მესამეში საუბარია კივეოზაურის მიერ გუდანის ჯვარის ნება-სურვი-ლის არსად ჩაგდებისა და ხვინის დროს მესამრელობ ქალების ქარ-გუ-თნის წინ დაყენების შესახებ.

მიუხედავად განსხვავებული მომენტებისა; სამივე მათგანში ხაზგასმულია გუდანის ჯვარისა და აღრე გუდანში მოსახლე კივეო-ზაურებს შორის წინააღმდეგობისა და ბრძოლის მომენტი, გუდანის ჯვარის მიერ ძალმომრეობით მკვიდრი მოსახლეობის იყრა-გარწყვე-ტისა და თვითონ მათ ნასაღვომარზე დამკვიდრების ფაქტი. აშკა-რაა, რომ კივეოზაურთა და ბადრიაულთათვის გუდანის ჯვარი მტე-რია მხოლოდ, რომელსაც ისინი არ ეპუებიან, მის უფლებებს არად იგდებენ, უწმინდურ-მესამრელოე ქალებს ჯვარისკენ თამამად გზა-ვნიან, რაც სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის ხაზგასმას წარმოად-გენს. კივეოზაურთა მსგავსად ებრძევიან მას ბადრიაულნიც; მაგრამ, თქმულებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბადრიაულთა ამბავი იმდენადაა კავკაზაურებთან დაკავშირებული, რამდენადაც აქაც გუდნის ჯვარის მიმართ ურჩობისა და სარწმუნოებრივ სხავდასხვა-ობაზე მითითებასთან გვაქვს საქმე. ბადრიაულთა ამბავი შედარებით ახალი დროისა ჩანს, რასაც გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ბადრიაული ქისტებად არიან მიჩნეულნი. ისინი იმ დროს არსებო-ბენ, როცა მეგანძურთა ყოფნა ხევსურეთში უკვე არსებული ფაქტია (მეგანძურები ქადაგს სვამენ, იქნებ რამე გვეშველოს). ისინი სა-მეგანძუროს სამკვიდრო სოფელთა გარე მდებარე სოფელში არიან წარმოდგენილნი და არა მის შუაგულში, ისე როგორც კივეოზაურნი. ბადრიაულთა ქისტებად მიჩნევას ისიც უწყობს ხელს, რომ საქის-



ტაუროს ჩამომავლობის გარკვეული შტო—ბაღრიანები ფუნდები დღემდე მოსახლეობენ. ბაღრიაულთა და ანატორელთა გუდანის ჯვარის ყმებთან ბრძოლის ამბები, მეგანძურთა ლტოლვა თავისი სამკვდრო ადგილების გაფართოება-შემომტკიცებისაკენ ერთი რიგის მოვლენები ჩანს. ორივე შემთხვევაში სამაგანძურო უკვე ფეხმოკიდებულია პირაქეთ ხევსურეთის ცენტრალურ ნაწილში, იბრძვის მეზობელ, სარწმუნოებრივად განსხვავებულ ტომთა განდევნისა და მისი ადგილების შემომტკიცებისათვის. რაც შეეხება კივკოზაურთა ამბებს, აქ გაცილებით ძველი გარემოების ამსახველი ნიშნები იჩენს თავს. სახელდობრ, კივკოზაური ადგილობრივი მჯვიდრი ჩანს, გუდანის ჯვარი კი ნელ-ნელა ავიწროვებს და დევნის მას. ძალით ართმევს სამკვდროს. გუდანის ჯვარი მტრის ყვერფ-კურას ევლინება ხისა და გველის სახით, რაც რელიგიური ყოფის ადრეული საფეხურის მანიშნებელია. თავისთვალ კი ეკ, თქმულებაში ასახული ვითარების სიცვლეზე მოუტითებს.

შეეხო რა კივკოზაურთა და გუდანის ჯვარის შესახებ არსებულ თქმულებას, გ. ჩიტაიამ გაარკვია, თუ რა ისტორიულ ვითარებას უნდა ასახვდეს მასში წარმოდგენილი ბრძოლის ამბები. სათანადო ისტორიული წყაროებისა და თქმულების შესწავლის საფუძველზე მან დაადგინა, რომ „ხევსურული გადმოცემა კივკოზაურების შესახებ მიუთითებს საქართველოს ამ კუთხეში ხევსურებზე აღრინდელი მოსახლეობის არსებობაზე, და რომ ეს ძველი ეთნიკური ფენა კულტურულ-ეთნიკურ კავშირშია ცენტრალური კავკასიის მოსახლეობასთან“<sup>85</sup>. კერძოდ, თქმულებაში მოხსენიებული კავკაზაურები კავშირში უნდა იყოს კავკასიის ეთნიკურ ფენასთან, რომელიც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში იყარაუდება „კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში, პირაქეთ-პირიქითში, დიდოეთიდან მოყოლებული ვიდრე სუანეთმდე“, ხოლო შემდეგ იგი თავს იჩენს მხოლოდ კართალში, როცა ეს ფენა, როგორც ჩანს ძალზე შემცირებულია<sup>86</sup>.

რაკიდა თქმულების ისტორიული ვითარება ამოხსნილია, ჩვენ გვინდა ყურადღება გავამხვილოთ ამ გადმოცემის მეორე მხარეზე. როგორც გ. ჩიტაიას მიერ გამოქვეყნებულ და სხვა ჩანაწერი ვარიანტებიდან ჩანს, ურჩი კავკაზაურების კერაში იღწი ამოდის, რომე-

85 გ ჩიტაია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 393.

86 გ. ჩიტაია, იქვე.

ლიც ორჯერ გაყაფვის შემდეგ მესამედ გველს ამოყოლებს. უფრო ძველია ება შემდეგ ჭირს გატჩენს კავკაზიურებს, რის შედეგადც კავკაზიურები იღუპებიან, მათ ნასაღვურალს კი გუდანის ჯვარი ეპატრონება. ყმათა ურჩიბის შემთხვევაში მოწინააღმდეგის კერაში იფნის ამოსვლისა და გველის ამოყოლების მოტივი, როგორც ირკვევა, არ წარმოადგენს შხოლოდ გუდანის ჯვარის შესახებ არსებული გადმოცემის საკუთრებას. იგი გავრცელებულია განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ასეთი ხასიათის გადმოცემები შემონახულია სხვადასხვა ღვთისშვილთა დაარსებასთან დაკავშირებით.

სოფ. ჭალაისოფელში (პირაქეთ ხევსურეთი, ლიქოის ხეობა) როგორც ცნობილია ლოცულობენ ღვთაება შუბნურს ... მის დაარსებასთან დაკავშირებით ფიქსირებულია სხვადასხვა ხასიათის გადმოცემები. ზოგან იგი ლეკ ძიმას ძეთა ლიქოში მოსვლის უკავშირდება, ზოგან სათათრეთიდან მოყვანილ დალიხავის (წმ. გორგის) შუბანში დაარსებას და სხვ. ყველა ამ ვარიანტში დაცულია კერაში იფნის ამოსვლისა და გველის ამოყოლის მოტივი. სანიმუშოდ მოვიყვანთ 1962 წ. ჭალაისოფელში ნანია იმედას ასულ ბასხაჯურისაგან ჩატერილ გადმოცემას: „ეგ შუბნური თათრების მაყვანილა. ეგ ყოფილ თათრების ჯვარი. მესამ-მეორის კიცვ უკლავ მაგისად. მემრ ქადაგს აძახებივისავ: ჭლიკ-მირგვლის ძუათ გამამაბესაოდ აისრ მამათრიესავ. ქვე რაისამ ხეზე შამავჭდილიოდ მგელივით შამავჭყმუ-ვლიდივ ჭეკსურეთსავ. მემრ თათრებს მაუყვანავად ცხრა ადლ მიწა გაუთხრავად აიმაში ჩაუგდავ. მემრ თუშეთის გასატეხად რო წა-სულ კოპალა, მაგას ამაუყვანავ. მემრ ქისტ ხვანივ მმობილ ჩვენ პაპას. ი ქისტს თავ შამაღბაბერივად, მასვლივ რო ადგილ აღარ მაქვავ.

ადგილის მეტ რა მაქვავ, კაცი მჭირებისავ. მემრ მასულ ი ქისტიდ, მაგაში მაშინ ჯვარი არ ყოფილან. დაუფარებავ სახლი ჩვენის პაპის ძმობილს. ყვერფის ყურეში იფნ ამასულ. მაუჭრავ. კიდევ მეორეზე ამოსულ, მაუჭრავ, მესამედ გველ ამანყოლივ“. და სხვ.

იფნის კერაში ამოსვლისა და გველის ამოყოლის მოტივი, როგორც უკვე ითქვა, სხვა ჯვარების დაარსების თქმულებაშიც იჩენს თავს. როგორც ს. დათვისის მცხოვრები გიორგი არაბული გვიამბობს: „ნაჯარელაში, სანებას და ლიქო ყოფილ, რო ცეცხლის ნაგზებში იფნ ამასულ. ერთხან მაუჭრავ, მეორედა, მესამედ გველ ამახყოლია და მახვეულ ზედ... მაშორდით ვ — ლიშან უყენებავ.



ისენ არ ეპუებოდეს. გველ რო ამახყოლივ მესამედ, „შაშინებულების მაშორებიან, დაულევავის ეს ხალხი“.

მსგავსივე ხასიათის გადმოცემა ჩავწერეთ, სოფ. ცაბაურთის ხატის შესახებაც ფშავში. იგი ციდან ჩამოსულა სვეტად და მთაწინდაზე დაბრძანებულა: „იქ დაუსვენებავ, მემრე იქით ღუნქევს, სოფლის ზემოთ რო არი ხატი და მემრე ბელლის კარს დამდგარა. იქ სოფელი ყოფილა. აყრილან და გორჩე გადმოსულან. ერთ ობოლ-ქერივ დედაკაცი ყოფილა. იმას უთქომ რო მენ ვერცად ვერ წავილ აქითაო, ვერ ავიყრებით. სახლის გაკეთება არ შამიძლიანო. ღმე დაწოლილან და იმ ღამეს ამოსულა იფნი კერაში თა ბან აუკვრეტავ ბანში აჩენილა. მემრე უთქომ რო ავიყრებით და წასულა.

ხატი იმიტომ ჰყრიდა კაი ადგილიდან ხალხსა რო თავად უნდოდა, ბატონ იყო“ (იმედა ხოშურაული, სოფ. მუქო, 1946 წ. ივლისი).

ამ გადმოცემებში ორი მომენტი იქცევს ჩვენს ყურადღებას: ერთი, კერაში იფნის ამოსვლისა, ხოლო მეორე მასზე გველის ამოყოლისა.

ყვერფ-კერაში იმ შემთხვევაში ამოდის იფნი, როცა ღვთაება საბოლოოდ ეუფლება ამ მიწამოს, არღვევს ძველ მოსახლეთა ყოფას, და მათ ნაყოფს თვითონ ეპატრონება, თავის საბრძანისს აარსებს და იქ ემკვიდრება. ხალო ღვთაება იფნის ხედ ევლინება ხალხს.

ვფიქრობთ, გუდანის ჯვარის დარსებასთან დაკავშირებულ და სხვა მსგავს ლეგენდებში დაცული მომენტი ღვთაების ხის სახით ამოსვლის შესახებ, აიხსნება ჩვენი წინაპრების ხის თაყვანის-ცემის საფუძველზე. როგორც ვ. ბარდაველიძემ გაარკვია, სიცოცხლის ხისა და აღმოსავლეთ საქართველოს საკულტო დროშების შესწავლის შედეგად, ხე ქართველთა უძველესი სარწმუნოების მიხედვით თაყვანისცემის ობიექტი იყო. თავდაპირველი ტოტემური. ხე, რომლის ირგვლივაც გაერთიანებული უნდა ყოფილიყო მატრიარქალური ხასიათის ესა თუ ის გვაროვნული დაჭვუფება და რომელიც ამ ჯვაფის წინაპრად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. შემდეგში ღვთაების სადგურად ითვლებოდა. ამ ხის ირგვლივ გაერთიანებული სოციალური ჯგუფი კი ღვთაების საყმოდ<sup>87</sup>.

ამ კონცეფციას უსათუოდ გვერდში უდგას და მის საფუძველ-

87 В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обр. граф. искусство..., гл. 65.



ზე პოულობს ახსნას განხილული მასალაც. განსაკუთრებით შეკრულებული რადგებოა ის გარემოება, რომ ნის ამოსვლის მოტივი სხვა ღვთაებების დაარსებასთან დაკავშირებითაც გვხვდება და მხოლოდ გუდანის ჯვარს არ უკავშირდება. ეს ვითარება სწორად მიუთითებს ამ კულტის საერთო ხასიათზე, ჩვენი წინაპრების სარწმუნოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. ამავე დროს იგი წარმოადგენს ზემოთ დასახელებული დებულების კიდევ ერთ დამაღასტურებელ საბუთს.

ამავე კონცეფციასთან უნდა იყოს კავშირში თქმულებები ლაშარის ჯვარის ბერმუხისა და ხმალს მირონის ხის შესახებაც, რომელთა მოჭრა დალატით ერთი აფციაურს (ლაშარის ბერმუხა), ხოლო მეორე სუმელჭი არიშაულს (ხმალს მირვნის ხე) მიეწერება. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ თქმულებებს საგანგებო განხილვა ესაჭიროება, ვინაიდან მათში მხოლოდ ღვთაების სადგურად კი არ გვევლინება ხე, არამედ იგი სიცოცხლის ხის მოტივსაც უნდა უკავშირდებოდეს. თქმულებისათვის დამახსიათებელი მეორე არსებითი მომენტია, როგორც უკვე აღნიშნული იყო, იფნის ხისათვის გველის ამოყოლა მესამედ ამოსვლის შემთხვევაში. როგორც თვის დროზე გ. ჩიტაი მიუთითებდა, ბრძოლის ეს სახე, როცა მოწინააღმდეგე ეთნიკურ ფენათა შებრძოლება წარმოდგენილია ზოომორფულ არსებათა სახით (მაგ. გველები და ხარები), მსგავს თქმულებათა სიძველის მაუწყებელია. ჩვენთვის საინტერესოა რატომ ამოჰკვება ხოლო ხსენებულ თქმულებებში იფნის ხეს გველიც. რა რელიგიური შეხედულების საფუძველზე შეიძლება აიხსნას ეს უკანასკნელი გარემოება. ამ საკითხის გარკვევა იმ მდიდარი ეთნოგრაფიული მასალით ხერხდება, რომელიც აღმ. საქართველოს მთაში ღვთისშვილთა და მათ დამხმარე ძალთა შესახებ დასტურდება. ცნობილია. რომ ღვთისშვილებს და მათ შორის გუდანის სამთოსაც. რომელიც მთხომბელთა გადმოცემით დიდი ხთიშვილია და დობილებს არ კაღრულობს, თვითანთ სამსახურში ჰყავთ სხვადასხვა ზოომორფული თუ ანთხოვომორფული სახის ძალები: წვრილი დობილი, გველისფერი, მწევარი, ნებისანი და ა. შ. განსაკუთრებით მძლავრადაა წარმოდგენილი ასეთ სამსახურში გველისფერები, რომლებიც თვისი ბატონი ხთიშვილის მტერს აზიანებენ, ხოლო გაჭირვებაში ჩაგარდნილ ერთგულ ყმას — ავი საჭმისაგან იფარავენ.



არხოტში, როგორც აღ. ოჩიაური წერს: „იაქსარს უფრო უფლებული გარი ძალა ჰყავს—გველისფერი. გველისფერი, მკითხავები ამბობენ, რომ გველსა ჰყავსო და ძალიან სწრაფი დამხმარეა სულ ყველაფრისით, ვისაც იაქსარი უბრძანებს. გველისფერი იაქსარს ჰყავს თავის ყმების მტროთან საბრძოლებელად. თუ იაქსრის ყმებიდან ვინმე წასული არის მტრების წინააღმდეგ, ფათერაჟი რამე შეემთხვა მას და იაქსარს შემოეხვეწა და შემოსძანა, ის მაშინვე გაიგებს და გველისფერს საჩქაროდ დაახმარებს. გველისფერს აგრეთვე იყენებს იაქსარი შინაური დამნაშავეების დასასჯელად“<sup>88</sup>...

გველის სახითაა წარმოდგენილი ჭალის ყარაული ლიქოში, როგორც კოპალას სამსახურშია. „ეს გველი ვითომც წელიწადში ერთხელ გაზიარებულობით ჩაივლის ლიქოის წყალზე, იქ კოპალას სასვერს დაათვალიერებს და გვა იქამდენ, სანამ ლიქოის წყალი დიდ არავში არ შეერეოდეს. მერე ბრუნდება უკანვე, წავა წყალ-დაწყალ და მივა თავის სამკვიდროში — შუბანში“<sup>89</sup>.

სოფ. გუდანში „ნაკარელა ხთიშობელს ჰყავს გველისფერი და ერთი დამხმარე—დიაცის სახით<sup>90</sup>, ხოლო თვითონ სახმოს, რომელიც „დიდ ხთიშვილი მაგას დობილ არ ხყავ, არ კაღრობს, ერთი ხყავ მარტო; კარში უდგას ყარაულად. ეგვიპტურის აღით ას, გვილის აღითაც ეჩვენების კაცს“ (გადუა ჭინჭარაული, გუდანი, 1962 წ.).

ამავე ხასიათის შეხედულება უნდა ედოს საფუძვლად გახუა მეგრელაურის შესახებ დარჩენილ ერთ-ერთ თქმულებას: „ვიღაცას უთქომ მეფის ერეკლესად, რო ბევრ ცოდვა გაქვავ, ერთ ვინმე კაც ნახევ, ხთისშვილთ ერთგულივ, სულ გაუზიარეო და ნახევარ ცოდვას მაიცილებავ. გაუგავ; დაუბარებავ ეს კაცი—გახუაიდ, უთქომ ერეკლეს, რომ სამსმეხერავ ზურგზე მავიკიდათავ ერთმანეთით და სამსამჯერავ პირში ჩავლებრნავთ ერცხვასავ, და რასაც ზიდავავ, მერევივ—ოქრო-ვერცხლ წაიტანევ საჩუქრადავ. ღულის იქით მასულან გახუაი და იმის ამხანიგები, მააქვ გუდაით ის ოქრო-ვერცხლი...“

ღულის იქით სრელოვანში ტყეებზედავ გვილ იყვავ გაწოლივ. ჩოქზე დაჭდავ გახუაიო, შეეხვეწავ. წავიდავ ის გველივ,

88 აღ. ოჩიაური, მითოლოგია ხევსურეთში, რვ. I, გვ. 1.

89 იქვე, გვ. 131—132.

90 იქვე, გვ. 156.

ტყედატყე გაცურდაო და დაიკარგავ... ჩვენ კი გველი ვნახულთაშუავ  
შავსცოდვებიორავ, ოქვავავ გახუამავ, წავიდავ ჩემ საქმეივ.—იმაად  
რო ცოდო გაიზიარ... ამაწყვეტილან კიდეც თავის ცოლშვილით,  
დაღუპულინ კიდეც მეურე წელს“ (გაღუა ჭინჭარაული, ს. გუდანი.  
1962 წ.).

საყურადღებოა, რომ გახუა, ზოგიერთი გაღმოცემის მიხედვით,  
გუდანის ჯერის მკაფრედაც მოიხსენიება და მასთან ერთად მოგზა-  
ურობს ბეგრის ასალებად. აქედან გამომდინარე, გახუას დამსჯელი  
გველი, შესაძლო მორჩმუნეთა შეხედულებით, სწორედ ამ ღვთა-  
ების გველისფრაც მიიჩნეოდა.

ამ ხასიათის მრავალი მასალის მოტანა კიდევ შეძლებოდა,  
მაგრამ აქედანაც აშკარად ჩანს, თუ როგორ ეხმარებან გველის  
სახით წარმოდგენილი არსებები ღვთისშვილებს, მტერთან ბრძო-  
ლაში. ისინი ამ ღვთაების დამსჯელ ძალებს წარმოადგენენ.

ზემოთ განხილულ ლეგენდაში თავდაპირველად მოწინააღმდე-  
გის ყვერფ-კერაში იფნი ამოდის, რომელსაც კაფავენ, ერთხელ,  
მეორედაც; მესამედ კი, როცა ღვთაება ხელდადებულთა ურჩობა-  
ში რწმუნდება, გველისფრის ამოყυოლებს, რომლის გამოჩენა უკვე  
იმის საწინაარია, რომ მოწინააღმდევის საქმე წასულია. მასთან  
შებრძოლება აღარ შეიძლება, იგი უსათუოდ განწირულია და დაი-  
ღუპება. გველის ჩარევა საქმეში მოწინააღმდევის დასეინ ნიშანია.

284 რავილა ღვთაება ხის სახით გვევლინება, ვთიქრობთ, გველი  
მის დამხმარე ძალს უნდა ასახიერებდეს, რომელსაც იგი ურჩით  
დასასჯელად იყენებს, თანახმად მთიელთა რელიგიურ ყოფაში  
დადასტურებული შეხედულებისა. მსოფლიო ხალხთა მითოლოგი-  
აში არსებული მოტივი ღვთაების მიერ მტრისათვის გველების  
მისევისა, ამავე კონცეფციასთან შეიძლება პოულობდეს ანალოგს.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ გველთან დაკავ-  
შირებით იმდენად შევჩერდით, რამდენადაც იგი აღმოსავლეთ  
საქართველოს მთიანეთის რელიგიაში წარმოდგენილია ღვთისშვი-  
ლთა დამხმარე პერსონაჟის სახით, რაც ოქმულებაში არსებული  
სათანადო მოტივის ახსნას უწყობს ხელს. გველის კულტთან დაკა-  
ვშირებული სხვა დიდაღი მასალა, რომელიც საქართველოში და  
სხვა ხალხებში მოწმდება, ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს, იგი  
რელიგიის ძალორიფოსის საძიებო საქმეა.

# საზოგადოებრივი უთანასწორობის აღსახველი გადმოცემი

ნაშრომის დასაწყისში ჩვენ მივუთითებდით იმ პროცესზე, თუ როგორ შეიძლება შექმნილიყო გადმოცემა რეალურად მომხდარი ამბევის საფუძველზე და რა უწყობდა ხელს ამ გადმოცემის მითოლოგიური ელფერით შემოსვას. ეს გარემოება განსაკუთრებით ცოცხლად შეინიშნება გვიან ხანში შექმნილ გადმოცემებზე დაკვირვებით, რომელთაც ძირითადად საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი უთანასწოროების ნიადაგზე მომხდარი კონკრეტული ამბავი. ვიდრე უშუალოდ გადმოცემებს შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავარკვიოთ საკითხი სულა-კურდლელთან დაკავშირებით, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ღვთავბად არის მიჩნეული.

ვაჟა-ფშაველა თავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში სულასა და კურდლელს შესახებ შენიშნავს: ფშაველებს „ხატებად ჰყავს გამხდარი ზოგ-ზოგი გმირებიც. მაგალითებრ, სულა-კურდლელა, პირცეცხლი, პირქუში“<sup>91</sup>. ამ ცნობაზე დაყრდნობით, ქართული ერის ისტორის „I ტომში „ამირანიანთან“ დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: — „უფრო საყურადღებოა რომ ფშავლებს გმირთა შორის სულა-კურდლელიც მიაჩნიათ ხატად. იქნებ წინათ სულ-კალმანიც ამგვარ გმირთა გუნდს ეკუთვნოდა“<sup>92</sup>.

გარდა ვაჟა-ფშაველას ზემოთ მოყვანილი ცნობისა, სულასა და კურდლელს შესახებ ლიტერატურაში გამოქვეყნებულია რამდენიმე ხმით ნატირალი გვრინი და თედო რაზიკაშვილის განმარტებანი მის მიერ ჩაწერილ სათანადო გვრინთან დაკავშირებით. ამ მასალის გარდა ჩვენ მიერაც მოპოვებულია ცნობები ამ გმირთა შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ეს ორი სახელი ერთომეორისაგან. აქ საქმე გვაქვს ორ პიროვნებასთან, ორ დამოუკიდებელ სახელშოდებასთან — სულასა და კურდლელსთან და არა სულა-კურდლელთან ე. ი. ერთი პირის სახელთან, მსგავსად სულ-კალმანისა. ამდენად სულა-კურდლელს დაკავშირება ამირანიანის სულ-კალმანთან თავიდანვე არ არის სწორ ნიადაგზე დამყარებული.

91 ვაჟა-ფშაველა, ტ. V, 1961, გვ. 25.

92 ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1928, გვ. 139.



ამის მიზეზია ის, რომ ვაჟა ერთად წერს სულა-კურდლელა შესახებ შორის მხოლოდ ტირეს სვამის. მისთვის, როგორც ფშაური ღიალეჭტის მცოდნესათვის, ბუნებრივია რომ ამგვარ გამოთქმაში ორი პიროვნება იგულისხმობს, რომ ეს მართლაც ასეა, ამაზე მიუთითებს თუნდაც მისივე პოემის სათაური „სულა და კურდლელა“. ივ. ჯივა-ხიშვილს კი ბუნებრივია, ვაჟას ზემოთ მოყვანილი ცნობა ისე გაევო, რომ სულა-კურდლელა ერთი პირია, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ვაჟა ხსენებულ სახელებს ერთად წერს, მათ პირცეცხლისა და პირქუშის წრეში აქცევს და სხვა არავითარ განმარტებას არ იძლევა.

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალა სულასა და კურდლელის შესახებ შემდეგი ხასიათისაა: „სულას და კურდლელს ჩარგალში უცხოვრებავ. იმათ მილები პქნიათ დაწყობილი და ისე. მოსდენიათ რძე. ქვესურებს სულას და კურდლელს შიშით ჭორებისათვის საპირულები უკეთებავ, რო არ დაეყროყინა. ამ სულა-კურდლელათ ხალხი არ უშობავ არაგვის ჭილაზე, არც ფშავლები და არც ქვესურები. მაშინ ხალხი მარტო აფხუშოში ყოფილა. სულას და კურდლელას დედა ლუხუმის და ყოფილა (ვაერაც იქით აიღო). ეგ ლუხუმი ყოფილა პაპაშჩენი. იმას ჰყოლია ორი ვაჟი და ერთი ქალი. ქალი — ანა, ვაჟები — ივანე და ლაჭაური.

იმ სულა კურდლელათ ისე შაუწუხებავ ხალხი, რო ამდგარა ლუხუმის შეილი, ცაბაურთაში წასულა და წელწად დილას სასოვეთ თავის მაღალზე საპარავის ყელისას ნაბდის ჭლუჩიათ გადაულალავ ხალხი და ღალატით დაუკოცინებავ ისეები.. ხალხი ჩაუსაფრებავ, თავად მექვლედ მისულა. მიიღეს როგორც დედიძმის შვილი. როცა დაითვრენ, აღგა და შაატყობინა იმ ხალხსა, დეეცა ეს ორი სოფელი (აფხუშო და ცაბაურთა. თ. თ.) იმ ორ კაცსა. სულაი ახუნის შასამართს მაუკლავ, კურდლელა გამაპქცევია და ჩარგლის კართ მაუკლავ.

როგორც სულა და კურდლელა ჩარგალში, ისე არხალში არხალი ყოფილა, არტანში თაღლაურა, ჩარგალში კი, როგორც ვთქვით, სულა და კურდლელა იყვნენ. იმ ახალწელს სუყველანი სამგანვე ამოუწყვეტიათ ფშავლებსა. სულა და კურდლელაზე ნატირალი მაშინდელია.. ჩარგალში ლაშარის ჭვარის ნიშია. სულა-კურდლელათ ეძხიან, იმათ ნაციხვარია“. (ლევან თათარიშვილი, ს. ჩარგალი, 1952—57 წლ.).

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას მხარს უჭერს თითქმის ფუნდის  
ცნობა, რომლებიც ხსენებულ პირთა შესახებ მოიპოვება.

თ. რაზიკაშვილის ხალხური ზეპირსიტყვიერების კრებულში  
გამოქვეყნებულია გვრინის ფშაური ვარიანტი:

„დილას ამაზედ ჩამეერა,  
ქალმა საყელო ცრემლიანმა.  
არ ვიცი, ძმები დაპხოციყვნენ,  
არ ვიცი, მოპშლიყო ქმარ-ყოფასა,  
ქალმა ახუნსა შაუტირნა,  
ქალმა საყელო ცრემლიანმა:  
— ახუნო<sup>93</sup>, რა ჰქენ ჩემნი ძმანი,  
ჩემი სულაი-დ კურდლელაი,  
რო შეწევ აღარ უთიბნია.  
— შენი სულაიდ კურდლელაი,  
ჩარგლის კარს ჰყრიან დაჭოცილი,  
ჸელში უჭერავ შიშველ ჭმლები  
ყორნებს ულლავენ ერთმანეთსა“<sup>94</sup>.

გვრინის განმარტებაში თ. რაზიკაშვილი წერს: „ფშაველებმა  
გატეხეს სულმა და კურდლელას ციხე ღალატით და ორივე ძმა  
მოკლეს, ციხე-სიმაგრე ამობუგეს, ისინი ჩარგლის კარს თავისი სა-  
ხლიდან 4 ვერსის მოშორებით მინდორზე ღაყარეს. ისე თურმე  
ჰყავდათ ხალხი შაშინებული, რომ როცა ხევსურები ჯორებით  
არაგვის პირზე ჩამოივლიდნენ (5 ვერსი იქნება), ჯორებს თურმე  
პირში ქორაკებს ამოკდებდნენ — არ დაიყროყინონ, სულამ და  
კურდლელამ არ გაიგონ, წამოვლენ და დაგვეცემიანო.

გვრინის შედარებით განსხვავებული ვარიანტი ჩაწერილია  
ჩვენს მიერ ს. გოგოლაურთის მცხოვრებ შეთე ხახონიშვილისაგან:

„დილა ადრიან შამეერა  
ქალმა საყელო ცრემლიანმა,  
მოიდა, ახუნს შაუტირნა:  
— ახუნო რა ჰქენ ძმანი ჩემნი,  
დილას სათიბად დაგიგზავნენ.  
იქნება ფშაველებმ დამიჭოცნეს,  
ფშავლებმა ღალატიანებმა“.

<sup>93</sup> ახუნი — სათიბი მთა ჩარგალში.

<sup>94</sup> თ. რაზიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, III, 1953, გვ. 87.



როგორც ვხედავთ, თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ქართველი მოყვანილი ფშაური გვრინის ფრაგმენტი ერთი ნატირალიდან მომდინარეობს. ისინი, მართალია, ვარიანტულ სახესხვაობას ჭარმოადგენენ, მაგრამ ძირითადში დამთხვევასთან გვაქვს საქმე, სადაც საუბარია სულასა და კურდლელს დახოცვით გამოწვეული დის მწუხარების შესახებ.

ფშაური გვრინის ამ ვარიანტისაგან საგრძნობლად განსხვავდება ხევსურული გვრინი სულასა და კურდლელს შესახებ, თუმცა როგორც დავინახავთ, დამთხვევასთანაც გვაქვს საქმე. ეს გვრინი, რომელიც დაბეჭდილია მასალებში საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, შემდეგია:

„შვილნი წავლალენ თიბაზედა  
ჩემი სულაი, კურდლელი,  
ახუნო, არსად ღნახენეო?  
თვალით დავქრიტე ახუნ-გორიო,  
არცად აჩინდა ნამერევებიო.  
ბერი რად სტირი შვილთა შენთაო.  
ჩარგლის-ჯარი იყვნენ შენნი შვილნიო,  
შემაწოლონი ვეძაზედია.  
ბრუნევდეს სისხლის მორეჩიაო,  
პელჩი ეჭირა შიშელებ კმლებიო,  
ერთმანეთს ყორნებს ულალევდესო,  
შეილნო, სულაოდ კურდლელია,  
ირმის გულისად დაჭოცილნო,  
იმედი მამეშალი თქენიო,  
ბებერს მამას რო ათიბევებთო.  
ერთხან დაწმირენ ცელ-სალესნიო,  
მეორედ ამატანენითო.  
მარიანბას დავდევ ცელიო,  
ენერნიასა საფარცხველიო.  
თიბად გავიდეს ჩარგალელნიო,  
სულა ძალს ეძახს ბარიასაო:  
— არიქა ჩემო ბარია,  
ტყეჩი ირემი შამივარდაო!

ვამე ჩემო სიბერევო,  
ირმებმ სრევალი დამიშალაო,  
ნეტავინ მამცნა მშვილდ-ისარნიო,  
ერთ-ორიმც დიმაზინებივთ,  
ჩემთა საფქავთა დამქეჩენიო  
მიწათად გამაფერებივნაო.  
სულმ საწოლთით არ მაზდივაო,  
მეწუნდარჩივით კურდლელმაო.  
წარ ირემო ნუ ჩივლიო,  
ჩარგალ მისრიათ კარისასაო,  
თორემ სულაი, კურდლელიო  
პირს დაამტერევენ ლოდისისაო  
დაგრავს ისარისა მისრიაო,  
გამანეცეშილსა ფშავლისასაო,  
თვე დაღგა მარიანობისიო,  
წარის ცეირალი გავიგონეო,  
აფხეშის ძირით შამაპხვირნიო.  
შახევირნე შენმა ოქრობამაო,  
თვათ დაგიყრი ქოჩისათაო,  
ახუნ სულას დათიბულთაო,  
ნაკრეფთა კურდლელაისითაო...“

და სხვ5.

ამ ვრცელ ვარიანტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი შედგენილია რამდენიმე ცალკეული ფრაგმენტისაგან, რომელთაგანაც ნა-



წილში სულასა და კურდლელას დახოცვის ფაქტია აღწერილი ფრთხილი მამის გოდებას შეიცავს, ხოლო ნაწილს, შეიძლება ითქვას, არაფერი აქვს საერთო გვრინის ძირითად ქარგასთან. იგი შემთხვევით მიკერბული ჩანს მასთან და ჩარგლის შექებას ჭარმოადგენს. ამიტომ იგი აქ არც მოვიტანეთ.

როგორც ვხედავთ, ხევსურულ გვრინში არაფერია ნათქვამი სულასა და კურდლელას ფშაველთა მიერ ღალატით დახოცვის შესახებ. გვრინის პირველი ნაწილი დაწყებული სტრიქონებით:

„შვილნი წავლალენ თიბაზედაო...“

ვათავებული ტაეპით:

„ბერ რად სტირი შეილთა შენთაო,  
ჩარგლის კარს იყენეს შენნი შეილნიო,  
შამაწოლილნი ვეძაზედაო,  
ბრუნევდეს სისხლის მორევშიაო,  
ჰელში ეპირა შიშვლებ მლებმა-კმლებიო.  
ერთმანეთს ყორნებს ულალევდესო...“

ფშაურ ვარიანტს კვალდაკვალ მისდევს, მაგრამ ფშაველთა ღალატიანობის შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერაფერს ვხვდებით. განსხვავებით ფშაური ვარიანტისაგან, აქ საუბარია სულასა და კურდლელას ირმის გულისათვის დახოცვაზე. ერთი შეხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ხსენებული გმირები ნაღირობის დროს დაიღუპნენ, მაგრამ მასალაზე დაკვირვება ამ ვარაუდს არ ადასტურებს. როგორც გვრინიდან ჩანს, სულა და კურდლელა ორივე დაჭრილი იწვა ჩარგლის კარს და ერთმანეთს ყორნებს უგერიებდნენ. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ვიღაცამ დაჭრა, სასიკვდილოდ გამოიმეტა, ძმები კი სიკვდილამდე კვლავ ერთმანეთს იცავდნენ. აქ აშკარად გამორიცხულია ნაღირობის დროს მარცხის შედეგად დაღუპვა.

ხევსურული ვარიანტი მთხოობლის მიერ განმარტებულია სულ სხვანაირად, ვიდრე ეს ფშაურში გვაქვს. სახელდობრ, სულასა და კურდლელას დახოცვას მთხოობელი ლეკებს მიაწერს, მაგრამ აქც განმარტების არასიზუსტესთან უნდა გვქონდეს საქმე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩარგლის მკვიდრთა გაღმოცემით, მათ შორის თ. რაზიკაშვილის ცნობით, რომელიც ხალხური თქმულება-გადმოცემების შემკრები და მცოდნე იყო, სულა-კურდლელა ფშავლებმა ამოწყვიტეს. ამ ცნობას იმეორებს ფშაური გვრინის ვარიანტიც:

„იქნება ფშავლებმ დამიკუცე,  
 ფშავლებმა ლალატიანებმა“.

ფშავლელთა მიერ დახოცვის საშიშროება არც უნდა არსებული-  
 ყო, თუ სულა და კურდლელა საამისო მიზეზს არ აძლევდნენ ხალხს.

გარდა ამისა, ჩარგლიციართ-ვეძაზე მათი დახოცვა ლეკთა  
 მიერ ნაკლებ მოსახერხებელი იქნებოდა, ვინაიდან ჩარგლის კარი  
 შიგ შუაგულ ფშავის ხეობაში მდებარეობს და ლეკთა მისადგომები-  
 დან საქმაოდ დაშორებულია; როგორც ცწობილია, ლეკები თავიან-  
 თი სათარეშო მიზნების განხორციელებისათვის ხალხისა და საერ-  
 თოდ სოფლებისაგან დაშორებულ აღგილებს ირჩევდნენ. ისინი  
 თავს ესხმოდნენ მთიბლებს, მწყემსებს, სხვადასხვა საველე სამუ-  
 შაოებზე მყოფ ხალხს. მიდიოდნენ ისეთ აღგილებში, საიდანაც  
 გასაცევე გზა შედარებით უხილათ ჰქონდათ. გარდა ამისა, თვით  
 გვრინში არაფერია ნათქვამი სულასა და კურდლელას ლეკთა მიერ  
 დახოცვის შესახებ. ასე რომ, ეს შეიძლება მთხორბლის სუბიექტუ-  
 რი განმარტება იყოს მხოლოდ. თუ ხევსურული გვრინის ვარიან-  
 ტი სულასა და კურდლელას თბილად და უსაზღვრო სევდით ისსე-  
 ნიებს, სადაც მხოლოდ მამის დაუყუჩებელი მწუხარებაა გამოხატუ-  
 ლი და სოციალური მომენტი გამორიცხულია, იქნებ ეს იმითაც  
 აისხნას, რომ ხევსურეთი ნაკლებ შევიწროებული იყო ხსენებულ  
 პირთა მიერ. ხევსურებს, როგორც ჩანს, არც მიუღიათ მონაწილეო-  
 ბა მათ ამოწყვეტაში და ისიც გასათვალისწინებელია, რომ სულა  
 და კურდლელა, როგორც ირკვევა, გოგოჭურთა გვარს ატარებდნენ.

თ. რაზიკაშვილის დასახელებულ კრებულში ვკითხულობთ:

„მამელაუმა მამელა მეორედა.

ეამი უკუღმა მამიბრუნა.

ბევრი რაილი ჩაიდინა

ძალლის მჭამელმა გოგოჭურმა,

ხარსა ირემსა ნაისრალსა

ნასადგისარი მამიქინა“<sup>96</sup>.

ამ გვრინს თ. რაზიკაშვილი შემდეგნაირად განმარტავს. „თურმე  
 ჩარგალში წინათ იმოდენა ირმები სცოდნია, რომ საფქვავს რო გაპ-  
 ფენდნენ, ისე თურმე აპტვლეპლნენ თუ თავს დაანებებდი, როგორც  
 ძროხები. ერთს ირემი დაუჭრია. ამ დროს კურდლელა გოგოჭური

<sup>96</sup> თ. რაზიკაშვილი, იქვე.

წასწრებია; უთქვამს — ეგ ირემი ჩემი მოკლულია, ქალამანს მკუდებულია, მაშინ ჩამოირბინა და სადგისი ვატაკეო. სულასა და კურდლელას იმ დროს დამონაცებული ჰყოლია ის სოფლები და აბარალა ხმას გასცემდა, წაართვა ირემი<sup>97</sup>.

ამ განმარტების მიხედვით ირკვევა, რომ სულა და კურდლელა გოგოჭურები იყვნენ. გოგოჭურთა ჩარგალში მოსახლობის შესახებ ხალხშიც არის დარჩენილი გადმოცემები. გოგოჭურები ფშავის სოფელ ცაბაურთაშიც ცხოვრობდნენ. მაგრამ გოგოჭურთა გვარი, ხევსურეთის ძირითად გვართაგანია. როგორც ცნობილია, არაბულები, ჭინჭარაულები და გოგოჭურები ე. წ. სამოგანძუროს ქმნილნენ ხევსურეთში და ხსენებული კუთხის უძველეს გვარებად ითვლებოდნენ.

სულა-კურდლელას გვარის გარკვევა, გარდა ზემოხსენებული ვითარებისა, საყურადღებოა იმითაც, რომ ეს ფაქტი ხსენებულ პირთა რეალურად არსებობას მეტ საბუთიანობას მატებს.

ზემოთ მოტანილი მასალიდან სულასა და კურდლელას შესახებ, როგორც ვხედავთ შემდეგი ირკვევა: ისინი ცხოვრობდნენ ფშავში, სოფელ ჩარგალში და ეკუთვნილნენ გოგოჭურთა გვარს. ეს პირები თავისი მქლავის ძალისა, ვაჟაცობისა და სისასტიკის წყალობით თანდათან ძალაუფლებასა და ეკონომიურ კეთილდღეობას იხვეჭენ, რითაც უპირისპირდებიან რიგით მეთემებს, თავიასთ ძალა-უფლებას მათზე ვირცელებენ, ჩაგრავენ, ადებენ ბეგარას და ძარცვავენ. ყოველივე ამის წყალობით ისინი საძულველ პირებად იქცევიან, რის გამოც თანამეომეები ხოცავენ მათ.

ვაჟა-ფშაველას ცნობის მიხედვით კი სულა და კურდლელა გაღვთაებრივებული გმირები არიან. მას შემდეგ რაც გარკვეულ იქნა ამ პირთა რაობა-ვინაობის საკითხი, ეს ცნობა თავისითავად ეპვევეშ დგება; შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათვის ზებუნებრივი ოვისებების მიწერა შიშის გრძნობით იყო გამოწვეული, მაგრამ საქმის რეალური ვითარება სხვას გვიჩვენებს. მართალია ჩარგალში არსებობს სულა-კურდლელას სახელით ცნობილი სალოცავი, მაგრამ სინამდვილეში ეს ხატი ლაშარის ჭვარის ნიშს წარმოადგენს, მის შესახებ ლევან თათარაშვილი გვიამბობს: „სულა-კურდლელათ იმით ეძახიან რო, ნაციხვარია იმათი, თორო ისე ლაშარის ჭვარია

97 თ. რაზი იკავეოს, იქმევ.



შიგა. ისე მაგათ არა ლოცულობენ როგორც ხატებსა. ისენ დაუჭირულა  
ლაშარის ჯვარის ყმათა და რაკი იმის ძალით მომქდარა, მაუკიდება  
იქ კოჭი და ბეღელი დაუარსებავ იქა... ლაშარის ჯვარს მაადიდებს  
(ჸევისბერი). ლაშარის ჯვარსა და თამარის ჯვარს იქ ბეღლები აქვ-  
ძელ ჸევისბერსაც მოვესწვერ, ეხლა მე ვარ ჸევისბერი და ეგენ  
(სულა და კურდლელა) არავის მაუქსენებიან” (ს. ჩარგალი, 1957 წ.).

 როგორც ვხედავთ, სულა-კურდლელას სახელი ამ სალოცავს  
იმდენად შემორჩი, რამდენადაც იგი დაარსებულა მათ ნასახლარ-  
ში.) ასეთი შემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ეთნოგრა-  
ფიულ ყოფაში გამონაკლის არ წარმოადგენს. მაგ. სოფ. ჭორმეშა-  
ვში ხახმატის ჯვარის სალოცავი ამავე ხატის მკაფრე გახტა მეგრე-  
ლაურის ნასახლარშია მოთავსებული.

თუმცა სულა და კურდლელა, როგორც მოტანილი მასალის მიხედვით დავინახეთ, მითოლოგიურ პერსონაჟებად არ ჩაითვლები-  
ან, მაგრამ სხვა მათ მსგავს პირთა შესახებ უკვე შექმნილია გადმო-  
ცემები, რომელთა მიხედვითაც ამ პირებს მითოლოგიური  
ელფერი აქვთ მიღებული.

ვიდრე უშუალოდ ამ ხასიათის გადმოცემებს შევეხებოდეთ,  
თვალს გადავავლებთ თქმულებებს, სადაც სოციალური და ეკონო-  
მიური უფანასწორობის მომენტია მოცემული, რითაც ეს გადმო-  
ცემები სულა-კურდლელას შესახებ ასეთებული გადმოცემის ანა-  
ლოგიური ჩანს. ხალხის მეხსიერებამ შემოვგინახა მთელი რიგი  
სახელები იმ პირებისა, რომლებიც ერთი მხრივ სახალხო გმირებად  
ე. წ. კარგ ყმებად გვევლინებიან, როცა საქმე გარეშე მტერთან  
ბრძოლას ეხება, ხოლო მეორე მხრივ ალზევებულნი და გაძლიერე-  
ბულნი არიან თავიანთ მეორემეთა წრეში. ამ თავის ძლიერებას  
ისინი ბოროტად იყენებენ რიგითი მოსახლეობის მიმართ. ჩაგრავენ  
მათ და ამის გამო ხალხის სამართლიან გულისწყრომას იმსახურე-  
ბენ. მთხოობელ ლევან თათარიშვილის ცნობის მიხედვით, სულა-  
კურდლელას მსგავსი იყვნენ არხალაში—არხალი, ხოლო არტანში  
—თაგვა თაოლაური.

არხალის შესახებ მასალა არ მოგვეპოვება, ხოლო თაგვა თაო-  
ლაური სახალხო გმირია, რომელიც თავს ისახელებს სამშობლოს  
მტერთან ბრძოლაში, რის გამოც კახეთის ბატონისაგან წყალობა-  
საც კი იმსახურებს; ამავე დროს იგი თავისი უფლებების გავრცე-  
ლებას ცდილობს ხალხზე. სოფ. არტნის მცხოვრებ დავით გიორ-



გის ძე მინდოდაურის გადმოცემით: „ისე გადიდებულა ჩერებულია რომ მთების აქეთ თუ რამე გადმოვიდოდა ცხვარი, საქონელი და ა. შ. იმას იჭერდა თავისითვინა, თავისიმბდა თვითონა. იმას რძის ზაოვიდი ჰქონია. ციხის თავში არტის თავ უწველია და რძე აქ ჩამოდენილა.“ ამის შემდეგ მთხოვნელი გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ დაეცნენ ფშავლები თაღლაურის სახლ-კარს მისი არყოფნის დროს და ააოხრეს. „თავგა თაღლაური აქ არ ყოფილა, არაგვის ფშავლები რო დასცემიან, ჩაბანოს ყოფილა წასული ძმობილთან. რო გამაუხსენებავ, ბოლ გასდის თურმე აქაურობასა.“

„ჩემი იარე ლურჯაო,  
არხალს ხარ, გან არტანსა,  
რა ფექებს მიაბაჟნებ,  
რო ბერი კაცი არგანსა.  
გახედე, სატიალეო,  
ცეცხლი ედება სახლ-კარსა!“.

თაღლაურას გადამწვარი სახლ-კარი დახვედრია. იგი მისი ცოლის ძმისშვილის მეთაურობით არაგვის ფშავლებს დაურბევიათ, — გადაუბუგავთ და ქონებაც გაუტაციათ. თაღლაურა გამოჰქიდებია მათ, დასწევია, მოუკლავს მოლალატე მოყვარე და სხვა ხალხიც დაუხოცია.

„ოცამდე რო მოუკლავ, — მოგვითხობს დ. მინდოდაური, უთქომ: მოყვალ ოცი, აღარ ვქოცი, შამინდე ძალო შაბათისაო, — და დაბრუნებულა. ჭალაში რო ჩამოსულა, ერთ კაც დამრჩალა ხალხის ამხანაგი (იგულისხმება თავდამსხმელი ხალხი).“

— თავ უნდა მიმეჭრა შენთვინაო, შენც იმათი ამხანაგი ხარო!  
— უთქომ თაგვას.

- მე ბეჩავი ვარო.
- მაშ აქ რადა ხარო
- სოფლის პირი იყო, მაშ რას ვიქმოდიო.

დაუნებებავ თაგვას თავი. იმ თაგვას ბექთარი სცმია, იმიტომ ვერავის მაუკლავ. მემრე გაუქდავ ის ბექთარი, ხურჯინში ჩაუდვავ რო წასულა, იმ კოჭლას გამაუდევნებავ ისარი, ბეჭებში უკრავ და მაუკლავ. მეძრე გადმოსულა აქეთ ხალხი პირიქითიდანა“ და სხვ. იმავე არტანში ჩაწერილი მასალის მიხედვით: „თაღლაურა რო არტანში მაუკლავთ, იმ დროს სულაკურდოლანიც ჩარგალში დაუქოციან. ისინი მძლავრი ხალხი ყოფილან. ადგილის გულისად დაუქოცან“. 123



როგორც ვხედავთ, თაგვა თაღლაურს ხალხის საერთო შეკრუნა-  
უკეტილების შედეგად ჰქონდა. „სოფლის პირი იყო და უარს ხომ  
არ ვიტყოდიო“ — ეუბნება თაღლაურს ამხანაგებს ჩამორჩენილი,  
შურისმებნელი კოჭლი ფშაველი.

მოძმეთა ან უკეთ, თემიდან ცალკეული პირების გამოცალე-  
ვების და მათი ორგება-განდიდების შესახებ მასალა აღმოსავლეთ  
საქართველოს მთაში საქამაოდ მოიპოვება.

ასეთივე ხასიათის გმირად უნდა ჩაითვალოს პირიქითელი  
ხევსური თორლვა, რომელიც გადმოცემის მიხედვით ბაგრატიონთა  
ნაბიჯვრადაც კი მიაჩნიათ. იგი ერთი მხრივ საყოველთაოდ ცნობი-  
ლი სახალხო გმირია, რომელიც ვაჟუსძეს (ზოგი ვარიანტით ვაზუშ-  
სა თუ ზაზულიას) ჰქონდა. ეს ვაჟუსძე თუშებს აზარალებდა და  
ხევსურეთში თარეშიც მოინდომა, რაც თორლვამ არ აპატია. ვაჟუს-  
ძის მოკვლის შესახებ დარჩენილ გადმოცემაში თორლვა დადებით  
გმირად გამოიყურება: იგი ვაჟუსძეს ხმალდახმალ ებმის. ვაჟუსძე  
თორლვას მამაცად ხვდება და ხმალსაც კი წაართმევს. თორლვა და  
მალულ დანას ამოიღებს და იმითი ჰქონდა.

ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებული ლექსის განმარტებაში, რო-  
მელიც მას მინდია ქისტაურისაგან ჩაუწერია, ნათქვამია: „ვაჟუს-  
ძეს მართალია პირველად ხმალი წაურთმევია თორლვასთვის, მაგრამ  
თორლვა ხელ-და-ხელ სცემია და ლეკისათვის დანა დაუკრავს. შემ-  
დეგ ხევსურს თორლვას აღარ მოუსურვებია თავისი ხმლის დაბრუ-  
ნება, რადგანაც წანართმევი იყო მტრის მიერ. ის კი არა, ნაბადიც  
გადაუხურავს გულადი მოწინააღმდეგის პატივისცემის ნიშანად“<sup>98</sup>.

ვაჟუსძის მოკვლის შესახებ არსებულ ლექსთა ვარიანტებში, მო-  
ლექსე ხოტბას ასხაშს თორლვას ვაჟკაცობას, იმასაც კი ეუბნება, რომ  
მზად არის ცოლად გაცყვეს სახელოვან ვაჟკაცს, კვეთილიანი რომ არ  
იყოს; მის მიმართ უხვად არის ნახმარი ეპითეტები: „ქარი მანძილა  
რქიანი“, „მანძილა რქა ჯანგიანი“, „ირემი თვირთვილიანი“ და ა. შ.,  
რაც მიუთითებს თორლვას ვაჟკაცობით, მისი სასახელო საქმეებით  
აღტაცებაზე, მის როგორც დადებითი გმირის შექებაზე.

იგი ამავე დროს მითიური პიროვნებაა, ნაწილიანი, რომელსაც  
ბეჭებზე მთვარისა და მზის ნიშანი აზის. ვეშაპის (ზოგი ვარიანტით

<sup>98</sup> ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931, გვ. 342,  
გვ. 43.

გველის) ნაჩუქარი ჯადოსნური ჯაჭვი აქვს, ომელსაც ტყველი გამოიყენება, — მოხვედრის აღგილის მთელი ჯაჭვი მიიჩვეტება და ტყვიასა თუ სხვა იარაღს უქუ აგდებს. ჯაჭვს ცურვის თვისებაც გააჩნია. იგი უსათუოდ უნდა დააბან, თორემ წყლისაკენ გაქანდება და შიგ ჩავა. თუ მაგარი პატრონი არ შეხვდა, ვერც ის დაუმაგრდება, წაიღებს და მისაც წყალში მიიტანს და ა. შ. მაგრამ ამ მითიურობის მიღმა, თორლვა რეალურად არსებული, დიდი ლონის, გამჭრიახი კონებისა და შემმართებელი ვაჟკაცობის მქონე პიროვნება ჩანს, რომელიც ერთი მხრივ თუ ხალხისათვის სასარგებლო საქმეებს ჩადის, მეორე მხრივ, ექსპლოატატორად და მჩაგვრელად გვივლინება. თ. რაზიკაშვილი თორლვას შესახებ ჩაწერილი ლექსის განმარტებისას აღნიშნავს: ვაჟუსძე „თუში ყოფილა. ხევსურეთში უთარეშნია, უწიოკებია და უცარცვია ხალხი. ეს ღალატით მოკლა თორლვამ. მაგრამ თორლვამ უარესი დღე დააყენა ხალხსა. სანამ ჩონთას ისართა გული არ გაუგმირა ამ სისხლისმსმელსა“, — ხოლო შემდეგ ვარიანტში, სადაც ვაჟუსძის ნაცვლად ზაზულია იხსენიება, თ. რაზიკაშვილი წერს: „ეს ზაზულიაც და თორლვაც ორივე საზიზღარი მტარვალები ყოფილან. თორლვამ ღალატით მოკლა ზაზულია და ახლა თვითონ დაიჭირა მისი ხელობა, სანამ ფშავლის ჩონთას ისარმა გული არ გაუგმირა“<sup>99</sup>.

თორლვას მოკვლის შესახებ დარჩენილი ლექსებისა და თქმულება-გადმოცემების ნაწილი, მას შართლაც აღზევებულ, გაძლიერებულ პირად წარმოგვიდგენს; იგი ბეგარას აღებს მოძმე მთიელებსკ, ჩაგრავს მეთემეებს. საინტერესოა თვით ბეგრის ფორმა: კომლზე თითო შიშაქი ცხვარი, თითო ნაცრიანი ტომარა და კიდევ საკარგუმოდ, თემ-თემად უნდა შეეკრიბათ თითო არწივის მხარი (ზოგი ვარიანტით ბორასი).

თორლვა თანდათან უძლეველი ხდება, მას იცავს თავისი ჯადოსნური ჯაჭვი და ის, რომ იგი ნაწილიანია. იმდენად თავხედდება, რომ მთის ადათსაც კი არაფრად აგდებს და ძმობილის ცოლთან ლამის გატარებას განიზრახავს. თორლვას შესახებ ჩვენ ჩავწერეთ გამოქვეყნებული მასალებისაგან განსხვავებული ცნობები. ეს მასალა ძირითადად თორლვას სიკვდილის ამბავს ეხება. როგორც ლიტერატურიდან ვიცით, თორლვა ნალირობის დროს ყინულის ნაპრალში ჩავარდება,

<sup>99</sup> თ. რაზიკაშვილი, დასახ. კრებული, გვ. 24.



სადაც მას გველეშეპი (ზოგი ვარიანტით გველი) დახვდება, რომელიც საც შეეცოდება იგი, დაუძმობილდება და ხსენებულ ჭაჭვს აჩუქებს, რის შედეგადაც თორლვა მტრისაგან უძლეველი ხდება. ერთხელ, ბანაობისას ეს მცურავი ჭაჭვი გაუსხლტება და წყალში ჩავა. ამას-თან ერთად, ბანაობის ღროსვე მისი მზისა და მოვარის ნიშნებს შენიშნავს მტრი, რაც მისი დამარცხების მიზეზი ხდება.

ჩვენს მიერ ჩაწერილი ოქმულების თანახმად, რომელიც ძირი-თადად მექობაურისა და მისთვის გველის მიერ ჭაჭვის ჩუქების ამ-ბავს შეეხება, თორლვა ხსენებული ჭაჭვის მფლობელი გახდა, ვინაი-დან მექობაურის შთამომავალი სუსტი იყო და მცურავი ჭაჭვის ძალას ვერ უმაგრდებოდა. ჭაჭვმა უძლეველი გახადა ისედაც ძლიე-რი ვაჟკაცი. ერთხელ, ბეგრის აღების მიზნით, იგი ფშავისაკენ გაემ-გზავრა. ალაზნის თავთან დაძინება მოინდომა. გაიხადა ჭაჭვი და მარგილით დააბა. მის თანმხელებ პირთა შორის იყო კაცი, რომელსაც თორლვას ჭავრი სჭირდა. იგი „ჩურად აღგა და ჭაჭვი აუშვა. ჭაჭვი გა-ცურდა და ჩეერია წყალში. გველვით თორლვას, იწუხა ჭაჭვის და-კარგვაზე, მაგრამ რაღას იზამდა! ჩაიცვა ჩვენებური ჭაჭვი. წავიდნენ ყვარაში. დაღგა იქ კარავი. ბეგარი უნდა აუტანონ. იმას ყვარაში ძმობილი ჰყავ — ჩოთა. რამთვენჯერაც ჩამოვა, ის ძმობილი ცხვარს დაუკლავს .თორლვამ არც ის ძმობილი დაინდო და შეუთვალა: ამა-ლამ ძმობილმა ცოლი გამომიგზავნოს აქაო. მე წავალო, უთხრა იმან, ვინც ბექთარი მოჰვარა. გავიდა და უთხრა თორლვას ძმობილს: ასეა საქმე და შენ ნულარ გეშინიან, სხვა ჭაჭვი აცეიაო. დაბრუნდა უკან და თორლვას ამბავი მოუტანა: დედაკაცს გამოუგზავნი, ოღონდ გა-მოვიდეს და გზაში შეეგებოს, პატივი სცეს, ასე შემოვითვალაო. მო-ლოდინი აქვ თორლვას, გამონაპირდა ამხანაგებს და ელის. გამოუწ-ვადა (ძმობილმა) იქიდან ისარი და მეორე მხრისაკ გაილო შხუილო ისარმა. ჩაითუთქა თორლვა.

— აგემაი დედაკაც გამოვიგზავნეო!“

ამის შემდეგ მთხობელი გვიამბობს ხსენებული გადმოცემის გალეჭსილ ვარიანტსაც, რომელიც ასევე რამდენადმე განსხვავდება სხვა ნაბეჭდი ვარიანტებისაგან.

თორლვას სიკვდილს მთიელები, როგორც ჩანს, აღტაცებით შე-ხვდნენ. ამაზე თუნდაც მის სიკვდილთან დაკავშირებული შემდეგი ლეჭსის ტაქპი მიუთითებს:

„დედა გაცხონე მჭედლისი, ზრო ლამაზ გაექლიბაო,  
 მეტრე მაგისი მსრულისი, ლამაზა მეტინაო,  
 ჯაჭვი და სკლატი შვილრიგად შიგი-შიგ დაექვრიტაო,  
 სააზნაურო თორლეაი ცვილივით დაეჭვრითაო!“

ზემოჩამოთვლილ პირთა მსგავსია ხევში შიოლა ღუდუშაურიც, რომელიც თავისი საქმიანობითა და ინტერესებით მათგან სხვაობას არ ამჟღავნებს. ისიც მცდელი და შემმართებელი ვაჟკაცი ყოფილა. რომლისთვისაც ერისთავებს სკამიც კი უჩუქებიათ. შიოლა აღზევებულა, გადიდებულა, დაუბეგრავს მთა. მას ბეგარი უზიდია გუდა-ზაყრიდან მთიულეთიდან, ოსეთიდან.

ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი პირები, შიოლაც ხალხის რისხვის მსხვერპლი გამხდარა. კალმის-წვერას (ა. კობაიძის) ცნობის მიხედვით, მოხევეებმა გადაწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ მოძალადე და მოისყიდეს ხევსური მთრეხელი, რომელსაც შიოლა მოუკლავს.

„აქამდე სჭამე აჩხვატი, ახლა მე გაჭმევ ქვიშასაო“ — ნათქვა-შია შიოლა ღუდუშაურის მოკვლისადმი მიძღვნილ ლექსში<sup>100</sup>.

ნაშრომის დასაწყისში შევეხეთ გადმოცემას არხოტელ თათხელიონთა შესახებ, რომელიც ასევე გვერდში უდგას ზემოგანხილულ თქმულებებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა „ანდრეზებში“ მრავალ-რიცხვანი ცნობებია დაცული რომელიმე პირისა, თუ ხალხმრავალი გვარის გაძლიერების შესახებ, რომელნიც უპირისპირდებიან ხალხსაცა და ხატსაც. საყურადღებოა, რომ ასეთი პირები სასტიკად ისჯებიან ღვთაებათა მიერ. ალ. ოჩიაურის მასალებში ხევსურეთში ადრე არსებული და აწ ამოწყვეტილი გვარებისა თუ ოჯახების შესახებ, დაინტერესებული პირი ბევრ სათანადო მასალას შეხვდება. ამოწყვეტილი ოჯახების უმრავლესობა სწორედ ღვთაების მიერ დასჭილად ითვლება, მათი გაძლიერება-აღზევებისა და რიგითი მოსახლეობის დაჩაგვრისა თუ აბუჩად აგდების გამო<sup>101</sup>.

გუდამაყარში ჩაწერილი გადმოცემა წიფორელ ცხრა ძმაზე, მო-

100 შიოლა ღუდუშაურის შესახებ იხ. ვ. ითონი შვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 39.

101 ალ. ოჩიაურის დასახელებული მასალა დაცულია საქ. სსრ მეცნ. აედე-მიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთ-ნოგრაფიის განყოფილებაში.



გვითხრობს მათი გამდიდრება-გაძლიერების შესახებ. ისინი „იური გუგუა  
ავებულები ყოფილან, რომ მთელ სოფელს თურმე არ უშეკებლენ  
გარეთ“, ართმევდნენ საქონელს; იმ სოფელში თუ ვინმე დაქორწინ-  
დებოდა, პატარძალი მალვით უნდა მოეყვანა, თორემ ძმები წართ-  
მევდნენ და ა. შ. ერთხელ, ერთ ახალგაზრდას ცოლი მოუყვანია.  
შესულა მასთან ერთ-ერთი ძმათაგანი და პატარძალი თვითონ მოუნ-  
დომებია. მეორე დღეს, როცა ხალხს გაუბედურებული ქალი უნახავს,  
გადაუწყვეტიათ ხევისძერის მეთაურობით შეველა ეთხოვთ ხატისა-  
თვის. წიფორის წმინდა გიორგის შეუწყნარებია მუდარა და თავგა-  
სული ძმებისათვის ჯერ წინასწარ უნიშნებია, რომ ისინი დაუსჯელად  
ვერ გადარჩებოდნენ (პაპანაქება სიცხეში გაუყინია საწყლეში —  
წყალი, სადღვებელში — რძე, აკვნის ძირი), ხოლო შემდეგ ყველანი  
დაუხოცია.

ამავე ჭრილში შეიძლება განხილულ იქნეს ისეთი მასალა, რო-  
დესაც გაძლიერებული პირი თვითონ ღვთაებასაც კი უპირისპირდე-  
ბოდა. ეს გარემოება სხვასთან ერთად, იმაზედაც მიუთითებს რომ  
მთაში საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაცია ძალზე შორსაა  
წასული.

გუდამაყარში ჩაწერილი გადმოცემით, ვინმე მირიანული ძალ-  
ზე გამრავლებულა და გამდიდრებულა. იგი ხატის შევიწროე-  
ბასაც კი არ მორიდებია. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, მას „ხა-  
ტის თავზე ჰქონია სახლები. ძალიან გამრავლებული ყოფილა, ცხრა  
დედოფალი მოჰკოლებია. ლვინო აუკიდნია ცხენებისათვის და მააქვ-  
მოსულა ერთი უშნო ნიაღვარი და სუ გაუტანია არაგვზედა. მაინც  
თავისი არ დაუშლია. უფრო გაძლიერებულან, ხატს აგინებენ. ახლა  
ვირები უყოლებიათ (ზოგი ვარიანტით ღორები. თ. მ.). ღრიალებენ  
უდროო დროს ვირები, არიან ერთ ამბავში. აფრენილა იქიდან (ხა-  
ტი) და ნაკვეთს ეძახიან, იქ დაფრენილა. ახლა იქ გაურეკია ვირები-  
არც იქ დაუყენებია ის ხატი. მემრე აფრენილა დიდებათ წვერზე,  
ახლა იქ დაბანებულა. მამრე მანდაც რო არ დაუყენებია, ასულა  
ათნოხის თავზე. მაშინ შაუწყევლია: „გამამყევ მირიანეულო და გა-  
გიყვან ქალის ქალზედაო“. სუ მოფშვნეტილან, აღარავინ აღარ არი  
იმათი დარჩენილი. (ბაბალე გაბრიელის ასული ბექაური, 80 წ., 13-  
VII. 63 წ., ს. კიხოტი).

ამ გადმოცემას ცხრა ძმა წიფორელთა შესახებ არსებულ გად-  
მოცემასთან ერთად, ზემოგანხილულ მასალასთან აკავშირებს ცალ-



კეული პირებისა თუ ხალხმრავალი ოჯახის გაძლიერება-გამდებულებისა შედეგად მოსახლეობისაგან გამოყოფის, მისთვის დაპირისპირების ტენდენცია. ამასთან ერთად, მასში აშკარად ვლინდება ისეთი ელემენტები, რომლებიც მათ მითოლოგიურ გადმოცემათა წრეში აქცევს.

რომ შევაჭამოთ განხილული მასალა, შემდეგ სურათს მივიღებთ: საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, თემის წევრთა უმრავლესობას თავისი დამსახურების წყალობით გარეშე მტრებთან ბრძოლაში, ეყოფიან ცალკეული პირები, რომლებიც პირადი სარგებლობისათვის იყენებენ თავდაპირველად დამსახურებულ პატივსა და თანამოძმეთა განსაკუთრებულ დაფასებას.

ისინი ამით უპირისპირდებიან თანამეობებს და ცდილობენ მათთვის თავისი ინტერესების თავზე მოხვევას ჩაგრავენ მათ, ბეგრავენ მეზობელ მთიელებს. მდიდრდებიან, ძლიერდებიან და გარკვეული სახის ექსპლოატატორებად გვევლინებიან. ასეთ აღზევებას ბოლო ხანებში ხელს უწყობს გარეშე ფაქტორებიც. სახელდობრ, საქართველოს ბარში განმტკიცებული ფეოდალური წყობა ბიძგს აძლევს ამ მოვლენას.

აქ ჩამოთვლილი პირების შესახებ არსებული მასალებიდან საამისო ცნობები აშკარად ვლინდება. მაგალითად, თაგვა თალღაურს კახეთის ფეოდალმა/ლეკებთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის სოფ. არტანი უბოძა, შიომლა ლუდუშაური ერისთავებმა გააზნაურეს, თორლვა ბაგრატიონთა შთამომავლადაც კი ითვლება, რომელსაც ბარადაც იბარებენ:

„თორლვა, გიბარებს ბატონი კახეთის ჩამოდი ბარადა,  
ცხენსა მოცემდი ისეთსა, შინ მიგიყვანდა ჩქარარა,  
ქმალსა მოცემდ ისეთსა, ვერვინ ჩამოცურის ძალადა,  
რანთ გამოგიცვლი ხალათსა წევსურთ ბიჭების გაბრადა!“ და სხვ.

ხსნებული ხასიათის გმირები გაძლიერებულ ხალხმრავალ გვართან ერთად, რომელიც ასევე მჩაგვრელად გამოდის მცირე, უკაცური გვარების მიმართ, გვევლინებიან გარკვეული გაძლიერებული სოციალური ფენის წარმომადგენლებად, რომლებიც ერთგვარად ემიჯნებიან რიგით მეთემეთა წრეს. ისინი თავიანთ ფიზიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას ჩაგვრისა და ექსპლოატაციის იარაღად

იყენებენ. იმ გარემოებას, რომ ამგვარ პირთა შესახებ გვხვდება შემოსილი გადმოცემანი, თავისი მიზეზები აქვს. თუ ხალხი თოროვას, თავგა თაღლაურს, მექობაურს და სხვებს, სასწაულმოქმედი ჯაჭვის მფლობელად, ან ნაწილიანად სახავს, ეს აღბათ იმიტომაც, რომ ამით ხსნის იმ წარმატებას, რომელიც ხსენებულ პირთ სიცოცხლეში ჰქონდათ. ამითვეა განსაზღვრული მათი განმასხვავებელი ნიშანი რიგითი მოსახლეობისაგან. თავდაპირველად რეალურ საფუძველზე შექმნილი გადმოცემებისათვის მითიური ხასიათის ელემენტების დართვა, მიუთითებს ამ გადმოცემათა შედარებით შორეულ წარსულში წარმოქმნაზე და იმ პროცესზე, თუ როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს მითოლოგიური გადმოცემა არა ხატის ხელვაცთაზე, არამედ რიგითი მოსახლეობისაგან რაიმე ნიშნით განსხვავებულ პიროვნებაზედაც.

### დ ა ს პ ნ ა

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაცული გადმოცემების შესწავლის შედეგად გამოვლინდა ამ გადმოცემათა სიცოცხლისუნარიანობა, მათი დიდი როლი ხალხის ყოფის ცალკეული მხარეების მოწესრიგებაში აღგილობრივი ტრადიციების დაცვა-განმტკიცებაში. ამასთან ერთად, კონკრეტული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ გადმოცემა იქმნება ცხოვრებაში რეალურად მომხდარ ამბავშე და თავდაპირველად იგი ანდრეზის ბუნებისაა. ვინაიდან ეს გარემოება ტრადიციულად მომდინარე ჩანს, არ შეიძლება არ გავრცელდეს მითოლოგიურ გადმოცემებზედაც. მართლაც, რიგ მთვანზე დაკვირვება შესაძლებელს ხდის თვალი გავადევნოთ ამ თქმულებების შექმნის პროცესს. ირკვევა, რომ თავდაპირველად მათ საფუძვლად დასდებია ისეთი ხატის ხელვაც-მკაფრეთა ცხოვრება, რომელიც სიცოცხლეშივე გამოიჩინენ ღვთის მსახურებით, ჯვარისაღმი ერთგულებით, გმჭრიახობით, ვაჟაცობით, ბედითა და ღოვლათით, მორწმუნეთა შეხედულებით, რაიმე ზებუნებრივი თვისებებით. ასეთი პირები შემდეგში შთამომავალთა მიერ თაყვანისცემის ობიექტიდ იქცევიან, როგორც ღვთაებრივი ნიშნის მქონე წინაპრები, ხოლ მათი ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი ამბები თანდათან კარგავს რეალურ ხასიათს და ზებუნებრივი ელფერით იმოსება.

ამ რიგის მოვლენებისაგან განსხვავებით, გვაქვს სრულიად საწინააღმდეგო მიზეზი, რომელიც ასევე ხელს უწყობს ამა თუ იმ პი-

რის კულტის ობიექტად ქცევას და შესაბამისად მის შესახებ საჭარბეჭდი დო გადმოცემის შექმნას. ეს მიზეზი ამ პირის საზიანო მოქმედებაში, მის მიერ ხალხისათვის უბედურებისა და ავი საქმის მიყენების უნარში გამოიხატება. შეშის გრძნობა აიძულებს მორწმუნებს გარდაცვალების შემდეგ კეთილად განაწყონ მისი სული, ასიამოვნონ, გული მოულბონ და ამით თავიდან აიცილონ მოსალოდნელი ზიანი. თუ პირველ შემთხვევაში კეთილ ღვთაებათა საწყისთან გვაქვს საქმე, მეორეში — ბოროტი ღვთაების წინაპარია ჩვენ წინაშე.

რაკი კონკრეტული მასალა გვაძლევს საშუალებას წარმოდგენა ვიქონიოთ თქმულებათა შექმნის საფუძველზე, შეგვიძლია ამავე საზომით მივუდგეთ უძველეს თქმულება-გადმოცემებს ჯვარ-ხატების შესახებ, მეტი გამბედაობით ვიმსჯელოთ გადმოცემათა მიღმა მიმაღლულ ისტორიულ ამბებსა თუ ყოფის ცალკეულ მხარეებზე.

ამ თვალსაზრისით პირველ რიგში ყურადღებას იქცევს გადმოცემა ფშავ-ხევსურეთის ღვთიშვილების მიერ თვითანთი კუთვნილი ტერიტორიიდან დევ-კერპების განდევნის შესახებ. თქმულების ცალკეული ვარიანტების შესწავლის შედეგად მიახლოვებით ხერხდება მოვხაზოთ ის ტერიტორია, რომელიც დევებს უნდა სჭეროდათ. ასეთად ისახება ივრის ხეობის სათავეები (ბაჩალი, ხაშარი, ქუშხევი, კორსავი, ბელელთანა, იხინჭა), ფშავის არაგვის ხეობის ზედა ნაწილი (მიგრიაულთა, კართანა, შუაფხო, უკანაფშავი, ახალი), პირაქეთ ხევსურეთში ლიქოისა, უკენახოსა და რომელი ხეობები, გუდამაყარში— საკერპოს მიღამოები. საყურადღებოა, რომ დევ-კერპთა ცხოვრების შესახებ გადმოცემები არ გვხვდება კავკასიონის ქედს ჯაღალმა მდებარე პირიქით ხევსურეთში (არხოტისა და შატილ-მიღმახევის ხეობები), რაც ადასტურებს ხალხში შემონახულ ცნობებს სხენებულ მხარეში თავდაპირველად არაქართველი მოსახლეობის არსებობის შესახებ.

თქმულების განხილვამ გამოავლინა დევთა სამეურნეო, მატერიალური კულტურის, ხელოსნობის და სოციალური ყოფის ცალკეული მხარეები. აქედან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მჭედლობის საკითხი. გადმოცემთა მიხედვით დევები სამჭედლო ხელოვნების შესანიშნავ ოსტატებად გვევლინებიან, რომელთა ნაწარმზე ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთის მცხოვრებლებია და მოკიდებული. დევთა მოსაზღვრე თუ მეზობელ სოფლებში მცხოვრები ქართველი მთიელები მჭედლობას არ მისდევენ. ან იმდენად



ნაკლებად, რომ იგი მოსახლეობის მოთხოვნილებას უერ აქმაყრობა  
ლებს. ამ დანაკლისს ისინი იცხებენ ან დევთა სათანადო ნაწარმით,  
ან მოსაზღვრე ბარის საქართველოში მიეშურებიან, სადაც მჭედლო-  
ბის შესანიშნავი ხელოვნება იმდენად მაღალ დონეზე დგას, რომ  
დევნი ცდილობენ ქართველ მჭედლთა ხელში ჩაგდებას და თავის  
სასარგებლოდ მათი ხელოვნების გამოყენებას.

თქმულებაში დაცული ეს მოტივი ეთნოგრაფიული ყოფის ცალ-  
კეულ მხარეებში დღევანდლამდე პოვებს დადასტურებას; აღმოსავ-  
ლეთ საქართველოს მთიელები გვიანობამდე სარგებლობდნენ რო-  
გორც მომიჯნავე ჩრდ. კავკასიელ ტომთა სათანადო ნახელავით, ისე  
საქართველოს ბარში დამზადებული საბრძოლო იარაღ-საჭურველითა  
თუ სამეურნეო დანიშნულების იარაღებით. დევ-კერპთა მჭედლობის  
შესახებ დარჩენილი ცნობები სინამდვილის ანარეული უნდა  
იყოს და მიუთითებდეს ქართველ მთიელთა მომიჯნავე, ამ დროე-  
ბით მათ მიწა-წყალზე მოსულ, განვითარებული მეტალურგიის  
შემნე რეალურ ხალხზე.

სამეურნეო ყოფის ამსახველი მასალა ისეთ ფორმებს ავლენს,  
რომელიც საერთოდ კავკასიის მთიანეთისათვის არის დამახასიათე-  
ბელი (მონადირეობა, მეცხვარეობა, მიწამოქმედება). ასევე შეესა-  
ტყვისება კავკასიის მთიელთა ადათ-წესებს დევთა სოციალური ყო-  
ფის ამსახველი მასალაც ოჯახის ფორმისა, სისხლ-მესისხლეობისა,  
ძმობილობისა, სტუმარ-მასპინძლობისა და სხვა. გვიანობამდე დაცუ-  
ლი რწმენა ზოგიერთი მამიშვილობის დევებთან სისხლ-მესისხლეო-  
ბის შესახებ, ერთი მხრივ ძველთაგან მომდინარე ტრადიციის გამო-  
ძახილი ჩანს, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებელია მასში ასახული  
იყოს ქართველ მთიელთა წინაპრების მიერ დევთა განაღვეურება-  
განდევნის შემდეგ მთაში შექმნილი ვითარება (დამარცხებული მხა-  
რის წარმომადგენელთა მიერ გამარჯვებულებზე ფარული თავდასხ-  
მები, ურთიერთ შებრძოლების ცალკეული შემთხვევები და ა. შ.),  
რასაც სათანადო რელიგიური რწმენის არსებობის პირობებში თან-  
დათან ზებუნებრივი იერი უნდა მიეღო.

თქმულებებში დაცული დევებისა და ღვთიშვილების ბრძოლის  
ამსახველი მასალა ავლენს ამ ბრძოლათა ხანგრძლივ ხასიათს.) თავ-  
დაპირველად ქართველი მთიელები ვერ უმკლავდებიან მოძლადე  
მეზობლებს, რომლებიც მათ აშკარად ჩავრაცენ. ბრძოლის დაწყების  
პირველ ხანებშიც დევები საკმაოდ ძლიერ და საშიშ მოწინააღმდე-

გეს წარმოადგენენ, რომლებთანაც სხვადასხვა ხერხისა და ეშმაჭაბრშები გამოჟენება ჭირდებათ გამარჯვების მოსაპოვებლად, შემდეგ კი მოძღვრებული ღვთიშვილები ანადგურებენ და დევნიან მათ. ბრძოლის სხვადასხვა მომენტებზე დაკვირვება ამჟღავნებს იმ ღროისათვის საქმაოდ განვითარებულ სამხედრო ხელოვნებას, ბრძოლის ტაქტიკას, საბრძოლო იარაღების სახეობებს.

რომ თქმულებაში ასახული დევ-კერპებთან ბრძოლა მართლაც რეალური ამბების გამოძახილია, ამაზე მიუთითებს ბრძოლის პუნქტებისა და მარშრუტების დასახელება, რომელთა სახელწოდებები დღევანდლამდე შემოუნახავს ტოპონიმიკას. ამასთან ერთად, ამავე გარემოებაზე უნდა მეტყველებდეს ფშავ-ხევსურთა ჩელიგიურ ყოფაში წესად დამკვიდრებული დევთა დათრგუნვის მისტერია, რომელიც იახსრის ყმათა მიერ სრულდებოდა. არ შეიძლება ამაზევე არ მიუთითებდეს შიგ „დევთა ნასოფლარებში“ მოთავსებული იახსრისა და კობილის სამლოცველოები, როგორც ნიშანი ძველი მოსახლეობის აყრა-განდევნისა იახსარ-კოპალას საყმოების მიერ. ჯვარ-ხატების სახელით სხვათა დალაშქვრისა თუ მათი ტერიტორიის ხელში ჩაგდების მიზნით ამ აღვილის მკვიდრთა აყრა-ამოწყვეტის მრავალი ფაქტი დასტურდება მთიელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში. აქედან გამომდინარე, დევ-კერპებად წოდებული ხალხის განადგურება და მათი სოფლებისა თუ აღვილ-მამულის დაპატრონება, სავსებით კანონზომიერი მოვლენა ჩანს. მითუმეტეს რომ შესაძლებელია ისინი თვითონ იყვნენ შემოქრილნი ქართველთა მიწა-წყალზე.

დევთა შესახებ არსებული თქმულება-გადმოცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი სახით საქმე გვაქვს არა ჯადოსნური ზღაპრების პერსონაჟ დევებთან, არამედ გარკვეული ეთნიკური ფენის წარმომადგენელ მოსახლეობასთან. გადმოცემებში განსაზღვრულია მათი ნამოსახლარი ტერიტორია, საქმიანობასა თუ სხვა ამბებთან დაკავშირებული გეოგრაფიული პუნქტები, ტოპონიმიკური სახელწოდებები, მაშინ როცა, ზღაპრის პერსონაჟი დევები ასეთ ჩარჩოებში ვერ თავსდებიან, წარმოდგენები მათზე ძალზე ზოგადი ბუნებისაა.

Γιმის გასარკვევად თუ რა ეთნიკური ფენის წარმომადგენლებად უნდა მივიჩნიოთ დევ-კერპთა სახელით ცნობილი მოსახლეობა, მნიშვნელოვანია იახსარ-კოპალას ყმათა სადაურობის გათვალისწინება. ამ თვალსაზრისით განხილულია ანატორელთა შესახებ დარჩენილი გადმოცემა. ორკვევა, რომ ანატორელნი შატილის ძველი მკვიდრ-



ნი ყოფილან. ხატის ყმობის ინსტიტუტისა, ტოპონიმიკური მუზეუმისა და სხვა მასალის მიხედვით, ისინი ძირითადად ქისტები ჩანა. ანატორელი სისაურნი და იახსარ-კოპალას ყმა ლიქოელ-ქისტურნი საერთო ხატებს ყმობდნენ და ძირად ერთი ჩამომავლობისანი იყვნენ. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ბაცბურ-ქისტური ფენის მოსახლეობასთან. მიუხედავად ანატორელთა ამოწყვეტილა და იახსარ-კოპალას, მიერ დევ-კერპთა განდევნის დროში განსხვავებისა (ანატორელთა ამოწყვეტა შედარებით გვიან მომხდარი ამბავი ჩანს დევ-კერპთა განდევნასთან შედარებით), ორივე შემთხვევაში ერთი ეთნიკური ფენის წარმომადგენლებთან გვაქვს საქმე. ისტორიულად დადასტურებული, მოსაზღვრე ჩრდ. კავკასიელ ბაცბურ-ქისტური და დაღესტნური ჯგუფის ტომების აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ბინადრობის ფაქტი, გადმოცემების მიხედვითაც პოულობს მხარდაჭერას. დევ-კერპების სახელს ამოფარებული ჩანს სწორედ ის ჩრდილო კავკასიური მოსახლეობა, რომელიც გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში ბინადრობდა ჩვენს მთაში ქართველ მთიელებთან ერთად. სახელწოდება დევი, ამ შემთხვევაში. უშუალოდ რომელიმე ხალხის ეთნიკური სახელი კი არ არის, როგორც ამას ზოგი ფიქრობს, არამედ ჯადოსნურ-ზოაპრული სამყაროდან აღებული ტერმინია მტრულად განშეულილი მოწინააღმდეგის შესარემულებად.

საყურადღებოა, რომ დევ-კერპებთან ბრძოლაში მონაწილეობენ არა ყველა, არამედ ფშაველ-ხევსურთათვის საერთო სალოცავები (იახსარი, კოპალა, პირქუში). ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს იმ დროის ამბავზე, როდესაც ფშავ-ხევსურთი განუყოფელ ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენდა და ფხოვის სახელით იყო ცნობილი. ამ დროისათვის უნდა ვითარავდოთ საერთო ფხოური ხატების არსებობა, რომელთაც ფხოელი თანაბრად ემსახურებოდნენ. ამავე ვითარების დამადასტურებლად მივვაჩნია დევებთან ბრძოლის პუნქტების დღევანდელი ფშავისა და ხევსურეთის ტერიტორიაზე გაბნეულობაც.

განხილული გადმოცემების პოეტური ვარიანტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ღროთა განმავლობაში მათ დაუკარგავთ თავიათი სრულყოფილი სახე და ჩვენამდე მოღწეული ლექსები ფრაგმენტული ხასიათის ნაწყვეტებისაგანაა შედგენილი. ამ გარემოებას სხვასთან ერთად აპირობებდა სახატო დღესასწაულების ღროს ფერხისაში სამღერი ლექსების შერწყმა. ამასთან ერთად, პოეტურ ვარიან-

ტებს შემონახული აქვთ სხვა, უფრო არსებითი მნიშვნელობის მონაცემებიც. აქედან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ლექსიკოგრაഫიული ტის ჯვარის კოპალასა და მისი მკაფრის — მინანის თუშეთში ბეგრის ასაღებად სიარულის შესახებ, რომელიც ზღაპრული ელფერითაა შემოსილი. ლექსში დაცული კოპალას მოგზაურობის მარშრუტი ემთხვევა სინამდვილეში ხევსური ჯვარიონის კარატიონთა და ხახმატონთა თუშეთში მსვლელობის მარშრუტს, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა ათენგენობის დღესასწაულის დროს. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ლექსში ასახული კოპალას მოგზაურობა თუშეთში, რეალური სინამდვილის ანარეკლია. აქედან გამომდინარე, ერთხელ კიდევ დასტურდება გადმოცემის მნიშვნელობა ცხოვრებაში მომხდარი თუ მომდინარე პროცესების შესასწავლად.

კოპალას მოგზაურობასთან დაკავშირებული პოეტური ვარიანტების განხილვამ გამოავლინა ხევსური ჯვარიონის თუშეთში მოგზაურობისა და მათი ხატების აქ არსებობის ძირითადი მიზეზთავანი. ამ მიზეზად ისახება ხევსურთა ერთდროული და მასობრივი გადასახლება თუშეთის ტერიტორიაზე, რომელიც ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა, თავისი თეოქტიციული ხელისუფლების თაოსნობით კავშირს არ წყვეტს და მათზე თავის უფლებებს არ კარგავს.

თუ ხევსურ ჯვარიონთა თუშეთში მოგზაურობა დამპყრობლების მერქ მხოლოდ ბეგრის ასაღებად სიარულს კი არ ნიშნავს, არამედ იგი თავის განაყარ მოსახლეობასთან და მოძმე ხატებთან კონტაქტს უდრის, მაშინ ლეგენდებში დაცული თუშეთისათვის ბეგრის დასადებად კოპალას მოგზაურობა სხვა ახსნას მოითხოვს. მართლაც, არსებული მასალების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მასში დავინახოთ მოსაზღვრე დაღესტნური ტომების, კერძოდ დიდოთა წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობანი. \*

ჩვენ მიერ შესწავლილი მეორე თქმულება ეხება ქაჯავეთის დალაშქვრას ფშავ-ხევსურეთის ღვთისშვილთაგან, სადაც ლაშქრობის ხორციელ მონაწილედ მკადრე გახუა მეგრელაურია დასახელებული. ირკვევა, რომ ეს გადმოცემაც რეალურ საფუძველზეა აღმოცენებული. მასში ასახულია ქართველ მთიელთა წინაპრების მიერ ჩრდილოეთიდან მოსაზღვრე ბაცბურ-ქისტური და დაღესტნური ტომების წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობები ნადავლის მოტაცების მიზნით. სახელწოდება ქაჯავეთი, და ქაჯი ამ შემთხვევაშიც რომელიმე კონკრეტული ხალხის ეთნიკური სახელი არ უნდა იყოს; იგი



აღებული ჩანს ზღაპრულ-რელიგიური სამყაროდან და ეთნიკური განსხვავებული მოწინააღმდეგისათვისაა შერქმეული. მითუმეტეს. რომ ეს უკანასკნელი მისგან განსხვავდება ზეჩეულებითაც და რწმენის ელემენტითაც. ის რაც მათი წესისა და სარწმუნოებისაგან განსხვავებულია, ქაჯურია, მისი მფლობელი ხალხი კი — ქაჯი.

განხილულ გადმოცემას შემოუნახავს ქართველ და მოსაზღვრე კავკასიელ მთიელთა ურთიერთობის ამსახველი მრავალი საყურადღებო ფაქტი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხევსურთა მთავარი სალოცავის — გუდანის ჭვარის შესახებ არსებულ გადმოცემაზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ მასში ჩვენი მთიანეთის ტერიტორიაზე კავკასის ეთნიკური ფენის არსებობის მომენტი და მასთან ქართველ მთიელთა ურთიერთობის ამბებია ასახული. წინამდებარე შრომაში განხილული როგორც დასახელებული ოქმულებების ვარიანტები, ისე სხვა ხსიათის მასალა ამ დებულებას მხარს უჭერს. ოქმულების მეორე ნაწილში მოცემული ღვთაების მოწინააღმდეგის კერაში იფნის ხის ამოსვლის მოტივი, მთიელთა წინაპრების ხის თაყვანისცემის საფუძველზე პოულობს ახსნას. ამ მოტივის ფართოდ გავრცელება სხვა ჭვარ-ხატებთან დაკავშირებით, სწორედ ხსენებული გარემოების დამადასტურებელია. რაც შეეხება იფნის ხისათვის გველის ამოკოლის მომენტს, იგი უნდა აიხსნას მთიელთა რელიგიური რწმენის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც გველი ღვთაების დამსჯელ ძალას წარმოადგენს, რომელსაც იგი მტერთან ან შემცოდესთან ბრძოლის დროს იყენებს.

ზემოგანხილული გადმოცემები უშუალოდ ღვთაებათა და მათი საყმოების მოწინააღმდეგებთან ურთიერთობას ეხება, რომელთაც უკვე ჩამოყალიბებული მითოლოგიური ოქმულებების სახე აქვთ მიღებული. მათგან განსხვავდებით, გვაქვს ისეთი გადმოცემები, რომლებშიც საზოგადოებრივი ურთიერთობაა ასახული და მეღავნდება ზებუნებრივი ელფერით შემოსვის ტენდენცია. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემა სულასა და კურდლელს შეეხება. მისი ანალიზი ნათელყოფს, რომ სულა-კურდლელა ღვთაებები კი არ არიან, როგორც ეს ლიტერატურაშია მითითებული, არამედ თანამოძმებზე აღზევებული, გაძლიერებული მჩაგვრელები. ამ ხასიათის თქმულებების განხილვა ნათელყოფს, რომ მასში მოცემულია მთიელთა სოციალურ ყოფაში მიმდინარე პროცესი. კერძოდ, რიგით მეორემეთა



ქოლექტივს. საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფრთხოების გარეშე მტერთან ბრძოლაში თავისი დამსახურების წყალობით, ე. წ. კი ყმობით, პირადი ინიციატივით ეყოფიან ცალკეული პირები, რომლებიც საკუთარი სარგებლობისა და აღზევებისათვის იყენებენ თავდაპირველად დამსახურებულ პატივსა და თანამოძრეთა განსაკუთრებულ დაფასებას. ისინი უპირსპირდებიან რიგით მოსახლეობას და ცდილობენ თავისი ინტერესების მათვის თავშე მოხვევას. ჩაგრავენ თანამეომეებს, ბეგრავენ მეზობელ მთიელებს, მდიდრდებიან და გარკვეული სახის ექსპლატატორებად გვევლინებიან. მათ აღზევებას ბოლო ხანებში ხელს უწყობს საქართველოს ბარში განმტკიცებული ფეოდალური წყობილებაც.

ხსენებული ხასიათის გმირები გაძლიერებულ, ხალხმრავალ გვართან ერთად, რომლებიც ასევე მჩაგვრელებად გვევლინებიან უკაცური გვარების მიმართ, ემიჯნებიან რიგით მეთემეთა წრეს და გარკვეული ფიზიკური და ეკონომიკური ძლიერების მქონე საზოგადოებრივ ფენას ქმნიან. ამ ძლიერებას კი ძალმომრეობის იარაღად იყენებენ.

როდესაც ხალხი ამგვარ პიროვნებათა შესახებ არსებულ ანდრეზებს თანდათან ზებუნებრივი ელემენტებით ავსებს (სასწაულ-მოქმედი ჯაჭვის ქონა, „ნაწილიანობა“ და ა. შ.). ამით ერთდაგვარალ ხსნის იმ წარმატებულობას, რომელიც მათ სიცოცხლეში ჰქონდათ, ამითვეა განსაზღვრული მათი განმანსხვავებელი ნიშანი რიგითი მოსახლეობისაგან.

მსგავსი გადმოცემები ცხადყოფს, რომ მითოლოგიური ბუნების ოქმულება შეიძლება შეიქმნას არა მხოლოდ ხატის ხელკაცებზე, არამედ მოსახლეობისაგან რაიმე განსაკუთრებული ნიშნით განსხვავებულ პიროვნებაზეც.

# ტ ა ქ ს ტ ე ბ ი

## ი ა ქ ს ა რ ი

„ხთის კარზე შავიყარენით ანგელოზები თავნია.  
 გარმოდგეს სასწორ-ჩარეჭი, კვირავ, დაუგი თვალია!  
 ეზიდებიან იმასა, ვინაც რო ძალიანია.

ქვე-ქვე ბოლოსკე მე გზივარ, ყველას ჩემზე აქვ თვალია.  
 ერთმანეულს ეუბნებიან: „აიღებს იაქსარია“.

ავწიე საწორ-ჩარეჭა, — ღმერთო, შენგანა ძალია.  
 ხუთი მოესთხოვე კვარასა, გარმამიშეტა სამია.  
 სამოც ლიტრისა რეინასა ძირს გაუყარენ ქარნია.  
 დევებს ხეონია ქორწილი, უჩქვეფავ სიმურ წყალია.  
 ცხრა-თავ ხყვანია დედაი, ცხრა შვილთ გამზდელი ქალია.  
 სალუდე ქვაბი თავს ეცვა, აიმან შამდგა ზარია.  
 დავბრუნდი უკან, ამბობდეს: „შაშინდა იაქსარია“.

მაშინ კი გადაუფრინდი, გამაუცვალე უამია.  
 ლახტი ეესრიე საკვმიდან, ზე გამავხურე ბანია.  
 ერთ კიდევ გამამიდარდა, არ მიუბრუნე თავია.  
 საგმირო წამავიმალლე კლდეს მააფარა ტანია.  
 კლდე ოთხად დავანაფორე, დეჭს წამავსთხარე თვალია.  
 კაზად სცოდნიან მავასა აბუდელაურ ტბანია.

წავიდად იქ ჩამეხევრა, თან ჩაგეყევ იაქსარია.  
 იქიდან ევრაზ ამავე, სისხლმა გამიბნა მჯარია.  
 ჟექნენს ჩემთა მოყვეთა ოთხ-ჩქა, ოთხ-ყურა ცხვარია.  
 მაიყვანეს და შიგ დაკლეს, ღმერთო დამწერე ჭვარია!

შამავჭე ბროლის ქვაზედა, შამავიბერტუენ მჯარნია.  
 ჩავხენე ჩემ ნაჯდომშია ჭრელ-დ მამრჩალან ქვანია.  
 ამანდით კარატემდინა შიბ თოკზე გასავალია.  
 ეგ ეგრე გამავიარე, არვინ მამკილას თვალია.  
 ავსგორ ციხეს აგებენ ჩვენს ძირა ცხრანი ძმანია.  
 ცხრანივ ქვას ეზიდებიან, კარავს ვერ შესდვეს თავია.  
 მე კი მარტუმ ავიღე, შაუდევ კარის თავია.

ერთმანეულს ეუბნებიან: „ეს ჩვენზე ძალიანია“.

შაიყრებიან დევები, სადაც დიდ მოედანია,  
 გაარიგებენ იმასა: „ერთუცს უჭირათ მჯარია“.

ხთიშვილთ კოპალა მაუკლათ, თავში დაუცნათ ქვანია!“

შვიდის წლის ბალო მავიდა, ეგ შავ-გვრემალა არია,

ქელჩი უშეერავ მათრაქი შეიდ კეცად შეიდი შეარია.  
 მემრე შეიდის წლის გოგოი, ეგ თამარ დედუფალია.  
 ქიჩილა გადაიხურა, გადააყენნა ზღვანია.  
 შეა ზღვას ჩადგა სამანი, არ გარმავარდეს ცვარია.  
 ლაშარის გორჩე დაბძნდა ლალი ლაშარის ჯვარია.  
 პირდა-პირ ჩამაუჯდების ქალ თამარ დედუფალია.”

ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული  
 თბ., 1931 წ., გვ. 223—224.

### იაკსარი

ლვთის კარჩე შევიყარენით სამოცდასამი ხატია,  
 დაგვიდგეს სასწორ-ჩარექი, ოქროთ ნაჭედი ტახტია.  
 სამოცას ფუთსა რკინასა ვერვინ შაუგდო ძალია.  
 ქვემოთით დავჭე ტახტზედა, კვირის ჩემქე აქვ თვალია.  
 „მაგას იაქსარ აიღებს, არავის შერისა არია“.  
 ავსწიე, ისე ავიღე, ქვეშ გაუტარე ქარია.  
 მაჩუქა დამბადებელმა შვეილ-ლახტი საომარია.  
 შაიყრებიან დევები, სადაც დიდ მოედანია,  
 გაარიგებენ იმასა: „ერთ-ურთს უჭიროთ მჟარია.  
 ლვთიშვილთ მოუკლათ კობალა, თავში დაუცნეთ ქვანია“.  
 ჩამეეტია კობალა, ბატკნებურ გასკრა თავია.  
 საყაჭეს წმინდა გიორგი ყველაზე მეომარია.  
 თუ დევებს ჩამეეტია, ვაი მაგათი ბრალია!  
 ავის გორს სახლი ააგეს, შიგ დგანან ცხრანი ძმანია.  
 დედა ჰყოლიათ ცხრა-თავი, ცხრა ვაეის დედა ქალია.  
 დევებს ჰქონიყო ქორწილი, სიმურნ ეჩქვიონეს წყალნია.  
 თავს ედგათ სალუდე ქმბი, მეც იმით მომცეს ზავია.  
 ფალავნად გამამიყვანეს ლვთიშვილთა იაქსარია.  
 მიველირე და ვერ მივედ პირს დავიწერე ჯვარია.  
 იმას ამბობენ ლოვიშეილნი: „რას ჩადის იაქსარია?“  
 საქმისას ლახტი ვესროლე, თავს დავაქციე ბანია.  
 ერთი ღა გამომქცევიყო, გამოეარნეს კარნია.  
 კოჭლა გამექცა პირ-თავქვე, კლდეს მოაფარა თავია.  
 კლდე თოხდ გავანაფოტე, დევს გამასთხარე თვალია.  
 წყეულს კარგადა სცოდნიყო ბაზალეთის ტბის გზანია.  
 გამექცა, შიგ ჩამივარდა, თან ჩაყყე იაქსარია.  
 ამოსელით ვეღარ ამოვედ, — სისხლმა გამიბნა შეარნია.  
 ცხრა წელსა ძებნეს ჩემს ყმათა თხხ-ჩქა, თხხ-ყურა ცხვარია,  
 დაქლიან ტბისა პირზედა, ღმერთო დამწერე ჯვარია!

ଶାମନକୁ ଦର୍ଶନୀରେ ଜ୍ଵାଳେଇଲା, ଶେମନ୍ଦେଖିଲେଇଲା ମ୍ୟାରନୀଙ୍କ。  
ଫାଗୁନିଲୋକ ହେମିଶା ନାଶନମିଶା, ରା କୁରୁଲିନି ଦାରିଦ୍ରିନେ ଜ୍ଵାଳନୀଙ୍କ  
ପାରାତ୍ମିତ ପାରାତ୍ମିତ ମାର୍ଗ ତମ୍ଭେ, ଶେଷ ଗାସାଗାଲିନୀ.  
ବୁଦ୍ଧ ଗାସିଲେ ତମ୍ଭେଇଲା, ବୈଶିଷ୍ଟିନ ମନମ୍ଭେଇଲେ ତମ୍ଭେଇଲା.  
ବୁଦ୍ଧ ବୁଦ୍ଧ ପାରାତ୍ମିତ ହେମିଶା ପାରାତ୍ମିତ ଶାରିନୀ,  
ଫାଗୁନିକା, କମା ଅଜ୍ଞାଦିଲେ ଗାସିଲେଇଲା, ଗମନିଶାକମିଶା ଜ୍ଵାଳନୀ.  
ରାମ ରାମକୁ ଲୋପିତା-ଚିନ୍ତାକୁ ହେମିଶା ପାରିଜ୍ଞାନିଶା ପ୍ରମାନନୀ.  
ମିଦୁଲୁଏ ଶାଲୁଲୁ କମିଶା, ଯଥାନିଶା, ଗ୍ରୌଣ୍ଡରିନୀଶା ଜ୍ଵାଳନୀ."

ଅ. ଶାନିଦ୍ଧ, ପେଣ୍ଟ, ପୃ. 581—582.

### କରାତାଳା

“କ୍ଷେତ୍ର ରା ଗାଢିମାମିପା ପୁମାନ୍ତେଇଲା, ମିଯୁଗାରିଦିଲେ ଉଲ୍ଲଙ୍ଘନିନୀ.  
ତୁବନ୍ଦୁରୁକୁ ଦାମିପାର, ଦେଖ କୁନ୍ଦନି, ମିଯୁଗାରିଦିଲେ ସାମ-ଦାଲୀନୀ.  
ଶୁ ଶାମିଦଗ୍ରେବି ଦାଲ୍ନେଇଲା, ତୁ ଆ ବାର ମିଦେଇନୀ.  
ମନରିଗ୍ରେବି ଶାମାମିଲିନ୍ଦିପା ଶାଗମିରିଲ ଅ-ଲୋକିନୀନୀ.  
ଶୁତ କିଲେଇ ଦାଵାଦେବିନ୍ଦେ, ମେଲାଙ୍ଗି ବାର ମିଦେଇନୀ.  
ଶାଲମତିନୀରୁ ପାରିବା ଶୁନ୍ଦନ୍ତେ, ଆ ଯୁଗା ମିଦେଇନୀ.  
ମେ ମନଦ୍ରମ ଅନ୍ତିମ ଶୁଦ୍ଧନୁରି ମାତରାଙ୍ଗିନୀ,  
ଶ୍ରୀଲତ କ୍ଷେତ୍ରନ୍ଦିର ଅନ୍ଧରିଲ କୁରୁଦିନ ଶାଶ୍ଵତିନି ନାନ୍ଦିନୀ ଶ୍ରୀମିନ୍ଦିନୀ.  
ବିଶିଳିସିଫ୍ରେରାଓପ ଏହି କ୍ଷୁବ୍ଧାନ୍ଦିର ଭାବ୍ୟାରିନ-ମାସ୍ୟଲାଙ୍ଘିନୀ.  
ଶ୍ରୀଶାଶ୍ଵରିତିଲ ଗାନ୍ଧି ଶ୍ରୀଶାଶ୍ଵରିରେ, ଶ୍ରୀଶିଶି ବାର ତ୍ରୈଜାନୀ,  
ମିହିଂ ଶାଶ୍ଵରି ଅଗ୍ରଭିନ୍ଦିରା, ଶୁରାନ ଏହି ଶ୍ରୀଶାଶ୍ଵରିନୀ.  
„ଶ୍ରୀଲିର ହାମିଦ୍ରେବ, ମିହିଂ, ଶ୍ରୀଶିଶି ମେପା ବାର ଶ୍ରୀଶାଶ୍ଵରିନୀ“.  
ହାମିଦ୍ରେବ ଶ୍ରୀଲିର ମିହିଂମା, ଶ୍ରୀଲତ ମାମିପା ଶ୍ରୀଶାଶ୍ଵରିନୀ,  
ଶ୍ରୀଲତ ମନରିଜ୍ଜ ଅନ୍ଦେଖିଦିନିର୍ଦ୍ଦିନ ଅନ୍ଦେଖିନୀ,  
ଶୁଶ୍ରେଷ୍ଠ ଶ୍ରୀଶାଶ୍ଵରିଲେ ଶାଶ୍ଵତ, ଶୁଶ୍ରେଷ୍ଠ-ମାଜରାତ୍ରେଲା ଶୁତିନୀ.  
ଶିମୁରିଶି ଗାନ୍ଧିକିନ୍ତୁପ୍ରେସ୍, ରଜିଷିଶିକ୍ଷେତ୍ରର ଗାନ୍ଧିଲେ ଶ୍ରୀଶାଶ୍ଵରିନୀ.  
ଗାନ୍ଧିଲେ ଦିନିଶ ଶାମାମିହିନ୍ଦିରା ଗାନ୍ଧିରିଦା ଦାଵାଲାତିନୀ.  
ଶ୍ରୀକମାଲାର୍, ଶାନିତ ମାତୁଶୁଲ୍ଲାକ ଦାଲାଲୁଲ ତିର-ତିରିଲାନୀ?  
ଶାଶ୍ଵତ ଶାଶ୍ଵତ, ତାନ ଶାମିଦ୍ରେବନ୍ଦେ, ଶାନ ମିହିଂଶ ଲାହିରିଲାନୀ.“  
„କରାତାଳୁ ଶ୍ରୀଶିଶିରିର, ମିହିଂଶେ ମ୍ଭାର-ତ୍ରୈତରିର ଗାନ୍ଧି-ଭାରିନିରି.  
ଶୁଶ୍ରେଷ୍ଠ ମିହିଂଶ ଶାଶ୍ଵତିନ୍ଦିବିଦା, ଦିନରିଦାଲ ରା ଶାଶ୍ଵତିନିରି?  
—”ଆ ଶାଶ୍ଵତିନ୍ଦିବି ଶ୍ରୀକମାଲା, ଶୁ ଲାହିରି ମାମିରିତାମ.”

ଅ. ଶାନିଦ୍ଧ, ପେଣ୍ଟ, ପୃ. 224—225.

### ପାଜ୍ଞାଶାରି

ଶାନ୍ତିର୍ଯ୍ୟଦୀନ ଦ୍ୱେଷେବି ଶାନ୍ତାପ ଦ୍ୱେଷ ମିଦେଇନୀ,  
ଅମିଶ ଗାରିଗ୍ରେବେନ୍ଦ୍ରେ ଶ୍ରୀଶାଶ୍ଵରିନୀ.

ხთოშვილთ კობალთა მაუკლათ, თავში დაუცნათ ქვანიო,  
 გაიგეს ღთის ნაბადებთა გაგზავნეს იაქსარიო.  
 ერთი წლის ბალლა მავიდა, ერთ ცოტას შავგვრემანიო  
 ჰელი ეჭირა მათრაქი, შვიდეცი, შვიდი მქარიო.  
 მახყევა შეიძის წლის ქალაი, თქვენს: თამარ დედუფალიო.  
 ქიჩილა გადაიხურა, გადააყენნა ზღვანიო.  
 შეა ზღვას ჩადგა სამანი, არ გარმავარდას ცვარიო,  
 ავის გორ ციხეს აგებენ, გავხენე ცხრანი ძმარი,  
 ქორწილ ხქონიყო დევებსა, სიმურ ეჩქვიფა წყალიო,  
 ცხრა თავ ხყონიყვა დედაი, ცხრა თ ვაეთ გამზდელი ქალიო,  
 თავს სალუდე ქვაბ ეხურა, ღმერთო რა შასაზარიო.  
 მე მაგათ ვერა დასწონე, მონა შემამდევს ზარიო,  
 დამტხვენდა, იძავ წმავედ, გამაუცვალე უამიო.  
 საკვეისას ლახტი ვესროლე, ზედ დავაქმიე ბანიო.  
 ერთ ისევ გაქცეულიყო, რომენიც ფალავანიო.  
 როშის ქორქ შემავეწიე, კლდეს მაფარა ტანიო,  
 საგმირო შამავიმალე, ღმერთო შენგან მაქვ ძალიო.  
 კლდე ოთხად გავატეხიე, დევს გამოვთხარე თვალიო  
 კარგად სცოდნიყვენეს წყეულსა აბუდელაურ ტბანიო.  
 დევ რო სიმურში ჩავიდა, თან ჩავხყევ იაქსარიო,  
 ჩავედ და ვეღარ ამავედ სისხლმა გამიბნა მქარნიო.  
 ჩემ ყმათაც კარგად იფიქტეს ოთხ რქა, ოთხურა ცხვარიო,  
 მოყვანეს და ჩამაკლეს, ამოევდ იაქსარიო.  
შამავჭედ ტრდის აღითა, შამავიბერტყენ მქარნიო,  
 დავეკლიე ჩემსა ნიჯდომსა, ჭრელნ მამრჩალიყვნეს ქვანიო.  
 აექიო კარატემდინა არს შიბზე გასავალიო,  
 ეგრე გავივლი შიბზედა, ვერვინ მომქიდოს თვალიო".

ალ. თხიაური, რელიგია ფშავში, რც. № 6 1947.



### პოპალა

ფანდურს დამიკარ ბერქუნდო, მაგწონდა სამძალიანი,  
 კამალა კეშმარიტისა, ხთისგვნ ას გუნებიანი,  
 ჭერო მიმიცავ ყმათადა, მამწონდეს ულვაშიანნი,  
 მორიგემ მე მამილოცა საგმირო ას ლიტრიანი,  
 — დალიენ დევ ლედაბერნი, დადიან პირმზორიანი.  
 სახმთოს უნდოდა აელო, ვერ იყვა იმედიანი,  
 ამაეხკარ მარჯვენა ჭელი, მქარზე გადიდა პრიალი,  
 მაღალ კარატეს ჩამავედ, ქალ იქ დამიხვდა თმიანი,  
 ჭელი მე მკაღრა მინანდა ზალტიან-სათითიანი.  
 საღიძოეთოდ წამავედ, გორ ავიარე კლდიანი,  
 თავ მავიბრუნე, მამყვების მინანი საფარვლიანი.

ხიდოტან გადავიარე ყანელიან-მარახელიანი,  
 ვეშაგურთის გორ ვესტუმჩე, წყემსი ვეგონე ცხვრიანი.  
 სახლს ავებიებდ მიქაი, ზედ ხურო ედგა ხთიანი,  
 — წილი ჩამიდევ მიქაო, წყემსი ორ თეჭაიანი.  
 ერთან ქვან მიაც დავისხენ, მქლავთით ორ იმედიანი.  
 წყალზე წამლალა მიქამა, კელთ მამცა ვეშრაპიანი.  
 ჩილოს გორ ჩამამავალი ირემ ვეგონე რქიანი,  
 წამამაყარეს ისარი ფოცხ-მაჟრატელი თბიანი,  
 სიმურჩი. ამავიჩქვიფე, რქის წყერთ გაიღეს ძგრიალი.  
 ტუტარიკ ამავიარე, დამიხვდა ნარ-ეკლიანი,  
 ომალოს-კიდურ შამავედ, მაშინ გავიღი ბრიალი,  
 დიკლო-შენაქოს ჩავხენე ეა-ც-ვერძი ძოვდა რქიანი,  
 ქელი გააბა მინანმა, დაუხვდა რქაჯანგიანი.  
 ჭანჭახთას ამავიარე გველ-მყვართ დაუდგა ღრიალი,  
 გიორგი გარმამიჩინდა, სამშიმარ ყელ-ლილიანი,  
 საით მასდიხარ კოპალავ, მასულხარ მიროფლიანი.  
 მიაცალ გადამიყოლე, ენა მაქვ ლაქარდიანი,  
 გვერდს მიდგას ჩემი მოძმეო შუბნური მათრაქიანი,  
 კელჩი ეჭირნეს კოჭობნი, სავსენი ნავთის წყლიანნი.  
 შამცოდვეთ საცოდვებლადა, მათრაქი ცხრა ჭიესვიანი.“

ალ. ოჩიაური, იქვე.

### იაჯსარი

ხთის კარზე შავიყარენით ხატი სამოცდა სამიო,  
 გირმადგეს საწონ-ჩარექი, კვირავ დაუდგი თვალიო,  
 აიმას ეზიდებიან, ვინც უფრო ძალიანიო,  
 ერთმანეთს ეუბნებიან — აჯობებს იაქსარიო.  
 ბოლოსკე ვიჯე დედაო, ცველის ჩემევ აქვ თვალიო,  
 ავდეგი, მიაც მავსწიე, ღმერთო, შენგნი ას ძალიო,  
 სამას ლიტრასა რკინისა ქვეშ გაუდინე ქარიო.  
 დევებს ხეონიყვა კორწილი, ექევიფა სიმურ წყალიო,  
 ცხრა თავი დედა ხყვინიყვა, ცხრათა გამზდელი ქალიო,  
 თავს ეცვა სალუდე ქვაბი, აიმან შამდვა ზარიო.  
 ისრევ დავბრუნდი უკულმა, არამც არ მქონდას ძალიო.  
 შვიდი შავსოხვე დედასა, გარმამეტა სამიო.  
 ხთრისკრით ლახტ გადაუტიევ, ზე დავაქციე ბანიო.  
 ერთ სადამ გამამივარდა, გამაახანნა გზანიო,  
 როშკის ქორწ შამავეწიე, კლდეს მამიტოლა თავიო.  
 კარგა სცოდნივან წყეულსა აბუდელაურ ტბანიო,  
 ჩავხეყევ და ველარ ამავეკე, სისხლში ჩამებნეს მჯარნიო,  
 ჩამამაკლიან ჩემ ყმათა ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარიო.

შამავჭვ ბროლის ქვაზედა, შამავიბერტუკენ მჯარნიო,  
 ჩაეხენე ჩემსა ნაჯღომსა, ჭრელნ მამრჩალიყვნეს ქვანიო.  
 ღმერთო, თუ მამი შაძლება, ისევ ამიქსნენ მჯარნიო!  
 აქი შიბ თუნდა გამიბი კარტეს გასავალიო,  
 მაგაზე ეგრე გავივლი, ვერვინ მამკიდას თვალიო.  
 შაიყრებიან დევება, საც რო ლიდ მეედანიო,  
 იმის გაარიგებენ-ერტებას უჭირათ მჯარიო,  
 ხთიშვილთ კობალა მაუკლათ, დაუცნათ თავში ქვანიო.  
 შვიდის წლის ყმაწეილ მავიდა, ცოტაი შავევრემალიო,  
 ქელჩი ეჭირა მათხავი შვიდ კეცი, შვიდი მჯარიო.  
 ლაშარის გორჩე დაბძანდა ლალი ლაშარის ჭვარიო,  
 პირდაპირ ჩამაყუნენს ე თამაზ-ლელუფალიო,  
 ქიჩილა გადაიხურა, გაღააყენნა ზღვანიო,  
 შუაზღვას ჩადგა საძანი, არ გარმავარდის ნამიო.  
 ამაგის შალექსებელი ალენჩი თუშის ქალიო,  
 სალექსო გამამიგზაუნეთ თითო შიშაქი ცხვარიო.

სალირა გიორგის ძე არაბული, 62 წლ., ს. ჭეისტეჩი,

10. VIII. 46 წ.

მისთაშორების სალოცავი იაქსარი, პოპალა და პირზუზი

„იაქსარი პირველად ყოფილა ქორციელი, წმიდა ბერი, ხეთის  
 შლოცავი და ხეთიდან მოცემული დიდი ძალის მქონე. ხეთიდანე  
 ჰქონდა მოცემული ის ძალა, რომ ის ებრძოდა დევებს და ანადგურებ-  
 და. რაღაც იმ დროს დევ-კარპნი ზეპირად გამოსულნი ყოფილან.  
 ჯოცდნენ და სკამდნენ ხელს. მათის შიშით ადამიანები ვეღარსად მი-  
 დიოდნენ. ამიტომ მორიგე ღმერთმა იაქსარს და კობალას ერთურთის  
 მოძმეთ, ორივე წმიდა ბერს, მოულოცა შალი და შეძლება დევებთან  
 ბრძოლისა და მათი განადგურებისა. იაქსარს ნინა კ ში ჰქონდა პა-  
 ტარა სამლოცველო და საბერო. მისი სამლოცველოს ნანგრევი ეხ-  
 ლაც არის კლდის თავზე. ახლანდელ ეკლესიის მსგავსად, კარები  
 აქვს შემოსასვლელი დასავლეთიდან ამოსასვლეთისაკენ. აქვე ვერ-  
 დზე ჰქონია თავისი საცხოვრებელი პატარა საბერო. ეს ადგილი მა-  
 შინაც და ახლაც დაბურულია მუხის ხეებით. აქვე, საბეროს წინ,  
 იაქსარს ჰქონდა, საყუჩი-საყარაულო. ერთ ძირზე ოთხი მუხა იყო  
 მოსული, რომლებიც ეხლაც არის და... „ქორბულიან მუხათ“ ეძა-  
 ხიან. ამ მუხათანით ყარაულობდა იაქსარი ერთ დიდსა და მდიდარ



დევს გამხვეურას (გამხვეურა ამ დევს იმიტომ ერქვა, რომ იგი გამხვეურა ვიცებული იყო ცოლ-შვილითაც და ცხოვრებითაც. გახვიცებული — გამრავლებული, გამდიდრებული). ეს დევი ცხოვრობდა იაქსრის საცხოვრებლიდან დასავლეთ მხარეს; იმ ადგილს შემდეგ დაერქვა გამხვეურთ კარი, — დევის სახელწოდებიდან. გამხვეურთ კარის პირდაპირ, არაგვის გაღმა, სამხრეთისაკენ იყო ერთი სოფელი კიდევ დევებისა. (ცხლა აქ შუაფხოვლები მოსახლეობენ და ეწოდება თხილიანა). სოფელ შუაფხოში კი ხალხი ცხოვრობდა; ქისტაურები. შუაფხოდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით დასავლეთ მხარეს იაქსრის ბინა იყო და აქედან ამდენივე მანძილის დაშორებით გამხვეურა იყო. გამხვეურას და იმის პირდაპირ მოსახლე დევებს ფაცერი ჰქონდათ გამბული. ფშავის არაგვის ჭალაზე გამვლელ ხალხს იჰერლნენ და ჭამდნენ. როგორც ვთქვით, გამხვეურა იყო დიდი დევი (არ იციან რამდენ თავიანი), ცოლი ჰყავდა ცხრა თავიანი და ცხრა შვილი ჰყოლია სულ ვაჟაცები.

ცხრა თავი დედა ჰყოლიყო, ცხრათა გამზდელი შეილისა,  
სალშედე ქვაბი თავს ედგა, საზარელი იყო სინისა.

ეს დევები აქ რომ გამრავლდნენ, მოინდომეს ავისგორს დასახლება (ავისგორი — სადაც ეხლა იაქსრის ნიშია და იაქსარს ლოცულობდა ხალხი, მაშინდელი იაქსარის საცხოვრებელი ადგილის — ნინაჟითისა და შუაფხოს საშუალო აღგილზე). წამოვიდნენ და აქ დაუწყეს შენება. გაიგო იაქსარმა, აქვე ერთი ხევია — ხატის ხევა, — ამ ხევიდან მიეპარა და ბოლოზე ამოჩნდა. ამ დევების უფროსმა ძმამ თქვა: „რა კი სადილი მოდისო“; უმცროსმა ძმამ უთხრა: „სადილი კი არა, ეგ იაქსარი არ იყოს, რომ ეგრე თამამალ მოდისო“. შეშინდნენ დევები და აირივნენ კიდეცა. იაქსარი იმ დროს მივიდა, რომ კარის-თავს დებდნენ ცხრანი დევნი და ვერ ერეოდნენ. იაქსარს დასცინეს: „მოდი ძმობილო, გვიშველე კარისთავის შედებაო (კარისთავად შესადები, დიდი ქვა იყო). იაქსარმა გადაიკვართა კალთები, მოავლო ქელი ქვას და მარტომ შეაგდო. შეშინდნენ დევები და გაიქცნენ, იაქსარმა კარისთავიც იმათ ესროლა და გამხვეურთკარს სახლი დაუნგრია. ჯერ არ იყო ბრძანება მათი მოლიანად ამოწყვეტისა, აქაც და ამავე დროს, კოპალს უნდა ამოეწყვიტა ციხეთგორს. კოპალს და იაქსარს პირობა ჰქონდათ შეკრული: იაქსარს იორზე ადგილობრივ ჭაშარს უნდა ამოეწყვიტა დევები, აქ სახელგანთქმული დევები ცხოვ-



რობდნენ—მუზა და ბელელა. მუზა ყოფილა დევების შეფე და შემდგრებელი  
ლამაზი დევის ქალი. კაშარს ამ ბელელას სკამი ჰქონია ქვისა, მაღა-  
ლი. თურმე სკამზე რომ დაჭდებოდა, ისეთი გრძელი თმა ჰქონდა,  
რომ მიწაზე შვიდკეცად იდებოდა. ს. უძილაურთის თავს არის... ზედ  
მთაზე დიდი მოედანი, რომელსაც ჰქვია ირემთ კალო. იაქსარსა და  
კოპალს აქედან ციხეთ გორისაკენ ქვები უნდა ესროლა, მჯობნზე  
და გაეგო ვინ იყო მძლავრი. სახელგანთქმული დევები დაბარებული  
იყვნენ, ყველგნით უნდა მოსულიყვნენ; ...იაქსარსა და კოპალს  
უნდა ესროლათ ქვა, მაგრამ მათ განზრახული ჰქონდათ ამ დროს  
დევების ამოწყვეტა. ბრძანებაც ასეთი იყო მორიგე ხვთისგან. იაქსა-  
რი ჩუმად წავიდა და კაშრის გადმოსავალში, საპარავის-ყელში ჩა-  
უსაფრდა. კაშრიდან წამოსული მუზა დევი ამ გზით გამოივლიდა  
ირემთ-კალოსკე მიმავალი. იაქსარი აქ იმას მოკლავდა, მერე კაშარს  
ჩავიდოდა და იქ ამოსწყვეტდა დევებს. მართლაც, მუზა მთაზე შე-  
მოქდა, გამოხედა ირემთკალოს და იქიდან შემორიშხნა (ირემთ კა-  
ლო არის საპარავის ყელის მოპირდაპირე მთა. აქ რომ მუზამ დაინა-  
ხა კოპალა და დევები თავმოყრილი, დაიღრიალა და დაემუქრა. ამი-  
ტომ ამბობს მთხოვნელი „შემორიშხნაო“). ამ დროს იაქსარი აქ  
იყო ჩასაფრებული, დაჭრა თავში ლახტი და მუზა დევი აქვე მოკ-  
ლა. სასიკვდილოდ დაჭრილმა მუზა დევება დაიღრიალა. კაშარში რაც  
დევები იყვნენ, იმათაც გაიგეს, რომ მუზას რაღაცა გაუჭირდა. მა-  
ნამდინ ისინი მოსაშველებლად გამოემართებოდნენ, მივარდა იაქსა-  
რი თავის ლახტით და სულ ამოწყვიტა ყველა დევები. სახლიც დაუქ-  
ცია (მათი ნასახლარი, — მთხოვნებები ამბობენ — კაშარში ისევ  
არისო. ისეთი ქვებისაგან არის ნაშენები, რომ თითო ქვის ორი კაცი  
გვერდს ვერ გადაუქცევსო). ზოგები იორზე გაიქცნენ. დაედევნა და  
გზიდაგზა სულ ამოწყვიტა ყველა დევები.

**ქ**ამ დროს ირემთ-კალოს რა ხდებოდა: დევებმა და კოპალამ სი-  
პირ დიდი კალოსოდენი ადგილი დააზღვეს (ახლა საცა კოპალს სა-  
ზარეა იმ ადგილზე), იმიტომ რომ ქვის სროლას რომ დაიწყებდნენ,  
სიმძიმისაგან მიწა არ ჩაბრუნვილიყო. ჭერ კი ელოდნენ მუზას და  
იაქსრის მისვლას და მერე კვირას მეთვალყურეობით დაიწყეს ქვის  
სროლა. კოპალამ იცოდა რატომ არ მოვიდნენ იაქსარი და მუზა. დე-  
ვები კი აზრს ვერ მოვიდნენ, რადგან ეგონათ მუზას ვერავინ ვერა-  
ფერს გაუბედავდა. (ციხეგორს ცხოვრობდნენ დევები, მათ ახლოს  
ცხოვრობდა ბერი კოპალაც). დევების ფალავანმა გაისროლა ქვა და

ციხეთ გორის იქით (ახლა ხატის მაშულებია) იქ დაეცა. ქვები ერთ-ნაირი იყო. ახლა კოპალამ გაისროლა ქვა. კარგა დიდი ძალით გაისროლა, მაგრამ ქვირამ ამ ქვას მათრახის წვერი წამოჰქრა, კიდევ გაამალა და იგი დევების გასროლილ ქვას შორს გადასცილდა. დევები შეეცადნენ, რომ უკან გადმოეწიათ, მაგრამ ვეღარ გადმოაგდეს (ახლაც ეტყობა ნაბრძოლი, ქვა უკან არის გადმონათარიო, ამბობენ მთხოვნები). შეშინდნენ დევები და გაქცევა დააპირეს. დაერია კოპალა ლახტით და სულ ამოწყვიტა. სახლი დაუნგრია და იმათ სამყოფელს თვითონ დაპირობონდა. ახლაც მისი საზარე ისევ არის და ფშავ-ხევსურები ორივენი მოდიოდნენ ციხე-გორიბას სალოცავად. აქედან იწყება კოპალასა და იაქსრისაგან დევები, კოცის ამბები. ხალხის თქმით მათი ნაომარი და ამოწყვეტილი დევების ნასახლარები ბევრგან არის, სადაც ილოცავენ ზოგან იაქსარს და ზოგან კოპალას. მაგალითად ფშავის არაგვზეა კოპალას ქვა. იმ ხანებში, როცა კოპალა კორციელია იყო, ციხეთ-გორიდან ერთმა დევმა სამლოცველოდან მოიპარა ტრაპეზის ქვა და მიჰქონდა ქვევით. კოპალა წამოეწია, ესროლა ლახტი და მოკლა დევი. ქვა იქ გზისთავზე აიტანეს სოფელ ხომში, მცხოვრებლებმა და ახლაც იქ არის, სადაც ილოცავეს გმირ კოპალას. (მთხოვნები ამბობენ: ნალახტარი კლდესაც ეტყობა და ნასაბლარი იმ ქვასაც). ერთ დევს მიჰქონდა მოკლული ირემი. ერთ მხარზე ძირიდან ამოწვდილი წიფლის ხე ედო. შეხვდა კოპალა, ესროლა ლახტი და მოკლა. დევი რომ მოკლია, ქვად იქცა, ახლაც არაგვში გრძელი ქვა არის და ხალხის ჩრდენით, ის ქვა მაშინდელი გაქვავებული ავთანდილ დევია. ამ დევს ავთანდილი ერქვა და ამ აღვილს ახლაც ავთანდილის ნაქანს ეძინან. მეორენაირადაც არის კოპალის ქვის ამბავი: დევები კართანაში ქვას აგროვებდნენ. აქ წყალი უნდა დაეგუბებიათ და ფშავ-ხევსურეთი წაელევათ. გაიგო კოპალამ, წამოეწია დევს, რომელსაც ეს ახლანდელი კოპალის ქვა მიჰქონდა წყლის დასაგუბებლად. ესროლა ლახტი და მოკლა. ქვა გადაიქცა სალოცველიად და დაერქვა კოპალას ქვა. (კართანა არის ფშავ-ხევსურეთის არაგვზე ძალიან ვიწრო ადგილი. გაღმა ფრიალო კლდეა და გამოლმაც; ისეთი ვიწროა, რომ არაგვი ძლივს ეტევა).  
 კოპალა რომ აქ კოცდა დევებს, მაშინ იაქსარი იორზე მიჰყვებოდა და სადაც მათი ბინა იყო, ყველგან ამოწყვიტა დევები.) ამ აღგილებზე ყველგან არის იაქსრის ნიშნები. სამლოცველოები. მაგალი

თად იხინჭას (ქვემო თიანეთშია) ყოფილა დევების დიდი ზექტესტული შებრძოლებია იაქსარი და გაუწყვეტია. მერე ამ აღვილსაც თვითონ დაპატრონდა. მას აქეთ გაშენდა მისი სამლოცველო იქ და ილოცავ-დნენ იაქსარს. ერთი დევი ზემო თიანეთს იყო სახელ განთქმული, რომელსაც ვერქველა ეძახოდნენ. ეს დევი თავის ცოლშვილით ცხოვრობდა ზემოთიანეთის სათავეში, ერთ ვიწრო ხევზე და ამ არემარეს არავის შეეძლო გავლა. ამას ჰყავდა დიდი ოჯახი. ეს დევები იქერდნენ ადამიანებს და ჭიმდნენ. მათ დაიჭირეს პირ ქუში—ოქრომჭედელი და ტყვედ ჰყავდათ. აეთებინებდნენ იარაღს. მშვილდისარს და ოქრო-ვერცხლს (პირქუში ბოლოს სალოცავად არის გადაქცეული, ილოცავენ ბაცალიგოში და ფშავში სოფ. აქადში. ეწოდება პირ ქუში ცეცხლის ალიანი). ეს სალოცავი რომ ერთია, ამიტომ აქადლები და ბაცალიგოვლები ძმობენ). პირქუში ბევრს ცდილობდა, მაგრამ დევების ტყვეობას თავი ვერ დააღწია. იაქსარმა ეს რომ გაიგო, მივიდა ჩუმად და პირქუშს უთხრა: დაგიხსნი, თუ ერთ კარგ ზარს გამიყეთებო. პირქუში ზარის გაკეთებასაც დაპირდა და ბევრ სხვა რამის გაკეთებასაც. იაქსარი დევებს თავს დაესხა და თავისი ლახტით ჭერ ვერქველა დევი მოკლა, მერე ყველა ამოწყვიტა და პირქუში გაანთავისუფლა. პირქუში წამოვიდა და აქადში დაბინავდა. იაქსარს დაპირება შეუსრულა და ბოლოს თეითონაც ხვთისშვილად გადაიქცა. პირქუშს სამი კარგი ვერცხლის თასი ჰქონდა და იაქსარმა ეს თასები სთხოვა. პირქუშმა არ მისცა მაშინ იაქსარმა წაართვა ძალით და მოიტანა თავის სამლოცველოში. ბოლოს როცა ერთიც ღვთისშვილი გახდა და მეორეც, პირქუში ამ თასებს ისევ ედავებოდა. ბოლოს ხთის კარზე რჩული ჰქონდათ. დამბადებელმა და კვირამ გაარჩიეს ეს საქმე და თასები პირქუშს არგუნეს, რადგან ძალით იყო წართმეული და ხთისშვილთ ერთი-მეორეში ძალადობის ნება არ ჰქონდათ დამბადებლისაგან. ძალადობის ნება მარტო დევ-ერპებთან ჰქონდათ. ბოლოს მკითხავის პირით იაქსარმა გამოაცხადა: — მე და პირქუშს ხთის კარზე რჩული გვქონდა; ეგ სამი თასი პირქუშს არგუნესო. ძალიან დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს თასები იაქსრიდან აქადში,—პირქუშში წაიღეს. მას აქეთ აიკრძალა შუაფხოელი ქალის აქადს გათხოვება და აქადელი ქალის შუაფხოში გათხოვება. ეს წესი დღესაც დაცულია /იაქსარმა ბოლოს იორზე და თიანეთში ყველგან ამოწყვიტა დევები და

დაბრუნდა შუაფხოში. აქ ისევ იყვნენ დევები და უკანასეჭნულობა  
ესენი ამოწყვიტა...

იაკსარმა გამხვეურთ-ჯარის დევებს ესროლა ლახტი თავისი  
საყუჩიდან, ბანი დაუქცია, ეცა და ყველა ამოწყვიტა. ძემდეგ გა-  
ვარდა თხილიანაში და თავის ლახტით იქაური დევებიც ამოწყვიტა.  
მაგრამ გაიგო რომ ერთი უფრო დიდი დევი ჰევსურეთისაკენ გაექცა.  
დაედევნა იაკსარიც. არაგვი შეიარა იშის კვალზე. ქმოსტ-როშეა  
აიარა და აბუდელაურს. (ქმოსტის მთა) დაეწია. იქ რომ ვეღარ გარ-  
ბოდა და იაკსარი ეწეოდა თავის ლახტით, ამ დროს მოვიდა დევი  
და ჩაძრა აბუდელაურის ტბაში. ჩაპყვა იაკსარიც თან ტბაში, ძირს  
ჩისულს დაპყრა ლახტი და მოკლა. დევის სისხლმა ტბის ზედაპირი  
დაფარა და რაკი ვეღარ ამოვიდა, შეეკრა გზა. იაკსარი სამს წელს  
დაკარგული იყო, ვეღარ ამოდიოდა ტბიდან. ხალხი ეძებდა: რა იქ-  
ნა ის დევების მჯოცველი ბერი იაკსარი, რომელმაც ღევებისაგან  
გაგვათავისუფლა და თვითონ კი დაიკარგაო. ბოლოს მისი ამბავი  
ერთმა მკითხავმა გაიგო და გამოუცხადა ხალხს. ხალხმა მის ამოსაყ-  
ვანად ბევრი იწვალა, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ბოლოს ისევ  
მკითხავმა უთხრა, რომ იაკსარი აბუდელაურის ტბაში არის სიმურ-  
ში დამრჩალი, იქ მან დევი მოკლა, დევის სისხლი ტბას აქვს გადა-  
ფარებული და ვეღარ ამოვა, მანამ ეს არ გაიქსნება და გზა არ ექნე-  
ბაო. ახლა ამ სისხლს რა მოაშორებდა და ამ გზას რა გახსნიდა, ამა-  
ზე დაღონდნენ. ესეც ისევ მკითხავმა გამოუჩრია: სოფელ ბლოში  
ერთ კაცს ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი ყავს, ის გამოართვით, იმ ტბა-  
ში ჩაიალით და გზა გაეხსნებაო. მოსთხოვეს ბლოელს კაცს ეს ცხვა-  
რი და უარი არ უთხრა. წაიყვანეს და ტბის პირზე დაკლეს, სადაც  
ქვას ეტყობოდა იაკსარის ნალახტარი (როცა ტბის პირზე მისულ  
დევს ლახტი ესროლა, თვალი გამოსთხარა და კლდე თხხად გაატე-  
ხინა, აი ამ კლდესთან დაკლეს ოთხრქა-ოთხყურა საკლავი). სისხლი  
ტბაში ჩავიდა, გაიქსნა ტბის ზედაპირი. ერთი ბროლის ქვა ამოვიდა  
და ამოპყვა იაკსარი. ის ქვაზე ტრედის აღით დაჭდა. ყმათ დაინახეს  
და დაიწყეს პირჯვრის წერა. მას შემდეგ იაკსარი ჭორციელობიდან  
იქცა ხოისშვილად. იაკსარი აქედან გაფრინდა და ლიქიკის თავს კა-  
რატის წვერ მოიკიდა კოჭი. (ე. ი. დაბძანდა). (ეს მაღალი მთა  
არის). მასაქეთ აქ იაკსარის ნიში (კოჭი) და საზარე ააშენეს. აქედან  
გამოფრინდა და უბისთავს, აქაც კარგად წვერ-მაღალ მთაზე მოიკი-



და კოში. აქაც საზარე და კოშკი არის აშენებული. აქედან შემოტავა  
ში ჩამოვიდა და აქ სამუდამოდ დაარსდა...

იაქსრის ნაამბობს მკითხვები გადმოსცემდნენ ხალხს: ტბის  
ძირას, დევების სოფელი ყოფილიყო და იქ ვყვანდი ტყვედ დაჭრი-  
ლიო. მერე საკლავი რომ დაიკლა და გზა გამეხსნა, ხვთიდან ბძანე-  
ბა იქნა და ამოვედიო.

რომელმა ბლოელმაც ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი მისცა, იმას  
უთხრა იაქსარმა: „შენ კაი სიკეთე ქენი, რომ ცხვარი მიეცი ჩემთ  
ყმათ და მე დამიქსენიო. შენ ერთხელ მიშველე, სამაგიეროდ მე სამ-  
ჯერ ვიშველიო. როცა ძალიან გაგიჭირდება, მაშინ შემომძახნე და  
დაგიხსნიო. (შაძახება: როცა გაუჭირდებოდათ, ქუდს მოიხდიდნენ  
და შეეხვეწებოდნენ რომელიმე თავის სალოცავს. სალოცავი ხმას  
მაშინვე გაიგებდა და მიეშველებოდა, თუ ამ კაცისაგან დანამდლი-  
სი რამე ჰქონდა და დახმარების ღირსი იყო. თუ შანაცოდვარი რამე  
ჰქონდა, მაშინ კი არ დაეხმარებოდა, არამედ უფრო ცუდ საქმეს მი-  
უსევდა და მიუმარჯვებდა). ერთხელ ამ ბლოელი კაცის ოჯახს სისხა  
შეუდგა და ის იყო, დალუპვაზე იყო საქმე მისული, რომ დაიწერა  
პიჯვარი და შესძახნა იაქსარს: დალოცვილო იაქსარო, შემოძახილ-  
ზე ნუ გამიწყრები, მომირჩინე ეს ავადმყოფობა, გადამარჩინე ამ  
ავადმყოფობას და მომავალ დღეობაში შენს კარზე მოვალ ზღვნითა  
და სანთლით, ჩემის ოჯახით, თუ ისინი ცოცხლები დამრჩებიანო.  
იაქსარმა გაიგო მისი მდგომარეობა; მიეშველა და გამოიხსნა უბე-  
დურებიდან ისა და მისი ოჯახიც. მეორედ გაჩნდა ბეღნიერი და ამ  
ბლოველი კაცის ოჯახსაც შეუდგა. მაშინაც ბლოელმა იაქსარს შე-  
მოსძახნა. მიეშველა და კველანი გადაარჩინა სიკვდილს. ბლოელიც  
დანაპირებ-ნაქადებს არ გადასთქვამდა; გადაარჩებოდა უბედურე-  
ბას, მოჰყავდა საკლავი, სანთლით და ემსახურებოდა იაქსარს ჩვეუ-  
ლებრივი წესით.

მესამედ შემოსძახნა უბრალო საქმეზე. ნამთიბლავი (მუშე-  
ბის მიერ გათიბული მთა) ჰქონდათ ასახვეტი. ამ ღროს საავდრო  
ღრუბელი მოემზადა ცაზე. ბლოელი შეშინდა — რომ გაავდარდეს  
ნათიბი გამიფუჭდებაო, მოაგონდა და შემოსძახნა იაქსარს: დალოც-  
ვილო იაქსარო ნუ გაავდრებ, ნათიბს ნუ გამიფუჭებ და შენ კარზე  
სამსახურით მოვალო. ამ ღროს თურმე იაქსარი ხთის კარზე იყო  
შამქდარი რაღაც ღიღი საქმისათვის, თავისი სახელის ქსენება და  
შეძახნება გაიგო და მოსაშველებლად მობრუნდა ხთისკარიდან. იქ



კი, აუცილებელსა და დიდ საქმეს თავი დაანება. მოვიდა და რომ ამას დიდი არაფერი უჭირს, ცოტა საქმისათვის ე. ი. თვითი გულისათვის შეუძახნებია და ხთისკარიდან იმისთვის დაუბრუნებია. გაწყრა იაქსარი, შერისხა და ის ოჯახი სულ ამოწყვიტა მერე მკითხავის პირით თქვა: იქ ხთის კარზე ძალიან დიდი საქმისათვის ვიყავი მისული. შამოძახნება რომ გავიგე, ჩემს წესს ვერ გადავედი, მოვბრუდნი ხთის კრიდან და შემოძახილის ადგილზე მივედიო. ვნახე რომ საქმეს არაფერი უჭირდა და იქ კი დიდი საქმე დარჩა გაუკეთებელი. ამიტომ გაუწყერი და თავის ოჯახით ამოწყვიტო.

„იაქსარმა და კოპალამ დევები სულ ამოწყვიტეს. ბერობიდან ღვთის ძალით ხვთისშვილებად იქცნენ. კოპალა დაარსდა უძილაურთის თავს და ციხეთვორს, იაქსარი შუაფხოში. იაქსარი კარატიდან რომ ჩამობრძანდა, დაარსდა ავის გორს და გმბხვეურთ კარის შუა ადგილზე. იქ კარგა მოზრდილი მამულებია. ამ მამულების საშუალო ადგილზე დაარსდა. დავაკებული არის აქ. მამულების ნახევარი აღმოსავლეთ მხარეს მოიგდო, ნახევარი დასავლეთ მხარეს, შუა ადგილზე თავისი საბრძანებელი გაიჩინა... პირველადვე ხორციელობის დროს, რაკი ქისტაურების ადგილ-მიდამოს ცხოვრობდა, ხვთიშვილად ჩარიცხვის შემდეგაც აქ გაიჩინა თავისი არჩევით საბრძანებელი, და თავის ყმად გამოაცხადა ქისტაურების გვარი. ქისტაურები თურმე პირველადვე ყველანი შუაფხოში ცხოვრობდნენ და ერთ გვარს ატარებდნენ. მერე გადასახლდნენ ზოგნი სტროფავში, კორქში, ვანკევში და არახიჯაში...

ალ. ოჩიაური, ფშაური ხალხური დღეობები, 1947 წ., რგ. 6.



დევების განადგურება იახსრისა და კოპალას მიერ

იაქსარი და კოპალა ძმანი ყოფილან, ბერები, ხთის მლოცველები. ყოფილან კერპები, რომლებსაც ხალხი უზარალებია. იაქსარსა და კოპალს დამბადებლისგან ძალა ჰქონია მიცემული ამ კერპების დასალაგმავად.

„გაღმოდგეს სასწორ ჩარექი,  
კვირავ გვიჭირე მყარიო,  
—ამას ვერავინ ვერ ასწევს,  
თუ ასწევს იაქსარიო.  
—მე ბოლუაში ჩამოვჭედ,

მოვიძეჩავე თავიო.  
 ჩამოურიგეს ყველასა,  
 ვერვინ გაუვლო ქარიო,  
 სამოც ლიტრასა რეინასა  
 ქვეშ გაუვლივ ქარიო.  
 მე ვთხოვე სამი კვირასა,  
 გადაძინებრა ხუთიო“.

ამათ გადაუწყვეტია, რომ ეომა, ეყოლა ეს დევები და თაობირი ჰქონია კოპალასა და იაქსარს ბეღელთანას ეძახიან, ადგილის სახე-ლია, საპარავიც ადგილის სახელია. კაშარი ჰქვიან იმ ადგილს, სა-დაც დევების ნასახლარებია, ქვებია, როგორც კიდობნები. დირეა და მემრე ლიბოა იმაზე გამართული წყალს გამოუჭამია და გამოჩენილია.

ბეღელა ყოფილა დევების მეფე და დიდი მეომარი ყოფილა. კოპალას ირემთკალოს ქვა ჰქონია და თურმე ისროდნენ. ერთი დევს უსროლია და ერთი კოპალასა. ტოლებია ის ქვები. კოპალას გადაუპარებია. მაშინ გადაუწყვეტიათ დევებს, რო კოპალა მოქლან.

მე დროს იაქსარი კიდევ საპარავს ეძახიან, — იქ ყოფილა ჩა-საფრებული. ისიც უნდა მივიდეს დევების ყრილობაზე. როცა ამოჩენილა, დევს შემოურიშხნია. იმას ლახტი დაუქრავ და გადაუგდია იქითკე, კოპალას კი ციხეთგორ დაულევიან.

ნინახს ვეტყვით, წინავ იქ საყრჩი ჰქონია იაქსარსა.

გამხვეურის გორ დევებს სახლი უშენებია... გამხვეურა თვითონ მდიდარი დევი ყოფილა.

„—ცხრათავა დედა ჰყოლიყო.  
 ცხრა შვილთ გამზდელი ქალია,  
 თავს ედგა სალუდე ქობი,—  
 ლმერთო რა შასაზარია“.

ეზიდებოდეს ეს დევები კარების ქვასა და ვერ შაუდვიათ. იქ მისულა იაქსარი და იქ დაულევიან. გაჰქცევია, ერთი დევი და როშის ქეობაზე მისწევია იმ დევსა. ლახტი უსროლია, მაგრამ დევს კლდისად მაუფარებია თავი; კლდე ოთხად დაუხეთქინებია.

ის დევი აბუდელავის ტბაში ჩასულა. იქ დავდიოდით, დროშა დაგვეკონდა. დელისვაკიონნი საკლავს მაივანდნენ, იქ აბუდელავში საკლავს დაკლავდნენ, სახმთოს იქამდნენ. ღულელები და ჩვენ ერთი ხატის ყმები ვართ. ქისტაურების გვარი ჩვენა ვართ. წავიდოდით



ყველანი. თუ იქნებოდა ოთხრქა ცხვარი, ცდილობდნენ ის მრავალი ნათ.

ღელისვაკიონთ ედვა ბეგარა საკლავისა. იქაც იაქსრის ნიშია. რაზე იყო ბეგარი არ ვიცი.

ღევებს წყალი უგუბებია ქრთანას კოპალას ქვის ქვემოთა. გამხვეურას კიდევ გაღმე წყარო როა, ჯაჭვი ჰქონია გაბმული. უჭამია იმათ ხალხი, უზარალებია.

— „აიქ წავიდეთ ამირან, გუშინ რო ქარი ხვიოდა,  
ღევებსა ჰქონდა ქორწილი, სიმღერე გამოღიოდა.  
მიევედით, შავიპატიქეს ამირანს ჰური შიოდა,  
დევთა ნაქნარი ქადა იქვე ცეცხლზედა შხიოდა,  
მაიტანეს და შამაშეტეს, შიგ გველ-ბაყაყი ჩიოდა,  
უსმელ-უშმელი გაეძხი, ყელშიაც ამამღიოდა“.

ბიჭურ ბიჭიას ძე ბალრიშვილი, 65 წ., ს. შუაფხო, 1952.

## ✓ *MA* უნდა დაწერა

„კოპალა იყო კორციელი, კორციელის შვილი. ის პატარაობისას ძალიან კარგი ყმაწვილი ყოფილია, ჭკვიან-გონებიანი. დევები ასეთ ყმაწვილს ძალიან ემტერებოდნენ. ერთხელ როცა შინ არავინ ჰყავდა, პატარა კოპალა დაიპირეს დევებმა და თავისთან წაიყვანეს.

კოპალა დევებთან იყო დიღხანს. აწვალებდნენ, ამუშავებდნენ რაც არ შეეძლო. საჭმელსაც ისეთს აძლევდნენ, როგორიც მას არ უნდოდა და ადამიანისაგან არ იქმეოდა. გამოპარვას ვერ ახერხებდა, რადგან პატარა იყო და გზა არ იცოდა. ცოტა რომ მოიზარდა, გაიპარა დევებთანით და ბერებთან მივიდა. ითქმია: ბერებთან მივალ ვილოცავ, ლოცვას დავამთავრებ, დამბადებელს ძალას ვთხოვ და დევებს ამოვწყვეტო. მივიდა ბერებთან. ბერებმა კარგად მიიღეს, დაიწყო ლოცვა და შეასრულა. მერე დამბადებელს ძალა სთხოვა: —ღმერთო, დამბადებელო, იმდენი ძალა მომეცი, რომ დევები ამოვწყვეტო. დამბადებელმა შეუსრულა თხოვნა და იმდენი ძალა მისცა, რამდენითაც დევებს მოერეოდა. **ქაშინ დევები ცხოვრობდნენ ციხეთგორს, კართანაში. ერთი ქემწიფე ყავდათ.** მათი ფალავნები იყვნენ: მუსა, ბელელა და ავთანდილი. დევების ქელმწიფე იყო ციხეთ გორს და იქიდან სამართლობდა, კრებასაც აქ იწვევდა დევებისას. როცა დევებს რამე საბრძოლო გამოუჩნდებოდათ, ქემწიფე და-



იბარებდა ციხეთვორს და იქ მოისაუბრებდნენ საერთო საქმეზე აცხადება  
დევ იყო დევები იორზედაც. იქაური დევებიც იქაურ დევების კულ-  
მწიფეს ემორჩილებოდნენ და მის ბრძანებას ასრულებდნენ.

კოპალამ გაიგო, რომ დევებთან საბრძოლად დამბადებელმა საქმაო ძალა მისცა. მივიდა ციხეთვორს და დევებს უთხრა: წადიო აქედანო, ეს ადგილი დამიცალეთ, მე უნდა დავბინავდეო. დევებს გაუკვირდათ მისგან ეს ნათქვამი — ეს ვინ არის რომ ასეთ გულდი-დად გვეუბნებაო, ეს ბუკუკა ჩვენ რას დაგვაკლებსო. (ბუკუკა — პატარა ბუზი). კოპალამ გაუმეორა, — თუ არ წახვალო, ძალით გაგ-რეკავთო. მერე დევებმა იმის ძალის გამოსაცდელად რკინის. კუნძი დაუდევს წინ, ცულის ნაგიანი მისცეს და უთხრეს: თუ ეგეთი ძალის პატრონი ხარ, რომ ჩვენ აყრას აპირებ, აბა ეს კუნძი დაჭერიო. კო-პალამ დაპკრა ცული და კუნძი ორად გახეთქა, დევებს გაუკვირდათ და თანაც შეშინდნენ — ვინ არის ეს ასეთი ძალის პატრონიო. მერე დევებმა უთხრეს — ირემთკალოდან ციხეთვორისკენ ქვები გავკ-რათ (გავისროლოთ) და ვინც ვაჭობნებთ, ციხეთვორი მას დარჩე-სო. დათანხმდა კოპალა. დევებმა დაიბარეს ფალავნები: კაშრით-ბელელა, კართანით — მუსა და ავთანდილი. სხვა დევებიც იქ იყვნენ. დანიშნეს დღე, რომელ დღეს უნდა მოეყარათ თავი დევებს და კოპალას ირემთკალოს და ესროლათ ქვები (ირემთკალო არის სოფელ უძილაურთის მაღალ მთაზე. აქ წინათ ტყიანი ყოფილა და ირმები სცოდნია. იმიტომ ჰქვიან ირემთ კალო). იმ დღეს რომელიც დანიშნული იყო, ყველამ იქ მოიყარა თავი .ხოლო კაშრით ბელელა არ მოვიღა. მას იაქსარმა შეუკრა საპარავის ყელში გზა. აქისაკ მომა-ვალს ლახტი დაპკრა და იქვე მოკლა. მერე ჩავიდა კაშარს იაქსარი და იქაც ამოწყვიტა დევები. თუ სადმე იორზე კიდევ იყო დევების ოჯახები, იაქსარი დაპყვა და ყველგან ამოწყვიტა, იმასაც ძალა ჰქონ-და დამბადებლისაგან მილოცვილი დევების გასაწყვეტად.

ირემთ კალოს ახლა სადაც საზარეა, ისევ ეტყობა სიპებით დაზ-ლავებული ადგილი. კოპალამ და დევებმა სიპები დააწყვეს იმ ად-გილზე, საიდანაც ქვები უნდა ესროლათ, იმიტომ რომ ქვების გას-როლაში მიწა არ გაუძლებდათ და ჩაბრუნდებოდა. (ახლა იმ ად-გილზე დგას კოპალას საზარე და გარშემო სიპები ისევ არის). და-ნიშნულ დღეს კოპალამ ნახა, რომ კართანის დევები მუსა და ავ-თანდილი მოდიოდნენ და მიწას ისე მოკვალავნენ, როგორც ფიფქ თოვლა. კოპალა ცოტა შეკრთა, რომ ასეთი დიდი დევები დაინახა,



მაგრამ დამბადებლისა და თავისი ძალის იმედი ჰქონოდა და გაიმაგრა. მივიღნენ და დასხდნენ დაიშვნულ ადგილზე. ერთხურობის მოიტანეს, კოპალამ სიმსუბუქით დაუწუნა და უკან გადმოაგდო უძილაურთისკენ. იქვე არის ის ქვა. მეორე ქვა მოიტანეს და ესეც ემსუბუქა. მერე ზედ დააკრეს მეორე ქვა ცომივით და დაამძიმეს. მესამე ქვაც მოიტანეს და ეს კი კარგი სიმძიმისა იყო. ქვადაკრულ ქვას გამოუწონეს ისიც. დევები ერთმანეთს უთვალზმუნობდნენ (თვალით ანიშნებდნენ ერთმეორეს, თვალს უკილავდნენ, უკრავდნენ) და დასცინოდნენ — კოპალა რა არის და რა ქვას გაპერავს. მერე გაღმა კვირა იყო სამართლის მიმცემი (ციხეთ გორი ირემთ კალოდან ერთ-ნახევარი კილომეტრით იქნება დაშორებული ჩრდ. დას. მხარეს. შუაზე არის აუქშოს ხეობა). პირველმა დევემა გაისროლა ქვა და გავარდა ციხეთგორს. მეორედ კოპალიმ გაისროლა. შეიძლება დევის გასროლილ ქვამდინ ვერც კი მიეწია, მაგრამ კვირამ მათრახის წვერი წამოუკრა გასროლილ ქვას. შორს გაამალა და გადაჭარბა დევის გასროლილ ქვას. მერე მქითხავის პირით იცის ბრძანება კოპალამ. „კვირა რომ არ დამშველებიყო და ქვა იმას არ გაემალა, შეიძლება მე ჩამოვრჩებოდიო. ქვების გასასინჯად მე და დევები რომ წავედიოთ, მივედიოთ და ჩემს გასროლილ ქვას ქაჯები ეხვეოდნენ და ვერა ძრავდნენ, უკან გადმოწევა უნდოდათო. ჩვენ რომ გვნახეს ქვას თავი ანებეს და გაიქცნენო“. იმ ქვას ეხლაც ეტყობა რომ ნაბრძოლია უკან გადმოსაწევად, მაგრამ ვერ არის გადმოწეული. მოკერებულია სხვა ქვაზე. იმ ქვებს დღესაც შემოღობვილი აქვს სამნებით, — მაღალი ქვებით — გალავანი.

მერე დევები და კოპალა გაიყარნენ მტრობაზე. დარჩა კოპალას დევების ბინა ციხეთგორს. ამ სახლ-კარს პატრონობდნენ დევები და ახლა კოპალამ დაიჭირა. ტახტიც, რომელიც დევების ხელმწიფეს ჰქონდა, კოპალას დარჩა.

დევები აქედან ყველანი გადასახლდნენ ფშავის არაგვზე კართანას. ერთხელ დევებმა მუსამ და აფთანდილმა მოილაპარაკეს — კოპალას სკამი მოვპაროთო. მუსამ უთხრა: „მე ქვას მოვპარავ და მოვიტან, შენ კი ნადირობად წადი და შეშა მოიტანეო“. წამოვიდა მუსა და როცა კოპალა შინ არ იყო, მოპარა ეს ქვის სკამი ე. ი. საბძანებელი, დაიწყო საბელზე და წამოილო. გაიგო კოპალამ და თავისი ლახტით დაედევნა. სადაც ეხლა არის ის ქვა და კოპალის ქვას ეძახიან, იქ ჩამოეწია, ესროლა ლახტი, დაპერა და მოკ-



ლა. ქვას დევის ნაკელარი და ნასაბლარი ახლაც ეტყობა. კოპალა  
კლდეს იქ კიდევ ეტყობა ნალახტარი... იმ დროს როცა კოპალა უშედებელი  
სა მოქლა და ქვა დააგდებინა, გაღმით მჯარზე შემოჩნდა ავთანდი-  
ლიც. ერთ მჯარზე ირემი ჩამოეკიდა მოქლული და მეორე მჯარზე  
ძირით ამოწვდილი წიფელი ედო, შეშად მოჰქონდა.

კოპალას ხთის ბრძანება ჰქონდა, სადაც დევს ნახავდა უნდა  
ყველა მოქლა. ესროლა ლახტი და ავთანდილიც იქვე მოქლა. ავ-  
თანდილი გამოქანდა და ფშავ-ხევსურეთის არავეში ჩაიდო. ახლაც  
აქ ძევს ქვად ნაქცევი. წიფელი გადმოვარდა გზის ძირში და ძირით  
მიწაშივე დაეფლო. მერე ხატმა ბრძანის:

„ავთანდილის ხე განედლდაო, ავთანდილი კი ქვად გადაიქცა,  
როცა წყალში ჩავარდაო“...

აქვე ახლო მიგრიაულთის გორის ბოლოში დევებს ჰქონდათ  
დიდი ოჯახი და ციხე-სიმაგრე. კოპალამ რომ მუსა და ავთანდილი  
დახოცა, მათი მთავარი ფალავნები და კაშრელი ბეღელა იაქსარშა  
მოქლა; ახლა კოპალა ამ დევების ოჯახის ამოსაწყვეტილ გაეშურა.  
ამ გორის ბოლოში რომ მივიდა, დაინახა, რომ ერთი დევის დედა-  
ბერი ცხრათვიანი, ჯარას უზის და რაღაც ნართსა ძაბს მკლავის სის-  
ხოს. დევის დედაბერმა, რომ კოპალა დაინახა, თვალში ეპატარავა,  
გაიხარა და ჯარაზე დაამდერა: „ჩემი შვილის ვაჭშამიც მოდისო“.

კოპალამ აიმაღლა საგმირო ლახტი, დაჰკრა ბებერს და იქვე  
მოქლა. მერე ავიდა მიგრიაულთ გორის ბოლოში. აქ დევებს ქორწი-  
ლი ჰქონდათ და კოპალაც სტუმრულად მივიდა, უნდოდა გაეგო  
სად როგორ იყვნენ და რა გზით შეიძლებოდა მათი ისე ამოწყვეტა,  
რომ ალარავინ გადარჩენოდა. დევებმა რომ კოპალა მისული დაინა-  
ხეს, ერთიმეორეს უთხრეს: „ოჲ. კარგია, რომ ნეფე-დედუფალთ  
სუფრაზე მისატანი საკლავი თავის ფექით მოგვივიდაო“. დევებს  
კოპალა უბრალო ქორციელი ეგონათ და მაშინ ისინი ხომ სჭამდნენ  
ჭორციელთ, სადაც კი გაეწეოდნენ ვისმე. კოპალამ შეურჩია დრო,  
როცა ყველანი ერთად მოქუჩდნენ, აიმაღლა საგმირო და ყველანი  
ამოწყვიტნა... ერთი დევი გაიქცა დაჰრილი, თვალწმოთხრილი და  
აბუდელაურის ტბაში ჩავიდა. იქ იაქსარი დაეხმარა, ჩაჰყვა ტბაში  
და იმან მოქლა (როგორც იაქსრის აღწერილობაში ნათქვამია, იორზე  
ბეღელთანს ე. ი. ს. კაშარში, იაქსარშა ამოწყვიტა დევები). როცა სა-

პარავის-ყელს ბეღელა მოქლა, მაშინ ჩავიდა იქ და იქაური დემოკრატია  
დახოცა. ხალხური თქმულებაც ასეთი არის, რომ იორზე და თხოვთ მართვა  
ში იაქსარმა ამოწყვიტა დევები და ფშავ-ხევსურეთის მიღამოს კო-  
პალამ, გარდა შუაფხოსა და აბუდელაურის დევებისა. ეს უკანასკნე-  
ლი დევებიც იაქსარმა ამოწყვიტათ. კოპალას ჰევისბერმა წევსურამ  
კი ბეღელთანის დევების ამოწყვეტაც თავის სალოცავს კოპალას მია-  
წერა. სხვა ხალხის რწმენით იაქსარი იყო იორზე მებრძოლად, დევე-  
ბის ამომწყვეტად...).

როშეის გორაზე იყვნენ დაბანაკებული დევები (სადაც ეხლა  
წამოიყვანა და ციხეთგორის ბოლოში წევში ერთი კლდის ძირში  
ყავს მკლავზე კიდევ მსხვილი ჯაჭვით დამბული. კოპალა როცა ძა-  
ლიან ვისმე გაუწყრება, მაშინ იმ დევს აუშვებს, მიუსევს და ავნები-  
ნებს დამნაშავისათვის. მერე ისევ დააბამდა და ყავდა იქ დაბმული.  
იმ დევის ჯაჭვს ვითომც ნახულობდნენ იქვე წყალში, მშრალზე არ  
ინახოდა ის ჯაჭვი, თუ წყალში არა...).

სადაც კოპალას ნაბრძოლ-ნაომარია, ყველგან ყოფილა მისი  
სამლოცველო, საზარე და სხვა. კართანას დევების საფლავები ისე-  
ვაც არის. მიგრიაულთის გზა რომ ჩამოვა იქვე გზის პირზე, ისეთი  
ქვები ჩანს მათ საფლავზე, რომ ცხრა ათი კაცი ვერ დასძრავს მათ<sup>4</sup>.

„მშვილდ ქაიბური ბერისა ქუდიელზედა<sup>1</sup> ხეიოდა,  
მუზის მიარტყა ისარი, ბეღელას გული სტკიოდა.  
წყალიც არ იყო იმთვენი, რაც იმას სისხლი სდიოდა“.

ალ. ოჩიაური, იქვე, რვ. 14. 1947.

### კოპალა, იაქსარი და უცხმური

„...პირველად მორიგემ რომ ხვთისშვილნი ზეცილან გადმოუშვნა,  
მაშინ ისინი გერგეტს დააბინავა, გერგეტის მთის ძირში და ნებას  
არ აძლევდა, რომ ჯერ ხმელზე სახალხოდ გამოსულიყვნენ და მოქ-  
მედება დაეწყოთ. მხოლოდ გადმოშობილნი კი იმიტომ იყვნენ, რომ  
დევებთან უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა, რადგან დევები კორცი-  
ელთ, ე. ი. ხალხს ანადგურებდნენ, ხოცავდნენ და ყველანაირად  
ავიწროვებდნენ მათ. ანგელოზნი და ხვთისშვილნი ხალხში ჯერ არ

<sup>1</sup> ქუდიელი — ადგილის სახელია.

იყვნენ გადმოსულნი და დევ-კერპთ ეჭირა ქვეყანა, მოწინააღმდეგულების არავინ ყავდათ და ორგორც ეწადათ, ისე იქცეოდნენ. შეწუხდა ხალხი და არ იცოდნენ რა ექნათ. ხალხი მკითხავების საშუალებით ის კი გაიგო, რომ ხვთისშვილნი არიან გერგეტში ხალხის დასახმარებლად გადმოშობილნი, მაგრამ ხვთიდან არ ჰქონდათ მოქმედების ნება.

როშის გორაზე იყვნენ დაბანაეკებული დევები (სადაც ეხლა დევთ დედას ისევ ილოცავენ როშიენები). მათ ჰქონდათ სამკედლო და იმათ გარდა ხევსურეთში სხვა მჭედელთ არ იყო. ვინც მათთან მიიტანდა რამე საჭედს, — ხარის იარაღს და სხვა, ისინი ქალს. სთხოვდნენ ლამაზი ვინც იქნებოდა ოჯახში, რძალი იქნებოდა თუ ქალიშვილი. რამდენი ღირებულებისა იყო სამუშაო, შეაფასებდნენ და ეტყოდნენ: ამდენ ლამეს გამოგზავნე ესა და ეს ქალი, თუ არა, არ გაგიკეთებთ საქმესო. მეტი გზა არ ჰქონდათ და უსრულებდნენ დევებს სურეილს. ერთ კაცს ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა და გუთნის იარაღის გაეტებაში ის სთხოვეს. რადგან იარაღები აუცილებელი საჭირო იყო, რადგან უიმისოდ სიმშილით ამოწყდებოდნენ, გაუგზავნა ცოლი. ცოლი რომ დაბრუნდა, უთხრა: იქ რომ არ გაგეგზავნე და იქვე მოგეკალი, უკეთესი იყოვო და დაიწყო ტირილი. კაცი შეწუხდა, არ იცოდა რა ექნა. მერე ერთი თეთრი ხარი ჰყავდა და თქვა, მოდი ამ ხარს ღმერთისათვის დავკლავ და იქნება რამე გვეშველოსო. მორიგე ღმერთმა შეიწყნარა ამდენი ვეღრება და ხალხის დასახსნელად გამოგზავნა კოპალა. მისცა ერთი დიდი ლახტი და მოულოცა ძალი და შეძლება, რომ დევები ხალხის შეწუხებლები გაენადგურებინა.

კოპალა მივიღა და ჭერ ფშავის მთაზე უძილაურთის თავს, ირემთ კალოს რომ ეძახიან, იქ დაარსდა და ადევნებდა ოვალყურს სად იქნებოდა ბრძოლა საჭირო დევებთან. ამ დროს ერთი ხორნაულთელი კაცი ხნავდა ხორნაულთ სოფლის პირდაპირ, სახელდობრ ჭიშებში, ყანას. როშის გორაზე ერთი დევი წამოდგა და ისე მოადინა საქმე, რომ ღვარი ასტეხა და ხარი და კაცი სულ ყველა ღვარმა წაილო. მას გაგონილი ჰქონდა, რომ სადღაც გმირი კოპალი დაარსდა, დევებს ხოცავს და ხალხს ეხმარებაო. ამ გაჭირვების დროს გაახსენდა და შემოსახნა: „გმირო კოპალავ, მიშველე, წყალს ნუ წამაღებიებ და რასაც ვკენევდი, ეგ მამული შენდ შამომიწირავო“.

ეს კოპალამ მაშინვე გაიგო და იმწამსვე იქ გაჩნდა, ღვარი შეა-

ჩერა და კაცი ცოცხლად გადაარჩინა. მერე კიშეხიდან ლახტარული როლა და იმათ ე. ი. დევების ბინას ცეცხლი წაუკიდა. მერე მივიდა და სუყველა ამოწყვიტა იქ მყოფი დევები. ერთი შეუძრავი როშკის ციხეში. ესროლა ლახტი და ციხის ერთი კუთხე მოუმტვრია. დევე აქედანვე გაექცა და როშკის მთაში ერთს კლდის ძირში ჩაუძრა. ამ კლდესაც ესროლა ლახტი, გახეთქა კლდე ორად და დევს თვალი მოსთხარა. ამ კლდეს იაქსრის კლდე ჰქვიან ღლესაცო, — თქვა ბეწიკამ, მაგრამ ლახტი კი კოპალამ დაჰკრაო. სულ ერთი და იგივე არის, თუ გინდა იაქსარი თქვი, თუ გინდა კოპალაო. იქედან თვალგამოთხრილი გაიქცა დევი და აბუდელაურ ტბაში ჩაძერაო. აქ იაქსარი ჩაჰყა, თავი მოსჭრა და ტბის ზედაპირზე რომ დევის სისხლი მოეფინა, კოპალა ანუ იაქსარი ვეღარ ამოვიდა, მანამღინ ოთხ-რქა—ოთხ-ყურა ცხვარი არ ჩააჯლეს და მერე ამოვიდაო. ასე ურევენ ერთიმეორეში კოპალას და იაქსრის სახელს და თან ატანენ, რომ მათში გარჩევა არ არისო.

კოპალა პირველად უტილაურობის თავს დააჩსდა, სახელდობრი ირემთ კალოს. მის პირდაპირ ციხეთგორს მოსახლეობდნენ დევები. დევებმა კოპალას მოსულა რომ გაიგეს, აქ ციხე იშენეს და გამაგრდნენ შიგ. კოპალამ შემოუთვალა: თქვენ ჩემს პირდაპირ ნუ მოსახლობთ, თორემ ან თქვენ უნდა იყვნეთ და ან მეო. დევებმა შემოუთვალეს: აი შენ და აინ ჩვენ, და როგორც გინდა ისე მოიქეციო.

გაფავრებულმა კოპალამ ირემთ კალოდან ციხეთგორს იმათ ციხეს ლახტი ესროლა, მოახვედრა და დაანგრია. მანამღინ კოპალა იმათ დასახოცად აქ გამოვიდოდა, დევემა მიუსწრო კოპალას და უთხრა: „რას გვერჩი ჩვენს ადგილში, ან ციხე რად დავვიქციო?“ კოპალამ უთხრა: „ღვთიდან მაქვს ძალი და შაძლება და თქვენი ამოწყვეტა მოლოცვილი და ასეც უნდა მოხდესო“. მაშინ დევემა უთხრა: „აქ რომ ორი დიდი ქვა დევს ტოლები, ეს ქვები გავისროლოთ აქედან ციხეთგორს და ვისი ძალაც მეტი იქნება და ქვას შორს გავისვრით, ციხეთგორი იმას დაგვრჩესო. კოპალა დათანხმდა და ქვები გისროლეს, მაგრამ კოპალას ქვა დაბლა ვარდებოდა. ამ დროს კვირაემ მათრაბის წვერი მიაშველა და გადააჭირბა დევის გასროლილ ქვის მანძილს. ის ქვები ციხეთგორს არის ისევ, ერთად აწყვია და ძალიანაც გვანან ერთიმეორეს. დევი ამ ქვის გასროლას არ დაეთანხმა, რადგან კვირაემ უშველა. კოპალამ ურჩია კიდევ: „გირჩევნიათ აიბარგოთ აქედან, თორემ სულ ამოგხოცავთო“. დევი არ ეპოვებოდა

და გაბრაზებულმა კოპალამ მათს ბინას ესროლა ლახტი, გაუძინებული ცეცხლი და სულ დაწევა დევები. ვინც გადარჩენ გაიქცენ. იგი წა-  
მოეწია გზაზე და ყველანი ამოხოცა. ხალხმა გაიგო დევების ამო-  
ხოცა და ძალიან გაუხარდათ. ყველა მხრიდან მოდიოდნენ კოპალს  
სალოცავად და მოყავდათ საკლავები შესაწირავად. ერთი დევი გა-  
დარჩენოდა, რომელმაც მოინდომა კართანაში წყლის დაგუბება და  
წყალში ფშავ-ხევსურეთში მცხოვრებთა ამოხრჩობა. ჯერ ბლომაღ  
ქვები უნდა მოეგროვებინა და მერე შეუდგებოდა წყლის დაგუბე-  
ბას. დევი წამოვიდა და ციხეთგორიდან კოპალს ერთი დიდი ქვა  
მოპარა, დაიღო სახელზე, აიყიდა ზურგზე და მოჰქონდა. ამ დევს ერ-  
ქვა სახელად ავთანდილი. კოპალამ ეს ამბავი გაიგო, წამოეწია, ეს-  
როლა ლახტი და მოკლა. დევი იქვე ქვად გადაიქცა და ჯერაც „დე-  
ვის საფლავთ“, წყალში გდია ის დევი. მისი მოპარული ქვა კი აქვა  
კლდის ძირში არის დაგდებული. პატარა კოშკი აუშენებიათ ამ ად-  
გილზე და ილოცავენ კოპალს. ამ ქვას ჰქვია კოპალს ქვა. აღგიღის  
სახელწოდებაც ახლა ამ ქვის მიხედვით არის... ის ქვა... ისე არის  
ბუნებრივად გაკეთებული, თითქოს მართლა ეტყობა თოკის ნახვე-  
ვი ზედ, დევის ნასაბლარები და კოპალს ლახტის დანარტყამი.

ხევსურეთში ორი რწმუნებული კაცი იყო ვითომეც წმინდანე-  
ბი—გახუა ჭორმეშიონი და თოთია გაიდაური. ისინი წასულან და  
წამოუღიათ ოქრო და ვერცხლი კოპალს ქვასთანით. მოჰქონდათ  
ხევსურეთის სალოცავებში. ეს ამბავი დევებმა გაიგეს და გახუას და  
თოთიას დაედევნენ. წამოეწივნენ და დაუწყეს ლოდების სროლა.  
ხევსურები შემინდნენ და შემოსძახეს კოპალს. კოპალამ მაშინ მო-  
აშველა შუბნურის გველისფერი. ისინი იტყოდნენ, რომ ვეშაპი მო-  
ვიდა, შეებრძოლა ჩვენთვის გამომდგარ დევებს, გაანადგურა და გა-  
დავრჩიოთ. აქ ერთი ოქროს სამართებელი მოგვქონდა და ეს შუბ-  
ნურს შემოუთვევით და ამიტომ იყო გამოგზავნილი შუბნურის გვე-  
ლისფერი ჩვენს დასახმარებლადო. ის სამართებელი შევწირეთ  
შუბნურს. დანარჩენი თვალმარგალიტი კი სახმოოს და კოპალს გა-  
უყავითო...“.

ალ. ოჩიაური, იქვე.

### კოპალას დაარსება ლიცოკში

„...ფშავ-ხევსურეთში კოპალას ლოცვა და მისი სამლოცველო  
აღგიღები ძალიან გავრცელებული იყო. კოპალას განსაკუთრებით  
ილოცავენ არაგვზე კოპალას ქვასთან, უძილაურთაში, სახელწოდების



ირემთკალოს, ციხეგორს, ლიქოში და კარატის წვერ. კიდევ-ჟილია  
მოძმები და დამზმარე ძალები აუარებელი არის...

ლიქოში არის ერთი მაღალი მთა, რომელსაც ჰქვიან კარატის  
წვერი. ეს წვერი მთაზე პატარა დავაკება არის. ერთ მხარეზე გადა-  
ხდავს სოფელ ბულალაურთას — ფშავის სოფელს და მეორე მხა-  
რეზე ჩრდილო სამხრეთისაკენ ლიქოის ხეობას. ამ ფშაველ-ხევ-  
სურების და ნამეტნავად ამ ორი სოფელის აღგილს საზღვრავს ეს  
მთა — კარატის წვერი. მთაზე ზაფხულობით ამოდის როგორც ბულა-  
ლაურთის საქონელი, ისევე ლიქოკელებისა და ამ მთის სიმაღლეზე  
სანიაოზე დგებიან. აქ ამოდიოდნენ და ერთად საუბრობდნენ ორივე  
მხარის მწყემსები. ლიქოში კარატის ჭვარის კოპალას დაარსებამ-  
დენ, იყვნენ ლიქოკელი ახალგაზრდა ვაჟი და ბულალაური ახალ-  
გაზრდა ქალი, სრულიად ახალგაზრდები და ძალიან უყვარდათ ერ-  
თი-მეორე, როგორც და-ძმას.

ერთხელ ძროხები ყავდათ მათ კარატის წვერზე. მოესმათ რა-  
ღაც წივილი. დაინახეს რომ მათ მახლობლად ჩამოვიდა ზეციდან  
ერთი თასი და ვერცხლის ჯაჭვი. ქალ-ვაჟი ჭერ შეშინდნენ და მერე  
მივიდნენ ზეციდან ჩამოსულ საგნებთან, ამავე ღროს ისევ გაისმო-  
და წივილი და რაღაც ჭლარუნი. ქალმა აიღო შიბი და ვაჟმა თასი...  
მათ ეს ნივთები სახლში წაიღეს, მხოლოდ პირობა დასდეს, რომ  
არავისთან ეთქვათ ეს ამბავი, არც ოჯახში და არც სხვაგან. ქალმა  
შიბი მიიტანა და პურიან კიდობანში დამალა. ვაჟმა კი თასი თავის  
ჰერხოს კარების უკან დადგა და ზედ მოაფარა რამები, რომ ვერა-  
ვის დაენახა. დაღამდა თუ არა, ასტყდა ორივე ოჯახში წივილი, მაგ-  
რამ ვერ გაიგეს რამ გამოიწვია ეს წივილი. ქალი და ვაჟი ერთიმეო-  
რის აღთქმის გულისათვის არ გამოტყდნენ და არაფერი უთქვამთ  
მომხდარი ამბის ირგვლივ.

მეორე დღეს ქალ-ვაჟი ამავე მთაზე შეიყარნენ და უამბეს ერთი-  
მეორეს მთელი ღამე წივილის ხმაზე. მერე გადაწყვიტეს, რომ თუ ეს  
ამბავი გამეორდა, რაღაც მიზეზი იქნება და უნდა ეთქვათ თავ-თა-  
ვიანთი მშობლებისათვის. მეორე დღეს რომ დაღამდა, ორივე ოჯახ-  
ში ასტყდა საშინელი წივილი და ჭლარუნი. ქალ-ვაჟი იძულებული  
გაიდა და თავთავიანთ მშობლებს ყველაფერი უამბეს, თან ზეციდან  
ჩამოსული ნივთებიც აჩვენეს. მეორე დღეს ქალის და ვაჟის მშობ-  
ლები მკითხავთან წავიდნენ და მკითხავმა უთხრა: შიბი ორად გაეჭ-  
რათ, ნახევარი, საღაც პირველად ჩამოვიდა, იქ ჩაეგდოთ მიწაში და



ზედ პატარა კოშკი აეშენებინათ. ასევე ის თასიც აქვე უნდა ჩაეჭარება მიწაში ხოლო შიბის ნახევარი, დაბლა ლიქოში ჩაეგდოთ შემთხვევაში და აქაც ზედ პატარა კოშკი აეშენათ. იმათაც შესსრულეს მყითხავის დარიგება, დააარსეს აქ დღეობები კარატის წვერზე წელიწადში ერთხელ, მკათათვეში. ამ დღეობას ჰქვიან კარატეობა. დაბლა ლიქოში გაჩნდა წლიური ყველა დღესასწაულები, აყენებენ დასტურებს, ყველა დღეობებში იხარშება ლული, იხოცება საკლავები და ჩვეულებრივ სრულდება ყველაფერი. რადგან იმ მთას კარატის წვერი ჰქვიან, საღაც კოპალა პირველად დაარსდა, ამიტომ მას დაერქვა კარატის ჯვარი.

შიბი რომ წაულია ქალს და ბულალაურთას ჰქონია, იქ იგი მცველად დაუყენებია კარატის ჯვარს თავისი მოღე ქალის სახით. ქალი იმ აღგილზე დარჩა, საღაც შიბი იყო. კარატის ჯვარმა ის იქ აღგილის დედად დატოვა, ადგილის პატრონობა მას შიანდოვო. თვითონაც, როგორც მოდესთან, კარგი განწყობილება აქვს და ურთიერთშორის მისვლა-მოსვლაო. მყითხავ-ხუცესები ამბობენ, რომ ყოველ მეშვიდე წელს კარატის ჯვარის კოშკიდან ამოვა გველი და ბულაურთაში აღგილის დედის კოშკში ჩავათ. ამას მარტო წმიდა კაცები ვხედავთ და დანარჩენი ხალხი არ ხედავსო.

კოპალას ლიქოში ჰყვანან კიდევ დამხმარე ძალები: ლაშქარნი, გველისფერი და სხვ. ამ ძალებს კარატის ჯვარი იყენებს დევ-კერ-ჟებთან, ეშმაკებთან და თავის ყმების მტრებთან საბრძოლველად“.

ალ. ოჩიაური, ხევსურული მითოლოგიური გადმოცემები, რვ. № 10—11.

### პარატის ჯვარი

„აქ რო ხატის ლოცვილობა გაჩენილ, ის ქალ ყოფილ (საუბარია კარატის ხატის მპოვნელ ქალზე. თ. მ.) იმას ქვივნილ ნინო. წასულ ისი, შიგ ჯვარჩი მამკვდარ ბოლოს, დარბასჩი. ვეღარაით გამოუღავ. ქარებ მაუბომ, ვერ გამაუთრევავ. მემრ ჯვარს უბძანებავ — ჩემ ახლოს დაღმარხეთავ. კარატის ჯვარჩი ღმარხავ.“

ის ჯვარს დაუჭერავ ბალდი — წყემსი. ხატ მასვლივას ციდან. (ის რომ მამკვდარ, თმა იყვ იმისა შანახული, პირში ვერცხლის ღილა ების).

ჯვარ ხატის აღით ჩამასულ კოპალაი. ის ისრ ყოფილ, რო ზუ-  
ლალაურთის მიღმ სოფლები მდგარ. იქ წყემსობას რო შაიძლებენ,  
ორ ქალ-ვაჟს კარატეს საქონ უდენავ.

წყემსობას დადიანად იმაში ერთ ბატარა კოშკ გაუკეთებავ,  
ქვებისაი. მეორე დღეს ერთხან როსამ რო მისულან, ი კოშჩე  
დაყუდებულ ხატ ყოფილ. ის მფრინავ ხატ ყოფილ. ჩამასულ ხა-  
ტიდ ზე შიბი ხეონივას მიმბული იქით (ციდან). ბალლებ გასაოცრე-  
ბულან, აუყვანავ ხატი. გაგლეჭელ, მქარო გაშლა რო, ამოდენა შიბ  
თან ჩამახყოლივ, დანარჩენ გამხტარ, შაუქსნავ შიბი, დაუწყავ დავა.  
ქალ ლიქოვის აქათი ამასულ. მემრე უთქომ — წილ გავყარათავ,  
წყლიან ჯამ დავდგათავ, საისკესაც გადაიხრებისავ, იმას ჯვარი ხეონ-  
დასავ, მეორესავ შიბივ. ჯამ ლიქოვისკე გადაბრუნვილ, ჯვარ ქალს  
დაშჩომივ. მემრ გაქდილ ქადაგ ის ქალი, გაქადაგებულ; გაუგავ  
ხალხს. — მავკლავთავ უთქომ. ის ქალ ხან სად მალულ, ხან სად.  
ი ხატს თან უყოლებავ, ზატ ხან გაფრინდების, ხან მაუვ. იმ ქალს  
არც მეთვეურობის წესნ ხეონივან, არც ქმრიანობისა, არც მებოს-  
ლეობისა. ი ხატს უბეგრავ, უყოლებავ თუშეთში, მარანზე ჩასულ  
კახეთში, ყურძენ აუღავის. ხატს უყოლებავ ის ქალი. წავ ხატი,  
მიდის ქალიც. ქალ ფექით, ხატ ფრინავს. გზას ის ასწავლის. ქალმ  
რა იცოდ თუშეთ სად ას. რაიც სოფელი ას თუშეთი, სრუ ბეგარა  
უდებავ, ზოგან ცხვარი, ზოგან ვერცხლი. დიდოებ ამ ხატს მაუ-  
ქრისტიანებავ, მარჯულებულან. ვერაით გაუტეხიან ისენი. ომალოს  
დიდ გველჭანჭახნი, იმაში გველ-ბაყაყნ შამბულან. რაიც თუშე-  
თი, — სიმწვანე გადაუსხამ, მაუშხამავ. ვერაფერ ვეღარ უჭამავ  
(ხალხს). მემრ საათენგენოდ ხატიონნ გადამდგარან. ხატიცად ქა-  
ლიც ყოფილან.

— კარატიონნივ ელოში ჩამავიდესავ, მახიბლულ მაიქსნავ. რო-  
ცა ისენ ჩადიოდეს, — მაში მაიგსნისავ.

პირველ იმას (ქალს) აუტეხავ ქადაგობა მთელ კევსურეთში.  
გულანაც, კაქმატაც. იმ ქალს სრუ მუდამ ხატში უვლავ სალოცავად.  
მემრ ეკლესია დაუდგამ, დარბას გაუმართებავ, მემრ დღეობებ  
დაუწესებავ — ათენგენა, ამაღლება, სხვაი.

ხალხს არ უყენებავ ი ქალი. — ეს ვინ ასავ, ეგ რას ავლევსავ,  
რაიავ!.. ის ხალხ სრულ დაულევავ (ხატს). ხატთ ერთკე პეტკოელნ  
ყოფილან, — გაუთავებავ, მეორე კვათიონნი, ბაციონნი, მარნაულ-  
ნი. ისეებ გვარებ ყოფილას ხატს შამახვეულნ ყოფილან. იმათ ხატ-

ში სიარულის ნება არ უძლევავ ქალისადად ხატისად. ეეხლად დამულ კოპალას უჭერავ, ხატს. იმ ქალს არ უხუცებავ, ეეგრ საქა-  
დაგოდ უუბნავ.

ჯვარს უვლავ ხატის აღით, კოპალას.

ის ხატი ქალაქში წასულ. ქალ არ ტანებულ. ის ჩასულ ფრინ-  
ვით. უნდა ბეგარ დასდგას ხალხს. იქ ავადობა თუ ჩინდების, იქოცე-  
ბის ხალხი. რა ქოცს არ იციან. მკითხავ თუ ას ერთ მეცნარეე; ის  
თუ ეტყვის: იქ რო ტრედ დავავ (იქ ტრედის აღით უვლავ ხატს), ის  
აგებ რაით ჩამაიღათავ, იმისგან ასავ ავადობაივ, ისი გვიცსთავ.

— ვერ დავიჭერთავ?

— აი მტკავნის ფექ (კატის ფეხი) დახქარითავ.

დაუბალითებავ, დაუკრავ ფექი. ჩამავარღნილ ტრედი. წაუყვა-  
ნავ მჭედელსთან. უნდა მჭედელმ შაკრას, უსმარ გაუგდას მჯრებში.  
ამაუხარ მჯრები, დადავ გრდემლზედ, რუსმალ ჩაშჩარად რო მაუქ-  
ნივ, გატყვრ ე ტრედი, გაშჩინდ ცეცხლი, სრუ ჩამწვარ.

უთქომ რო—ე ტრედს ვერ წავიყვანთავ?

ჭარნ დავულლნათავ ორნივ. ის ჭართ უღელზედ შაჭდებისაოდ  
თაო წავავ.

დაუუღლიან ჭარნ ქალაქში, ამხტარ ე ტრედი, ხატის აღედ ქცე-  
ულ. წამასულა და შუაფხოს მასულ. ი ჯვარს იმის მემრ ხქვიან იაქ-  
სარი.

კოპალაის საყუჩ ბეღელთანაში ას. სანადიროში ხყვანივ დევს  
ქმა ავთანდილი. ი წიფელ გამაურევავ ჭალაში, შაუსრევავ კოპა-  
ლას ლახტი. გამაქცეულა გამაქანულ კევში (დევი).

იმ ადგილს ავთანდილის ნაქანს ეტყვიან“.

წიქა თოთიას ძე ლიქოელი, 98 წ.,  
b. აკუშ, 1944 წ., 27. IX.

### პირმუში

„მჭედელი ყოფილ, კაც ყოფილ ისი. ბაცალიგოში ყოფილ.  
ლექტ ეძახან ბაცალიგოსთან, სახლი, ნაშალი. იქ მდგარ ისი. ქევსუ-  
რებ გაბევრებულ არ იქნებოდ მაშინ.“

ქევსურებ პირველში ვყოფილორთ ლიქოელია და გუდან. მემრ



ზეისტეჩოში გადასულან, იმ დროებაში იქნებოდ. კევსურებში ვლამდე რო ყოფილიყვ, ეს ანდაზა არ გვექნებოდ ჩვენ.

მცედელ ყოფილ. იმას უჭედავ ისრის ზროები, ფურცხვები. თასებიც უკეთებავის იმას. თასი, იმის გაკეთებულ იქავ იყვ. დაიკარგ მგონევ. ბატარა დაღარულ თას იყვის. ის ვერცხლისა არ იყვ, ის სპილენძისა იყვ. ფუჭვიან რო ყოფილ, იმაზე თუ თქვიან პირქუში, არ ვიც რად ხქვიან.

სალოცავად ქნილას ისი. მამკვდარას მემრად გაძრიელებულას, სალოცავად გადაქცეულას, ძალია მრისხანედ ქნილას. დღესაც ის აშინებს სხვებს ანგელოზებს. ცეცხლიანი ას ისი, ცეცხლიან მათრაჯი აქვის. ჭირს აჩენს. ეხლა გონჯობას რო ვეძახთ—იმას აჩენს. ეგეთ საშიშ ანგელოზ რომენი ის არცყი ვიცი“.

ბაჭყურა ხანათის ქე არაბული,  
ს. ვველეთი, 1951, 12.VII, 70 წ.

### კოპალა და დევები

კოპალაც კაც ყოფილას. ლიქოკელ იქნებოდ. ქადაგებ ასე ბძანებდეს რო ჟაქმატი, გუდანი, კოპალა, გერგეტის წვერით გადმავიშვავ. გუდანსავ სანების წვერ მოულოცავ, კოპალასავ—ნაჯალის წვერივ. ისივ გალაღებულ გადასცდაოდ, კარატის წვერ დარსდავ.

„დევნ ზეპირად ყოფილან აქ. დევების ნასახლარებ უფრო იორზე ას, კიდობნის ოდოდენ ქვები.

კაწალქევის წყალ რო გამავის, იქაც დევის საფლავს ეძახან. იმ საფლავებში ძვლებიც ას, ქბილებსაც ვერ აუდავდით. იმათ კაცნ უზარალებიან. ლახტ გაუკეთებავ ღმერთსად ის გაღმაუგდებავავ ანგელოზთადავ. უთქომავ,—რომენიც მაგას აიღებსავ, დევებ უნდა კოცასავ. აუწევავ სხვებსად ვერ აუღავის. კოპალას აუღავის. იმისად მოულოცავ ღმერთს. წამასულ ეს კოპალა დევების საომრად. დაუკოცავ, საცა გასწევივას არაგვზე. ერთ ქვა მაუპარავის კარატის ჭვარშიით იმ დევესა და წაულავის. იმ დევის საფლავს დასწევივას კოპალაი. უსრევავ ლახტით კლდისად დაუკრავ. იმას თავ მაუხწევავ, უკრავს კლდისად, თვალ წამუთხრავ დევისად. იმ კლდეს ეეხლადაც ემჩნევის ნალახტარი.



იმის ამხანიგ დევ ავთანდილი ნადირობა ყოფილას გაღმიას გვერდზე, დევის საფლავთ პირდაპირ. ის ავთანდილ გამაქანულას, იმისადაც დაუკრავ ლახტი, ავდანდილის ნაქანს ეძახან იმ ადგილს. რომენსა თვალ წამასთხარი, ის დევ განქცევივასად აბუდელაურ ტბანი დგან, იქ ჩასულ. ჩაყოლივას ეს კოპალა. იაქსარსაც ეძახან, ორივ ერთი ას. ჩაყოლივასად იქ მოუკლავის ტბაში ის დევი, ველარ ამოსულას. მემრ იმის საყმოს ოთხ რქა, ოთხურა ცხვარ ჩაუკლავა და ამოსულ იქავ.

იმას ზეპირად გაუთავებიან დევნი, მიწა-მყართ მიუბარებიან. სულა გადაქცეულან, მანამდე კორციელნ ყოფილან.

დევთ ნასახლარებ მინახავ. იმათ ბოლოში კოშკ დგას, იქ კოპალას ილოცევდეს.

თვალ მაუპარავის გუდანის ჭვარს დევებისად. ორ კაც წაუყვანავის ჭვარს — ერთ გახუა მეგრელაური, მეორე ადიონათ მინდიაი. მისულან და შასულან იმ დევის სახლში. ერთ ბებერ დიაც იჯდავ. კბილნივ მიწაზე ესხნესავ. — ორ ასავ ავთანდილივ შინავ, თორე ვერ დასწონდითავ თქოევ იმ დიაცმავ.

ერთივ ყორეში შუკუნ იყვავ; იქ შავყავივ ჭელიო, ხან გველ გამაიყვანეო, ხან მყვარივ. ანგელოზ მაღიყვისავ თავსაო, გამავიყვანევ; ისივ თვალ ყოფილიყვავ, ხან გველად მეჩვენებოდისავ, ხან მყვრადავ. გამაუყვანავ ისი. დაქცეულან. მასულ დევი, გაუგავ. ვირბოლეთ, ვირბოლეთა, ხუილ მაიტანისავ რამამავ. ხან ქვას გვესრევ-დესავ, ხან ხესავ. ხუილ იდგისავ, გუგუნივ. მისულან გუდანის ჭვარში. რაღაც დღეობა ყოფილ იმ დროში. მაუხწევავ ის თვალი, მახყოლივ ის დევიც. გახუა დადგავ მარტუანოდ შურს უგდებდისავ დევსავ, ჩვენ არ მაგვიდიოდავ. ის დევ შამავიდავ ალაველვაკეშიავ (გუდანის ჭვარსთან ას ისი) და იქით სანეს გადმადგავ. ანგელოზივ დევს ელაპარაკებოდისავ. დევ ეუბნებოდისავ, რად წამართვივ, ჩემიავ. თეთრივ ნაბად ეხვივისავ ი დევსაოდ, ძაბრივითავ ქუდ ეხურისავ ნაბდისაივ. ანგელოზ ეუბნებოდისავ არ მაგცემავ.

— ჩემიავ, რატო არ მამცემავ.

— მაგას კი არ მაგცემაოდ, ხუთის ყმის თავს მაგცემავ. მიბრუნდავ:

— ქვემც მაგიკვდებივ, თუ ვერ გაგიათავ.

მიბრუნდაო, წავიდავ. იმ წელსავ ათ მაკვდავ ჭელოსანივ, ახალგაზდაივ.



ადიონათ მინდია აოდ გაქდილას. ერთუიცივ გაქდილას. **გაეყვავა**  
ნაქელარ აჩიყვავ. დევმ მაქლავ ისიცავ. ადონათ მინდია შეღლუსულ  
ყოფილ. ის გახუას გახყოლივ—მარტუას ნუ გაუშობავ. დაკარგული  
ის თვალი. გაუწყვეტიან. დევთ შეერივ ეს ადგილი. შასახედავად  
ყოროლნ ყოფილან. ბეჭვი სხმივავ პირისახეზედავ. არც ტანისამოსივ,  
ბეჭვ სხმივავ. სხვადავ კაცთავით ყოფილანავ, სახე კაცისა ხქონიავ,  
მარტო ფექებ სდგომივავ უკულმავ. ზოგივ ერთ თვალიანივ, ზოგივ  
სამივ. კვნა-თესვა არ სცოდნივ, საქონ იმათ არ ხყვანივ. კეც კაცნ  
ყოფილან ისენ, ვინაც ჭედდეს.

ჯლანა დევის სახელი. ერთ კაც უკენაქოელ ყოფილას; იმას ეჩ-  
ვენებოდეს დევები. იმის ნაუბარი. რჯული ხქონდავ, მეც იქ წამიყ-  
ვანესავ. ჯლანაურშიითავ ჯლანა მაიყვანესავ (იორზე ას ჯლანაური).  
იქავ ნაცნობებმ დევებმ დამმალესავ. ერთმა თქვაევ კორციელის  
სული ასავ და უთხრესავ სხვებმავ, რო აქ ასავ ჩვენ მეგობარივ,  
ჩვენ ერთგულივ, ნურაფერს ეტყვივ იმასავ. ის რჯულიც ჭევსურუ-  
ლად იყვავ. მეც სიტყვა გავღრიევ ი რჯულშიავ.

ბაჟყურა ხანათის ძე არაბული, 70 წლ.,  
სოფ. გველეთი. 12.7.51.

### დევებთან ზეხვადრა

ხოლიგაის მამა ყოფილ კისტან დასტური. ის წავიდა თურმე-  
საქონი გალალა. ხოლიგა კი კალოზე ყოფილა. იმას შემოხვდა დევი.  
ისე მოვიდა, როგორც ნისლა ხარიო. აბა ვიჟიდაოთ—მითხრაო. ერ-  
თიმეორეს შევებით და ბოლოს გალახვა რო გამიბედაო,—მამიშჩე-  
მის სალოცავო მიშველე — ვთქვიო, და გონებაც წასვლოდა. თურმე  
ნატოტრები გულისპირზე ჩამოლადრული პქონდაო, მამის სალოცა-  
ვი რო ახსენა, თავი მიანება იმას, თორე მოქლავდაო.

მემრ იმის ძმა ყოფილა, შატილისკე თურმე მიდის. შავ ნაბდიან  
რაიმ მადიოდავ. — გამარჯობა თოთაო, მითხრავ.

— გაგიმარჯვასავ.

იმას რო გავსცდივ, ტყრიალ მამდიოდავ, გონზედ რო მავედივ, თმა  
ტყრიალებდავ, ისე შავშინებულიყავივ.

— ალექსის დედის მამას შავხედრივ დევი გუროს ჭალაზე. მემრ

ლეიტონის მუზეუმის ფოტო

დაქარგულ ის კაცი. სამი-ოთხის დღის შემდეგ უნახავ. თურმე დღის იმის მამა, იძევენ წყლებში. ბოლოს სადღაც ერთ კლიფის მიმასულ, ჭალაში მისულ, გიჟივით იყვავ. რო მავიღავ, ახლოს არ მამიღავ, ძლივ მავიყვანევ ახლოსავ. იმის მემრ სრუ ეშინოდავ. ლამე რო ამავიღოდავ გაიგონებდავ: — დაიცადევ! შაშინდებოდაო, გამიმიცეოდავ. მემრ ბანზეით გადავარდად, მაკვდ. დევს აბრალებდეს“.

გიგია ჭინჭარაული, ს. შატილი, 1951 წ.,

### დევ-კერავი

„საკერაოს კერპების ნაღვომია, დევებისა რაღა. რაკი დევები იდგნენ. მანდ რო კვერი დაჰკრიანო, ძვარი-ძვური გულამაყარს მოდიოდისო,—ისეთი სამჭედლო ჰქონია. მამული არა ჰქონია, საქონელი კი ჰყოლია, კარგი მჭედლობა სცოდნია. ალბათ თავის საქმე თუ ჰქონდა რამე. ხალხს კი არ მიჰქონებია. ხალხი არ უშვია, თავისი ადგილი ყოფილა, წარი და ძროხა კი ჰყოლია, ცხვარი არა ჰყოლია.

მემრე რო შაწუხებულა ხალხი, უთქომ რა ვქნათო. შაყრილან, დაუკლავთ საკლავი, უთქომთ, — ლამის დევებმა დაგვჭამონო. ამდგარან მემრე, სამას სამოცდასამი ხთისშვილი შაყრილა:

შაიყრებიან ხეთისშვილი სამას სამოცდა სამია,  
შაიყრებიან დევები, საცა დიდ მოედანია,  
მოდი და ბადე გავაძათ, სუ შავკრათ ფშავის წყალია.  
კვირიმ ლახტი გააკეთა სამისი ლიტრიანია,  
ჩველომ ასწივეთ, დაეწივეთ, ვერ გაუყარეთ ქარია,  
ბოლოში იაგსარი ზის...  
იმან ასწივა, დასწივა, იმან გაუყარა ქარნია...

კვირამ შეულოცა მემრე, შვილო, რო მიეცა დიდი ძალია, საქომიდან დაარტყა და ააზინა მტვერია, — საკომიდან დაარტყა სამას ლიტრიანი მედგარი.

ერთი კიდევ გამშექცა, გადაირბინა კარია,  
იმასაც გამაუყოლა, კლდეს ააფარა თავია.  
კლდე ოთხათ გაანაფოტა, დევს გამოსთხარა თვალია.  
კიდევ სცოდნიყო რჯულძალლსა, ბუდელაურის ტბანია.

დევი ჩავიდა ტბაშია, თან ჩაჟყვა იაქსარია.  
 იქაც ბევრები გაველიტე, სისხლით გამება მჯარნია.  
 შაწუხდა საყმო-საგლებო, — დავკარგეთ იაქსარია!  
 მოიყვანეს და ჩაძლეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია.

მაშინისა-ლა გეექსნა იაქსარს მჭრები, ამაიბერტყა მჯარნია.  
 კარის თავივით რამ გააკეთა ტბის თავზე.  
 საკერპოს დევები იაქსარსა და კოპალას გაუწყვეტია“.

ნიკო გიორგის ძე აფციაური, 78 წ.,  
 გუდამაყარი, ს. წინამხარი (გოზიტანი),  
 15. VII. 63 წ.

### ფუძის ანგელოზი

(დარსება და მისი ბრძოლა დევ-კერპებთან)

„ჩვენ აღრე ქევსურეთში ვყოფილვართ. ფუძის ანგელოზი არავის არ გაუგონია. თურმე ძროხა დაჰკარგა იქ მცხოვრებელმა, საცა ეხლა ბრძანდება. ის ძროხა მივცდა და იმაში ქბო შობა, საცა ეხლა ხატია. დაღიან, ეძებენ და ვერ მოქელეს. მემრე მიაგნეს, შახვდა პატრონი, ქბოა მოგებული. დევზიდა პატრონი ი ქბოსა და ვერ ასწია. ეზიდება, ქბო არი, იმის აღება რაღა საქმეა, ვერ ასწივა. გაანება თავი, მივიდა და შეეკითხა ხალხს: ძროხა მოვქელეო, ქბო მოუგიაო, ვერ წამოვიყვანეო. — ქბოს როგორ ვერ მეტრიეო, დედა მტრისასაო! წავიდა, ვერც იმან აიყვანა.

— ვერც მე ავიყვანეო.

უფროსმა უთხრა: აბა წავიდეთო და უთხრათო: — ემ ფუძის ანგელოზოო, მოგვეც ნებაო, რო წავიყვანოთ ეს ქბოო და გილო-ცავთო. მივიდენ, ისე უთხრეს და წაიყვანეს ქბო. მაშინ უფროსმა უთხრა — იმ ფუძის ანგელოზი ყოფილაო. იქ დაარსებულა, მემრე უჩენია თავი. მემრე გაძრიელდა და გამძლავრდა. ეგ ისე-თი ხოსტვილია, რო საზღვრებელი დადის. ყმა იყოს, უყმო ყმა იყოს, რო ააქსენებს, უშველის... შაშინებული კაცი მოიფიქ-რებს, რომ მიშველისო. — გამიჭირდა დამიშველეო! იმ წუთში იქ დაიბადება, ცეცხლის სახით ნახავს. როგორც ადამიანი, ჩვენ კი ისე გვეჩვენება (დეკანოზებს. თ. თ.) ჩერქეზულად ჩატმული,



ოქროსფერი ქული, ოქროსფერი ჩოხა-ახალუხი, მასრებიანი. შემცველება  
ნიერი ისეთი, იტყვი—ამას უყურო.

აბა ეგ არი დეე-კერპების მებრძოლი. ბაკურქევში დევები  
მდგარან, — საკერპოში. იმისი მლოცვი არ უშვია იმ დევებს,  
ფუძის ანგელოზისა. აქეთაზე დადენილან, რიდებიან. მემრე შაი-  
ყარა ხთისშვილები, ფუძის ანგელოზმა მაწვია ხთისშვილები.  
დეეცნეს და გაწყვიტეს ისენი — და გზა მიეცა. თვითონაც საცა  
ბრძანდება, იქ დევების ნასახლარებია. იაქსარმა უთხრა: ამაში  
შენ დადექ, თორემ ისევ გათხსლდებიან. დაბინავდა ესეც, მა-  
გას ვინ წაუვა, სად წაუვა!

უკანაპოში, სადაც სამკვიდროა, სოფელი ჰქონიათ — დევებს.  
აღამიანებივით ყოფილან, ოლონდ ფეხები უკაა ჰქონიათ, ცერი თი-  
თები არა ჰქონია. ამათგან არი მოგონილი ეგ მჭედლობა. საცა  
კი იდგომებოდნენ, ყველგან სამჭედლოს გაკეთებდნენ. მანდაც  
ყოფილან. აღამიანებივით ყოფილან. მანდ, როგორც ჩეენ ვლო-  
ცულობთ, ისე იმ დევებს იქ სალოცავი ჰქონია. შაყრილან დევე-  
ბი იქა და ულოცნია“.

ნიკო ივანეს ძე ბექაური, 68 წლის  
გუდამაყარი, ხ. თვარელანი, 14. VII. 63 წ.

#### დევების განადგურება ფუძის ახვილოზისა და იაქსარ-კოპალას მიერ

„საკერპოს ეძახიან, ბაკურქევს არი სოფელი. მაგაზე ცხრა  
ძმანი დევები ყოფილან და არ უშვია მლოცვი იქითქენ და საჩა-  
ლის ჭალაზე დამდინარან. ისენი ხალხივით იყვნენ მცხოვრებლე-  
ბი. იცოდა ხალხმა რო ისენი დევები იყვნენ და ყველას ეშინოდა.  
ეხლა რო არ უშვია ხალხი, მემრე კოპალე მოუწვევია ფუძის  
ანგელოზს. ეგენი ძმანია კოპალე და ფუძის ანგელოზი, იაქსარი კი-  
დევ ფხიტურზე შაყრილან ის ხატები. ფუძის ანგელოზს უთქომ.  
მე ჩავალ ეხლა საკერპოს იმ დევებთან, თქვენ აქ მომიცადეთო  
და თუ გამიტირდა, მამეშველეთო. რამდენიმდე დრო დაუნდშ-  
ნია. არ გადასულა იმ დრომდენა და დაუქოცია ფუძის ანგელოზს  
ლახტით. მემრე ცოტა შაპვეგიანებია. წასულან და შაპყრიან გზაში  
ფუძის ანგელოზს კოპალა და იაქსარი. ეხლა იმ ადგილას ხა-  
ტიონს დასვენებენ, დროშებს დაასვენებენ, ქადებსა სერავენ,

ხატს აღიდებენ. სასადილოს ეძახიან იმ ადგილს. როგორც აფაშიშვილი ნები კოპალე და ფუძის ანგელოზი გაფიცულან ძმად; ერთხმად მართვა გაუჭირდება, მეორე უნდა დაექმაროს“.

პავლე აბრამის ძე წიკლაური, 71 წ., გუდამაყარი,  
ს. მაქართა, 14. VII, 63 წ.

### ზარმოდგენი დევები

დევებს ხქონივ ფეხებ უკენისკე, ბეწვიანებ ყოფილან. სახე-ზედაც. ზორბები და უზარმაზარებ ყოფილან. კევსურეთში არ იყვ თურმე იმ დროს რკინის მჭედლელი. ის დევებ იყვნეს რკინის მჭედლები. თუ ქალ არ მივიღოდ, კაცებისად არ უჭედავ-შაის-წავლიანავ კევსურებივ, კაცებს თუ გაუჭედეთავ. ისენ ჭედდეს ცელს, საკვნიელს, საკვეთელს, საკნავ-სათეს იარაღებს. ხორნაულებ რო არიან, იქ ხქონივ სამჭედლოები. ხალხს სცოდნივას, რო ესენივ დევებიავ. იმათ ქალი ხყვანივ კევსურს. უთქომ ი ქალს, რო ჩემ ჯალათას შენ ნუ წახოლავ სამუშაოდავ. არავ,—არ დაუჭერებვ და წასულ. ის დევებიც თურმე მკიან. ის კაც თურმე მკის, ოღონდ ცოტას, ისეებ ბევრს. ცოლეულებსთან თურმე მკის. ამ კაცმ თქვა,—რა ამბავიავ, მეც კმუშაობ, ცოტას კმკიავ, თქვეო ლმუშაობთ, ბევრს ხმკითავ. ერთხან უთქომ, ორჯერ უთქომ. მესამედ რო თქვა, დააყოლა: — დიდება კობალაო, და იმ კოპალამ დაწყვიტ დევები, ცეცხლ აშჩინდავ იქაურობასავ. იმეებს ქალებ უძლევავ კევსურებისად. უმუშავებავაც ერთად, ოღონდ შიშ ხქონივ იმ დევებისა—მახკლევდეს. კევსურებ თუ მეეროდეს დევებს, მარტო თოფით, სხვად არ. მთაში ბევრად არ ხქონივ თოფები. თოფებით ურიდებავ. თუ მახკლევდეს დევეს, დევებ თავს არ შარჩენდეს. თავ თუ ეკიდ დევებისაი, მაინც აუცილებლად უნდა მეუკლ. თუ შემთხვევით კაც შამააკვდებოდ დევეს, ისიც თუ ემალებოდ, როგორც კაცი. ეხლაც იციან ზოგ კევსურებმ: დევსავ ჩვენ თავი ხეიდავავ, არ შამააყრებისავ.

მანამ კოპალა გასწყვეტდ, ხალხთან გამაცხადებით იყვნეს, ეეხლა აღარ არიან გამაცხადებით. დევებს აშინებენ: კოპალა, ფუძის ანგელოზი უკენაფოური, ართხმოში ღალანგური. დევებ მთელ კევსურეთში ყოფილან. დევ ყოფილ ჭეკვეთში, მაუკლავ ვისამა, გაქცეულ.



შემყენთონ ყოფილ. იმან ვერძ თუ დახეპი. იძივად მაჟელ ჰუსტა  
ზე საღამ. წამიაყვან, მარცვალ ჩაუსრისად გაუკვირდ. — პატენტის  
რო, — უთქომ ერთუთცივ ვისამ. დევ ვერძად მაშჩვენებივ. გადმა-  
მხტარ ეს პაპკიაური (ცემყენთონის გვარი), ორჯერ დაუკრავ ქმა-  
ლი. ორჯერ უნდა დანკრას, მესამედ უნდა უთხრას, რო სამე-  
ბამ დაგისამასავ. ის პაპკიაურ გამაქცეულ, მისულ სახლში, შაუს-  
წვრავ, კარ მაუკეტავ. პაპკიაურ ყოფილ იმათ გვარი. ჭინჭარაულო-  
ბით ეწერებიან, ისე კი პაპკიაურები, ჭინჭარაულები“.

გიგია ჭინჭარაული, 40 წ., ს. შატილი.

### სავადასება ცხოველი დავაზხვე

„დევთ ნასახლარები ციხეგორ. ანდრეზი. კოლ-კოლიავ, იტყვი-  
ან. სახლებ სადგომივ. რეინა უჭედავ დევთ. საქნისი, საკვეთელი.  
ქევსურებიც ყოფილან. დიაცისად რაიც არ, არ უჭედავ დევებს.  
დიაცმ თუ მიიღის სამჭედლო, მაში უჭედავ. ქალ წასულ. შაუხეხე-  
ბავ იმაში. მიუღავ გასაჭედი. შაუხენებავ აი ფექთადა, ესიც არ ასავ  
კაცივ, უთქომ. გამაქცეულ აი ქალი, გამასდგომივ დევი. შაუძახ-  
ნებავ:

— კოპალაო მიშველევ! მაში მისწვდომივ დალოცვილს ხთის ნა-  
სახსაც შაძახილი, გაუმაღლებავ საგმირო, ჩაუცეცხლიან, მიუღახ-  
ტიან, მიუდუგიან. ერთ ამა ჩაძრომივ, ერთ ხორნაულთას. ხორნა-  
ულთას სადაც ისი ჩამდვრალი, ალაგის სახელიდ რაიმ იციან, აიმაჩი  
უნთებენ აი ზალს. როშკიონნიც რასამ უნთებენ. კაცებ ქვეთუ აში-  
ნებდეს აიმეებს, კაცს ანგელოზ თუ ხპატრონობსად აიმაად თუ არ  
უჭედავ კაცებისად.

რო შამახკედომიყვ კაცს დევი, იმას კარჩი გამასავალ აღარ ექ-  
ნების, სრუ მაიყარაულებენ იმას.

ერთ ღელიონ კაც ყოფილ იმას ცხვარი ხყვანივ. იმისად  
იცოდეს, რო იმსავ მინდორში შამამავალს ხყვანივავ შაურილიო,  
შამბული ხყავისავ. იმან თუ შაძახნ კოპალას. გაქრავ ჭელში-  
ითავ. დილა მავედიო, აიმ ალაგშიავ კაცის ოდენა ნაცარ იყვავ ჩაშ-  
ლილივ.



ლიქოკური მეებისად მებძოლი. ღიღგორულიც ლურჯების ხორნაულთას აი გაჯეითი ყანა რამ ას, ის უწნავ კაცს, წამ-დგარ ციხეგორ ი დევი.

— „ფალუხ ვინა ხწნავ ყანასა,  
აგიტებ ლვარი-ლვარისა.

წამდგარ ე დევი, დაუფსამ. აიქ გასწვდომივ.  
ქარნიცა აი მაქნავიც სრუ წამაუღავ. მაში შაუძახებავ: გმირო კო-პალაო მიშველევ. კაცს უწნავ, რა მაღვონდებოდ. ე ქარნიც შენ იყვნანაო, მიუციან. მემრ ე ქარნ ჭვარისად შაუწირიან. აი მაში მიუ-ლახტიან კიდევ. ქო გაუთავებიან აი დევნი.

დევების სახელად გამოგონებავ ბერა, ბაჭიჭაური, ჭიბილოე-ლი“.

ძილა ბერდიას ასული არაბული.  
ს. ქმოსტი, 28. 7. 51 წ.

### დევის ზოლები

„უკენავოს დევების ნასახლარები, იმ ალაგს ვეძახთ დინიფხოს. დინიფხო დაბლად ას. იქ ერთ მცხოვრებელი. მასათიბ მთა ასა და ერთ მჯაროშე მარტო ტყეო. იქ ნასახლარები, ქვები დიდიდები, რი-ყის ქვები შამასხმულები, ძალია ზორბა ქვები. გამოვ თითო ქვას 20 ფუთი. ის დევებ დღე არვის არ უნახიან, მარტო ღამით შჩვენე-ბივან. ერთ დედაკაც წასულის, ძროხა ხყვანივ დაკარგული. ქმარ წინაწინ წასულ. ალარ მასულ ქმარი და ისიც წასულ იმის სა-ძევლად. შახვედრივას გზაში იმ დედაკაცს დევი და ქმარი ღვილე-ბივას. უთქვამის, რო ამაში დავწევათავ, დაწოლილან იმაში, რო-გორც ცოლი და ქმარი, ისრ. მემრ ორნ შვილნ დაშჩენივან იმას, ორივ ვაჟები. კოჭებ უკუღმ ხეონდავ. ისენ ხუთის წლისან რო ქნი-ლან, სრუ წყალში ისხედესავ, ჩავიდიანავ, ხან ამავიდიანავ. პურ-საც იქ ჭამდესავ. მემრ დაუჭოციან ისენ ქმარს, რო ესეებ რეებიავ, როსაც ჩემებ შვილებ არ ასავ. ტანად ზორბებ ყოფილან. ტანი-სამოსს არ იჩენდესავ. გარეთიავ ისეთ ბალან გამაუყიდავ, რო-გორც მატყლივ. საუბარიც იცოდესავ, ხოლოთ აცა-ბაცეთ ლაპა-რაკობდესავ. ზოგ სხვანაირად თქვინავ. მემრ რო დაუჭოცნიან



ისენი, ღამე გამაულავის უკენაქოს ჰევზე დევს ტირილით, პატარის ვაიგაგლახით. მაში უთქომ რო შვიდ თაობას მაგყვებითავ, რო და-მიქოცეთ შვილებივ. მემრ სრუ საშიშ იყვ, რო მახლევდ ჩვენის სოფლის კაცს, უცებ რო შავხვედრიყვ.

ფუძის ანგელოზისგან ნება არ ხქონდ დევებს, რო შავეხვე-წებოდით რო მაგვეჩვენებოდ რა, დაიკარგებოდ, გაქრებოდ ისი.

დევების სახელად გამიგონავ ჯაბაგანი, ფაცხვერი. ჯაბაგანი იმას ქიენებულასავ, მოხუცებისაგან გამიგონავ, ქმრის მაგივრად რო მეეჩვენ. ფაცხვერიც ძმა ყოფილ ჯაბაგანისაი. იმ ფაცხვერს არა ჩაუდენავის, როსაც დედაკაცს მაშჩვენებივას, იმისად უთქვამის რომავ ძმაი მყავავ კიდევავ ჩემზე გამეტებულივ; — ფაცხვერივ.

ყოფილ კიდე ცარქია ქვინებულას, ცოტა ჭკვანაკლებ ყოფილასავ ისევ.

„დევებს ცარქია მაუკედა  
უცოდარ იყვა შავბნელი.  
— მაგას ცხენნ უნდა ურბოლნათ  
აიმას ფიქრობს ფაცხვერი.  
საემაო იყვა ვაევებო,  
ძალი ივჭალით საქნელი  
კოპორტში შაისუენებენ,  
მიხა ხყავ სუფრის გმშლელი.  
ჩვენ კელადათ რას გვარებს, —  
ქვეერით მაილეს სასმელი.  
სარმაზე გადაისრიეს  
ერთ სისენიფხავა ქართველი,  
წინ მარბის საჩალოელი  
მოგელისაობს შავ ცხენი.  
ერომანეცს ეუბნებიან:  
— წავიდა ძალის ნაშენი!  
ჯაბაგანს დაუკარგავის  
წელთ მასახევევი სარტყელი,  
წელთ მასახევევად მაუნდა  
სამის მანათის საბელი.  
თვალივ გამაელენ წყალშია,  
საც იყვა დიდი ნალელი,  
ჩვენ ხო ვერ გაოლთ ქიდზედა.  
ცხენთ არ გაუძლებს ფაცხერია.

მიხეილ გიორგის ძე ჭინჭარაული. 55 წლ.,  
უკენახოელი, ს. ბაცალიგო, 1. 8. 51 წ.

„ერთ კაც ყოფილ, ძმობილ ხყვანივ. თაო კისტნელ ყოფილ. უძახებავ, რო ნადირობა წავიდათავ იმ ძმობილს. ის გაუგონებავ დევს. წამასულად ძმობილის გონიბით აშჩქადომივ შუალამისას, რო აბა წავიდათავ. გამასულ ისი. ქართულ თოფ ხეონივ. ის თოფ გამაუტანავისა, წასულან. უვლავ ჭალაზე ღამით. ხან რო გამავიდავ, ბუხვადაო, ბუხვად ჩქამობა დაიწყაო, გამისხვარიგდავ. ღამე იყვისავ. წინავ ვერაით ვერ დავიყენევ, სრუ უკენ მეღვისავ. მემრავ შავხენევ ფექთაოდ, კოჭნ უკუღმ ხქონდესავ. შამამებავ კიდევაცავ, ვეღარ წახოლავ — მითხრავ. შავიბენითავ. თოფიც მქარზე მეკიდისავ, ზოგჯერავ ძალია მაგრა შამაწუხისავ, რო წაქცევა, გამიბედისაო, ზოგჯერავ ძალია შორისკე გაფრინდისავ. მემრ გავიგივ რო თოფ რო წვერ-იმისკე იქნებოდავ, მაში გამიხტებოდაო, შაშინდებოდავ, როსაც არავ, ჩემსკე მავიდოდავ. მაუბრუნევ კიდეცაო, მავსხლიტევ. ცეცხლ გასჩინდავ მაშივაოდ, დაიღრიალავ. მემრ სრუ ერთკე-სხვაკნითავ გორებშიითავ, ტყეებშიითავ გუგუნ დადგავ — ქვეც მაკლავ, არიქათავ. გამავიქეცივ მიავ ქვიავ, შინისკედავ, — სახლში აგებალ მივასწვრავ. მივედივ, ვერ მამეწივნესავ, სახლში მივასწვერივ, კარ მავკედევ. ყვირილ იყვისავ სრუავ, ლრიალივ. ბანზე შამაქდესავ მემრავ, რო კარ მიუკედევ, აი ჭერნივ მიწაზე დაისხნესავ — მეგონისავ, ისეთ დგრიალ იდგისავ. რო გათენდავ, წავიდესავ მემრავ, მაშორდესავ იქითავ. დევებ თავს არ შაარჩენდეს. შვიდ მამამდე მოგყვებითავ. ისიც ვიც რო დევებს ორი ხყავ კისტნელ მაკლული. მაკლულებ მაუკელავის, ნაცემები, დალურჯებულები. იარალ დაკრულ არ შეიძებივ იმათ.

დევის სახელად გამოგონავ აბრამი, დევის ჭალის სახელი შანში. შანშე ყოფილავ ჭალივ, იმას უტირილებავავ თავის ჭალ რო მაუკვდავ“.

ხთისო აფშინას ძე არაბული. 37 წლ.,  
 ს. ბაცალიგო. 1. 8. 51 წ.

### პირქუშ კაც ყოფილას, ოქრომჭედელი — ქევსური.

„პირქუშ კაც ყოფილას, ოქრომჭედელი — ქევსური. წმიდა ყოფილას. ალბათ წმიდად იყვ. სიყვდილიდგე ალბათ გადაიქ ხატად. გადათოჭნილ დაშჩ ი პირი. პირდატყრუშვილი. იმას არ უნდოდ ჭალების შალხევარ. კაი ახალგაზრდა ყოფილ, ჭალებს

სდომინივ, მაგრამ იმას ქვე არ მოსდენივ ჰქვაში, რომ იმათანა ჟანტურია ლიყვ. წმიდად უნდა ყოფილიყვ, შაულხევლად. შაუყრავ ღმერთს იმისად ბედნიერი; პირტრუში და პირქუშ გამავიდ. მემრ ქონდიდ წმიდადათ გადაქცეულას, ღმერთს მიუცავ ნება, რო ანგელოზად გადიქცასავ. იმის ნაკეთებ თასები, ზოგ ხალხს ხატებში უზიდავ. ღმერთისად რო შაუთხოვავ დაწამებაში ნუ მიმიყვანავ, ბედნიერად გაშჩენივ. კაცებ რო არიან ხატები, ეგეებ სრუ სიწმიდით გადაქცეულება ჯვრებად. კაქმატის ჯვარიც კაც ყოფილ. სხვებ ქალებ ქაჭავეთით მასხმულები ხყავ. მარტო ეგ სამძიმარიდ ეგ ყოფილან კაციშვილები. ისენ ყოფილან წმიდანი, მარტო ორნი. ალბათ წმიდად იყვნეს. მკითხავებსაც ატანებივებს:

ამაში შეონდა შაძლებაიო,  
კშელეთხე ვიარებოდიდიო,  
საცოლედ ვეწონებოდიდიო,  
გუათ ემარია ვეგონიდიო.

კოპალის გმირობა ხთის კარზეით უთხოვავ. შაძლება შაუმჩნევავ მაგისადა, ანგელოზთ შაუთხოვავის, რო სავმირო მიეცივ მაგასავ. მაგას დაუწყვეტიან დევნი, ზეპირ რო უდენავ. როშეის გორცხვან ძმან ყოფილან დევები. რკინის მშედელნ ყოფილან, საჯნის-საკვეთლებ უჭედავ. ხოლო თუ ქალ არ მივიღოდ, კაცისად არ უჭედავ. არ უვლევავ ქუდიან ახლოს. ალბათ ქალებ უნდა შეეცდინად აყვარებდეს თავს. ქალებს სცოდნივ რო დევებიავ, მაგრამ მშედელ არ ყოფილ სხვა. საჯნავ რკინა უკეთებავ, გუთნის საჯნის-საკვეთლები. ზეპირ უდენავ, მარტო როშეის გორზე მდგარან. ციხეთგორაც იმათ ნადგომი. როგორც კაცებ, ისე ყოფილან, მარტო უკუღმ ფერებ ხეონივ. თორპილზე სრუ თმა სხმივ. იმეებსაც საჯნავებ ხეონივ. იმეების გაეთებულ საჯნის-საკვეთელით მაიკნოდ, ერთ ფერ ყანას ორ თავთავ ემბოდ, ეგერ ხო ერთ თავთავს იბომს ერთ ფერ ყანაი.

იმით მაიშორეს დევებ, რო ქალებს დაუწყეს წამებაი. ისე მახიბლეს, რო ქალებ კიდე თაო მირბოდეს იქისკე. ეს ხთის ნაბადებთაც იწყინეს. შასთხოვეს მერიგეს ღმერთს, რო კარატიონსავ ძალა მიეცივ, გაგვიუწმიდურესავ ყველაივ. ხატებში შამდინარან, ლუდ არ გაუწირავ, ის უსომ, ხატებში რო აღარაფერ მაქელულას, სადაც უდუღებავ ლუდი, იქ. მაში შამჯღარან ხთის კარზე. კვირაე შასძ-



ლოლივას წინ, კვირაეს შაუქდენიან. უთხოვავ მერიგისად რო შეატყობინოს  
ში ჭიქა-დიდებან აღარ გვქონავ. რასაც მოხარშევდეს, თითო  
ბოჭკა, თითო თასად უსომ. მონებ ბაჭიჭაურებ ყოფილან ისენი.  
გაშინ მიუცავ კარატიონისად საგმირო ლახტი. ცეცხლის რაღაცა  
ას გაკეთებული; ცეცხლს გააჩენდ, როდესაც დახკრევდ. კარატონს  
უჯობნავ ლონით სხვებისად. შაძლებულ ყოფილად იმისად შაუ-  
ვლავ. მაშინ ის კაც აღარ ყოფილას კაცი. ეგენ გერგეტის წვერით  
გათავთავადებულნი ეგ ხთისშვილნი.

ის იაქსარი წინწინაზე როშკის გორ ცხრა ძმათ შასტანებივას,  
იმაად რო იმათ ჯვარ-ჯვარისკარი, ქალ-ზალ გაუუნამუსოებავ. ქორ-  
წილ ხქონივას დევებს. იმ დროს მისულას. გადაუხენებავა, საზა-  
რელ ყოფილ, — ვერ დაუწონავ. მისულას სადაც ანგელოზთ კრე-  
ბაი, იქად,—ნეტა რას იქსავ იაქსარივ, თუ ამბობენ. მივიდა კარებში  
უყურებს. შასცხვენდა, დაბრუნდ უკუღმ. რას იზმოდ, ხო არ  
გამაცხადდებოდ ანგელოზებსთან სირცხვილით. რო მივიდად აკოშკა-  
შიით გადაღრივ ლახტი, ზედ დევეც ის სახლიც. მთელნ ამასწყდეს  
ერთიანად. ერთ გამეეხვეწ, გამეექცად დაბრუნდ. აღარ შაუძლავად  
ისიც უნდა დალახტას. კლდეს მეეფარ დევი. ესრიევა, კლდე და-  
ხეთქ იმ ლახტმად თვალ გამასთხარ დევს. წავიდ ეს დევიდ აბუდე-  
ლაურ ჩავიდ. იქამდე მიხვყად ტბაში ჩაუვიდ. უნდა ამოსულიყვ,  
მაგრამ სისხლ ამახფინ ი ტბათად აღარ გაუშვ ი სისხლისგან.  
დარჩ შიგ. გაიგეს აი ანგელოზთაცად ყმათაც. დევწყმიდეს ძალიან  
ერთკე-სხვაკესად, უთხრეს მკითხვავებმ: ოთყურიანიდ ოთხრქა ცხვა-  
რი დაკალითავ. მიუდგეს ფშავს, ჭევსურეთსად ვერ იპოვეს. ოთხ-  
რქა ბევრ იყვად ოთხყურა კი არ. იარეს მთელი ფშავ-ჭევსურეთ-  
იყვლიეს და იშოვეს ბოლოს. წაიყვანეს ისიდ დაკლესად გაღაასხეს  
ი სისხლი. ჭამით გადაასხეს ი სისხლი. ტბათ შუაში ბროლის ქვაი ას,  
შამაჯდ იმაზე. მაში ძლივ გამაუქსნავ. მემრ დაუწყავ დავა დევებსად  
იმას.

„ხთის კარზე შავიყარენით  
სამოცდასაში ხატია,  
კარმადგეს სასწორ-ჩარექი  
კვირავ დაუგი თვალიო,  
მე ხუთი უთხარ კვირასა  
გარმამიმეტა სამიო,  
თვერამეტულუთიან სინასა  
ძირზე გაუგდი ქარიო.

დევებს ხქონიყვა ქორწილი  
 რა მონა დამდებს ფერით.  
 ცხრა თავ ხყვანიყვა მამია  
 რა მონა საშინჯველია.  
 — რას ჩაის იაწსარიო!  
 შამცვენდა, უკენ დაებრუნდი  
 გადაუქციე უამიო.  
 საკემით ლახტ გადავესრივე,  
 ზე დავაქციე ბანიო,  
 ერთ კიდევ გამამენცვეწა,  
 აღარ უბრუნე თვალიო.  
 საგმირო გამამიმალლდა,  
 კლდეს მააფარა თავიო  
 კლდე ოთხად დავახეთქიე,  
 დევს წამოვსთხარე თვალიო,  
 კარგად სცოლნიუვნეს წყეულსა  
 აბუდელაურ ტბანიო.  
 ჩავხყვა, ამხედ ვეღარა,  
 სისხლჩი ჩამიბნა მჟარნიო.  
 ჩემ ყმანიც კარგად ეცადნეს,  
 აღარცრა მაგათ ბრალიო.  
 მაიყვანეს და დამაკლეს  
 ოხრქა, ოთხყურა კხვარიო,  
 შამავჭე ბროლის ქვაზედა,  
 შამავიბერტყენ მჟარნიო,  
 ღმერთო შენ მამეც კარატეს  
 შიბ-თოკვა გასავალიო.  
 იმაზე ეგრე გავივლი,  
 ვეღარ მამიდან თვალიო”.

„შიბ-თოკვა თუ გაუბ კარატით“.

მასაქეთ ციხეგორზე გაკიდულან ლიქოკ, დევებიდ კარატიონი;  
 იქ ას კიმს. ქვა გამავისრივათავ უთქომ. რომენიც უფრო შორად  
 გამავისრევთავ, იმისა იყვასავ ე ციხეგორივ. მუჭისლელე უძილაურ-  
 თის თავ ას. ი მუჭისლელით უსრევავ ქვა ციხეგორ. ას ქვა დევის  
 საფლავთ ძეს. დევებს მაუპარავ ის ქვა. ჭერ დევებს დაუბარებავ  
 ყველა, ვინც შამძლე ყოფილასად, კმალა მასულას. შადარდდავ  
 კარატიონივ, რო ქმალა მავიდავ. ქმალა დევ ყოფილას. მახკვალევ-  
 დავ აი მიწასავ, რო მავიდოდავ. იმას ელოდდავ აი დევებივ. გამა-

უსრევიან აი ქვანი. ჯერ დევს გამაუსრევიან, მემრ კარატიონშესუსტებული  
უსრევიანად დაბლა თუ რჩებოდეს ი ქვანი და კვირაეს მათრაქის  
ტარ წამაუკვრად დევის გასრეულ ქვათად გადაუცილებავ. ი ციხე-  
გორ მაში გამაუწყვეტიან. მემრ დასდებივ საფარველ ი დევებს.  
დაუწყავ საფარველით სიარული.

დევებს ისრ უყვარებავ თავ, რო ძალად მისდენივ ქალები.  
ბოლოს ეებლა ბიძურათ ქალს დაღმოუყვრებივას საბალახოს ჭალას.  
იქ წყემსობა ნამყოფს დაღმოვყვრებივას. მამულნ სრუ ბიძურათანი  
ხატთად შაწირულნი, — გუდანაურისად, კარატივლისად. ი ქალმ  
თქვისავ რომავ, ცოფ გამჩინდისავ, ისრ შავწუხბდიდივ იმისკესავ,  
რო არ მავიდისავ დროზედავ. მემრ მამულნ შაუწირიანად ანგე-  
ლოზნ ჩამაშველებივანა, გაუწირვიებავ...

დევებ რო ყოფილან, მაში ფშავ-ჭევსურეთ მუედელ არავინ  
არ ყოფილ. დევთ, კაცთ რო, ეგრ უდენავ, განა მალულად ყოფი-  
ლან. თავ-თავის სახლებ ხეონივ. გუდან ეხლადაც ხყვანივ გაიდაურს  
გამობილებულ დევი. ძმბილ ყოფილ. შამამჭარ. გაიღურ სად  
ასავ, ჯვარში ნაბად წამოხურვილ კაცი. — სად ასავ გაიდაურივ,  
— არ ასავ აქავ. გადაიარავ სჯარეშიავ, მემრ გადმაჩინდავ—ჩემ ძმ-  
ბილს უთხრიდითავ გაიდაურსავ — ერთა მასრუა კი გადავსვიო,  
ჯიჩლაის წყალთამც შავკდავ არ მგონივავ, რო არ დამათვრასავ.  
შაუხენებავ მაშიავ, რო შასულ, ხალხსა, დასწვდავ, ერთ კოდ იიღავ.  
კოდები, 30 ფუთ ჩადის, მაიყვდაოდ გადასვავ. მაში ხყვანივას გაძ-  
მბილებული.

ლიქოელ ყოფილას ომაი. აქით დიაც ხყვანივას ნათხოვი. აქა-  
ურ ქალი. იქ მამკალ ხყვანივ. დაუბარებავ, — ლუდ მეჯნებისავ, აქ  
მეედივ. მამკალთ რო პურისჭამა გაუთავებავ, მემრ გაუბედავ ში-  
ნაობა. შუალამე იქნებოდ მაყრილი. უბრუნებავ, ველარ დაუბრუნე-  
ბავ. წინავ ხათრიანნ ყოფილან. არ უძრახავ სიძე-სიმარს ერთმანე-  
თისად. სიმამრს უთქომ — დაქელთულ ხო არ ასავ, დილა წავიდა-  
სავ. არას უშლივ. წისულ ძალით. საგუდანო გზაზე ქვეში მისულა.  
ქევს რო გამქდარ ცხენ ვეღარით გაუცლევავ, დამდგარ. — გაი-  
რევ, ცხენს თუ ეუბნების. — ვეღარ გაივლისავ, ბაჭიჭაურს უჭე-  
რავავ, აზძრახდომივ დევი, გარმაუხენებავა, ძუა ხეონივ, ი დევს  
წატაცებული. ცხენი დგასავ. გარმამფრინდალას აიმაშია მახველ-  
რიან ერთმანეთსა, მაუვლავ კლ ხანგრისად—დაუცავ, დაუხან-  
ჯრავ. გაქცეულ, გადამგდარ ცხენზე, ერთიანად აძრახდავ ცარვალივ

თაო მამდიოდისავ — არიქათავ, კაც მაკლესავ! გამასდგომაზე მარტინი  
უკენ. იმას ჭორმეშავ მიუსწერავ. სახლჩი შალვარდნივ ჭორმეშავ,  
მაუკედავ აი კარიც. ი ბანზე გამაიარავ ერთმავ. ძმა თუ იყვ დევი-  
საი, აი ბანმავ ჭახჭახ დაიწყავ, დაიკეცავ აი ბანივ. აი სანაპირო-  
ზეით ჩამამდახნავ: განაევ ომაო, შამისწვერივ სახლშიავ. განა მანდ  
ვერ შამავიდოდიო, კარ-კედის დამტვრევა არ მაქვავ გამწესულივ.  
დიდხან კი არ შაგჩებისავ ჩემის ძმის მაკვლაივ, არ შაგარჩენავ.

დილამდე იქ დამრჩალ. დილა წამავედიო, ვეღარ უვლავ.  
შინ ყოფილ ამ ზამთარ-ზაფხულ შიშით. გაზაფხულ საცა წვივიდი-  
დივ საქმეზედავ, ცალთბე ისარმ დაიწყისავ მადენაივ. გაზაფხულ  
რო მასულას, შეშობა წასულ, შეშის საჭრელად. პურ ამაუტანა-  
ვად, პურის საჭმელად შამდგარ. რაქლად რაივენივ, მძინარივ. რო  
გონთ მავედივ, ტყრაშნ იქნესავ. ავატყერენივ თვალნიო, ატანი-  
ლივ აი ქელივ უკულმ მიხქონდავ. არ იცოდიავ ომაო, — მითხ-  
რავ—რო ჩემ ვალივ დიდხან არა შაგრჩებოდავ. შინ მისვლიდგე სი-  
სხლ ამაუთხევავ, მამკვდარ მეორე დღეს.

დევებ რო ყოფილან, ხალხ ყოფილ, თორე ვს დაუწყებდეს  
ჭედას. დევებ უფრო მალე ყოფილან. ქევსურნ მემრ გათესლებუ-  
ლან. ბევრან ყოფილან ისეები, დევებს ეძახან მაგათ. დევნ უსე-  
რონი არიან, ეგენ სერფრიანნი. მაგ ქაჯთ კაი ადამიანის სერ ფერ  
აქვ საღამ”.

ბათურა არაბული, 68 წ.,

ს. ბაცალიგო. 4. 8. 51 წ.

### კარატის პეპარი (დაარსება)

„დევებ ქაცებ ყოფილან. წინავ ხალხ თავთავეად იყვ. წვრილ  
ხალხიც იყვ, დიდებიც. დიდიდ ხალხ გამამდინარას, დიდიდ საფ-  
ლავებ იქელების, ბაჩალში სოფელიც ას. საფლავებიც დიდიდები,  
დიდიდებ ქვებ იქელების. ფშავაც უცხოვრებავ, ქევსურეთაც. ცი-  
ხეგორ, სამალის გორ ყოფილან. ამაწყვეტილ გინაც იყვ. საქმე-  
საოც რას აკეთებდეს, ჰეცნ იყვნეს ისენი. აქ არა ხქონივ სამჭედლო-  
ები. როშვის გორ ყოფილან მჭედლელ დევნი. იკოპალა წმინდა გიორგი  
ყოფილ. თათარ ქვე ყოფილ. მანათლულ ქრისტიანის რჯულზე.  
გმირი ყოფილ ისიც. დევებზე კიდე მეტ ყოფილ. დევობაიდ გმი-

რობა იმას ხქვიან დიდად შამძლები. ის წმიდა გიორგი შიგეტეტე  
რებივ დევები — ნუ ხართ ცუდებივ, ნუ სჭამთ ხალხსავ, ნუ სწოვთ  
სისხლსავ. იმაზე უჩხუბებავ დევებსა და გმირებს შიგიშიგ. ძღლე-  
ბიც იქელების, სხვა არა ამაღის, არც ჭურჭელი, არც იარაღი. მარ-  
ტო ქვაია და საფლავ ამაღის. კოპალა გმირი კაც ყოფილ. კოპალა  
იმაზე მაუქვინებავ, რო კომბალი აქვ იმასავ, ლახტ რო ხქონივ, —  
ვითამ კომბალივ, კომბლით ხქოცსავ. ჯერ გმირი ყოფილ. მერე რო  
მახუცებულას, წმიდა ბერი ქნილას. რო მამქვდარა. ლოცვა დაუ-  
წყვავ იმის სულისაი. იმას ვეშაპიც საღლაც მაუკლავ. ხალხის მჯო-  
ცელ ვეშაპი. სიკვდილიდგე ის ანგელოზად გადაქცეულ. მემრ ცე-  
ცხლის სახედ გამასცხადებივ, ჰალაის-სოფელ ჰალსად ბულალაურ  
ვაუს. კარატე რო გვაქვ, იქ საქონ უდენავ. ჰალაისოფლით ჰალს  
წაუსხამ, ბულალაურთით ვაუს. ერთად თუ შაყრილან. თამაშობენ  
თუ ეს ჸალ-ვაუნი. შრიალ რო დადგაოდ ცითავ ცეცხლ ჩამოჩნდავ  
შიბის აღითაო, ხატის აღე კი ყოფილიყვაო, საზარეი დგას, იმაში  
დეეტყერავ. ჩაუხენებავ, ის ვერცხლისა ღონებივ. არა მე წავი-  
ღებავ, — არა მთავ, არ დაუნებებავ ერთუცისად. მემრ წიწანა ხქო-  
ნივა ძროხა გამაუწველავ, ის დაუღგამ, — ეს დავდგათავ, წუხრ  
წაგასხათავ საქონივ, დილისადავ საისკესაც გადაღვრილ იქნებისავ,  
იმას ხქონდასავ. რო არ დაიღვარასათ? მაში სხვა-რა მავიგონათავ.  
ის ხატიც იმაში დაუდვავ გვერდი. დილა რო შამჯდარან, ლიქოისე  
გადაღვრილ მაუქელავის. დაუცავ ქალს ჸელი, გახარდომივ. ჩაუ-  
სომ ის ხატის აღით გუდაში. წაუღავ შინ, გარეთი შაუკიდებავის  
ი გუდაი. მამა თუ დავამავმ იქ. იმ ჭაცს მთიბლურს ძახნილან. ქალს  
მინან ქვინებულ. უხაწა-ფხუწ იდგავ აი გუდაშიავ.

— ფრინველ დაიჭირიაევ? — უთქომ ი ქალისად.

— არავ, სხვა რაიმ მავჭელევ. მაუქსნავისა, ხატი მჯდარ. ახტე-  
ბოდაოდა ჩავადებოდავ. ამაუყვანავ ი ქალს. გაქადაგებულაც.  
დაუწყავ ღაბუშობა, ხან საისკე წასულა, ხან საისკე. იმას დაუწესე-  
ბავ კარატეიც. კარატის ჭვარს იმით ვეძახთ, რო კარატე ხქვიან იმ  
ადგილს, საცა ისი კარატის ჭვარი, კოპალაივ, — არავინ იტყვის.  
ისრ ას, როგორც არხატის ჭვარი, მიქაელი ხქვიანა, არხოტის ჭვარს  
ეძახან.

პირქუშ იორზე მდგარ — ხილიანას ეძახან, იქ ყოფილ მჭე-  
დლად. იქ ვერცხლ უჭედავ იმას. გადაანგელოზებულ ისიც რო მამ-  
კვდარ.



ციხეგორ ქვა-ლოროლი, სხვა კი ოღართი დამჩრჩალი. ქვა კუნძულით მართვა როი ხყრავ. პირდაპირ დევთ საფლავები. კიდობნის ოდოდენ ქვებ უყუდავის ზედ. გზა ადის, ციხეგორის პირდაპირ ტყიანში ას. ერთ საფლავ ყოფილიყვ ცოტაად ჩატეხილი. იმაში ვხელნე, აღარა იბა-დებოდ.

თათარ აძიას შე ლიქოუელი,  
ს. ქოშულო, 18. 8. 51.

### პრეობული გასაღა დევებზე

„დევების ნასახლარებ არხოტ არ ას. ის იცოდიან, რო ნეთხი-  
ნოთ დავიდობისავ დევივ. ზენ რო ციხეი დგას, აიმაზე გადმიარ-  
ისავ. ჭურჯიაულ შინ ასაევ, უძახის თუ ზენუბნელთ,—ქუს შინ აქ-  
ვაევ,—ვითამ თოფთი. ჭურჯიაულის თოფ აშინებდისავ. ჭურჯიაუ-  
ლივ თუ შინ იყვაისავ, ხო ნიადე გამავარდებოდავ, თუ არაოდა  
ჭვარშიავ ლულიანებს კოდებშიითავ ლულს სვემდავ. იქ დავიდო-  
დავ. კლდეში ყოფილ. ნეთხინოს უფრო იცოდიან ეშმაკიანიავ. მემრ ისეებ გორულმ ჭვარმ აღარ მაუშვავ; ანაბრივ მანამდე დაარ-  
სებულ არ იყვ. ის ნასახლარებ რაისაიც ას, ისეებ დიდიდებ კაცებ  
ყოფილ.

ერთ ამღთონთ ყმაწვილს დედ-მამა ხყვანივ ჭალის. აიმის ჩა-  
სახენებად წასულ ი ვაჟი. წითელთანას დევ მისულავ. დევის ქალ  
ყოფილავ. ძუძუნ გარმაუყრიანავ. ყმაწვილს დედა ლგონებივად  
მასაწოვად წასულავ. აუყვანავ დიაცსა, დაუკარგავ უ ყმაწვილი. უძევავე ყმაწვილი, ვერ მაუქელავ. ამღის პირდაპირ საწყევართ  
წამამდგარ გორჩე ი დევის დიაცი, უძახებავ:

„წამაღგა ბექის თავზედა  
ჩაირ-წინდევების ჭარიო, (ყმაწვილის მაძებარი)  
წითელთანასა ჩაედით,  
სარქე გყავთ საძებარიო“.

ჩასულიან იქა, ი ვაჟას ი სარქე (თხემი) კლდეთად შამანარცხე-  
ბულ ხქონივად, იქ მაუკლავ.

ის კი იციან, რო დევსავ ჩეენ თვი ხეიდავავ. ბერდიშვილთავ  
დევ აღარ მახკლავსავ. ის ბალღ ბერდიაშვილთა ყოფილ.



ჭუთით მაეს დაღამებივ ახვით იმედას.—ნაბდიან კაცობრების  
ვიდავ. სად მიხოლავ, — უთხარიო, დაიკარგავ, ჩაუყვავ აი რიყე-  
სავ. მაშინავ რო ბერდიაშვილთა არ ყოფილიყვავ დახქელოვდავ  
იმასავ.

გამიგონავ, აკუშელთ ქალმ თქვაევ ერთმავ, რო დევ დაძივი-  
დოდისავ. ველარაით მავიშორეო. მემრავ ცხვარში ვიყივივ. რო წა-  
მავიდავ ჩემსევდავ, აიმაჩიავ ერთ დიდ ვერძ იყვავ ცხვარშიივ, გა-  
ვექეციო, აიმ ვერძსავ რქა მავსტაცეო, — კოპალაო, თუ ამას მა-  
მაშორებავ, ესივ შენდ შამისახელებავავ.

ჩემ დედამთილ იყვ შამსწვირალი; იყვავ რაიმავ დევთ შაქნი-  
ლივ. ამბობდავ, ბაყბაყებდავ რაიმ დიდივ. იცოდიან კი ოხოტ, რო  
აკუშელთავ დევ მახყვებისავ.

ამა შელმათ მახყვების დევი. კლევდაც, დაუვიდოდაც კორჯით,  
ჭიმლის ჭორქით. შელმათა უნდა ვინ მაჟლას. დევის თავი ხიდავ.

ჭუთას წამიყვანესა, აიქ თქვეს, რო შელმათ მარტიასავ დევ  
შახყრივავ, შალმბივავ. მახვედრიყვნესავ ერთუცსაო, კალაში გაყ-  
რილიყვნესავ. მავიდავ იქითავ მარტიაოო, აქაც მაატანავ.

კაცის ალით ხედვენ. იციან რო მაგათ საფარველ არ ედვავ წი-  
ნავავ.

სანალირო ჭაპანს ზიღვენ, ლვედი ას. ეხი ერთი, ტერლასა თუ  
ბისნას. იმაში მემრ ჩასვალი. იქ ყოფილან თამარისძეი, უშიშ-  
ძმანი, ბერდიშვილები. ჩემ მამის შინშნი. იქ იმ ეხში დაღამებივ.  
უთქომ რო ჩავძრნათავ რაიავ იქავ. ჭაპან მაუხვედავ უშიშას. წინ  
უშიშა, უკენ მარაისძეი. უშიშას უთქომ, ჭაპან დამიჭირევ. ჩაქრეტილ  
რო ჩადისავ, — ჩავხყვებივ. რო ვიძახავ — ამწიევ, — ამწივიდივ.  
აიმაჩი, წასულ ე უშიშაი მიხყვ ეს თამრიზძეი; ჭაპან კელჩი შექრივ  
თამარისძეს. ჩაუხენებავ ამ უშიშასა, ქონ დევნ არ ყოფილანა. უში-  
შამ თქვისავ, რო ჩაგხენევ, ათ დევი ჭელსავ, იქნევსავ, ერთ ძგარ-  
ძგური დგასავ. ჩავხენეო, დიაცი ზისავ ერთივ, ეემისისქ-სის-  
ქე ბარკალნი ხეონავ ტიტველნივ. ეგრ დიაცი ზისავ ოთხ ქვე ჭედ-  
სავ კაცივ. შამამხენესაო, ეემოდენა ხეონივავ თვალებივ (ორი ხე-  
ლით პეშეს აკეთებს). ჭერ დიაცმ მნახაო, მემრ კაცებიც შამამიბ-  
რუნდესავ. — ამწი — უძახებავ უშიშას თამარისძისად. უწევავ  
იმსაცად შამამედარან ზეთი. აიმაჩია, მიუცავ ზალპი ჩაქრეტილ-  
ჩია, ჩაუთოფიან. გიორგათად — დევ-კერპთ მთოფავნივ — იციან. აი-  
მას იქავ გვაყვედრებდეს. ეეგ ქვე იციან, რო გამაუწყვეტიანავ. უში-



შასა — თამარისძესავ. დევნ ხო დაუქოცან. მემრ ბაბუქურ შემდგრევის  
კოლიკაურთა, თოხავაურნ იყვნეს. ძალია გათქმულ მენაღირე იყვ.  
ბერავ ქვე იყვის. ის ეს უძევავ, განა ყველამ იცის. შახვედრივ იგ  
შენ ბაბუქური, არც დავშინდივ თქვისავ. თამარისძეი, უშიშა საცა  
დამდგარიან, იმაში მირგვალ იყვავ. მემრ უფერ გასავალ იყვავ. ი  
რო უთოფიან იმაში დავდეგიო, იმის ძირ რა წამიყვანდავ. იმედაიც  
ახვათა მისული. შიგ კი არვინ ჩამდერალ.

ჭაპან დაწნულ ლვედი ას მენაღირეები ზიღვენ, თოფ-იარაღზე  
შამბული აქვ, ზუბუქიდ მაგარი, კარის ტყავისაბ. ჭაპანთ ეძახან.  
თუ ლვედია, შოლტ ეძახან. სამად დაწნული ის ჭაპანი. მჯარზე  
აქვ დაკიდებულ ის ჭაპანი.

ეეხლა გოორგან ქვე ილევიან, აბა რაად უნდოდ ეშმათ თოფ-  
ვაი, ბერდიშვილნი ჩვენ, მძანი ორთ გაყრილნი; ისენ ვითანი  
ჩვენ ქვე ვილევით.

დევების ნასახლარებ არ ას არხოტ. ეხები ჭალას, იქ ცხოვ-  
რობენ ალბათ“.

ლელა სულხანის ასული ბალიაური,  
ს. შუაფხო. 5. 9. 51.

### კოპალა და ჯლანა-გედელა

„დევნ ყოფილან ქევსურეთში სრუ, მანამდე ე კოპალას,—გმი-  
რი გახთიშვილებული, — არ გაუღუპიან. ზეპირ უდენავ. მემრ კვი-  
რაე ხევანივ შუამავალი. შაუყრიან კოპალაიდ ჯირანა ბეღელაი. ცი-  
ხეთგორ დევნ ყოფილან. გამაუსრევიან ქვან ბეღელასად, ჩამაურე-  
ვავ. კოპალას გამაუსრევავ. შაუცილებიან დევის გამასრეულის ქვი-  
სად.—კვირაემ წამამიქრავ მათრაქის წვერივ, ეეხლა ატანებიებს ქა-  
დაგს.

წასულან ციხეთგორ. კოპალა მისვლივ დევებს. დაუწყავ ვარ-  
ჯიშობა. უჯობნებავ კოპალას. გაუწყვეტიან. ერთ ქვა დაშენივ დავ-  
ლად. წამოსულ დევ წასატანად, წაუტანავ (სკამი დევის საფლავთ,  
კართანას ეძახან იმ აღვილს ფშავლები. იქ ნასახლარებიც ას დე-  
ვებისა). გაუგავ ხოის კარზე კოპალასად გამოსდგომივ, უნდა გაასრე-  
ვივას ქვაი. მიუტანავ იმასაც დევთ საფლავთ ქვაი, უკრავ ლახტიც  
კოპალასად გაუწირვებავ იმაში (იმაში, სალოცავი ას). იმაშიით გა-  
დაუვლავ კოპალასა, დევთ დედაბერ ჯარას თუ ძახს.—რასა სძახ-  
დედილო, — თუ ხეითხ კოპალამ.

— შეიღების მშვიდის ბაწარსა ვგრეხო.

— სადა გყავო?

— ერთ ციხეგორ წავიდავ კოპალის ქვის მოსატაცებლად, ავ-  
თანდილ კი ნადირობად წავიდავ.

დაუყარაულდ კოპალა ავთანდილსაც. მაღის ავთანდილი. ერთ  
მყარზე წიფელი აქვა, მეორეზე ნადირი. ესრივა, გამაგორდ დევი.  
წამაიღ წიფელი, სხვა რაც იყვ. ავთანდილის გამანაქანს ეძახან.

იქაურ დევ თუ ას ცხრა თავი. ჩაუსაფრდ კოპალის. გაიგ ი კო-  
პალამაც, რო გზაში ჩამიწვავ ცხრა თავ დევიო, გზა უნდა უქცივავ.

— სად მიიპარებივ კოპალიო, — თუ უძახ დევმ.

წავიდ კოპალიაც. დეექალნეს ერცხვასა დილი-წუხერამდე იომეს,  
კოპალამ აჯობ. წავიდ, იმაშიით მშვიდობით. იმას ზრო თუ დეელივ  
(კოპალის), წავიდ, მჭედელ ყოფილ პირქუშ. იმას სამჭედლო თუ  
ხეონდ ბარში სადამ. მიუვიდ კოპალა, რო ზრო გამიკეთევ. არ გაუ-  
კეთ პირქუშმა, შამასწყრ ე კოპალია. გაიგეს დევებმ, რო ეგივ ხთი-  
შვილიაო, აღარც კოპალა უშველსავ. დაიჭირეს ე პირქუში, წაიყვა-  
ნეს ქორქში. გაიგ კოპალამ. წავიდ იქით. ათასნაირად მეექც, მაგრამ  
იქ ვეღარ გაიმარჯვ. მემრ იქით გამწყრალებულ დევ თუ შახვდ.

— როგორ გაიმარჯვებავ თუ დახვითხ კოპალამ. არ ასწავლ  
იმან. მაკვლა დაუპირ კოპალამ, მაში ასწავლ.

— შენ გაიმარჯვებავ იმ დროსავ, რო ხესავ ანგრილ (ჩრდილი.  
თ. მ.) გაუსწორდებისავ, იმ დროს ბანგს დალევენაო, დაიძინებენავ.

მაიქც კოპალაიც ისრა და გაიმარჯვ, გამალუპნა, გამაიყვან ის  
პირქუშიც“.

სალირა გიორგის აქ არაბული, 62 წ.,  
სოფ. ზეისტერი. 10. 8. 46 წ.

### შუბლები

„შუბნური არის გველის სახით. ეს მოუყვანია თუშეთით. თუშე-  
თიდან მოსულა ერთი თათარი. მას თურმე შეხვდენ მათზე ლაქოკე-  
ლი მწყემსები და დაუპირეს მოკვლა. მან სთხოვა: „ძიმაო ნუ მომ-  
კლავ“. ძიმა — ძმას მაგიერ იხმარა, რადგან ქართული კარგად არ  
იცოდა. რაკი ძმობა შეასწრო, წამოიყვანეს და ადგილი მისცეს თავის  
ცოტა მოშორებით და დაბინავდა იქ. ამას შეუყვარდა ხევსური ქალი  
და მასთან შვილი ეყოლა. ხევსურებმა ის მოიძულეს და თავისთან



არ უშვებდნენ. მაშინ შუბანი იყო დიდი სოფელი, ასე რომ საჭრები კომლი ცხოვრობდა. ეს სოფელი უფრო აწუხებდა „ძიმას“. მოსვენებას სრულებით არ აძლევდნენ და იყო ძალიან დაღონებაში. შეუყვარებული ხევსური ქალი კი ცოლად მოყვანა და მასთან ყავდა ვაჟუშვილები ცხრა. მათ დაერქვათ ძიმასძენი. და იყვნენ ძალიან ამაყი და კარგი ვაჟკაცები. ძიმას მანამდის შვილები მოეზრდებოდნენ, განიცდიდა ძალიან შევიწროვებას. გადაწყვიტა წასულიყო და თავის მტრებთან საბრძოლველად თუშეთიდან მოეყვანა შუბნური ჯვარი, კოპალას მოძმედ. წავიდა და იქიდან ვერცხლის თასი წამოიღო და ჩუმად იმათ სახლში მიწაში ჩადგა, ვისიც ჯვრი ჭირდა. ისინი იყვნენ სამნი ძმანი. ამ თასის ჩადგმის შემდეგ ამოვიდა ერთი იფნი შუა კერაში. ძმებმა მოსჭრეს და გადააგდეს. მეორე დილით ისევ ამოვიდა იფნი და ისევ მოსჭრეს. მესამედ რომ ამოვიდა, გველი ამოჭყა და შემოეხვია ზედ. მათ იგრძნეს, რომ ქე რაღაცა ამბავია და გამოიკრიბნენ სახლიდან. ერთ ძმას ჩალხი ერქვა, მან სახლს ცეცხლი შეაყარა და დასწვა. თვითონ კი ცეცხლი რომ წაუკიდა, მაშინვე წავიდა იქიდან. შორს რომ გაიარა, მიიხედა—ნეტავ რა ქნა ცეცხლი რომ წავუკიდეო. მიიხედა და ამ დროს ცეცხლის ნაპერწერალი გამოფრინდა და ეცა ჩალხის ცხვირზე. ცხვირი, რომ დაეწვა, ხელი მოიკრა, ცხვირი მოვარდა, დაბლა დაეცა და დარჩა უცხვირო ჩალხი.

ამის შემდეგ შუბანიდან აიყარა სამოცივე კომლი და ადგილი დაიჭირა შუბნურმა ჯვარმა (შუბნური არის მწევარნი და გველისფერი) და ახლაც მის ხელში არის. ამ გველს ხანდახან თვალით ხედავენ. ერთხელ თურმე მოდიოდა სოფელ კარწეულთაში მცხოვრები კვირიკა ლიქოკელი და ნახა კვათის ბოლოს მწოლარე გველი, ძალიან დიდი, დიდი თვალები ჰქონდა და კვათეს ხედავდათ (კვათე ადგილის სახელია). კვირიკამ თურმე სამი ქვა ესროლა, სამივე მოარტყა და იმან ყურიც არ უგდო კვირიკას ქვის სროლას. ხოლო კვათეს კი შეცყურებდა ისევ. კვირიკამ ქვების სროლას თავი დაანება და შინ წავიდა. არ გასულა ერთი კვირა, რომ კვირიკას სამი შვილი მოუკედა, ორი ვაჟი და ერთი ქალი. ხევსურებმა ეს ამბავი მიაწერეს გველისათვის ქვის სროლას. ამის შემდეგ ლიქოკლებმა თუ დიდი გველი ნახეს, ყველა შუბნური სალოცავი ჰგონიათ, გველს არ კლავენ და აქ გველები საშინლად თურმე გამრავლებულან. ეს გველი ვითომდც წელიწადში ერთხელ, გაზაფხულობით ჩაიღლის ლიქოების წყალზე. იქ კოპალას სასვენეს დაათვალიერებს და გავა იქამდინ, სანამ ლიქოების



წყალი დიდ არაგვში არ შეერეოდეს. მერე ბრუნდება უკანვერა წყალ და წყალ და მივის სამკვიდროში შებან.

შუბნური კოპალის ემორჩილება და მისი განკარგულებით ძალიან ეხმარება კოპალის და მის საერთო ყმებს. თუ სადმე ვინმე ლიქოელი კაცი განსაცდელში ჩავარდება, ან შუბნურს შამასძახნებს და ან კარატის ჭვარს, ისინი მაშინვე გასცემენ განკარგულებას, ან მწევართ დაახმარებენ და ან გველისფერს“.

ალ. ოჩიაური, იქვე, გვ. 129—132.

### პირქუში და წყაროსთაული

„პირქუში პირველად იყო კაცი, მცედელი ყოფილა, სახელგან-თქმული და ამასთან ხთის მლოცვი. ხვთიდან პქონია გავლენა დევ-კერპზედაც.

უკანაფშავს მდგარა ერთი თავადი და დევები თურმე ავიწროებ-ლენ მას. დევები იდგნენ უკანაფშავის სოფლის უფრო შალმა ხევზე, წყაროსთავს. წყაროსთავი მოხერხებული იდგილია საარსებოდ და იქ დადგომა სლომნია წყაროსთაულს. დევებს არ გაუშვიათ. ამ დროს პირქუში იორზე მდგარა. წასულა ეს თავადი და პირქუშისათვის მშვილდ-ისარი გაუკეთებინებია, ზროიანი ისრები. პირქუში თვითონ-ნაც გამოჰყოლია. იქ სადაც დევები მდგარან, ახლო ერთი პატარა გორია და შამაღლს გორს ეძახიან. მოპარებიან შამაღლს გორზეით წყაროსთაული და პირქუში და ისრებით ეს დევები სულ მოუწყვე-ტიათ. მას შემდეგ წყაროსთაული წყაროსთავს დამდგარა და ხვთის-შვილად გაღიცეულა. ახლა ასე ახსენებენ: „თავადო წყაროსთავ წმინდა გიორგიო, დევ-დედაბერთ მომწყვეტო“. ახალს აქვს ორი გილი; ერთი პირიქითს ივრის კუდებში ანგორი. პირქუშიც გაღაქეუ-ლა ხვთისშვილად, სალოცავად. დაარსებულა ანგორს. აქაც ახალე-ლი ხალხი მდგარა სამოცი კომლი. პირველად იქ ილოცავდნენ პირ-ქუშს, მერე ახალსაც მოვიდა და დაარსდა. ანგორსაც აქვს სალუდე, დარბაზი, საბერო, საჯარე და სახარე და სხვ.“.

ალ. ოჩიაური, ფშაური ხალხური დღეობები,

### გადმოცემები გარდა მიზრალაური

1

„გახუა ყოფილ, მეგრელაურთ გახუაი. ჭავშატის ჭვარს ჭავე-თაც წაუყვანავ. ანგელოზთ ჭარ შაყრილ. ჭაჭმატის ჭვარმ თუ შაყარნ  
186



ერთიანა ანგელოზნი. მისულან ქაჯავეთ. ერთ ქაჯ მავიდაოდ — კაჯმატიანი შემატება სახელ ძეიავ, — თქვაევ ქაჯმატის ჯვარისადავ, — ქაჯმატის ჯვარის სახელ თუ რამდ იყვ. — არ ორავ, — თქვაევ ქაჯმატის ჯვარმავ.

— მაშ ქდალ ცხენ მაიყვანეთავ, გადაჭდასაო და გავიგებავ, (ქაჯმატის ჯვარ ქდალ ცხენზე არ გადაჭდებოდ), ესივ ხთისკარ მინახავავ. თავის ფერივ მე დამდგავ ქაჯმატის ჯვარმავ, ჩემ ფერივ თაო დაიდგავ. მიავ შავჭელიოდ გავიარევ. მემრავ სამშედლოებს ჩავავლითავ თვალივ, ვერცხლსავ, სხვასავ. გორს არიანავ მატოლებულნივ რანიც ანგელოზნიავ.

„ქაჯავეთ რად იარები გიორგივ მგელთა ფერაო,  
ვალი მიიდავ, გალსა ვსხოვ, რას მკითხავ ქისტის დედას.  
სინას შეედს ქაჯთა მშედელი, მივასწვერ წურვაზედაო.  
ქურთემულ მაუგლეჭირ, ცხენ შავაგდი ზედაო.  
ქაჯთა მშედელმა ჰილ-კვერი ცხენს მიცა ბეჭებზედაო“.

ერთუიცივ „ურა“ იძახესაოდ დავეცენითავ. რაიც იყვავ წავართვითაოდ, წამვიღილითავ. საქონ გამაულალავ ანგელოზთ, ვერცხლის თასები; სხვაიც ბევრი. სასრევ სამართებელნ ღილლველთ დაიპარნეს ქაჯავეთით მოტანილნი. ქალები: სამძიმარი, აშექალი, მზე-ქალი ქაჯავეთით წამაუყვანიან ხვთისშვილთ. სამძიმარ ხთის ნასახი, გიორგის დაი.

ქურთემულსავ პეტრეს მეტივ (ამღის ჯვარი) ვერვინ გადმაიტან-საოდ იქავ ას ქაჯმატ. ე ქალებ ტკვედ ეეგრ წამაულალავ.

ლაშქრობაში უქარბებავ კარატის ჯვარს. დაგვრივიანავ გაშან-თებულ რკინიავ ქელზე, დაუწყავ კარატის ჯვარმავ ჭერაიოდ, იქავ იმათ აქლიდისავ. ქაჯებმავ უქენობასავ ციცაის თავ-ფექ დაგვრივიავ. ერთივ გუდანის ჯვარსავ დელამფარ მახქონდისავ, ყველა ანგელოზნივ გუდანის ჯვარს მეფეთარნესავ. მთავარანგელოზსავ როშკას მახვ-დაოდ იქავ დარჩავ, ჩვენთან კი ვეღარ იარავ. ეს სრუ გახუაის ნაუბარი“.

ს. ნ. წილაური, არხოტი, ს. ამდა. 1944 წ.

2

„გახუა ყოფილ წამებულ კაცი, ხთის ნათლული. ამას ამური-დებიან სულნი, ისე დამავალას პეპელაის აღით. ხატს ამურიდებავის იმისად სულნი. მემრ წასულან. ყოფილან ქაჯმატური, გუდანის ჯვა-



რიდ სხვა ანგელოზნი. წასულან და მისულან ქაჯების სოცელში, როგორ გამატის ჯვარ გიორგი ბუზურაად გადაქცეულ, შასულ ქაჯების სპასტიკულური ში. თურმე ბზუის იქ. მემრ ერთ ქაჯს უთქომ, რო „ამ ბუზურამ რაც ქნასავ, ხვალ დილამ სცნასავ“. ის ქაჯ მჭედელ ყოფილავ. დასდევ-ნებივან ამ ბუზურას—ეს მაცვლათავ, თორე გაგვაფუჭებსავ. რო შასწუხდ, ეს ბუზურა, შაძვრ ცხენის ღრუშში. მემრ მივიდ კოპალაი, შალრივ ლახტიდ, გამაწყვიტ ქაჯები. იქით გამაიღეს თეფუშები, საკი-დელი, მკლავის სისქე გვლარები (ჯავის რგოლი) აქვ, ვერცხლეულობა. ქაჯებს გაცხელებულ რეინაიდ ქურთემულებ დაურევავ ანგელოზთად. ქაჯავერთით ერთ ძროხის რქა მაულავად ერთ საწყავ ჩამდინარ. როსაც დაბრუნვილან, ერთ ხე მდგარ, იმასთან მისულან. ე სულნ ოუ ამაარიდეს გახუასად გვამ ი ხეს მიხყუდეს. მესამე დღეს მასულან. გვამსავ სულ აუვიდაოდ ვეღარ ჩასულ სული. მემრ უთ-ქომ ანგელოზებს — ჩაძვერივ მეპურყველე გახუაო შიგავ.

ის გახუა გოგოჭურ ყოფილ. მკადრე ყოფილ ხთის წამებული“...

წიქა თოთას ძე ლიქოედი, ს. აკუშო. 1944 წ. სექტემბერი.

### 3

„ქაჯავეთ რო გაუტეხავ ანგელოზთ, წაუყვანავ გახუა მეგრე-ლაური. (გართულ ყოფილ ის) ყველა ანგელოზებ იქ ყოფილან.

გახუა ფიცრულში ყოფილ ჭორმეშავ. მემრ იმას ჯვარ მასელი-ვად უბძინებავ — უნდა ქაჯავეთ გავტეხავთავ. ი გახუაიც გაუყო-ლებავ. გახუა ჭორმეშიონ ყოფილ, ქაღაგი.

ერთ მთა ადგილსავ კლდის ძირჩი ეხჩი დამაწვინესავ, სულ ამამა-ძერინესავ. მეც ანგელოზებსთან ვიარევ; შავიდესავ ჯვარნიოდ მეც იქ შამიყვანესავ ქაჯეთის ციხეშიავ. არ შაგვიტივნესაოდ ციცაის თავ-ფექ დაგვრიესავ. მავეცხითავ კლდე-ღრეთავ. — არა შაგიძლა-ვისთავ, — ხეითხესავ ერთუცსავ ანგელოზთავ. ჰაქმატურმ თქვაევ, რო არ ვხრკოებივ მაგისავ. ერთ ცხენ ყოფილიყვავ მკვდარივ, იმის ღრუჩი ჩაძვრავ. გამაგვიდგავ მდევარივ-ქაჯავეთელ ხალხივ. გამას-ცდავ ქაქმატის ჯვარსავ, იმას ნება დაშჩაოდა ცეცხლი ხერაევ ციხე-სავ, ჩაწვავ კველაფერივ. მაშინისა ვეღარაი ქნესაოდ მიბრუნდესავ. მივხყვევითავ ჩვენაცავ. სრუ მაიბრუნესავ იქაურობაივ. ქურთემუ-ლებ წამაუღავის (შაქრის ზოდებ იყვის აისეთები), კარატის ჯვარ-ჩი ნახეთქი ას. უცვავ ქურთემულისადად, ღაუხეთქავ.

„ქაჯავეთ რად იარება გიორგივ მგელთა ფერაო,  
 ვალი მიკიდავ, ვალსა ვსთხოვ, რას მეითხავ ქჩისტის დედაო,  
 სინის შეედს ქაჭა მცედელა, მივასწერ წურვაზედაო,  
 ქაჭა მცედელმა ჰელვეტი ცხენს მიცა ბეჭებზედაო“.

მემრ წამავედითავ იქითავ. მავედითავ საცა ჩემ გვამ იყვავ. — მე-  
 პურყველეს გახუასავ მატლ აშჩენივავ—თქვესავ. ჩავხნევ, სრუ-  
 მატლ იყვავ. გაღმერნესავ, გამაღმერნესავ, ჩამაძერინესაოდ აისეთაივ.  
 კაც ვიქენივ.

მეორედ, კოპალის ქვა რო ას კოპალის ხატთ ქვეთი, ციხეი-  
 ქაჭთა, ძველებური. ეეხლა ყორენი. იქით ამასატანებ თვლებ ასავ,  
 უთქომ გახუას. ქვარ მეუბნებისავ. წასულან, ლამით მისულან. ორნ  
 სხვან სტანებივან—გარმაილივ გახუაო, გადაილივ ქელივ. აკოშკე-  
 ებშიავ პრიალ იდგავ იალგუნდისაივ. მეორე გაღმავიტანევ, ერთ  
 ხატ გადმავილივ. ის თუ იალგუნდიავ. (ზოგმ ის იცოდის — ქაქმა-  
 ტის ქვარჩი ასავ). გამავედითავ. აი პირდაპირავ ტიქინა დადგავ.  
 იქავ კბილისავარცხელან ხყვანიყვნესავ, იმათ გაიგესავ. გამავიღდგავ  
 მდევარივ. იდგავ ნდგლევაივ. — გაიქეცივ გახუაო, — იგებ გავის-  
 წვრათავ. გათენდავ მემრაოდ, სკივა რამ შამაჩინდისავ, შამაგორ-  
 დისავ. — ბურთვს გვესრევენავ, — თქვისავ გახუამავ. მამეშველნი-  
 თავ მოძმენო, — სხვათ ანგელოზთ შასძახდისავ გახუაივ. გახუას  
 ქაქმატის ქვარ სტანებივას. მემრავ განათდესავ ცის გიდელ-გიდელ-  
 ნივ. ეეხლა მაგვეშველავ კარატიონივ — კოპალივ. მავიდავ კოპა-  
 ლაივ, ერთიანა ცეცხლ კი გასჩინდავ აი ჭალასავ, აი ქაჭნივ სრუ-  
 ჩიაწვნესავ — კბილისავარცხელანივ. სამნ გამავეიღესავ. ვირბოლე-  
 თავ. კოდო შუაში გადაუძვერივ. ერთ გზაში მამკვდარ ამხანივი,  
 მეორე აქ მამკვდარ, გახუა დარბასში კოდო შუაში გადამძერალ“.

წიქა თოთას ძე ლოჭოლი, ხ. აკუშო, 1944 წ.

„ქაჯუეთს სიარულის შესახებ ბაბუა მგელიქეს ძე ქეთელაურ-  
 მა, ბისოელმა, შემდეგი მიაბო 1911 წ.: „გიორგის მასწონს თუ  
 ქაჯავეთში. წასულ იქ და გაუყოლებავ ერთ კაც, ქორციელ. მთაზე  
 სადამ კლდეჩი სულებ ამაურიდებავ და თან გაუყოლებავ ქაჯავეთ-  
 ში. ი ქაჯებსა საფეხნო ხქონივ გაქეთებულ. სინის მცედელ ყოფილ.  
 შეედს თუ ი სინას. შავიდ თუ წმიდა გიორგი ი სამცედლოჩი და ი კა-  
 ცის სულ თან შახყვა. მცედლის საჭედი სინა მაუხიბლავ. გამაილ თუ ი



სინა და გრძელზე შააგდა და კვერ დახქრა. ი სინა უნ გატყვაზე და მაუნის ხალხ (იგულისხმება ქაჯები. ა. შ.) სრუ გაღუპას. გიორგის ისე მაუნიბლავ ი სინა. გადადვ თუ ი სინა მჭედელმ. გამოვიდ კარზე, სოფელი წავიდ. იქ ერთ ქაჯ (პირველად თქვა კაც) ეგულების აქსნას ეს რა ამბავია. მეუფროს იქნებოდ ის, რაღა მათი. მაიყვან თუ სამჭელოჩი ი ქაჯი. ე სინა ამნაირად შვრებისო, რა ამბავია, თუ უთხრა. იმ ქაჯმა უთხრა: ეს მე ვიცი, ეს გიორგი არის, ეს კაიძეო. მემრ გიორგიმ ჯანლებ თუ გააჩინ ი სამჭედლოჩი. მემრ თავის ძალა მაიქმარა და ე სამჭედლომ იქუხა სრუ-ერთიანა და ნაგაბარ ცისკე გვედინ. ი გრძემს მათრაჯი თუ შამოხქრა და ცხენზე აიღო ი გრძემი. კვერიც თან ამაყოლ იმას. რაც იმ ქაჯებს საქონელ ხყვანდა, ის აქისკეს დალალ. აქ თუ მარექეს საქონელი და აქ რო ექლესია დგას, იქ დაქუჩეს. ერთ ძროხა ცალ-ჩქა გააყოლ იმაშიგ...

ი ცალ რქა ძროხა რო მაუყვანავ, იმისთვი რქაი მაუტეხავ, უთქვამ ი წმიდა გიორგის, რო ჩემს ლუდს რო მოხარშავოო, ამ ქაჯვეთური ფურის რქით აწყევით სალუდე ფორიო. აი ეხლა მაშინდელ საწყავ გვიდგას, იმ ფურის რქის წყეი. ის რქა კი აი ციხეში დგას, ზევით, აღარ იქნების ახლა, — დალპებოდა. აი ის გრძემიც მაშინ მოღებული ას, წმიდა გიორგის მოუღავ ი ქაჯების სამჭედლოდან. იქით მოუტანავ კიდევ ოქროს ფანდური, ცხრა-ძალიანი, ოქროს საცერი, სამართებელი, სასრევი.

აკ. შანიძე, ხევს. პოემ. გვ. 594—595.

(შენიშვნები და ვარიანტები).

„გახუა იყო ჭორმეშონ კაცი. გახუა ყოფილას ხთისშვილთაგან დაჭერილი. გახუა გუდანის ჯვარის მკადრე ყოფილას. იმას მაშინაც უკლავ ხთიშვილთან, როსაც ქაჯმატის ჯვარმ ქაჯეთ გატეხად ხთისშვილნ ექმარებოდეს, მაშინ გახუას თან თუ იყოლებდიან. მაშინდელ ამბავი ას ისიც, რო სულ ამამაძერინესავ,—თქვისავ გახუამაოდ გვამივ ქვიშაში ჩაღმარხესავ. რო მავედითავ, ვნახევ ჩემ გვამოდ დასულებულიყვავ. მჯარზედავ თაგვსავ ამეეჭამავ. შამზიზღავ ჩემდ გვამმაოდ გაქცევა გავძელევ; რად გაღრბივ მეპურსატნევ გახუაო. ჩაძერივ,—მითხრესაოდ ჩამაძრინესავ პირისასავ ძალითაოდ ავდეგივ აისეთი კაცივ. გახუასავ იცოდიან, — თაგვის ამანაჭამ აჩ-



ნიკოსიავ მქარზედავ. გახუა წაუყვანავ ხეთიშვილს გერგეტის უფლებულის  
შაუყვანავ ბეთლემის სახლში. რო შვედივ, თქვისავ გახუამავ, —  
სავსე იყვავ ის სახლივ, ხატებითაოდ თაძაშობლესავ. ზოგ ხატებივ  
ტრედებივით იყვაოდ ირეოდავ ერთმანეთშიავ. იმთვენ იყვავ ხატე-  
ბივ, რო ბუზებივით გად-გამადიოდესავ. ერთივ ოქროს აქავან იდ-  
გაოდ შიგავ ყმაწვილ იწვავ. ტრედებ დაღბრუნევდესავ თავზედაოდ  
იუქლის მარცვლებს აჭმევდესავ. გახუა იქით რო წამოსულა, წამო-  
უყვანავ ერთ მფრინავ ხატი. ეს ხატი ნაწილიანი. ყოფილ რო ღამი-  
თავ შუქთ უშობდისავ. რო მავიდოდ გახუაი, ხატ თავისთავად წინ  
მამიძღვედობისავ, თუ იცოდ გახუამ. ყორის წყალზე რო მავედი-  
თავ, იცოდის გახუამ, ბიბინ რაიმ დადგაოდ ხატიც კლდის თავზე შა-  
ჯდავ. მავიდესავ ტრედის ალითავ რეებიმაოდ შუქთ კი უტევდესავ.  
ოქროქსოილ მაიტანესაოდ რომენიც გახუას მახყვებოდ, იმ ხატს  
ჩაცვეს თუად გამახყვ გზას. უკენ გახუა მახყვებოდ. იქით წამა-  
სულთ დღე და ღამ ვიარეთაოდ გათენებისად გუდან მავედითავ.  
გუდანის ჯვარის ბეღელსთან რო მივედითავ, ის ბეღელში შავიდა-  
ოდ მე კარში დავრჩივ. აქით დაწყებულ გახუაისაიდ მფრინავის ხა-  
ტის ერთად სიარული. ერთხან გაქაღაგებულ გახუაიდ მაუტანიე-  
ბიებავ გუდანის ჯვარს, რო მიავ ღილლოს ვემზადებიოდ ჩემ მეად-  
რეიოდ ორ დასტურ გამამყევითავ. გახუასად დასტურებს სამთავ მა-  
უყვანაგად თითო სანათლავ დაუკლავ. მეორეს ღილას დასტურებილ  
გახუა მისულან გუდანის ჯვარის კარზე. გახუას სამკადრეო ხეო-  
ნიერს, გადაუფენავ ქელზე სამკადრეოიდ, მასცლივ გუდანის ჯვარი  
ხატად. ხან ტრედის სახით იქნისაოდ, ხან ხატივით იყვისავ. გახ-  
ყოლივ დასტურებიცად გახუაიც ხატს. ხატივ წინ მიგვიძღვებოდი-  
საოდ ღამითავ გზასაც გვინათებდისავ. უვლავად ღილლოს ბისუ-  
ლან. ღილლოს ერთ სიცელი ას ტარგამე, იქ მისულან. ტარგამეს  
ხალხ შაყრილა გახუაისად ხატ წაურთომად ჩაუსომ კიდობანში. გა-  
ხუას უთქომ, რო გაუშვიოთ, თორე არ მაგივათავ კარგადავ. ღილ-  
ლველთ სიცილ დაუწყავ, შენ ხატივ გახუაო ჭიშქენს ჭამსავ კიდო-  
ბანშიავ. (ჭიშქენი—შვრია). ბოლოს გახუას უთხოვავ ქაქმატის ჯვა-  
რისად, რო გუდანის ჯვარის მფრინავ ხატივ ქვე ღამიპატიმრესაოდ,  
შენ მიშველეოდ დაიქსენივ გუდანის ჯვარივ; საით რა უყენევ ამ  
ღილლვლებსავ, რო ირწმუნანაოდ გაუშვანავ. (კიდობანში რო  
დაუმწყვდევავ, ზედ თავ დაუხურავ კიდობნისად). როსაც ღილ-  
ლველნ შაყრილან, თავის მკითხავიც თან მაუყვანავ. ამ ღროს გახუ-

ას ახელი ყელსადები ვერცხლისაიდ ღილველ ხალხის თვალშემყვავი იქავ ასხმულად გადაზდებივ ყელზედ. ეესრ სამხერ უქნა ხატსად ამ დროს მასვლივ იმათ მკითხავსაც იარდა (იარდა იყვ ღილველთ სალოცავი). იარდამ თავის მეენეს ატანებივ, რო გუდანის ჭვარ მესტუმრაოდ თქვენავ მასხარაად იგდებთავ ჭვარ-კაცსავ. დაუთხოვავ მუქარა ღილველთად იარდას: თქვენავ ჩემს სტუმრებსავ პატივს არ სცემთოდ გაგანადგურებთავ. ის რო ქადაგობდავ, გახუამ თქვისავ, — გადმავხენეოდ ერთიანად ღილველნივ მუქლის-კვერზე ისხდესაოდ თავებივ დახრილები ხეონდავ. გაიქცესავ, მაიყვანესავ მაშივავ საკლავიოდ სადაც გუდანის ჭვარის მფრინავ ხატი ხყვანდავ დამწყვდეულივ, დაკლესავ. აუქდავ კიდობნისად თავიდ კიდობან-შიით ამამხტარ ხატიდ დამჭდარ კიდობნის თავზე ტრედის აღით. რო დაჭდავ, ისეთ შუქთ უტევდისავ, რო კაცივ თვალთ ვერ შაყრიდავ. ახლა როსაც ამ სახით უნახავ ღილვლებს, ისენ სრულაოდ შაშინებულანად დაუწყავ ხეეწნაი: დალოცვილო გუდანის ჭვარო, გვაპატივეოდ კვამლზე თითო საკლავს დაგიკლავთაოდ შამაგწირავთავ. მაუყვანავისად თითო საკლავ ყველას დაუკლავ. გაუმართებავ ღილვლებს დიდ ლხინი, უდუღებავ ქორციდ კაცსა, დიაცს ყველას უჭამავ. ტყავებ კი გუდანის ჭვარის ჭვარიონთად მიუცავ სრუ ამ დღიდგეს დამეგობრებულან გუდანის ჭვარიდ ღილველთ იარდაი. გუდანის ჭვარს სრუ წლისთაოდ უვლავ იქ. გუდანის ჭვარ რო ესტუმრებოდ, დიდი ამბვით დახვდებოდეს ღილველნიდ უქოცდეს საკლავებს. ერთხან ერთს ღილველს თეთრ ჭბო მაუყვანავ დასაკლავად, ქოოდ თეთრი, ულიშნო. ხუცესმავ რო ხუცობა დაიწყავ, გუდანის ჭვარივ ტრედის სახით დააჭდავ თავზედავ ქბოსავ. ხუცესმ რო იხუცაოდ ჭბოს დაკვლას უპირებდავ, მაშინ გაქრავ. ღილვლებს შაშურდავ, რო ამ ერთის ღილვლის საკლავივ კარგად მიიღავ გუდანის ჭვარმავოდ, ამაზე კინაღიმ ერთუც ჩაუქოცავ ღილვლებს: შენ საკლავ რაად მიიღავ გუდანის ჭვარავ, ჩვენივ ქვეარავ.

გახუა ერთხან არხოტ წასულ თავის მფრინავ ხატსთან ერთად. გზაზე დახხარვევი ხატიდ გახუა ხოშურაულთას მისულ. გამაუხენებავად იფნზე იჯდავ ტრედის აღითაოდ შუქთ უშობდავ. მიუყვანავ სანათლავიდ იფნის ძირში დაუკლავ. გაზძლოლივ მემრ იქავად მისულ-არხოტ. არხოტივნებს გუდანის ჭვარ არ ხყვარებივ, რაკი იმის დროშაით უდენავ არხოტიონთ დასალაშქრავად. მისულებისად ვე-



რაბევრ პატივ უცავად დაბრუნვილან იქავ გახუაიდ იმის ხატურებისა  
ხატის ან ტრედის სახით თაოდ გუდანის ჭვარ ყოფილას. გახუაი  
ისეთ მკითხავ იყვისავ. რო კაცის დღე იცოდისავ. ხანდიხანავ დაი-  
კარგისაო. ერთ-ორი თვიღეს მავიდისავ. საფარველ დადებულ  
დახყვანდისავ ხთიშვილთავ თანავ. ჭერ კი არ სცოდნივ საუბარი  
გახუას თავის სიარულისაი, ხვთისშვილთაგანაც ნება არ ხქონივ.  
ბოლოს რო ხანში შასულ, ხთისშვილიც თანდათან ახვდომივად  
საუბარიც დაუწყავ თავისად ხთისშვილთ ამბებისა. ამ დროს აღარც  
წელზე მაუდიოდ ხთისშვილი.“

ალ. ოჩიაური, სხვადასხვა თქმულებები, რვ. 84, გვ. 588.

5

„მეგრელაურ კორმეშიონ ყოფილ. იმას ცოლშვილ არ ხყვანივ.  
ნება არ ხქონივ არც დედაკაცისა, არც სხვაი. სულ ამოურიდებავ  
იმისად. ქაჯავეთ წაუყვანავ ქაჯმატურს. გვაძს მატლ დახვევევავ. რო  
გაბრუნებულიან, გაურეცხავ გვამი, ჩასულ შიგ სული. ის გიორგის  
უყოლებავ ქაჯავეთ. ისენ წასულან. ის სამძიმარ ქაჯთ ქემწიფის  
ქალ ყოფილ. იქ გველეშაპ ყოფილ. იმას თუ უნდა შეექამ ერთ ვინ  
სოფელშით, წყლისპირში დაუსვემდეს. ის სამძიმარ დაუსომ. მი-  
სულ გიორგი; უთქომ რო გაგანთავისუფლებავ შენავ. მამას უთხ-  
რივ რო წაგიყვანავ. ცხრაჯერ წყალში გაიბანევ, სამივ საკლავ და-  
კალივ. იქით იმას მაუყვანავ შვიდ ქალი: სამძიმარი, აშექალი, მზე-  
ქალი, შუქიაი, განძაი, ამენქალი, სიმენ ქალი. სამძიმარმავ ცხრა  
ენა იცისავ. ის ქადაგობს ყველა ენაზე, ქაჯურადაც ქადაგობს. ჭერ  
იმათ ენაზე დაიწყებს საუბარს. მერ ქართულად.

ის ყმაწვილობაშითავ გაქადაგებულ იქნებოდ. გახუასაც  
ცოლსთან მისვლის ნება არ ხქონდ. იმის ნასახლარში ჭვარი ეეხლად“.

ხირჩლა ბერდიას ძე ალუდაური, 60 წ.,

ს. ხახმატი. გ. X. 45 წ.

7

„მეგრელაურ ხატს თუშეთაც ხყვანივას, თან სტანებივას გა-  
ხუაი. რო გამაუტანავ ქაჯავეთით ქურთემული, ცხრა ძალიან ფან-  
13. თ. ოჩიაური 193



დური, საქონელი, წყაროს ეძახან თუშეთის მთაზე. იქ წყალულობისა და ცოცხლის შეუწებებავ ქაჯების ნახირ უწყლოობას. ზე მთაზე წყალი. კოპალის ლახტ დაუკრავა წყალ ამაუყვანავ. გამაულალავა მაუსხმა აქ. ის ცხრა ძალიან ფანდური, რქა, სანაყავი; ქალებიც მაში წამაუყვანავ — სამძიმარი, მწევარნი — ქაჯავეთით მაუსხმიან მაშინისა“.

ბერდია თათარის ძე ქეთელაური, 81 წ.,  
ს. ბისო. 9. IX. 45 წ.

8

„მეგრელაურ ქალთ უკლევავის იქ ქაჯივეთ. ჭაქმატის ჭვარ ქალის აღით ას. სულნ ამაუცლიან, გვამ დაუგდავ მთაზე. სულნ იქ წაუყვანიან ქაჯივეთ. ყავარჯინის კოჭ დაუცავის, ორმო ქნილ აიმაჩი ჩაუყუდებავის აი გვამი. რო მასულან, ჩაუდგმიან იქვე სულნი. მაში მაულავ ბევრა რაიმ. საქონიც მაუსხმა. ფურის რქას (იქი მაღებულს) ჩხუტის წყე ხეონდ. ქურთემულიც მაულავ. ჭაქმატის ჭვარჩი ას. ის მეადრე ყოფილას. მყრით მფრინავ ხატ ყოფილას ისი. ის მასდენივ ქელზე. იმას ხატის აღით მასდენივ. იმას მშერებ ხეონივ. გაფრენილ თავისით. კაცის თავ არ ღმბივ, მე არ გამიგონებავ. იმას ანგელოზებისად პირად უუბნავ.“

მეგრელაურ გასდგომივ ცოლ-შვილობას. გასცლივ ი ხატიც. მეგრელაურის შვილს ოქროს ჯაჭვ გამახყოლივ კისერზე. ზღილ ე ბალლი, ზღილ ე ჯაჭვიც. რო გაზდილ, უთქომ რო ცოლიანობის ნებას არ მისცემსავ ი ჯაჭვივ. მამკვდარ ისიც. ი ჯაჭვ დედის მუცლით გამახყოლივ, ის მაშიავ ხატს აუყვანავ დედის მუცლით. იმთვენ სირეგვნე მითხარ შენ, რომ იმას ცოლის მაყვანა შაუნდომებავ. ისეთ დაბადულს, დაუშლიდ, მაშ რას იქმოდ“.

ბეჭინია შიშიას ძე ჭინჭარაული, 45 წ.,  
სოფ. ძეძურთა, 10 აგვისტო, 1945 წ.

9

„ქაჯივეთ რას იარები, გიორგიე მგლისა ფერაო.  
ვალი მიმიდეეს, მივხყები, რას მეოთხავ ქრისტეს დედაო.  
მიეასწერ ქაჯთ, მშედელსა, კედასა სინაზედაო.  
სამთავსა წელ-ფეხ მარწესსა მარჯვენა კუთხი სქდებაო,  
ჰელ მივხეარ. წამავიტანე, ჭაქმატის ჭვარჩი ძესაო“.

ალ. თიშიაური, ხევსურული მითოლოგიური გადმოცემები,  
რვ. № 10, გვ. 116.

„წვერის ანგელოზი ჩვენი ხატია. ამ წვერის ანგელოზის სამკვიდრო აქა ყოფილა, სოფლის თავზე, ერთი კაცი — მირიანეული გადიდრებულა ძალიან. ეს ხატი არ იქდებს თურმე ღორების ყოლას. მივიდნენ ეს ღორები (ხატში), სოხრიან, გადმოთხარეს იქაურობა. ის ძალიან მდიდარი კაცი ყოფილა. ერთ დღეს ორი ქორწილი უნდა ჰქონდეს. ამაიტანა კახეთიდან ღვინოები, მააქვს და გზაში დევცა დიდი ქარიშხალი, გაუფუჭა ყველაფერი.

— აცალე, მე მირიანეული ვარო, კიდევ ვიყიდიო. წავიდა და კიდევ მაიტანა. გზაში ალარა ხიფათი არ მოსვლია. გაამზადა ეს მაყრები. წავიდნენ. ორი ქალი უნდა მაიყვანონ ოჯახში და ქორწილი გადაიხადონ. როცა მოდიან მაყრები და მოკყავის ქალები, ისეთი წარლვნა მოვიდა, წამოვიდა მიწა, მომზღვლა, მოხვდა და მოელი წაილო მაყრიონი ნიაღვარმა, ხალხი, პატარძლებიცა.

ის ხატი იმაზე გაჯავრდა, ღორებმა რომ ამოთხარეს. აფრინდა ეს ხატი, ზევით ველიცულობთ, საგულებელს ეძახიან, იქ დაარსდა. ამ მირიანეულმა გაიგო და იქაც არეკა ეს ღორები. იქიდანაც აფრინდა (ხატი) და სუ წვერზე ავიდა, — ქალისთავის წვერს. ყამირია, იქეთაც და აქითაც არავინ არ გასთიბს. არ აქსონთ მამა-პაპას, ვერავინ ვერ გასთიბს. იქ ქვებია გათლილი, ნასაყდრალია. იქ ღორები ველარ ავიდოდა. იმაზე გაჯავრდა და იმიტომ დაღუპა.

როცა ესენი დაუღუპავ, მემრე გამეეცხადა თუ როგორ იქნებოდა და უთხრა მირიანეულს: გაერიდე, ზევით წავედი და შამამყევ მირიანეულოო. მიგაყენებ და მოგაყენებ, ქალის ქალზე დაგაყენებო.

სუ გაწყვეტილა ის ხალხი; მართლაც ქალის ქალი დამრჩალა, სხვა ნათესავები სუ გაწყვეტილან.“

გიორგი დიმიტრის ძე წიკლაური, 50 წ., გულამაყარა,  
ს. გამსი, 18. VIII. 63 წ.

### ცხრა ძაბ ჭიშორელი

„წიფორში ყოფილან ცხრა ძმანი. დედა ჰყოლიათ, უფროსი შვილი ცოლიანი ყოფილა. ისე გაავებულები ყოფილან ისენი, რო მთელ სოფელს თურმე არ უშვებენ გარეთ. ურთმევია მეზობლების-თვინა საქონელი. დულს წაართმევენ, რამეს. ერთი ყოფილა ცოლიანი და ერთი ბიჭი ჰყოლია იმას. თუ ვინმე დაქორწილდებოდა



იმ სოფელში, მალვით მაიუგანდენ პატარძალს იმათ შიში მომავალი გვეს, რომ მოვიდა თურმე ერთი ცხრა მათი, შახსნა კარები და შავიდა. გადმაჯდინა ეს დედუფალი. — დედუფალს პურის კმევა უნდაო, გამოიყვანა, წაიყვანა თავის სახლში. მემრე მოვიდა ის ქალი, რო გაუბედურდა. ის გაუბედურებული იყო იმათვანი ის სოფელი. არ შაიძლებოდა რო შიშით სამუშაოზე გასულიყო ხალხი.

ერთი ჭევისბერი ყოფილა. იმას უთქვა — სადამდე ვიყოთ ესეო, ან ავიყარეთ, ან ჩამე ვქნათო. აღგენ და ხატში სანთელი აანთეს დეკანზმა, უფროსმა კაცებმა, — ან ჩვენ დაგვაშორე აქედან, ან ეგენი მოგვაშორეო. (წიფორის წმინდა გიორგის დაუნთეს სანთელი).

ცოტა ხანი და გავიდა სათიბლად ცხრა ძმანი მთაში და სთიბენ. იმ ბიჭების დედამ უთხრა ჩაბალსა: პური გამააცხვე და მთაში წაუღე იმათაო. ეს ქალი პურს აცხობს, პატარა ბალლი ჰყოლია, დედამ-თილი რძესა სდლვებს. გაიყინა ეს რძე. — რა მოუვიდაო? ეხლა ეს აქვნიანი ბალლი გვერდ უდგა. იმ ბალლმა რო დააფხა, მოკიდა ყინული და მიაკრა ის აქვანს ძირიდან ყინული. იმ ცხრა ძმას კოკა ჰქონია მთაში და ისიც გაყინა. თქვეს იმ ცხრა ძმათ, რო ღმერთი გაგვიწყრა, რა მმბავიაო. დავაგოროთ კოკები, არ გატყდება მაინცაო. დააგორეს და არ გატყდა, ისე ჩამოვიდა ქალაში. აღგენ და წამოვიდენ სახლშია, უბედურება რამ არი ჩვენ სახლშიაო. მოეიდენ, ხედავენ გაყინულია აქვნის ძირიც, რძეც. დედამ უთხრა: უბედურებაა ჩვენ თავსა და ეცადენით მანამ არაფერი მოგვივაო. ისინი ამდგარან ღამე, თხრიან. თორმეტი დღე სულ თავისი სამარე თხარეს. მაიტანეს სიპი და სიპით გააკეთეს ის აქლდამა მიწაში. ძალიან ბევრი ოქრო ვერცხლი ჰქონდა იმათა. ის კიდევ ესე მამულებში გაუტანია და იქ ჩაუმარხია.

— ჩვენ ვიღუპებით და ნურავის დარჩესო, — დედას უთქვია. ისიც ისე დაუფარავ, ვერავის უნახავ, მემრე გასულან. იმ სახლის-თვი თავი დაუნებებია, დედაც წაუყვანია, შასულან აკლდამაში, ბავშვიც იქ გაუყვანია. თორმეტი დღის მერე სუ გაწყვეტილან ისენი, რო არ დარჩომილა ერთი. მამრე ის სოფელი ნიადაგ, რო გაიხარებდა. იმის შემდეგ გაიგო იმ სოფელმა სიცოცხლე და წუთი-სოფელი.“

ბაბალე გაბრიელის ასული ბექაური,

გუდამაური, ს. კიტოხი, 18. VIII. 1963 წ.

## გ 0 6 1 1 6 6 0

<b>შესავალი</b>	<b>5</b>
გადმოცემის როლი მთიელთა ყოფაში	8
მითოლოგიური გადმოცემის შექმნის პირობები	16
თქმულება იახსრისა და კოპალას მიერ დევ-ერპთა განადგურების შესახებ	20
დევებით დასახლებული ტერიტორია	21
დევთა ცხოვრება და საქმიანობა	23
დევთა სოციალური ყოფის ამსახველი მასალა	31
დევ-ერპთა განდევნა იახსრისა და კოპალას მიერ	38
<u>გადმოცემა ანატორელთა შესახებ</u>	67
თქმულება ქაფვეთის დალაშქერაზე	81
თქმულება გუდანის ჭვარის დაარსებაზე	102
სამოვალოებრივი უთანასწორობის ამსახველი გადმოცემები	115
<b>დასკვნა</b>	<b>130</b>
<b>ტექსტები</b>	<b>138</b>

Тинатин Алексеевна Очиаури

МИФОЛОГИЧЕСКИЕ ПРЕДАНИЯ ГОРЦЕВ  
ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

რედაქტორი ვ. ბაჩდავალიძე  
გამომცემლობის რედაქტორი ც. თავაძე  
მხატვარი ო. სესნიაშვილი  
ტექნიკური ნ. ებრალიძე  
კორექტორი ქ. წერეთვალი

გადაეცა წარმოებას 6.2.1967; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.6.1967;  
გალალდის ზომა  $60 \times 90\frac{1}{16}$ ; ნაბეჭდი თაბაზი 12,38; საირჩიცეო-საგამომცემლო  
თაბაზი 9,98; ფ. 01303; რიზაფი 1000; შეკვეთა № 152;  
ფასი 90 კპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15  
Типография Издательства «Мецнериба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

තුවස 90 ජාත්.